გ. გასვიანი

# დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიის საკითხები

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო
თ ბ ი ლ ი ს ი — 1979

~~9 (G 41)~~
9(47.922)
~~ბ 231~~

ნაშრომი ეხება საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთი კუთხის, სვანეთის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების ხასიათსა და თავისებურებას, სვანეთის რუსეთთან შეერთებას და მის პროგრესულ-ისტორიულ მნიშვნელობას. აქვე გაშუქებულია სვანეთის გლეხთა მოძრაობა, მისდამი ქართველი საზოგადოებრიობის დამოკიდებულება, აგრეთვე, „ვარგის“ სოციალური წოდების დახასიათება და სხვ.

10604.88—162
Г ——— 88—79
М.601 (88)—79

# შესავალი

ქართველი ხალხის ისტორიულ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა როგორც საშინაო, ისე საგარეო-პოლიტიკური ფაქტორები. ამას საქართველოს რუსეთთან შეერთების უდიდესი ისტორიული მნიშვნელობაც ადასტურებს.

პოლიტიკურად დაქუცმაცებულ საქართველოს კუთხეებს შორის სვანეთი რუსეთს შედარებით მოგვიანებით შეუერთდა. რუსეთთან საქართველოს ურთიერთობისა და საქართველოს კუთხეების რუსეთთან შეერთების ისტორიის კვლევაძიებაში თვალსაჩინო წარმატებებია მოპოვებული, თუმცა ამომწურავად არ არის გაშუქებული. /მოცემულ კონტექსტში უურადღებას იპყრობს სვანეთის რუსეთთან შეერთება, ასევე სვანეთის მოსახლეობის ბრძოლა ეროვნული და სოციალურ-ეკონომიკური ჩაგვრის წინააღმდეგ, რომლის უბრწყინვალეს ფურცელს 1875—1876 წლების სვანეთის აჯანყება წარმოადგენს.

სვანეთის რუსეთთან შეერთებას სხვადასხვა იდეურ-პოლიტიკური მრწამსის არაერთი რევოლუციამდელი ავტორი შეეხო, მაგრამ მისი ღრმად გაშუქება და ობიექტური შეფასება მათ არ მოუციათ. მაგალითად, სვანეთის რუსეთთან შეერთება მიმოიხილეს ვ. ტეპცოვმა[1], მ. ილინამ[2] და სხვებმა, თუმცა ისინი მოვლენის ზოგად აღწერას დასჯერდნენ, ისტორიული ფაქტის შეფასება არ უცდიათ.

ხსენებულ საკითხს შეეხო ე. გაბლიანი[3], რომელმაც გაა-

---

1 В. Я. Тепцов, Сванетия, Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. X, Тифлис, 1890.

2 М. Илина, Поездка в Сванетию, Петербург, 1913.

3 ე. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბილისი, 1927, გვ. 30—56; მისივე, ძველი და ახალი სვანეთი, თბილისი, 1925.

შუქა სვან თავადაზნაურთა და რუს მოხელეთა ურთიერთობის არაერთი ფაქტი. ე. გაბლიანმა აღწერა სვანეთის რუსეთთან შეერთებისას დადიშქელიანთა ორ შტოს შორის გამწვავებული ურთიერთობა, ასევე ჩუბეხევის დადიშქელიანებისა და დადიანების მტრობა, ე. წ. დადიშქელიანთა სამთავროს შესვლა რუსეთის მფარველობაში. ავტორი შეეხო ადგილობრივ აზნაურთა მცდელობას თავიანთი ნებასურვილისათვის დაექვემდებარებინათ „თავისუფალი" სვანეთის გლეხობა და თაოსნობა დაეჩემებინათ სვანეთის რუსეთთან შეერთებაში. ე. გაბლიანი დასძენდა: მიუხედავად აზნაურთა ამგვარი მეცადინეობისა და მეზობელ სამეგრელოს და რაჭის მფლობელთა აქტიური ჩარევისა, ბალსზემო სვანეთი XIX საუკუნის შუახანებამდე დამოუკიდებელი რჩებოდა, ბოლოს კი 1853 წელს თვითმპყრობელობის გამგებლობაში შევიდა.

სვანეთის რუსეთთან შეერთებასთან დაკავშირებული ფაქტების შეფასებას ე. გაბლიანი იშვიათად იძლევა. ირკვევა, რომ ავტორს შეერთება არც თუ ისე პროგრესულ მოვლენად წარმოედგინა. მან ერთმანეთისაგან ვერ განასხვავა ორი რუსეთი — მეფის თვითმპყრობელობა და რუსი ხალხი. შეერთება ისტორიულ-პერსპექტიულად ვერ შეაფასა.

სვანეთის რუსეთთან შეერთებას შეეხო აგრეთვე ბ. კოვალევსკი, რომელიც ამ აქტთან დაკავშირებულ ზოგიერთ ფაქტს არაზუსტად აღწერდა. ასე მაგალითად, მისი აზრით, სვანეთის სამთავრო („სადადიშქელიანო სვანეთი") რუსეთს 1846 წელს შეუერთდა.

სვანეთის, როგორც პოლიტიკურად დაშლილი საქართველოს ერთ-ერთი კუთხის, რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობა სწორადაა დახასიათებული საბჭოთა მკვლევარების ნაშრომებში, ასევე XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პრობლემისადმი მიძღვნილ კონკრეტულ გამოკვლევებში.

რუსეთთან სვანეთის შეერთებაზე ნაკლები დაიწერა, ვიდრე სვანეთის გლეხთა 1875—1876 წლების აჯანყებაზე, რაც ბუნებრივიცაა, რადგან ეს უკანასკნელი იმპერიის მასშტაბით გახმაურდა.

საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში გაშლილ-

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და „საერთო დემოკრატიის“ წარმომადგენლები გაბედულად გამოეხმაურნენ სვანეთის აჯანყებას, გამოექომაგნენ აჯანყებულებს, რომელთა დაცვასაც ისინი პრესის ფურცლებზე და ოფიციალურ საქმედრო სასამართლო პროცესზეც არ მოერიდნენ.

სვანეთის გლეხთა ხსენებული აჯანყების თვითმხილველი ბ. ნიჟარაძე, რომელმაც „თავისუფალი სვანის“ ფსევდონიმით „სვანეთის აღელვებაზე“ 1892 წელს რამდენიმე სტატია გამოაქვეყნა გაზეთ „ივერიაში“[1]. იგი საინტერესო ცნობებს გვაწვდის სვანეთის გლეხთა მღელვარების დაწყებაზე, მსვლელობასა და შედეგებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია აჯანყების მონაწილეთა (ყ. შერვაშიძე, ა. ფარჯიანი და სხვ.) გამოსვლების გადმოცემა, რომელიც შუქს ჰფენს აჯანყების დროს სვანეთში შექმნილ სიტუაციას, აჯანყებულთა მიზანსწრაფვებს, მეფის მთავრობის მოხელეთა ვერაგობას. საყურადღებოა ასევე აჯანყების მსვლელობისას მეფის მოხელეთა და სოფ. ხალდეს წარმომადგენელთა შორის ბ. ნიჟარაძის მონაწილეობით მიმდინარე მოლაპარაკების დეტალური აღწერა.

სვანეთის აჯანყებაზე ზოგიერთ ანგარიშგასაწევ ცნობას გვაწვდის ე. გაბლიანიც. აქ ყურადღებას იპყრობს აჯანყების თვითმხილველთა (გ. მარგიანი, ბ. გუჯეჯიანი და სხვ.) ნაამბობის ჩანაწერები. ე. გაბლიანი სვანეთის აჯანყებაში და მისი მძიმე შედეგებით დამთავრებაში მეფის მთავრობას ადანაშაულებდა.

სვანეთის გლეხთა აჯანყებას ერთ-ერთი პირველთაგანი შეეხო ვ. ტეპცოვი, რომლის აზრითაც 1878 წ. (?) სვანეთში ადგილი ჰქონდა გლეხთა არეულობას („უწესრიგობას“). მისი დაკვირვებით, ის გადასახადების შემოღებაზე გავრცელებულ ჭორებს მოჰყვა. ავტორი სოფ. ხალდეს მცხოვრებთა აწიოკებისათვის მთავრობას ხოტბასაც კი ასხამს[2].

ნ. ტუროვეროვას აზრით, „სვანეთის არეულობა“ იქ გადა-

---

1 იხ. ბ. ნ ი ჟ ა რ ა ძ ე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, II, თბილისი, 1964, გვ. 173—199.

2 В. Я. Т е п ц о в, Сванетия, стр. 7.

სახადების შემოღების მცდელობის დროს ორი ჯარისკაცის მოკვლამ გამოიწვია[1].

სვანეთის გლეხთა აჯანყება მიმოიხილა ბ. კოვალევსკიმაც. მან სამართლიანად აღნიშნა, რომ მეფის მთავრობამ სვანეთის მიმართ არავითარი დაპირება არ შეასრულა (გზა არ გაიყვანა, სასწავლებლები და სავაჭროები არ გახსნა და სხვ.), სამაგიეროდ, პოლიციური რეჟიმი დაამყარა და მოსახლეობის ექსპლუატაციას ეწეოდა[2].

ბ. კოვალევსკიმ აღწერა აჯანყების მიზეზები, მსვლელობა, სოფ. ხალდეს დარბევა და მის მცხოვრებთა გაციმბირება. მისი შეფასებით, სვანეთის გლეხთა აჯანყება მეფის მოხელეთა და დადიშქელიანთა ძალმომრეობამ გამოიწვია.

XIX საუკუნის საქართველოს გლეხთა სოციალურ-ეკონომიკური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეცნიერული კვლევა-ძიება სწორი მეთოდოლოგიური პოზიციიდან და ფართო გეგმით მხოლოდ 30-იანი წლებიდან გაიშალა. სვანეთის გლეხთა შეიარაღებული აჯანყების შესწავლასა და გაშუქებაში წვლილი მიუძღვის ა. კოპლავაშვილს, რომელმაც ამ საკითხს სპეციალური ნარკვევი უძღვნა და საარქივო მასალების ერთი წყებაც გამოაქვეყნა.

ა. კოპლავაშვილმა ზოგადად სწორად დაახასიათა სვანეთის გლეხთა აჯანყების მიზეზები, მსვლელობა და შედეგები. მისი აზრით, სვანეთის გლეხთა შეიარაღებული აჯანყების მიზეზი იყო ცარიზმის კოლონიური რეჟიმი, რასაც მეფის მთავრობის მოხელეთა პროვოკაციული მოქმედებაც ამძიმებდა. ა. კოპლავაშვილი მართებულ შეფასებას აძლევს აჯანყების დამარცხების მიზეზებსაც: „...სვანეთის შეიარაღებული აჯანყება ვერ ასცდა იმ საერთო ნაკლს, რომლითაც იმ დროის გლეხთა შეიარაღებული გამოსვლების მეტი ნაწილი ხასიათდებოდა: სტიქიურობა, არაორგანიზებულობა, პოლიტიკური გაუთვითცნობიერებლობა, მცირე მასშტაბი და მუშათა კლასის ხელმძღვანელობის უქონლობა“[3].

---

1 Н. И. Туроверова, Цаника, Закгиз., 1931.

2 Б. Ковалевский, Страна снегов и башен, М., 1930, стр. 101.

3 ა. კოპლავაშვილი, გლეხთა შეიარაღებული აჯანყება სვანეთში 1875-1876 წწ., ჟურნ. საქ. სსრ შსკ საარქივო სამმართველოს ისტორიო მოამბე, თბილისი, 1945, გვ. 130.

მიუხედავად იმისა, რომ სვანეთის გლეხთა აჯანყება მარცხით და მძიმე შედეგებით დამთავრდა, — აღნიშნავს ა. კოჭლავაშვილი, — მას დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და სოციალური ბრძოლის შემდგომი განვითარებისათვის.

სვანეთის გლეხთა შეიარაღებული აჯანყება შეისწავლა ვ. ონიანმა, რომელმაც ამ საკითხზე თავი მოუყარა ზოგიერთ უცნობ საარქივო დოკუმენტს და საყურადღებო დასკვნებიც წარმოადგინა[1].

სვანეთის გლეხთა გამოსვლას სპეციალური ნარკვევი მიუძღვნა გ. გულბანმა, რომელმაც საარქივო მასალისა და ლიტერატურის მომარჯვებით აჯანყების მიზეზები, მსვლელობა და შედეგები განიხილა[2].

სვანეთის რუსეთთან შეერთებას და გლეხთა აჯანყებას გარკვეული ადგილი დაუთმო ა. ჩარკვიანმა, რომელმაც რიგი საარქივო დოკუმენტისა და არსებული ლიტერატურის საფუძველზე მოცემულ საკითხებზე სწორი დასკვნები გააკეთა[3]. მისი შეფასებით, სვანეთის გლეხთა მოძრაობაში ორი ეტაპი გამოიყოფა: პირველი ეტაპი მოიცავს 1875 წლის მაისიდან— ციტოვიჩის ექსპედიციის სვანეთში წასვლის პერიოდს; მეორე — 1876 წლის ივლის-აგვისტოს, როდესაც შეიარაღებული აჯანყება ხალდეს ტრაგედიით დამთავრდა.

სვანეთის აჯანყება აისახა მხატვრულ ლიტერატურაშიც: ა. გელოვანის „სვანეთის თეთრი ქუდი“ (თბილისი, 1976 წ.) და თ. მაღლაფერიძის რომანში „გაულ გავხე“ (თბილისი, 1976 წ.).

ჩვენთვის საინტერესო საკითხები სხვა ავტორთა მონოგრაფიებში, გამოკვლევებსა თუ ნაწარმოებებშიცაა მოხსენიებული. ამის მიუხედავად, სვანეთის გლეხთა 1875-1876 წლების აჯანყება, ისევე როგორც სვანეთის რუსეთთან შეერთება, კვლავაც შეუნელებელ ინტერესსა და მონოგრაფიულად გამოკვლევას მოითხოვს.

---

[1] იხ. ვ. ონიანის საკანდიდატო დისერტაცია — თავისუფალი სვანეთის გლეხთა აჯანყება 1875-1876 წწ. (ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა, 1941 წ.).

[2] გ. გულბანი, ეს იყო მთაში, თბილისი, 1966.

[3] ა. ჩარკვიანი, სვანეთი, თბილისი, 1967.

*

* *

შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიის გაშუქების ცდა რევოლუციამდელი და საბჭოთა ხანის არაერთი ავტორის ნაშრომშია მოცემული. იმჟამინდელი სვანეთის სოციალური ურთიერთობის საკითხებს სხვადასხვა დროისა და მრწამსის ავტორები ერთმანეთისაგან განსხვავებული მეთოდოლოგიური პოზიციიდან განიხილავდნენ და, ბუნებრივია, სხვადასხვანაირად აშუქებდნენ. ერთმანეთის საპირისპირო თვალსაზრისთა ხანგრძლივ ჭიდილში მკაფიოდ გამოიკვეთა და ჩამოყალიბდა შუა საუკუნეების სვანეთის ე. წ. „პირველყოფილურობის" თეორია, რომელიც სათავეს XIX საუკუნის რუსეთის ოფიციალური (თავადაზნაურული და ბურჟუაზიული) ისტორიოგრაფიიდან იღებს და შემდგომ ტენდენციურ დასაბუთებას არაერთ ეთნოგრაფიულ გამოკვლევაში პოულობს. ამ თეორიას თავიდანვე დაუპირისპირდა მეცნიერული თვალსაზრისი, რომლისთვისაც უცხოა შუა საუკუნეების სვანეთის ცხოვრების ხელოვნური გაშუქება, მისი სპეციფიკის გაზვიადება და საქართველოს ამ კუთხეში ფეოდალური ურთიერთობის ჩამოყალიბების ფაქტის უგულებელყოფა. ხსენებულმა თვალსაზრისმა დასაბუთება და გარკვეული აღიარება პოვა უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაში.

ამავე დროს, ფეოდალური ხანის სვანეთის ე. წ. „პირველყოფილურობის" და „გვაროვნულობის" თეორიის გავლენამ თავი იჩინა ზოგიერთი თანამედროვე ავტორის ისტორიულ გამოკვლევაში. ასეთია, მაგალითად, მკვლევარ მ. დუმბაძის ნაშრომი — „დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში", სადაც აღებული ხანის საქართველოს ისტორიის გაშუქებისას ფეოდალური ხანის სვანეთი არსებითად არ არის განხილული და, ამის მიუხედავად მოცემულია ფეოდალური ხანის სვანეთის ისტორიული პროცესის შეფასების ცდა სვანთა „პირველყოფილურობისა" და „გვაროვნულობის" თეორიის თვალსაზრისით. ამ ნაშრომში სვანეთი რამდენიმე ადგილას არის მოხსენიებული. აი ეს ადგილებიც: „სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით უაღრესად სპეციფიკუ-

რი მოვლენა იყო თავისუფალი სვანეთი. იგი წარმოადგენდა გვაროვნულ-თემური წყობილებისა და სამხედრო დემოკრატიის სერიოზული გადანაშთების შემცველ პოლიტიკურ ერთეულს" (იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 188). შემდეგ: „საქართველოს ცენტრალურ რაიონებთან სუსტად დაკავშირებულს, შედარებით ჩამორჩენილი სოციალურ-ეკონომიკური წყობილებისა და სულ რაღაც 51 სოფლის შემცველ პოლიტიკურ ერთეულს — სვანეთის სამთავროს არც შეეძლო ეთამაშნა რაიმე სერიოზული როლი მე-19 ს. დამდეგის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში" (გვ. 252).

ციტა ქვემოთ: „საქართველოს მთიანეთმა, საერთოდ, დიდხანს შემოინახა ძველი გვაროვნულ-თემური წყობილებისა და წარმართული სარწმუნოების ნაშთები. ამ მხრივ, მთიანეთის სხვა რაიონებთან შედარებით, სვანეთის მდგომარეობა კიდევ უფრო სპეციფიკური იყო. კავკასიონის მთის კალთებში მომწყვდეულ სვანეთს ჩრდილო-დასავლეთიდან ოსმალეთის გავლენის ქვეშ დიდი ხნის განმავლობაში ნამყოფი და გამაჰმადიანებული რაიონები ეკრა (ყაბარდო, ყარაჩაი, ნაწილობრივ აფხაზეთიც). შესუსტებულ ქრისტიანულ სარწმუნოებასა და წარმართობის ძლიერ გადმონაშთებს იქ ისლამის გავლენაც დაემატა. მაჰმადიანური წეს-ჩვეულებები გზას იკაფავდა დადიშქელიანთა სამთავრო სახლშიაც. სხვადასხვა სარწმუნოებრივ კულტურათა ასეთი აღრევა სვანეთში საფუძველს აძლევდა ზოგიერთ დამკვირვებელს ეთქვა, რომ იქ ქრისტიანული რელიგია დაკარგული იყო" (გვ. 253).

ავტორს ნაშრომში მოტანილი აქვს შემდეგი განცხადებანი: „მაშინ მიყრუებული სვანეთი..." (გვ. 405), „სვანეთის კულტურული ჩამორჩენილობა...", „იქ არსებული ძველისძველი დახავსებული წესჩვეულებები.... (გვ. 377). მ. დუმბაძის გამოკვლევაში მსგავს კვალიფიკაციებს თან ახლავს სვანეთის ისტორიასთან დაკავშირებული ფაქტების დამახინჯებანი. ამ მხრივ ნიშანდობლივია დადიშქელიანთა საგვარეულოს გამოცხადება სვანეთის ერთადერთ სათავადო სახლად (გვ. 73), გელოვანებისა და გარდაფხაძეების სათავადო სახლების სამეგრელოში მოქცევა (გვ. 76) და სხვ.

ეს არის და ეს! ხსენებულ წიგნში სვანეთზე არსებითი სხვა

არაფერია ნათქვამი. ვფიქრობთ, ზემოაღნიშნული კომენტარს არ საჭიროებს. ისტორიის ასეთი გამუქება ყოვლად მიუღებელია.

როგორც ცნობილია, სვანთა „პირველყოფილურობისა“ და „გვაროვნულობის“ თეორიას მისი ყველაზე თავგამოდებით დამცველი სწავლული ეთნოგრაფებიც განუდგნენ. ეს თეორია თავის დროზე დაუნდობლად გააკრიტიკა აკად. ნ. ბერძენიშვილმა. დღესაც მოწოდებად ჟღერს აწ განსვენებული დიდი მეცნიერის ნაშრომში — „სვანეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი“ (1964 წ.) ჩამოყალიბებული მოსაზრება, რომ „დღეს საჭიროა მეთოდოლოგიურად სწორი დიდი კრიტიკული მუშაობის შესრულება: პირველწყაროთა, ძველისა თუ ნაგვიანევის, მონაცემებისა და მეცნიერთა მონაპოვრების ყოველმხრივი კრიტიკის ცეცხლში გატარება და აგრე გამობრძმედილი მასალის ურთიერთისადმი შეწყობა-შეთანხმება.

თუ ეს არა, მეტისმეტად დიდია და თვალსაჩინო ის შეუთანხმებლობა, რომელიც საფუძვლიანი ეჭვის ქვეშ აყენებს ჩვენი ცოდნის სისწორეს სვანეთის ცხოვრების რიგი არსებითი მხარის შესახებ.

ერთი მხრივ სვანეთის სამეურნეო და სულიერი კულტურის ნაშთები, როგორიცაა მსოფლიოში ხმაგანთქმული „მითი“ სვანეთის („კოლხეთის“) სიმდიდრის შესახებ, მის სამეურნეო-მეტალურგიულ მიღწევათა შესახებ და ამის დამადასტურებელი არქეოლოგიური მონაპოვრები, მაღალი ხელოვნებით შემუშავებული სასოფლო-სამეურნეო წესები (მიწათმოქმედება და მესაქონლეობა), ხით-ხუროობის განსაცვიფრებელი ნიმუშები, ქვით-ხუროობის საერო და საკულტო ნაგებობათა მაღალგანვითარებულობა, სამეურნეო და საომარი იარაღის ჭედლობა და სამკაულთა ოქრომჭედლობა, უაღრესად განვითარებული ფერწერა, ხოლო მეორეს მხრივ, ჩვენი ვითომცდა ცნობა-ცოდნანი სვანთა სამეურნეო კარჩაკეტილობისა და კულტურული ჩამორჩენილობის შესახებ, სვანეთის „პირველყოფილობის“ შესახებ“[1].

[1] ნ. ბერძენიშვილი, სვანეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი (ისტორიულ-გეოგრაფიული სამეცნიერო ექსპედიციის შედეგებიდან), პირველად დაიბეჭდა გაზ. „მებრძოლში“ (ზუგდიდი), 1964, № 155, იხ. საქართველოს ისტორიის საკითხები, V, თბილისი, 1971, გვ. 67.

თანამედროვე მკითხველი საზოგადოება შეუნელებელ ინტერესს იჩენს ჩვენს ქვეყანაში ახლახან გამოქვეყნებული ბრწყინვალე ისტორიოგრაფიული გამოკვლევებისადმი, გამოჩენილი სწავლული ისტორიკოსების ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი ისეთი კაპიტალური ნაშრომებისადმი, როგორიცაა, მაგალითად, აკად. მ. ვ. ნეჩკინას „ვასილ ოსიპის ძე კლიუჩევსკი“ (მოსკოვი, 1974, რუსულ ენაზე), რომელიც მკითხველს ხიბლავს, პირველ რიგში, ვ. კლიუჩევსკის შემოქმედების უზადო ანალიზითა და ზუსტი შეფასებით.

ისტორიოგრაფიული კვლევის მოცემულ სფეროში ბევრი რამაა გასაკეთებელი ქართულ საისტორიო მეცნიერებაში. მით უფრო მისასალმებელია მ. დუმბაძის ნარკვევი — „ნიკო ბერძენიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“ (მეორე გამოცემა, თბილისი, 1978), თუმცა, ავტორის აღიარებით, გამოჩენილი მეცნიერის „შემოქმედების ყოველმხრივი და უფრო საფუძვლიანი შესწავლა მომავლის საქმეა“ (გვ. 4). ყველაზე დასანანი კი ისაა, რომ ხსენებული ნარკვევის ბოლო პარაგრაფში — „ნაშრომები ნ. ბერძენიშვილის არქივიდან“ — ცალმხრივადაა შეფასებული მეცნიერის „სვანეთის ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურები“ (სადაც XII—XIII საუკუნეების სვანეთის საზოგადოება შეფასებულია როგორც „სამხედრო დემოკრატიიდან ადრეფეოდალურ ურთიერთობაში გარდამავალი საზოგადოება“). მ. დუმბაძის ნარკვევში სრულებით არაფერია ნათქვამი იმ ფაქტზე, რომ ნ. ბერძენიშვილმა 1964 წელს, „სვანეთის ექსპედიციის დღიურების“ დაწერის შემდეგ, იმავე ექსპედიციის შედეგების შემაჯამებელი ნაშრომი — „სვანეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი“ — ჯერ კიდევ 1964 წელს გამოაქვეყნა (ხოლო შემდეგ 1971 წელს ეს ნაშრომი განსვენებული მეცნიერის თხზულებათა მეხუთე ტომში შევიდა)[1].

---

[1] ნ. ბერძენიშვილის ხსენებული ნაშრომიდან ზემოთ ჩვენ მიერ მოტანილი დებულებები ცხადყოფენ, რომ მისმა ავტორმა შუა საუკუნეების ხანის სვანეთზე არაერთი წინამორბედი მკვლევარის მიერ შემუშავებულ შეხედულებასთან ერთად, გადასინჯა „სვანეთის ექსპედიციის დღიურებში“ გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება და სვანთა „კვაროვნულობისა“ და „კარჩაკეტილობის“ თეორია გააკრიტიკა. საჭირო იყო აკად. ნ. ბერძენიშვილის ტომეულების VIII ტომში (სადაც სვანეთის ექსპედიციის დღიუ-

ასეთი მიდგომით, ერთი შეხედვით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ნ. ბერძენიშვილის მიერ ექსპედიციის დღიურებში შედგენილ დღიურებში წარმოდგენილი ჩანაწერები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიის გაშუქების ამოსავალი უნდა გახდეს. ხოლო ექსპედიციის დამთავრების შემდეგ მის მიერვე დაწერილი შემაჯამებელი ნაშრომი (მოხსენება) სრულებით არაა ანგარიშგასაწევი. როგორც ჩანს, მ. დუმბაძეს ნ. ბერძენიშვილის „დღიურებში" შუა საუკუნეების სვანეთზე გამოთქმული ადრინდელი ან წინასწარული მოსაზრება ზედმიწევნით საგულისხმოდ ეჩვენება, ხოლო იმავე ექსპედიციის შედეგების შემაჯამებელ ნაშრომში ნ. ბერძენიშვილის მიერ ნათლად ჩამოყალიბებული შეხედულებების მოხსენიებაც კი ზედმეტად მიაჩნია. არანაკლებ დამაფიქრებელია ის ფაქტიც, რომ ნ. ბერძენიშვილის „დღიურებში" XII—XIII საუკუნეების სვანეთის სოციალურ ურთიერთობაზე გამოთქმული შეხედულება მ. დუმბაძემ ხელოვნურად მიუსადაგა თავის წიგნში — „დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში", ამავე ხანის სვანეთზე გამოთქმულ მოსაზრებას, რომელიც სათანადო კვლევა-ძიების გარეშეა წარმოდგენილი. ასეთი გზით მ. დუმბაძემ ფაქტიურად გააიგივა, ერთი მხრივ, XII—XIII საუკუნეების, ხოლო, მეორე მხრივ, XIX საუკუნის I ნახევრის სვანეთის ეითარება, რასაც ისტორიზმის პრინციპის უგულებელყოფამდე მივყავართ. ნ. ბერძენიშვილის „დღიურებისადმი" ასეთი მიდგომით მ. დუმბაძე აცხადებს, რომ „ძველი საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიური წყობილების საკითხები ჩვენს ისტორიოგრაფიაში სათანადოდ შესწავლილი არაა, ხოლო, კერძოდ, სვანეთის შესახებ ზოგიერთ გამოკვლევაში სერიოზულ შეცდომებს ვხვდებით" (იხ. დასახ., ნარკვევი, გვ. 116). აქ უთუოდ ის გამოკვლევები ჩანან ნიშანში ამოღებული, სადაც სვანეთზე მ. დუმბაძის ხსენებულ ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები გაბათილებულია და შესაფერის სანდო წერილობით წყაროებზე დაყრდნობით დასაბუთებულია, რომ სვანეთი ფეოდალური საქართველოს ორგანული ნაწილი და

---

რები შევიდა) მიეთითებინათ, რომ ამ ექსპედიციის მუშაობის შემაჯამებელი მოხსენება „სვანეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი" (რომელიც მეცნიერის სიცოცხლეში დაისტამბა) V ტომშია შეტანილი.

მისი მაღალმთიანი კუთხე, არ იყო კარჩაკეტილი, პირველყოფილური და გვაროვნული, რომ იმ დროის სვანეთისათვისაც (როგორც ეს არაერთ საისტორიო წერილობით წყაროშია აღბეჭდილი) დამახასიათებელი იყო ფეოდალური ურთიერთობის ისეთი (რასაკვირველია, კუთხის მასშტაბის შესაბამისი) ინსტიტუტები, როგორიცაა: მიწის სამამულო-სამემკვიდრეო საკუთრება, საზოგადოების ფეოდალურ-წოდებრივი დაყოფა, ვალდებულებითი დამოკიდებულება და სხვ.

უახლეს გამოკვლევებში დადგენილია, რომ შუა საუკუნეების სვანეთში კერძო საკუთრება ბატონობდა არა მარტო სახნავ-სათეს მიწაზე, არამედ სათიბზე და ტყეზე, რომ მიწა, როგორც სამამულო საკუთრება, ყიდვა-გაყიდვის, გამზითვების, გაჩუქების, წყალობის, შეწირულობის საგანს წარმოადგენდა. ნიშანდობლივია ისიც, რომ შუა საუკუნეების სვანეთის სოფელში გვაროვნული განსახლება გამქრალი იყო, ის უკვე მრავალგვარობრივი შერევის ნიმუშს წარმოადგენდა (თითოეულ პატარა სოფელშიც კი 2—3 სხვადასხვა გვარშვილი ცხოვრობდა, გვარი, როგორც წესი, ინდივიდუალურმცირე ოჯახებად იყოფოდა).

შუა საუკუნეების სვანეთის სოციალური განვითარების დონის განსაზღვრისას ანგარიშგასაწევია ეკლესია-მონასტერთა საოცარი სიმრავლე, მათი მდიდრული გაფორმება, იქ დაცული ჯვარ-ხატებისა და რელიგიური წიგნების სიმრავლე, ადგილზე მოღვაწე სვან მწიგნობართა მრავალრიცხოვნება, საქართველოს სასულიერო ცენტრებში, აგრეთვე უცხოეთში არსებულ ქართულ კოლონიებში სვან მწიგნობართა მოღვაწეობა, სვანური ხელოსნური და მხატვრული სკოლის მნიშვნელოვანი მიღწევები.

ყურადსაღებია სვანეთში ქრისტიანული რწმენის სიმტკიცე და გავრცელებულობა, რაც არა მარტო ეკლესია-მონასტრებისა და მათი სიმდიდრის დაცვაში გამოიხატებოდა, არამედ „წმინდა“ ქრისტიანული რიტუალების შესრულებაშიც ვლინდებოდა. ყველაფერი ეს ფეოდალური იდეოლოგიის — ქრისტიანობის ბატონობის მახასიათებელია.

სვანეთის განვითარების დონის განსაზღვრისას უმნიშვნელო როდია ფეოდალურ-წოდებრივი დაყოფისა და დამოკიდე-

ბულებითი ვალდებულების, აგრეთვე საზოგადოებრივი ურთიერთობის რიგი ნორმების წერილობითი (კანონიკური) გაფორმება, სვანეთში საერთო-ქართული ფეოდალური სამართლის ნორმების მოქმედება. ბევრისმეტყველია „დასავლეთ საქართველოს ბარის მოსახლეობის დიდი ნაწილის“ სვანურობა, „აზნაურების და მთავრების (თავადების) დიდი რაოდენობით სვანურობა“, აგრეთვე სვანთა ერისთავებისა და მათი წარმომადგენლების დიდი ადგილი და ძალაუფლება საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს სამეფო კარზე.

ასეთია ზოგადად ჩვენი საკვლევი საკითხების ისტორიოგრაფია.

წინამდებარე ნარკვევი მიზნად ისახავს, ჩვენი ისტორიოგრაფიის მიღწევების გათვალისწინებითა და ისტორიული საბუთების, მათ შორის პირველადი საარქივო წყაროების მონაცემების ანალიზის საფუძველზე გააშუქოს სვანეთის რუსეთთან შეერთება, მისი შედეგები, 1875—1876 წლების სვანეთის აჯანყება, კუთხის სოციალური სტრუქტურის განსაზღვრასთან დაკავშირებული სადავო საკითხები.

ნარკვევის „დამატებაში“ განხილულია შუა საუკუნეების (XI—XVIII სს.) სვანეთის საზოგადოების სოციალური სტრუქტურა, წარმოდგენილია „ვარგის“, როგორც აზნაურის სოციალური კატეგორიის, დახასიათება. ნაჩვენებია ე. წ. „გვაროვნული თეორიის“ მიმდევართა მიერ შუა საუკუნეების ისტორიული წყაროების მონაცემების სრული უგულებელყოფა და სუბიექტივისტური ინტერპრეტაცია (ზოგჯერაც საბუთის მონაცემის აშკარა დამახინჯება), გამოკვლეულია „ვარგის“ სოციალური კატეგორიის რაობა.

ნაშრომში გათვალისწინებულია თანამედროვე საბჭოური ისტორიოგრაფიის მიღწევები. ამასთანავე ის შესრულებულია ადრე ცნობილი და დღემდე უცნობი პირველადი საარქივო წყაროების, ასევე XIX საუკუნის პერიოდული პრესისა და სხვა წყაროების მონაცემების ანალიზის საფუძველზე. საამისო მასალებს მივაკვლიეთ საბჭოთა კავშირის სამხედრო-ისტორიულ არქივში (მოსკოვი), საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ისტორიულ არქივში (ლენინგრადი), საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში (თბილისი).

ამ წყაროების მონაცემებზე დაყრდნობით შევეცადეთ, რამდენადაც შეიძლებოდა, სრულად გადმოგვეცა სვანეთის რუსეთთან შეერთებისა და სვანეთის გლეხთა აჯანყების მსვლელობა და შედეგები, სწორი მეთოდოლოგიური პოზიციიდან შეგვეფასებინა სვანეთის რუსეთთან შეერთების პროგრესული მნიშვნელობა, გაგვესაზღვრა სვანეთის გლეხთა 1875—1876 წლების აჯანყების ადგილი XIX საუკუნის საქართველოში გაშლილ სოციალურ-ეკონომიკურ და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

## თ ა ვ ი  პ ი რ ვ ე ლ ი

# სვანეთის მოსახლეობა და მეურნეობა XIX საუკუნის 30—70-იან წლებში

**გეოგრაფიული მდებარეობა.** XIX საუკუნის სვანეთს, ადრინდელთან შედარებით, მცირე ტერიტორია ეკავა. იგი დაახლოებით თანამედროვე სვანეთის ფარგლებში იყო მოქცეული[1].

სვანეთი კავკასიის მთავარი ქედის ცენტრალური ნაწილის სამხრეთ კალთებზე, დასავლეთ საქართველოს ჩრდილოეთში — რაჭიდან აფხაზეთამდეა გადაჭიმული. სვანეთს სამხრეთიდან რაჭა, ლეჩხუმი და სამეგრელო ესაზღვრება.

სვანეთი მდინარე ენგურისა და ცხენისწყლის ზემო წელის ხეობებში მდებარეობს. მას სვანეთის დიდი ქედი ორ ნაწილად, ანუ ე. წ. ზემო და ქვემო სვანეთად ყოფს.

სვანეთის ტერიტორია 4841 კვ კილომეტრს, ანუ საქართველოს ფართობის 6,9%-ს შეადგენს, ცალკე ზემო სვანეთის (ენგურის ხეობა) — 3320-ს, ხოლო ქვემო სვანეთის (ცხენისწყლის ხეობა) 1521 კვ კილომეტრს უდრის[2].

[1] სვანეთის საზღვრებმა 30-იან წლებშიც ერთგვარი ცვლილება განიცადა. ბეფის მთავრობის კომისიამ (შახოვსკის მეთაურობით) სვანეთის ჩრდ. კავკასიაში (ქედს იქით) სხვადასხვა ხეობაში მდებარე ტერიტორია ჩამოართვა — მისი საზღვარი კავკასიის მთავარი ქედით შემოიფარგლა. სვანეთს სამეგრელოს მხრიდანაც გარკვეული ფართობის ტყეები და საძოვრები ჩამოაკრეს (იხ. ე. გ ა ბ ლ ი ა ნ ი, თავისუფალი სვანეთი, თბილისი, 1927, გვ. 49).

სამაგიეროდ, ზემო სვანეთში XIX საუკუნეში აღიგა ოდესღაც განადგურებული დასახლების ნაწილი (ჭუბერში, ნაკრაში და სხვაგან), აგრეთვე დალში (კოდორის ხეობა), რომელსაც სვანეთ-აფხაზეთი ეწოდება.

[2] „მაღალმთიანი რაიონების ეკონომიურ-გეოგრაფიული ნარკვევი", კრებული, თბილისი, 1970, გვ. 25.

სვანეთის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ტყეებს, საძოვრებსა და კლდეებს უკავია, სახნავად კი შედარებით მცირე ადგილი გამოიყენება. ზემო სვანეთის მთელი ფართობის 41% ტყითაა დაფარული.

XIX საუკუნეში ზემო სვანეთის აღმოსავლეთ ნაწილს — ატკვერის ქედიდან ბალის ქედამდე — „ბალსზემო სვანეთი" (სვანურად „ჟაბე ხევ-ჟიბე ხევარ"), ანუ „თავისუფალი სვანეთი" ეწოდა[1]. ბალის ქედის დასავლეთით კი „სადადიშქელიანო სვანეთი", ანუ სვანეთის სამთავრო მდებარეობდა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში დადიანებმა თავისი ძალაუფლება გაავრცელეს ქვემო სვანეთის დასავლეთ ნაწილში (ლენტეხის თემში), რის შედეგად მას „სადადიანო სვანეთსაც" უწოდებენ.

სვანეთის უდიდესი ნაწილი ზღვის დონიდან 800 მეტრზე მაღლა მდებარეობს.

**მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა.** XIX საუკუნის პირველი ნახევრის სვანეთის მოსახლეობის ზუსტი მაჩვენებლები არ მოგვეპოვება.

ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი ცნობით (1830 წ.), სვანეთის მოსახლეობა 23000 სულს შეადგენდა, აქედან 9000 სადადიშქელიანო სამთავროში, 8000 ბალსზემო სვანეთში, ხოლო 6000 ქვემო სვანეთში ცხოვრობდა[2].

---

[1] თავისებური ვითარების გამო, რაც საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაყოფისა და სვანეთის ცალკეულ ნაწილებად დაშლის შემდეგ (XVII—XVIII სს.) ზემო სვანეთის აღმოსავლეთ თემებში შეიქმნა, მას „თავისუფალი სვანეთი" («Вольная Сванетия») ეწოდა (ეს სახელწოდება სვანურად არ არსებობს). ეს სახელწოდება მეფის მოხელეებმა და ოფიციალურმა ისტორიკოსებმა XIX საუკუნის პირველ ნახევარში შემოიღეს და დაამკვიდრეს. მოცემული რეგიონი „თავისუფალ სვანეთად" იმიტომ მონათლეს, რომ ის არც რომელიმე სამეფო-სამთავროში შედიოდა და არც რომელიმე თავადის საგამგებლოს შეადგენდა.

ისიც უდავოა, რომ ბალსზემო სვანეთის ზოგიერთი თემის ცხოვრებაში XIX საუკუნისათვის ერთგვარი ცვლილებები მოხდა — აზნაურთა ძალაუფლება შეირყა და დასუსტდა, გლეხობამ კი გარკვეული თავისუფლება მოიპოვა. სწორედ ასეთ ვითარებაში სვანეთი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა (იხ. ჩვენი ნაშრომი — დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბილისი, 1973, თავი VI).

[2] ЦГВИАМ, ф. ВУА, ед. хр. 18505. л. 11.

გრაფ პასკევიჩის მიერ 1831 წლის 7 იანვარს გრაფ ჩერნიშოვისადმი გაგზავნილ მიმართვაში (რომელიც იმერეთის მმართველ გენერალ გესეს ცნობებს ემყარებოდა) ნათქვამია, რომ სვანეთის მოსახლეობა 4 ათას კომლს აღემატება და სვანეთს 9 ათასი ჯარისკაცის გამოყვანა შეეძლო[1].

1833 წლის ერთი ცნობით, ე. წ. „თავისუფალ სვანეთში" სულ 2000 კომლი, ანუ 14000 სული ცხოვრობდა, ციოყის სამფლობელოში (ჩუბეხევში, რომელიც 30 სოფელს მოიცავდა) 500 კომლი, ანუ 4000 სული, ხოლო თათარყანის სამფლობელოში (ეცერ-ცხუმარ-ლეჩყან-ბეჩოში 21 სოფელი) 450 კომლი, ანუ 5200 სული (ამ ცნობარის შემდგენის შენიშვნით, 1834 წელს ზემო სვანეთის მოსახლეობა უკვე ნაკლები იყო)[2]. როგორც ვხედავთ, ამ მონაცემებით მხოლოდ ზემო სვანეთში 23000 სული ცხოვრობდა.

1833 წლის 15 ივნისს როზენი ფინანსთა მინისტრს გრაფ ე. კანკრინს წერდა, რომ დადიშქელიანი ციოყის სამფლობელოში 4 ათასი სული ცხოვრობდა, თათარყანის — 5 ათასი, ხოლო „თავისუფალ სვანეთში" — 8 ათასი სული[3].

სხვა მონაცემებით, იმავე 1833 წელს ბალსზემო სვანეთის მოსახლეობა 1000 კომლს, ხოლო დადიშქელიანთა სამფლობელოსი — 346 კომლს უდრიდა[4]. მოსახლეობის ეს რაოდენობა თემებისდა მიხედვით ასე ნაწილდებოდა: ჩუბეხევში 134 კომლი, ეცერში — 84, ცხუმარში — 62, ბეჩოში — 66, ლატალში — 150, ლენჯერში — 150, მესტიაში — 100, მულახში — 200, მუჟალში — 100, იფარში — 130, კალაში — 60, უშგულში — 90 და ა. შ.

კავკასიის ადმინისტრაციის 1839 წლის დებულების პროექტის მიხედვით, სვანეთში სულ 12 ათასი მამრობითი სული ცხოვრობდა[5]. თუ გავითვალისწინებთ, რომ მამრობითი სქესი მდედრობითს 10—15%-ით სჭარბობდა, გამოვა, რომ მთელი სვანეთის მოსახლეობა 22—23 ათას სულს უდრიდა.

---

1 АКАК, т. VII, стр. 404.
2 ЦГВИАМ, ф. 482, ед. хр. 193, лл. 5—7.
3 ЦГИАЛ, ф. 561, д. 141, лл. 15—16.
4 ЦГВИА, ф. ВУА, ед. хр. 19247, л. 7.
5 ЦГИАЛ, ф. 561, д. 141, лл. 15—16.

მცირე გამონაკლისის გარდა, სვანეთის მოსახლეობის რაოდენობის მაჩვენებელი ცნობები გაზვიადებული და მცდარი უნდა იყოს. ასეთი დასკვნის საფუძველს ერთი და იმავე წლის სხვადასხვა წყაროს წინააღმდეგობრივი მონაცემების შეპირისპირება იძლევა.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ზემოთ მოტანილი დემოგრაფიული ცნობები მოსახლეობის აღწერის ჩატარების საფუძველზე კი არ იყო შედგენილი, არამედ ზერელე დაკვირვების შედეგს წარმოადგენდა.

თუ ჩვენთვის საინტერესო ყველა მონაცემს შევაჯერებთ და მომდევნო ხანის ცნობებს შევადარებთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ XIX საუკუნის 30-იან წლებში სვანეთის მოსახლეობა 16 ათას სულს არ აღემატებოდა. რაც შეეხება XIX საუკუნის დასაწყისს, საგულისხმოა, რომ იმ დროს სვანეთის მოსახლეობა შედარებით მეტი უნდა ყოფილიყო, ვიდრე 30-იან წლებში. ეს შემდეგი გარემოებით აიხსნება. როგორც ცნობილია, 1811—1812 წლებში დასავლეთ საქართველოში ინფექციური დაავადებანი (ქოლერა და სხვ.) მძვინვარებდა. ჩანს, ეს ავადმყოფობა სვანეთსაც მოედო და მრავალი ადამიანი იმსხვერპლა. მაგალითად, ბარტოლომეის გადმოცემით, აღნიშნულ ინფექციურ დაავადებას ელის საზოგადოების სამი სოფლიდან ორი სოფლის მოსახლეობა ამოუწყვეტია (ნასოფლარები დღესაც ჩანს)[1].

მსგავსი ვითარება ყოფილა სვანეთის სხვა საზოგადოებებშიც, სადაც ასევე მრავალი ოჯახი ამოწყვეტილა და რამდენიმე სოფელი განადგურებულა[2].

სვანეთის მოსახლეობაზე შედარებით სწორ ცნობებს გვაწვდიან ლობანოვ-როსტოვსკი, ბარტოლომეი, ე. ბერჟე და სხვ.

ლობანოვ-როსტოვსკის გადმოცემით, XIX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში დადიშქელიანთა სამფლობელოში 516, ხოლო „თავისუფალ სვანეთში" 683 კომლი ცხოვრობდა[3]. მისივე ცნობით, კომლი საშუალოდ 6 სულისაგან შედგე-

---

[1] Поездка в Вольную Сванетию полковника Бартоломея в 1853 году, стр. 34.

[2] Газ. «Кавказ», 1852, № 15—16.

[3] იქვე.

ბოდა. თუ ამ მონაცემებს შეეჯამებთ, გამოვა, რომ ზემო სვანეთში სულ 7200-მდე ადამიანი ცხოვრობდა. ამ შემთხვევაში კომლთა საერთო რაოდენობა გადაჭარბებული (სულ 1199) ჩანს, სამაგიეროდ კომლის სულადობრივი რაოდენობა შემცირებული (6 სული), ხოლო მოსახლეობის რაოდენობა მიახლოებით სწორად უნდა იყოს ნაჩვენები.

გ. ბერჟეს მონაცემებით „თავისუფალ სვანეთ'ში" 683 კომლი ცხოვრობდა, ბარტოლომეის მონაცემებით — 777.

დ. ბაქრაძის გადმოცემით, სვანეთის საბოქაულოში (ზემო სვანეთში) XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში სულ 1000-მდე კომლი ითვლებოდა (აქედან 539 კომლი ბალსზემო სვანეთში). ოღონდ, მისი დაკვირვებით, კომლის საშუალო რაოდენობა 7,5 სულს შეადგენდა. ამ მონაცემებით, ზემო სვანეთის მცხოვრებთა რაოდენობა 7500 სული გამოდის.

ზემო სვანეთის მოსახლეობის რაოდენობაზე განსხვავებულ ცნობას გვაწვდის ე. კოვალევსკი, რომლის მიხედვით XIX საუკუნის 60-იან წლებში „სადადიშქელიანო სვანეთში" 330 კომლი (ჩუბეხევში — 59, ფარში — 94, ეცერში — 83, ცხუმარში — 38 და ბეჩოში — 56) ცხოვრობდა. ბალსზემო სვანეთში — 549 კომლი (ზუსტად იმდენივე, რამდენიც დ. ბაქრაძის მონაცემებით), ხოლო ქვემო სვანეთში 420 კომლი (ლენტეხში — 120, ჩოლურში — 100, ლაშხეთში — 200), რაც დაახლოებით 3 ათას სულს შეადგენდა[1].

ასეთია რეფორმამდელი სვანეთის მოსახლეობის მიახლოებითი რაოდენობის მაჩვენებლები. შემდგომი ხანის სვანეთის მოსახლეობის რაოდენობის დასადგენად კამერალური აღწერის მონაცემები მოგვეპოვება, რაც მოსახლეობის რიცხვის ზუსტი გაანგარიშების საშუალებას იძლევა.

ვ. ტეპცოვის მონაცემებით, რაც XIX საუკუნის 80-იანი წლების აღწერის მასალებს ემყარება, ზემო სვანეთში ცხოვრობდა 732 კომლი, მათ შორის უშგულში — 73, კალაში — 64, იფარში —128, მულახში —107, მესტიაში —70, ლენჯერში — 70, ლატალში —119, ბეჩოში —84, ეცერში —171, ფარ-

---

1 Евг. Ковалевский, Сванетия, журн. «Вестник Европы», т. III, СПб., 1867.

ში —79, ჩუბეხევში —115 კომლი (რამდენიმე მცირე თემი სულ გამოტოვებულია)[1]. ამ მონაცემებით, ზემო სვანეთში სულ 9 ათასამდე სული ცხოვრობდა.

კამერალური აღწერის მონაცემებით, რეფორმის დროს ქვემო სვანეთში ცხოვრობდა 528 კომლი (აქედან ლენტეხში—164. ჩოლურში —131, ლაშხეთში —233), რაც მთლიანად 4300-მდე სულს შეადგენდა[2].

ამრიგად, XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში მთელი სვანეთი 13 ათას მცხოვრებს ითვლიდა, რაც მიახლოებით სწორი უნდა იყოს.

**მ ე უ რ ნ ე ო ბ ა.** დასავლეთ საქართველოს მთიანეთის[3] ცენტრალური რეგიონი — სვანეთი თავისი ეკონომიკური განვითარებით XIX საუკუნეში ბარის რაიონებს საგრძნობლად ჩამორჩებოდა. ამ გარემოებას სახნავ-სათესი მიწის სიმცირე, შედარებით მკაცრი ბუნებრივ-კლიმატური პირობები, მოუწყობელი სამიმოსვლო საშუალებები, მეურნეობისათვის რელიეფის არახელსაყრელი განლაგებაც აპირობებდა.

ბუნებრივი პირობების გარკვეული განსხვავებულობის მიუხედავად, სვანეთის სხვადასხვა კუთხეში ძირითადად მეურნეობის ერთი და იმავე დარგებს მისდევდნენ, სახელდობრ, მიწათმოქმედებას, მესაქონლეობას, საოჯახო მრეწველობას და სხვ., თუმცა ამა თუ იმ დარგის განვითარებას სხვადასხვა ადგილას მეტ-ნაკლები გასაქანი ეძლეოდა.

სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ წამყვან დარგს მიწათმოქმედება წარმოადგენდა. მემინდვრეობაში პირველ ადგილზე მარცვლეულის წარმოება იდგა. მებაღეობა-მებოსტნეობა შედარებით მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა.

ზემო სვანეთის თემების გლეხურ კომლთა შორის სახნავ-სათესი მიწის ფართობი XIX ს. 70-იან წლებში დაახლოებით ასე იყო დანაწილებული (ცხრილი 1)[3]:

---

[1] В. Я. Тепцов, Сванетия, СМОМПК, вып. X, отд. I, Тифл., 1890, стр. 40.

[2] Документы по истории Грузии..., т. I, стр. 384—387.

[3] В. Я. Тепцов, Сванетия, СМОМПК, вып. X, отд. I, Тифл., 1890, стр. 41.

| თემის დასახელება | გლეხური კომლის რაოდენობა | სახნავ-სათიბი მიწა (ქცევებში) | | თითოეული კომლი ფლობდა (ქცევებში) | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მთლიანად | სახნავი | 1-დან 5-მდე | 5-დან 10-მდე | 20-დან ზევით | 100-ზე მეტი |
| უშგული | 73 | 562 | 298 | 46 | 24 | 1 | 2 |
| კალა | 64 | 391 | 236 | 49 | 11 | 1 | 3 |
| იფარი | 128 | 788 | 506 | 83 | 37 | 4 | 4 |
| მულახი | 107 | 1661 | 520 | 45 | 48 | 8 | 6 |
| მესტია | 70 | 1081 | 335 | 37 | 22 | 7 | 4 |
| ლენჯერი | 70 | 936 | 310 | 53 | 11 | 4 | 2 |
| ლატალი | 119 | 1667 | 696 | 40 | 56 | 18 | 5 |

როგორც 1-ლი ცხრილიდან ჩანს, თითოეული გლეხური კომლის სახნავი მიწა დაახლოებით 1,6—2 დესეტინას უდრიდა.

ვარგისი მიწის სიმცირის გამო, სახნავად გამოიყენებოდა არა მარტო ვაკე და შედარებით ფერდობი ადგილები, არამედ ვიწრო ხეობათა დაქანებული მცირე ფართობებიც, რისი დამუშავება ზოგან მხოლოდ თოხითა და ბარით ხდებოდა.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საგლეხო რეფორმის შემდეგ სვანეთში ვარგისი მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი თავადაზნაურობას დარჩა, ცხადი გახდება გლეხთა მძიმე მდგომარეობა.

სვანეთში ცოტა იყო ისეთი გლეხური კომლი, რომელიც საკმაო სახნავი მიწით უზრუნველყოფილი იქნებოდა. ხშირ შემთხვევაში 6—8 სულისაგან შემდგარი გლეხური კომლი ერთ დესეტინა სახნავ მიწას ფლობდა, თუმცა, სვანეთში საძოვრები და სათიბად ვარგისი მთები დიდ ტერიტორიას მოიცავდა. გლეხი იძულებული იყო თავისი ოჯახის არსებობის შენარჩუნებისათვის შემოსავლის დამატებითი წყაროები ეძია.

მცირემიწიანობა და მეტადრე სახნავი მიწის სიმცირე გლეხობას აიძულებდა ყველაფერი ეღონა მიწათმოქმედების მაღალი კულტურისათვის. სვანეთში დიდი ხნის ისტორია ჰქონდა არა მარტო მიწის დასაკუთრებას, არამედ ინტენსიურ მი-

წათმოქმედებასაც. ეს კუთხე ცნობილია მრავალმინდვრიანი სისტემის არსებობით. მართალია, მცირემიწიანობის პირობებში მიწის დასვენებას ნაკლებად ეწეოდნენ, მაგრამ საშაგიეროდ თესლბრუნვის სისტემას გლეხები საუკეთესოდ იყენებ დაუფლებულნი.

სხვადასხვა კურის მოგზაურები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები და მკვლევარები თითქმის ერთხმად აღნიშნავდნენ XIX საუკუნის სვანეთში სახნავ-სათიბი მიწების მაღალხარისხოვანი დამუშავების ფაქტს. სვანეთში მიწათმოქმედების შედარებით მაღალგანვითარებულობაზე მიუთითებენ მოგზაურები ან მკვლევარები, რომლებიც თვითმპყრობელობის კოლონიზატორული პოლიტიკით ხელმძღვანელობდნენ და ხშირ შემთხვევაში განგებ ამცირებდნენ არარუს ხალხთა კულტურას, მაგალითად, შახოვსკი, ი. ივანიუკოვი, მ. კოვალევსკი, დ. დობროვოლსკი, ვ. ტეპცოვი, ე. კალვეიტი, ფ. სობოლი და სხვ.

შახოვსკის აზრით, სვანებს მიწათმოქმედების დიდი კულტურა ჰქონდათ და ამ მხრივ ყველა მეზობელ მთიელზე მაღლა იდგნენ. მისივე გადმოცემით, სვანეთში მიწათმოქმედების მთავარი კულტურა ხორბალი იყო, რომელსაც გაზაფხულზე და შემოდგომაზე თესავდნენ[1].

ი. ივანიუკოვი და მ. კოვალევსკი წერდნენ: „როდესაც ენგურის მჭიდროდ დასახლებული ხეობით მიდიხარ, ხედავ შემოღობილ და საგულდაგულოდ მოვლილ მიწის მცირე ნაკვეთებს, გგონია, რომ მაღალი კულტურის მქონე ქვეყანაში იმყოფები[2].

თესლბრუნვის გონივრულ გამოყენებასთან ერთად, გლეხი საგულდაგულოდ უვლიდა თავის ყანას, წმენდდა ქვებისაგან, ანოყიერებდა სასუქით, აფხვიერებდა მიწას, ასუფთავებდა სარეველა მცენარეებისაგან და სხვა. ამის შედეგად მცირე მიწაზე შედარებით დიდი მოსავალი მოდიოდა.

სვანეთში მიწათმოქმედების კულტურებიდან მოჰყავდათ: პური, ქერი, ჭვავი, შვრია, ცერცვი, ფეტვი, სიმინდი და სხვა.

---

1 АКАК, т. VIII, стр. 467; газ. «Кавказ», 1846, № 44.

2 Журн. «Вестник Европы», кн. 8-я, 1886, стр. 591—592.

სიმინდი, ლობიო და კარტოფილი სვანეთში XIX საუკუნის მეორე ნახევარში გავრცელდა. ეს კულტურები შედარებით ბარ ადგილებში ხარობდა, ხოლო კარტოფილი ყველგან. ამ კულტურების მოყვანას მაშინ შედარებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა.

ნ. კეცხოველის დაკვირვებით, სვანეთში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა პურეულის კულტურას, აქ 15 სხვადასხვა ჯიშის პური მოჰყავდათ, მათ შორის შავი დიკაც, რომელიც საქართველოს სხვა კუთხეებში იშვიათი იყო, საქართველოს გარეთ თითქმის არსად მოიპოვებოდა[1].

სვანეთის მაღალმთიან სოფლებში ხანგრძლივი ზამთრის გამო ადრე გაზაფხულზე ზოგჯერ საჭირო ხდებოდა თოვლზე მიწის თხელი ფენის მიმობნევა („ლიდსვე"), რათა თოვლის დნობა დაჩქარებულიყო და ხვნა თავის დროზე დაწყებულიყო. ხვნა-თესვა ძირითადად გაზაფხულზე წარმოებდა, მაგრამ პურის ნაწილი („ხულუგ" და სხვ.) შემოდგომაზეც ითესებოდა.

კოლოსალური შრომისა და მიწათმოქმედების მაღალი კულტურის წყალობით სვანეთში კარგი მოსავალი მიიღებოდა (იხ. ცხრილი 2)[2].

აღსანიშნავია, რომ ოფიციალური აღრიცხვის დროს მოსახლეობა ცდილობდა აღმწერთათვის რაც შეიძლება ნაკლები მოსავალი, თუ სხვა ქონება ეჩვენებინა. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ მოსავლიანობა შედარებით მაღალი იყო, ვიდრე ამას ცხრილ 2-ში მოტანილი მონაცემები გვიჩვენებენ. ცხრილში ნაჩვენები ექვსჯერადი მოსავალიც სვანეთის პიროებებისათვის მაღალი მაჩვენებელია (შესაბამის კულტურათა მოსავლიანობა, როგორც ეს იმდროინდელი აღწერებიდან ჩანს, ბარში ნაკლები იყო, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში — მხოლოდ სამჯერადი ან ოთხჯერადი)[3].

არსებული მონაცემების მიხედვით, თითოეულ გლეხურ

---

[1] ნ. კ ე ც ხ ო ვ ე ლ ი, თოვლიან მთებში, თბილისი, 1943, გვ. 86.

[2] В. Я. Т е п ц о в, Сванетия, СМОМПК, вып. X, отд. I, Тиф.л., 1890, стр. 22.

[3] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, V, თბილისი, 1972, გვ. 173.

ცხრილი 2

| თემი | თესლი ფუთობით | | | | | | მოსავალი ფუთობით | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ანეული | ჭვავი | სვანაფხეული | ფერია | ქერი | სიმინდი | ანეული | ჭვავი | სვანაფხეული | ფერია | ქერი | სიმინდი |
| უშგული | 225 | 100 | 5 | 3 | 700 | — | 1500 | 380 | 30 | 20 | 3650 | — |
| ყალა | 200 | 50 | 12 | 3 | 300 | — | 1320 | 150 | 40 | 10 | 2900 | — |
| იფარი | 380 | 40 | 10 | 7 | 700 | — | 3500 | 3 0 | 70 | 30 | 5500 | — |
| მულახი | 400 | 150 | 10 | 6 | 700 | — | 4600 | 180 | 45 | 25 | 5800 | — |
| მესტია | 300 | 70 | 20 | 10 | 300 | — | 2620 | 200 | 70 | 30 | 3000 | — |
| ლენჯერი | 350 | 40 | 6 | 3 | 600 | — | 2900 | 160 | 25 | 15 | 3900 | — |
| ლატალი | 300 | 50 | 20 | 9 | 610 | — | 3000 | 200 | 65 | 35 | 6500 | — |
| ბეჩო | 400 | 50 | 30 | 20 | 700 | — | 3200 | 250 | 90 | 60 | 5600 | — |
| ეცერი | 300 | 600 | 10 | 2 | 400 | — | 2900 | 120 | 40 | 30 | 3500 | — |
| ფარი | 400 | 120 | 42 | 25 | 600 | — | 4800 | 570 | 190 | 110 | 6650 | — |
| ჩუბეხევი | 400 | 80 | 30 | 20 | 500 | 40 | 4600 | 350 | 90 | 60 | 5200 | 460 |

კომლზე მიღებული მოსავალი უდრიდა შემდეგს (იხ. ცხრილი 3)[1]:

ცხრილი 3

| თემი | კომლთა რაოდენობა | სულადობა | მოსავალი ფუთობით | | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| | | | კომლზე | სულზე | |
| უშგული | 75 | 526 | 68,2 | 9,7 | მოსავლის მცირე ნაწილს არყის გამოსახდელად და ღორებისთვისაც იყენებდნენ. |
| ყალა | 64 | 425 | 66,5 | 10 | |
| მესტია | 102 | 860 | 56,5 | 6.7 | |
| ლატალი | 122 | 994 | 78,3 | 9,6 | |
| ჩუბეხევი | 116 | 996 | 89.1 | 10,6 | |

როგორც ვხედავთ, თითოეულ სულზე საშუალოდ 10 ფუთი მარცვლეული მოდიოდა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აქედან მცირე ნაწილს თესლისა და სხვა საჭიროებისათვის ხარჯავდნენ, ცხადია, გლეხურ კომლთა ნაწილს საკუთარი

[1] В. Я. Тепцов, Сванетия, СМОМПК, вып. X, отд. I, стр. 24.

მოსავალი არ ყოფნიდა, რის გამო ისინი იძულებული ხდებოდნენ დანაკლისი მეზობელ კუთხეებში შეძენილი პურეულით შეევსოთ.

სვანეთში მებოსტნეობასაც მისდევდნენ; მოჰყავდათ კომბოსტო, ჭარხალი, ნიორი, ხახვი, მჭლაკვი, ქინძი, პიტნა. ოსრახუში, ბოლოკი და სხვ. მაგრამ მებოსტნეობას საერთოდ შეზღუდული მასშტაბით მისდევდნენ და ბოსტნეულის ნაცვლად სხვა მცენარეულობასაც (ჭინჭარი, ღვალო, მჟაუნა, დიყა) კრეფდნენ. ფართოდ იყო გავრცელებული აგრეთვე კანაფი, რომლის ბოჭკოსაგან უხეშ ტილოს, თოკებს ამზადებდნენ. ხოლო ნაყოფს („გიმბაშს") საკვებად, ზეთად და სხვა დანიშნულებისათვის იყენებდნენ.

სვანეთში ნაწილობრივ მებაღეობასაც მისდევდნენ. აქ ხარობდა ვაშლი, მსხალი, კაკალი, ქლიავი, წაბლი, ბალი, იშვიათად მაღლარი ვენახიც. ზოგ ადგილებში საკმაოდ ბევრი გარეული ხილი მოიპოვებოდა, კერძოდ, მაჟალო (წვრილი ვაშლი), პანტა მსხალი, ტყემალი, წაბლი, კაკალი, ბალამწარა, მოცხარი, მოცვი, შალშავი, ჟოლო, კოწახური, ხენდრო, ასკილი და სხვ.

სვანეთში მეურნეობის მეორე მნიშვნელოვანი დარგი იყო მეცხოველეობა, რომელსაც დიდი ხნის ისტორია ჰქონდა და მოსახლეობის საქმიანობასთან მტკიცედ იყო შესისხლხორცებული.

მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით, ალპური საძოვრები მესაქონლეობისათვის კარგ პირობებს ქმნიდა, სინამდვილეში ხანგრძლივი ზამთარი (5—6 თვის ბაგური კვება), მოუხერხებელი გზები და, რაც მთავარია, საზამთრო საძოვრების არარსებობა სვანეთში, მესაქონლეობის ფართო განვითარების შესაძლებლობას არ იძლეოდა.

ცნობილი მონაცემებით, თითოეული კომლის სათიბი მიწა უდრიდა შემდეგს (იხ. ცხრილი 4)[1].

მონაცემებიდან ჩანს, რომ, მაგალითად, უშგულში, სვანეთის ყველაზე უფრო მაღალ ნაწილში, თითოეულ ოჯახზე საშუალოდ მხოლოდ 3,5 ქცევა მოდიოდა, სამაგიეროდ, ამ

---

[1] В. Я. Тепцов, Сванетия, СМОМПК, вып. X, отд. I, стр. 41.

| თემი | სათიბი ქცევებში | 1-დან 5-მდე | 5-დან 10-მდე | 10-დან ზევით[1] | უმიწა-წყლო |
|---|---|---|---|---|---|
| უშგული | 264 | 50 | 18 | — | 2 |
| კალა | 153 | 57 | — | 1 | 3 |
| იფარი | 282 | 102 | 10 | 2 | 4 |
| მულახი | 1132 | 19 | 33 | 48 | 6 |
| მესტია | 746 | 9 | 24 | 23 | 4 |
| ლენჯერი | 626 | 5 | 35 | 28 | 2 |
| ლატალი | 971 | 64 | 15 | 25 | 5 |
| ბეჩო | 194 | 76 | 5 | 1 | 2 |

თემის სოფლების მოსახლეობა და ზოგიერთ სხვა სოფლებშიც კერძო სათიბის ნაკლებობას ინაზღაურებდნენ საერთო-სასოფლო საძოვრებით, თუმცა საძოვრების სათიბად გამოყენება დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული იმ მხრივაც, რომ ისინი შორს მდებარეობდნენ და სამარხილე გზა არ უკავშირდებოდა.

სვანეთში მესაქონლეობის განვითარების შემზღუდველი გარემოებანი თავის დროზე კარგად შეუმჩნევია ზოგიერთ მკვლევარ-დამკვირვებელსაც. ი. ივანიუკოვის, მ. კოვალევსკის, ვ. ტეპცოვის, ე. კალვეიტის და სხვათა ცნობით, სვანეთში მესაქონლეობის განვითარების ერთ-ერთ დამაბრკოლებელ მიზეზად სათიბის სიმცირეა დასახელებული.

მესაქონლეობის, როგორც სვანეთის მეურნეობის უძველესი დარგის, მნიშვნელოვან როლზე და მისი ფართო განვითარების შემაფერხებელ ბუნებრივ პირობებზე მიუთითებს მ. გეგეშიძე. მისი დაკვირვებით, სვანეთში მესაქონლეობის ფართო განვითარების შემზღუდველ მიზეზს ხანგრძლივი ზამთარი, მოუხერხებელი გზები და პირუტყვისათვის საზამთრო სადგომი ბინის აუცილებლობა წარმოადგენდა. მისივე აზრით, ყოველივე ეს სვანეთის მოსახლეობას ძველთაგანვე აიძულებ-

[1] როგორც ჩანს, ცხრილში მხოლოდ კერძო სათიბის ფართობია აღნუსხული, მაგრამ სათიბად ზოგჯერ საერთო-სასოფლო საძოვრებსაც იყენებდნენ, ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ ზოგიერთი შეძლებული ოჯახი გაცილებით მეტი სათიბით სარგებლობდა, ვიდრე ეს ცხრილშია აღნიშნული.

და პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფაზე განსაკუთრებული ეზრუნველობა ეამოეჩინა[1].

არსებული ბაზა სვანეთში მესაქონლეობის ფართო განვითარების შესაძლებლობას არ იძლეოდა. მართალია, ზოგიერთ სოფელს ფართო ალპური საძოვრები გააჩნდა, მაგრამ მისი გამოყენება მხოლოდ მცირე დროის განმავლობაში შეიძლებოდა, ე. ი. სათიბების ნაკლებობა, ხანგრძლივი ზამთარი, თბილი სადგომის აუცილებლობა და, რაც მთავარია, საზამთრო საძოვრების არარსებობა ხელს უშლიდა სვანეთში მესაქონლეობის ჯეროვნად განვითარებას.

XIX საუკუნის 80-იან წლებში სვანეთის ზოგიერთ თემში პირუტყვის რიცხვი უდრიდა შემდეგს (იხ. ცხრილი 5)[2]:

ცხრილი 5

| თემი | კომლთა რაოდენობა | ცხენი | ჯორი და ვირი | ძროხა | ხარი | ცხვარი | თხა | ღორი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეშგელი | 73 | 38 | 2 | 123 | 162 | 242 | 44 | 128 |
| ყალა | 64 | 31 | — | 116 | 152 | 121 | 109 | 128 |
| ეფარი | 128 | 35 | — | 463 | 485 | 613 | 330 | 496 |
| მელახი | 107 | 69 | 6 | 428 | 470 | 849 | 452 | 527 |
| მესტია | 70 | 41 | 1 | 269 | 286 | 405 | 390 | 318 |
| ლენჯერი | 70 | 27 | — | 192 | 191 | 384 | 410 | 297 |
| ლატალი | 119 | 40 | 2 | 594 | 597 | 1064 | 1370 | 776 |
| ბეჩო | 84 | 62 | 1 | 282 | 247 | 620 | 648 | 346 |
| ეფარი | 79 | 29 | 15 | 314 | 237 | 620 | 648 | 346 |
| ეცერი | 171 | 78 | 9 | 457 | 420 | 675 | 610 | 639 |
| ჩუბეხევი | 115 | 28 | 55 | 432 | 412 | 150 | 1704 | 211 |
| სულ | 1160 | 478 | 91 | 3670 | 3519 | 5473 | 6368 | 4273 |

სვანეთის მთა-ბარის სოფლებში მესაქონლეობის ხვედრითი წონის თანაფარდობის მხრივ მსგავს სურათს იძლევა ნ. ივანიუკოვისა და კოვალევსკის მონაცემებიც[3].

შესაძლებელია, ეს მონაცემები სრულად ვერ ასახავდეს

---

1 მ. გეგეშიძე, სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში, თბილისი, 1961, გვ. 115.

2 В. Я. Тенцов. СМОМПК, вып. X, отд. I, стр. 36.

3 И. Иванюков, М. Ковалевский, В Сванетии, журн. «Вестник Европы», кн. XXVI, вып. 9, Тифлис, кн. 8-ая, стр. 59.

მეცხოველეობის მასშტაბს (გადასახადების გაზრდის თავიდან ასაცილებლად მოსახლეობა ხშირად მალავდა პირუტყვის რაოდენობას), მაგრამ იგი, ერთი მხრივ, გლეხთა სიღარიბეზე მეტყველებს, ხოლო, მეორე მხრივ, არ ადასტურებს მოსაზრებას, რომ სვანეთში და, კერძოდ, „მთამაღალ სოფლებში" მესაქონლეობა თითქოსდა თავისი მასშტაბით და მნიშვნელობით მეურნეობის დანარჩენ დარგებს სჯარბობდა. პირიქით, XIX საუკუნის სვანეთში ჩატარებული აღწერების მონაცემები ცხადყოფენ, რომ თუ მეცხოველეობის განვითარებაზე საერთოდ შეიძლება მსჯელობა, ეს, უპირველეს ყოვლისა, შეიძლება სვანეთის შედარებით დაბლობ სოფლებზე (მაგალითად, ჩუბეხევი და სხვ.). ყველაზე მაღალმთიან სოფლებში — უშგულში, კალასა და ჰადიშში, სადაც ყველაზე საუკეთესო და მეტი ალპური საძოვრები არსებობდა, მესაქონლეობა ბარის სოფლებთან შედარებით უფრო სუსტად იყო განვითარებული.

ეს გარემოება კარგად შეუნიშნავს ე. კალვეიტს, რომელიც XIX საუკუნის სვანეთის მეურნეობაზე დაკვირვების საფუძველზე წერდა: „მაშინ, როდესაც მეურნეობის ერთ-ერთი მთავარი დარგი — მიწათმოქმედება — მიუხედავად არაბელსაყრელი კლიმატური პირობებისა, ძალზე ინტენსიურად წარმოებს და მაღალგანვითარებულია, მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგი — მეცხოველეობა — მიუხედავად ზოგიერთ სოფელში (თემში) მისი განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობებისა, მეტად სუსტადაა განვითარებული"[1].

როგორც ვხედავთ, ე. კალვეიტი პირდაპირ წერდა მიწათმოქმედების ინტენსიურ და წამყვან როლზე, მაგრამ მესაქონლეობის ჩამორჩენის მიზეზებში საკმაოდ ვერ გარკვეულა.

სვანეთის მაღალმთიან ზოლში მიწათმოქმედებასთან შედარებით მესაქონლეობის მეორეხარისხოვან მნიშვნელობას ადასტურებდნენ შახოვსკი, ნემიროვიჩ-დანჩენკო და სხვები, რომელთა მტკიცებით, მიუხედავად მკაცრი კლიმატისა და თოვლიანი ქედებით გარემოცულობისა, სვანეთში მიწათმოქმედება გაცილებით უკეთესადაა დაყენებული, ვიდრე მეზობელ მთიელთა რომელიმე მხარეში. ამასთანავე, მათივე აზრით,

[1] Э. М. Кальвейт, Очерки сельского хозяйства Верхней Сванетии, ЗКОПРТО, кн. XXVI, вып. 9, Тифлис, 1911, стр. 26—28.

ხანგრძლივი და ცივი ზამთარი სვანეთში მეცხოველეობის ფართო განვითარების შესაძლებლობას არ იძლეოდა[1].

ზოგიერთ თანამედროვე მკვლევარს სვანეთის „მთამაღალში“ მეურნეობის წამყვან დარგად მესაქონლეობა იმიტომ ესახება, რომ მეზობელ მხარეებში სვანები პირუტყვით ვაჭრობდნენო, ხოლო ხორბლეულს საკუთრივ ყიდულობდნენო. ასეთ ფაქტებს XIX საუკუნეში მართლაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ეს გარემოება სრულებითაც არ გამოდგება სვანეთში მესაქონლეობისათვის პრიმატის მისაკუთვნებლად, რადგან, ჯერ ერთი, სვანები მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს თვითონაც ყიდულობდნენ ჩრდილო კავკასიაში (ჩვენამდე მოღწეული ცნობებით, სვანეთი მომთაბარე-მეჯოგეობას არ იცნობს). ისინი პირუტყვს ხშირად შრომის ნატურით საზღაურად ღებულობდნენ ხელსაყრელ პირობებში და გაცილებით ძვირად ყიდდნენ, ე. ი. სვანები ამ საქმეში საქართველოს ბარსა და ჩრდ. კავკასიას შორის შუამავლის როლს ასრულებდნენ. პირუტყვით ვაჭრობას ხელს უწყობდა მისი ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანის სიადვილეც.

სვანეთში მოსახლეობის არსებობის მთავარი საშუალება ხორბლეული იყო (რძის პროდუქტებით ძირითადად გაზაფხულ-ზაფხულში სარგებლობდნენ, ხორცეულით კი უფრო იშვიათად), ამიტომ, როცა ხორბლეული შემოაკლდებოდათ (უპირატესად სიმინდი), გარედანაც შეჰქონდათ, თუმცა შედარებით უმნიშვნელო რაოდენობით..

ამდენად, მართალია, სვანეთში ბუნებრივ-კლიმატურ-გეოგრაფიული პირობებით მიწათმოქმედებაც და მესაქონლეობაც იზღუდებოდა, მაგრამ მიწათმოქმედება მაინც მეურნეობის წამყვანი დარგი იყო. მიწათმოქმედების აუცილებელი კომპონენტი მესაქონლეობა იყო. მიწათმოქმედების წარმოება შეუძლებელი იყო არა მარტო გამწევი მუშა პირუტყვის გარეშე, არამედ ბუნებრივი სასუქის გარეშეც. სვანეთში მიწის სიმცირის გამო მისი დასვენება ფაქტიურად არ ხდებოდა. მემინდვრეობაში მოსავლიანობის ამაღლება მხოლოდ ბუნებრივი სასუქით და თესლბრუნვით ხერხდებოდა.

სპეციალისტების მტკიცებით, სვანეთში მიწათმოქმედება

[1] Газ. «Кавказ», 1846, № 44.

ინტენსიურ ხასიათს ატარებდა არა მარტო XIX, არამედ წინა საუკუნეებშიც. მ. გეგეშიძის დაკვირვებით, მიუხედავად შეზღუდული პირობებისა, სვანეთში მემინდვრეობა მაღალ დონეზე იდგა: „საუკუნეთა მანძილზე აქ ჩამოყალიბებულა ხალხური აგროტექნიკის ტრადიციები, რაც კონკრეტულ სამეურნეო-გეოგრაფიულ გარემოში ღრმა ცოდნასა და განვითარებას ემყარებოდა“[1].

სვანეთში სოფლის მეურნეობის ინტენსიურ ხასიათს ოდითგანვე ადასტურებს უკანასკნელ დრომდე შემორჩენილი სარწყავი სისტემის ნაშთები, რომლებიც თითქმის ყველა თემში გვხვდება.

გადმოცემით, ~~მესტიის~~ ერთ-ერთი უძველესი აზნაურები გოშთელიანები ფლობდნენ ცხაკვზაგარის სათიბებს, რომელსაც სპეციალურად მოწყობილი სარწყავი არხი ჰქონდა. თითქოს სისტემატური რწყვის გამო ცხაკვზაგარის მთის ნაწილი დაცურდა და მესტიის ერთ-ერთი სოფელი ლანჩვალი (ლა-ნ-ჩვალ — მეწყერი; ლანჩვალ — სამეწყერე) წალეკა და დაფარა.

სხვა გადმოცემებით, სვანეთის მებატონე ყიფიანმა დადიანშის მთიდან თავის სოფელ ჩიხარეშანდე (ლაშხეთის თემი) გაიყვანა სარწყავი არხი, რომელიც დღემდე „ყიფიანის არხის“ სახელს ატარებს. მსგავსი არხების ნაშთები სხვაგანაცაა შემორჩენილი.

სვანეთში საირიგაციო სისტემის განვითარებაზე და რწყვის ძველებურ ტრადიციებზე მეტყველებს ა. ლამბერტის ცნობებიც, რომლის მოწმობით სვანები სათიბებთან ერთად ყანებსაც რწყავდნენ. ლამბერტისავე გადმოცემით, სვანები, როგორც სარწყავი სისტემის სპეციალისტები, ცნობილი იყვნენ საქართველოს ბარშიც[2].

მიუხედავად მოუხერხებელი ტოპოგრაფიული მდებარეობისა, სვანეთში სათიბების დიდი ნაწილი საირიგაციო სისტემით ყოფილა დაქსელილი. აღსანიშნავია ისიც, რომ ვაკე ადგილებთან შედარებით ფერდობებში სარწყავი სისტემის მოწყობა დიდ ცოდნა-გამოცდილებასა და შრომას მოითხოვდა.

---

[1] მ. გ ე გ ე შ ი ძ ე, სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში, გვ. 114.

[2] ა რ ქ ა ნ ჯ ე ლ ო ლ ა მ ბ ე რ ტ ი, სამეგრელოს აღწერა, თბილისი, 1938, გვ. 167.

სვანეთში XIX საუკუნეშიც არსებობდა სარწყავი სისტემა, რომელზეც მიუთითებენ დ. დობროვოლსკი, ე. კალვეიტი და სხვები, რომელთა მსჯელობით, ეს სისტემა მაღალ დონეზე იდგა[1].

სარწყავი არხის სიგრძე ზოგან რამდენიმე კილომეტრს აღწევდა, სიგანე ერთ მეტრს, სიღრმე 50 სანტიმეტრს. რწყვას კარგად იყო დაუფლებული მოსახლეობა. იგი ანგარიშს უწევდა მდინარის, ღელის თუ წყაროს სამეურნეო-ჰიდროგრაფიულ თვისებებს, რეჟიმს და სარწყავი სისტემის გამართვასაც ამ ცოდნა-გამოცდილებაზე ამყარებდა.

რწყვითა და ბუნებრივი სასუქის შეტანით ვანოყერების შედეგად შესაძლებელი ხდებოდა მინდვრის ორჯერ მოთიბვა და ერთ დესეტინა მიწაზე საშუალოდ 250-300 ფუთი ლივის მიღება[2].

მეურნეობის ერთ-ერთი დამხმარე დარგი იყო მეფუტკრეობა, რომელსაც თითქმის მთელ სვანეთში მისდევდნენ. აქაური ფუტკარი მაღალნაყოფიერებით, ხოლო თაფლი საუკეთესო არომატითა და თვისებებით ხასიათდებოდა. თაფლი და ცვილი ყიდვა-გაყიდვის საგანსაც წარმოადგენდა, საკვების გარდა მას წამლების დასამზადებლადაც იყენებდნენ.

სვანეთში ნადირობასა და მეთევზეობასაც მისდევდნენ. ძნელად მისადგომ მთებში და ტყეებში სხვადასხვა ნადირი, განსაკუთრებით ჯიხვი, არჩვი, დათვი ბინადრობდა, მდინარეებსა და ხეობათა ნაკადულებში ბლომად იყო კალმახი.

ნადირობა ვაჟკაცურ და რაინდულ საქმედ ითვლებოდა. ის ფიზიკურ ამტანობასთან ერთად სიმარჯვეს მოითხოვდა. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ სვანეთში ნადირობასთან დაკავშირებით მრავალი ლეგენდა-თქმულება და სიმღერაა შემონახული. უამრავი გადმოცემა არსებობს ნადირობის ქალღმერთ „დალისთან" დაკავშირებითაც. თქმულებით, ის მონადირე, რომელიც დალის გულს მოინადირებდა, შინ მუდამ გამარჯვებული და დაჯილდოებული ბრუნდებოდა, ხოლო ვინც

[1] Д. В. Добровольский, Поездка в Сванетию, ЗКОСХ, Тифлис, 1868, стр. 166; Э. М. Кальвейт, Очерк сельского хозяйства Верхней Сванетии, ЗКОИРГО, Тифлис, 1911, стр. 27.

[2] Э. М. Кальвейт. Очерк сельского хозяйства Верхней Сванетии, ЗКОИРГО, кн. XXVI, вып. 9, Тифлис, 1911, стр. 27.

ნადირობის წმინდა საქმეს შებღალავდა და ხარბად მოიქცეო-და (ერთდროულად მრავალ ჯიხვს, მით უფრო „თეთრ ჯიხვს“ მოკლავდა), კლდეების მსხვერპლი ხდებოდა.

სვანეთში მეურნეობის ერთ-ერთი დარგი იყო „ოჯახური მრეწველობა“, რომელიც საზოგადოდ კარჩაკეტილ, ვიწრო და თვითკმარ ხასიათს ატარებდა. მისი სახით გლეხი მეტწი-ლად არა საცვლელ, არამედ სახმარ ღირებულებას ქმნიდა. სა-ოჯახო მრეწველობის დარგებიდან მნიშვნელოვანი ადგილი ფეიქრობას ეკავა. სვანეთში ამზადებდნენ უხეშ შალსა („ხაშკ“, „კული“ და სხვ.) და ტილოს, ქეჩას, ნაბადს, ქუდს; ქსოვდნენ წინდებს; კერავდნენ პაიჭებს, ჩოხა-ახალუხს, ზედა პერანგს, კაბას, საცვლებს და სხვ. ოჯახში მზადდებოდა ტყავ-ბეწვეუ-ლი, რომლისგანაც ტანისამოსსა და ფეხსაცმელს კერავდნენ.

საოჯახო მრეწველობაში მნიშვნელოვანი ადგილი ხისაგან საოჯახო ავეჯ-ჭურჭლეულის დამზადებას ეკავა. დურგლები თავისთვის ან დამკვეთისთვის სახლის მთელ მოწყობილობას ამ-ზადებდნენ, კერძოდ, სახლის სახურავის, ჭერისა და იატაკის მასალას, კარ-ფანჯრებს, ავეჯს, ხის ჭურჭლეულს და სხვ. დურ-გალ-ხელოსანთა ნახელავი მდიდრული ორნამენტულ-ჩუქურთ-მული მორთულობითა და სილამაზით გამოირჩეოდა. აქ საქმე გვაქვს მაღალპროფესიული ხელოსნური წარმოების არსებო-ბასთანაც.

ტრადიციულ ხელოსნობას განეკუთვნებოდა კალატოზო-ბაც. ხელოსნურად ნაშენი სამეურნეო, საფორტიფიკაციო, სა-ეკლესიო და საკულტო ნაგებობანი არქიტექტურული მოკაზ-მულობით, მოხერხებულობითა და სიმტკიცით გამოირჩეოდა. კალატოზობის მაღალგანვითარებული ტრადიციით სვანეთს სა-ქართველოს სხვა კუთხეებს შორის ერთ-ერთი პირველი ადგი-ლი ეკავა.

სვანეთის მოსახლეობის საქმიანობაში გაცვლა-გამოცვლას და ვაჭრობასაც გარკვეული ადგილი ეჭირა. სპეციალისტთა მტკიცებით, ისტორიულ სვანეთს ფართო ეკონომიკური ურ-თიერთობა ჰქონდა არა მარტო ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებ-თან, არამედ ჩრდ. კავკასიისა და ზოგიერთ სხვა მახლობელ ქვეყნებთან, ფეოდალური დაქსაქსულობისა და კარჩაკეტილო-

ბის პირობებში ეს ურთიერთობა მაინც საგრძნობი იყო. მიუხედავად საქართველოს პოლიტიკური დაშლილობისა და მეზობელი კუთხეების განკერძოებულობისა, სვანეთის მოსახლეობა დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გამართული ბაზრობების მუდმივი მონაწილე იყო. სვანეთის მოსახლეობა ხანგრძლივად ჩაკეტილი არ ყოფილა, მას მეტ-ნაკლები ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს ბართან, ასევე ჩრდ. კავკასიის სხვადასხვა ხალხებთან. ამ ურთიერთობის გაფართოებას სტიმული საქართველოს რუსეთთან შეერთებამ მისცა.

ოფიციალური ლიტერატურისა და დოკუმენტური წყაროების მონაცემებით, XIX საუკუნის მეორე ნახევარში სვანეთის მოსახლეობას ცაგერის, ონის, ლაილაშის, ლიას, სენაკისა და სხვა ბაზრობაზე გაჰქონდა შალეული და მისი ნაწარმი, ტყაკბეწვეული, ტყვია-წამალი, სხვადასხვა იარაღი, ჭურჭლეული, სამკაულები, თაფლი, ცვილი და სხვ. გასაყიდად გაჰყავდათ აგრეთვე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, წვრილფეხა საქონელი, ცხენები, ჯორები და სხვ. სამაგიეროდ ყიდულობდნენ სურსათს (სიმინდს), ღვინოს, ხილეულს, ჭურჭლეულს, შალის, ბამბისა და ტყავის მზა ნაწარმს, რკინის სხვადასხვა სახის სამუშაო იარაღს და ინვენტარს.

ხელსაყრელი პირობების გამო სვანეთის მოსახლეობას მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა მეზობელ ჩრდ. კავკასიის ხალხებთან: ყარაჩაი-ჩერქეზებთან, ყაბარდო-ბალყარელებთან, რომელთაგანაც იაფად იძენდნენ ჯიშიან მსხვილფეხა პირუტყვს. ეს ურთიერთობა ხორციელდებოდა კავკასიის ქედზე გამავალი მრავალი გადასასვლელით, რომელთაგან ყველაზე მოხერხებული იყო ნაკრის, ტვიბერისა და ბეჩოს უღელტეხილები. ვაჭრობა ფულით ან გაცვლა-გამოცვლით წარმოებდა. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სვანეთის მოსახლეობა ჩრდ. კავკასიისა და საქართველოს ხალხთა შორის ეკონომიკურ ურთიერთობაში შუამავლის როლს ასრულებდა.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველოში შედარებით სტაბილური ვითარება შეიქმნა და ქვეყნის სხვადასხვა კუთხის ეკონომიკური კავშირურთიერთობა გამოცოცხლდა, ცუდი სამიმოსვლო საშუალებების

პირობებში სვანეთის მოსახლეობის ეკონომიკური ურთიერთობა გარე სამყაროსთან დროის დასახულ ახალ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა.

სვანეთის მოსახლეობის არსებობის ერთ მნიშვნელოვან წყაროს გარე სამუშაოზე გასვლა და იქ ნაშოვნი სახსრები წარმოადგენდა. პირადი მეურნეობის სივიწროვე და უკმარისობა გლეხობას აიძულებდა მასობრივად გასულიყო გარე სამუშაოზე. გარე სამუშაოზე გასვლა განსაკუთრებით ფართო მასშტაბით XIX საუკუნის მეორე ნახევარში საგლეხო რეფორმის შემდეგ ხდება.

საქართველოს ბარის სხვადასხვა კუთხეში თუ ჩრდ. კავკასიაში გარე სამუშაოდ წასული გლეხები სხვადასხვა სამუშაოს ასრულებდნენ. აბრუნებდნენ მიწას, ტეხავდნენ ყამირს, გაჰყავდათ თხრილები, სარწყავი არხები, გზები, თიბავდნენ და სხვ. ისინი გამოიყენებოდნენ აგრეთვე ტყის მჭრელებად, დურგლებად, კალატოზებად და სხვა სამუშაოს შესასრულებლად. სვანეთიდან გარე სამუშაოზე ძირითადად სეზონურად გადიოდნენ, უპირატესად ზამთარსა და შემოდგომაზე, დაახლოებით 6—3 თვით, შემდეგ კი თავის კერას უბრუნდებოდნენ.

ქვეყანაში კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვა-განვითარების პირობებში გარე სამუშაოზე გასვლის განმსაზღვრელი ფაქტორია ლენინური მითითება: „...გლეხების უმრავლესობას... სრულებით არ შეუძლია მეურნეობის გაფართოებით დაიკმაყოფილოს ფულის საჭიროება, რადგან არავითარი მარაგი არ მოეპოვება და არც წარმოების საშუალებები აქვს საკმაოდ. ასეთი გლეხი ფულის საშოვნელად „საშოვრებზე“ მიდის, ე. ი. ბაზარზე გააქვს უკვე არა თავისი პროდუქტი, არამედ თავისი სამუშაო ძალა. საშოვრებზე წასვლა, ბუნებრივია, იწვევს სამიწათმოქმედო მეურნეობის შემდგომ დაცემას და ეს გლეხი იმით ამთავრებს, რომ თავის მიწის ნაკვეთს იჯარით აძლევს თავისივე თემის მდიდარ წევრს, რომელიც აფართოებს თავის მეურნეობას და, გასაგებია, თვითონ კი არ მოიხმარს იჯარით აღებული მიწის ნაკვეთიდან მიღებულ პროდუქტს, არამედ ბაზარზე გზავნის მას. ხდება „ხალხის გაღარიბება“...[1].

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ..., ტ. I, გვ. 132—133.

## თავი მეორე

# სვანეთის რუსეთთან შეერთება და სასოფლო-სათემო მმართველობის შემოღება

### 1. რუსეთთან შეერთება

(პოლიტიკურად დაშლილი საქართველოს სხვადასხვა სამეფო-სამთავროები რუსეთს სხვადასხვა დროს შეუერთდა.

დასავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთებისას სვანეთი დანაწევრებული იყო. ქვემო სვანეთი სამ მცირე ერთეულად იყოფოდა: 1) ლენტეხის თემი — დადიანებს ეკუთვნოდა, 2) ჩოლურის თემი — გარდაფხაძეებს, 3) ლაშხეთისა — გელოვანებს და აზნაურთა რამდენიმე ოჯახს; ზემო სვანეთის დასავლეთ ნაწილში მდებარე „დადიშქელიანთა სამთავრო" ორ ერთეულად იყოფოდა: ჩუბეხევს დადიშქელიანთა უფროსი შტო განაგებდა, ხოლო ეცერ-ცხუმარ-ბეჩოს თემებს — დადიშქელიანთა უმცროსი შტო; ზემო სვანეთის აღმოსავლეთი ნაწილი ბალსზემო სვანეთად, ანუ ე. წ. „თავისუფალ სვანეთად" იწოდებოდა და ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი თემებისა და სოფლებისაგან შედგებოდა, ზოგ თემსა თუ სოფელში აზნაურებიც ცხოვრობდნენ.

დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების რუსეთთან შეერთებისას იმპერიის მთავრობამ სვანეთის საკითხიც დასვა, რადგან მეფის მოხელენი სვანეთს მთელ დასავლეთ კავკასიის სტრატეგიულ პლაცდარმად მიიჩნევდნენ.)

კავკასიის ადგილმდებარეობის და ვითარების გაცნობამ მეფის სამხედრო სარდლობა დაარწმუნა, რომ დასავლეთ კავკასიაში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა არა სვანეთს, არამედ ადიღეს, ჩერქეზეთს, აფხაზეთს, სამეგრელოსა

და გურია-აჭარას. ამ კუთხეების ხელში ჩაგდებას უნდა გადაეწყვიტა შავ ზღვაზე, აგრეთვე სრუტეებზე გაბატონების პრობლემა.

ადიღე-ჩერქეზეთის, ყაბარდოს, აფხაზეთ-სამეგრელოსა და გურია-იმერეთის შეერთებით მეფის მთავრობა სვანეთის საკითხსაც ფაქტიურად ავტომატურად ჭრიდა, რადგან სამხედრო მნიშვნელობის გზაჯვარედინების მიღმა დარჩენილი სვანეთი გარემოცული ეყოლებოდა. თავის დროზე სწორედ ეს განაპირობებდა თვითმპყრობელობის ერთგვარ ინდიფერენტულობას სვანეთის მიმართ.

(მეფის მთავრობამ სამეგრელოს სამთავროს შეერთებით მოაგვარა ქვემო სვანეთის შეერთებაც. მართალია, ქვემო სვანეთის ნაწილი — ჩოლურისა და ლაშხეთის თემები დადიანს არ ეკუთვნოდა, მაგრამ გარდაფხაძეებმა და გელოვანებმა XIX საუკუნის დასაწყისში დადიანის უზენაესობა აღიარეს და ამიტომაც თავის სამფლობელოთა რუსეთთან შეერთებას შეეგუენ. თვითმპყრობელობამ დადიშქელიანებთან მოლაპარაკებით სცადა ზემო სვანეთის მშვიდობიანი გზით შეერთებაც. მაგრამ ის XIX საუკუნის პირველ მეოთხედში უშედეგოდ დამთავრდა.

თურქეთთან და მის მოკავშირეებთან ურთიერთობის გამწვავებისა და საერთოდ კავკასიაში ვითარების დაძაბვის გამო ცარიზმი თავს იკავებდა ზემო სვანეთის შესაერთებლად სამხედრო ძალის გამოყენებაზე. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, სვანეთის შესაერთებლად მეცადინეობას (მთავარმართებელი გენერალი (ერმოლოვი ჯერ კიდევ XIX საუკუნის 20-იან წლებში შეუდგა. სვანეთთან შუამავლობა ერთხანს მან დადიანებს დაავალა. მეფის ერთგულებაზე თავდადებული ლევან დადიანი 1822 წელს კავკასიის მთავარმართებელს უმტკიცებდა, რომ მას შეეძლო დადიშქელიანთა სვანეთის ნაწილის რუსეთის ქვეშევრდომობაში შეყვანა, მაგრამ მოწინააღმდეგე დადიშქელიანების დასამორჩილებლად ჯარს თხოულობდა. დაკისრებული მისიის შესასრულებლად დადიანები არაფერს იშურებდნენ, მაგრამ მათი მეცადინეობა თავდაპირველად უნაყოფო გამოდგა.

ირანთან და ოსმალეთთან ომებში გამარჯვებების წყალო-

ბით მეფის მთავრობა კავკასიის მთიანეთში უფრო გააქტიურდა. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში რამდენიმე სამხედრო ოპერაციის წარმატებით დაგვირგვინების შემდეგ სვანეთის საკითხმა წინა პლანზე წამოიწია.

1831 წ. 7 იანვარს კავკასიის სამხედრო კორპუსის სარდალი, გენერალ-ფელდმარშალი პასკევიჩი ჩერნიშოვს აცნობებდა: სამეგრელოს მეზობლის — დღემდე დაუმორჩილებელი სვანეთის მოსახლეობამ რუსეთისადმი მორჩილება მოისურვაო და ამ საქმეში დადიანის დამსახურებას იწონებდა. დადიანმა, — წერდა პასკევიჩი, — ახლად დამორჩილებულ სვანებს რუსეთისადმი ერთგულების ფიცი დაადებინა და ჩემთან გამოგზავნა მათი დეპუტატები — თავადი შმაგი (იშმაგი) და დადარჩი (დადაში) ქურდიანები, ბესი იოსელიანი და სორთმან ჯაფარიძე. პასკევიჩი აღნიშნავდა, რომ სვანთა დეპუტატები გვარიანად დააჯილდოვა და უკან გაისტუმრა.

სვანეთის დაზვერვა და საჭირო ცნობების შეგროვება დაევალა იმერეთის მმართველს — გენერალ-მაიორ გესეს. რომელმაც საქმე გულდაგულ შეისწავლა და სვანეთის შეერთების გეგმაც შეიმუშავა. გესეს აზრით, სვანეთის დამორჩილება უნდა მომხდარიყო არა სამხედრო ძალით, არამედ იქაური მფლობელების მიმხრობით, თუნდაც მოსყიდვით და მომხიბლავი დაპირებებით[1].

ე. გაბლიანის განცხადებით, „საიდუმლო გეგმის“ შედგენის შემდეგ გესეს საქმეში ლევან დადიანი ჩაურევია. ამ უკანასკნელს დავალების შესასრულებლად დიდი მონდომება გამოუჩენია — დადიშქელიანებს დაახლოვებია. ამ მიზნით თავისი ძმა დავითი ჩუბუხევის მფლობელ ციოყის დაზე — დარეჯანზე (მოსოსტრის და დიგორხანის შვილი) დაუნიშნავს. ამასთანავე მღვდელმთავარი გიორგი გაუგზავნია ლატალის თემში. სადაც ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნია: „ჩემგან პატივცემულნო ერთობით ლატალის მცხოვრებნო აზნაურნო და გლეხნო... მთავარი მინგრელიისა ლევან დადიანი სიყვარულითა და შესაფერისი პატივისცემით მოგიკითხავთ. მერმე ამისა, თქვენც კარგად იცით, რომ თქვენი მამა-პაპა ყოველ-

[1] ე. გ ა ბ ლ ი ა ნ ი, თავისუფალი სვანეთი, გვ. 31.

თვის ჩემი მამა-პაპის ერთგული ყოფილა და თქვენ ჩემი ოჯახის ერთგული ხართ და ამისთვის ჩვენ ვყოფილვართ თქვენი პატივისმცემელი და მწყალობელი და ეხლა უფრო მსურს თქვენი წყალობა და ბედნიერება. დამიჯერეთ, მე თქვენ სამჯობინო საქმეს გირჩევთ, რომლისთვისაც წარმოვგზავნე თქვენთან ჩემი გამზრდელი და მოძღვარი, ჰყონდიდელ-ციშელ-ცაგარელი გიორგი, რომელიც ჩემს თქვენთან დაბარებულს ყოველსავე გეტყვით და თუ თქვენი თავის ბედნიერება გინდათ ანუ ჩვენგან პატივისცემა, რაც მან გითხრათ, ყოველივე გაუგონეთ. სარწმუნო იყავით იმაზე, რომ, რაც თქვენთვის არ ივარგებს, ისეთს არას გეტყვით"[1]. ჩანს, ამ მისიას დადებითი შედეგი არ მოჰყვა.

(სამეგრელოს, ლეჩხუმისა და რაჭის მფლობელთა რჩევით, მეფის მთავრობამ სცადა დადიშქელიანებთან ერთად კავშირი დაემყარებინა სვანეთის აზნაურებთანაც. ამ მიზნით 1830 წელს ლევან დადიანმა ბერ გელოვანისა და პორუჩიკ წერეთლის მეშვეობით გრაფ პასკევიჩს ერთგულების ფიცის მისაცემად წარუდგინა 49 აზნაური) მათ შორის: თათარყან, ბიტი, ციოყ, კირილე, სუმაი, დავით, გელასხან, ბესი, ოტი, სოზარ, ილყან, დღემბურგ და მახამეთ იოსელიანები; დავით, როსტომ და სვინჩი დევდარიანები; ჯანსუღ, ქურდაან, იშმაგ. გელა, სულთმან და სოზარ ქურდიანები; თათარყან, ომანაი, ჯანსუღ და ეღენტ ჯაფარიძეები; ახმათ, ყანღუთ, ბესი და რამაზ გოშთელიანები; ნოშრევან, რამაზ ყიფიანები; ბესი და ორბინე ჩარკვიანები; ჟორჟოლან, ოთარ, ციოყ, გელა, თათარყან და ეღუმთიან ჟორჟოლიანები[2]. მიუხედავად მოლაპარაკებისა, მეფის მთავრობამ ბალსზემო სვანეთის შეერთება იმთავითვე ვერ მოაგვარა, რადგან გლეხობა აზნაურთა სურვილს არ გაჰყოლია.

სამთავროს მესვეური დადიშქელიანები რწმუნდებოდნენ, რომ რუსეთთან შეერთების ჟამი ახლოვდებოდა, თათარყან დადიშქელიანი, რომელიც ავკაცობით განირჩეოდა*, იმერე-

---

[1] АКАК, т. XI, стр. 948.

[2] ე. გ ა ბ ლ ი ა ნ ი, ძველი და ახალი სვანეთი, თბილისი, 1925, გვ. 73.

* თათარყანი (ნიკოლოზად წოდებული) და მისი ძმები — თენგიზი, ჯანსუღი, გელა, ლევანი და ისლამი მამის — ბაბა ციოყის გარდაცვალე-

თის მმართველ ვავულსკის დაუახლოვდა და განუცხადა: „თუ მე მცნობთ დადიშქელიანთა ერთადერთ მეთაურად, მზად ვარ რუსეთის ქვეშევრდომობა მივიღოვო“[1].)

მეფის მოხელეებს სვანეთის საქმის მოგვარების დიდი სურვილი ჰქონდათ, მაგრამ დარწმუნებული იყვნენ, რომ დადიშქელიანთა შორის პირველობისათვის ბრძოლა ასე მარტივად არ გადაწყდებოდა, ამიტომ თათარყანს უარი ეთქვა დადიშქელიანთა ერთადერთ მეთაურად აღიარებაზე. ამ გარემოებამ, ცხადია, თათარყანი გაანაწყენა და მისი შესვლა რუსეთის ქვეშევრდომობაში დროებით გადადო.

სვანეთის საქმის მოგვარებას ერთხანს ყაბარდოში განლაგებული ჯარის სარდალი — გენერალი გორიხვოსტოვიც შეეცადა. მან 1832 წელს მიიხმო დიგორხან გარდაფხაძე, რომელიც გარდაცვლილი მოსოსტრ დადიშქელიანიხ ქვრივი იყო და ჩუბუხევის სათავადო სახლს განაგებდა. მიუხედავად იმისა, რომ სახლის მემკვიდრე (თავისი ვაჟიშვილი) ციოყი თან არ ახლდა, დიგორხანმა გენერალს მაინც დაუდო პირობა რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლაზე.)

დიგორხანის მოქმედებაზე ეცერ-ცხუმარ-ბეჩო-ლეჩყანის (მეორე სათავადო სახლის) მეთაური თათარყან დადიშქელიანი შურისძიებით აღივსო, მაგრამ სხვა რომ ვერაფერი იღონა, კვლავ იმერეთის მმართველ ვავულსკის მიუბრუნდა და წერილობით აცნობა, რომ მზად იყო რუსეთის ქვეშევრდომობის მიღებაზე, ოღონდ განზრახვის აღსრულებას — სამთავროს უფროსობასაც მოითხოვდა.

(როგორც ვხედავთ, დადიშქელიანთა მოქმედება (რუსეთის ქვეშევრდომობის მიღებაზე თანხმობას რომ აცხადებდნენ),

---

ბის (1812 წ.) შემდეგ ერთხანს შეხმატკბილებულად ცხოვრობდნენ, მაგრამ პირველობისათვის ბრძოლაში ისინი ჯერ თავიანთ მოძმე სხვა დადიშქელიანებს გადაეკიდნენ, ხოლო შემდეგ ერთიმეორესაც. ძმებს შორის ჩამოვარდნილი მტრობის შედეგად საფუძველი ჩაეყარა სამთავროს ორად გაყოფასაც. თათარყანმა, რომელიც ბაბა ციოყის ყველაზე უმცროსი ვაჟიშვილი იყო, ჯერ თავისი ბიძაშვილები დახოცა და შემდეგ ბიძაშვილის — ჯამბულათის ორი მცირეწლოვანი ვაჟიშვილი. მან არც ამის შემდეგ აიღო ხელი თანამოძმეებთან ბრძოლაზე და მრავალი ავი საქმე ჩაიდინა.

[1] საქ. სსრ ცსსა, გმფ. ანაწ. 1, ს. 7, ფურც. 70.

ერთი მხრივ, რეალური ვითარების შეგნებით იყო ნაკარნახევი, ხოლო, მეორე მხრივ, მთელ სამთავროში გაბატონების წადილით.)

(რაკი დადიშქელიანებს უკვე შეგნებული ჰქონდათ რუსეთთან შეერთების გარდუვალობა, მათი მესვეურები ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ საქმის მოწესრიგებაში. ამ მიზნით დიგორხანი თბილისში ჩამოვიდა და ოფიციალურად შეხვდა როზენს. ამ უკანასკნელმა სპეციალური საბუთი შეადგინა, რომელშიც მეფის სახელით დიგორხანის ვაჟიშვილს ციოყს ჩუბუხევის უფროსობის და უშიშროების გარანტია მისცა.

(სათანადო პირობების მომზადების შემდეგ, 1833 წლის აპრილ-მაისში გაფორმდა სადადიშქელიანო სვანეთის შესვლა რუსეთის ქვეშევრდომობაში. მეფის მთავრობამ არ სცნო თათარყანის პრეტენზიები (თვითონ ყოფილიყო დადიშქელიანთა ერთადერთი მთავარი) და ოფიციალურად გააფორმა დადიშქელიანთა სამთავროს ორ დამოუკიდებელ სახლად აღიარება. ციოყი ცნობილ იქნა ჩუბუხევის, ხოლო თათარყანი — ეცერცხუმარ-ბეჩოს მფლობელად. ამასთანავე, მეფის მოხელეთა მონაწილეობით შედგა და დამტკიცდა ციოყის (მიხეილად იწოდა) და თათარყანის (ნიკოლოზი ეწოდა) „სათხოვარი პუნქტები“[1].

დასახელებულ „სათხოვარ პუნქტებში“ განსაზღვრული იყო თითოეული მფლობელის, აგრეთვე რუსეთის უფლებავალდებულება და სამფლობელოთა საზღვრები.

1833 წლის 9 დეკემბერს „უმაღლესად“ დამტკიცებული „სათხოვარი პუნქტების“ შესაბამისად ციოყი და თათარყანი „სვანეთის მფლობელებად“ იწოდებოდნენ (მთავრების უფლებებით). თითოეულ მათგანს მაიორის ჩინი და ხელისუფლების ნიშნები ებოძა.

(დადიშქელიანები რუსეთის ქვეშევრდომობის მიღების შემდეგაც ცდილობდნენ თავის შეხედულებისამებრ განეგოთ საქმეები. ორივე მფლობელი ურთიერთმეტოქეობას განაგრძობდა და მთელი სვანეთის ხელში ჩაგდებას ლამობდა. ამასთანავე ისინი მეფის მოხელეების მითითებებს ყურად არ

[1] ЦГИАЛ, ф. 1286, оп. 9, д. 64, лл. 28—31.

იღებდნენ. სვანეთის საქმეების მოსაგვარებლად 1834 წელს იქ ჩავიდა დელეგაცია, რომელშიც გენერალური შტაბის ოფიცერი შახოვსკი, ვამეყ დადიანი, გიორგი აფაქიძე და მღვდელი დავით ქობულოვი შედიოდნენ. შახოვსკის მისიის მიზანს დადიშქელიანთა შინაური საქმეების მოწესრიგებასთან ერთად, სვანეთის, სამეგრელოს, წებელდის, ყარაჩაის და ბალყარეთის მფლობელების ურთიერთობის მოწესრიგება, აგრეთვე ე. წ. თავისუფალი სვანეთის დაზვერვა შეადგენდა.

დადიშქელიანთა საქმის ერთგვარად მოწესრიგების შემდეგ შახოვსკიმ საიდუმლო მოლაპარაკება გააბა აზნაურებთან და სცადა თავისუფალ სვანეთში წასულიყო, მაგრამ მოსახლეობისაგან სასტიკი უარი მიიღო. ასეთ პირობებში მან სვანეთი დატოვა და უსგვირის ქედით ლეჩხუმში ჩავიდა.

სვანეთის მფლობელები ციოყი და თათარყანი ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ ბალსზემო სვანეთის რუსეთისადმი დაქვემდებარებაზე. ამ მიზნით ისინი მეზობელ მოსახლეობას ერთიმეორის წინააღმდეგ განაწყობდნენ.

ადგილობრივი აზნაურების თავგამოდებულ მეცადინეობას რუსეთის სასარგებლოდ გლეხობა ეჭვის თვალით უყურებდა: ვაითუ რუსეთთან შეერთებას დადიშქელიანების გაბატონება, ან აზნაურთა დაკარგული უფლებების აღდგენა მოყვესო. ამის გამო 1834 წლის აგვისტოში რუსეთთან შეერთების საქადაგებლად გაგზავნილ კომისიას სვანეთის გლეხობამ სროლა აუტეხა, რომლის დროს დიგორხანის და (გარდაფხაძე) მოკვდა. დანარჩენებმა კი თავს გაქცევით უშველეს[1].

გორდში (ლევან დადიანთან ყოფნისას) შახოვსკიმ მოახერხა მიეწვია თავისუფალი სვანეთის ხუთი აზნაური: იშმაგი და მურზა ქურდიანები, სორთმან ჯაფარიძე, ბესი იოსელიანი და მურზა ყორჟოლიანი (მღვდელი)[2]. აღნიშნულმა პირებმა შახოვსკის აღუთქვეს რუსეთის ქვეშევრდომობაში კალის, იფარის, მულახის, მუყალისა და მესტიის მოსახლეობის შეყვანა.

ლევან დადიანის რჩევით „სვანეთის დელეგაცია“ შახოვს-

---

[1] ე. გ ა ბ ლ ი ა ნ ი, თავისუფალი სვანეთი, გვ. 32—34.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 34—36.

კისთან ერთად თბილისში ეწვია ბარონ როზენს, რომელმაც სპეციალური აქტით „დაუპყრობელი სვანეთი“ რუსეთის ქვეშევრდომობაში შესულად გამოაცხადა.

როგორც ე. გაბლიანი წერდა და მოვლენების შემდგომმა განვითარებამაც ცხადყო, მეფის მოხელეებთან გამოცხადებული აზნაურები უფრო საკუთარი ინტერესებითა და სურვილით მოქმედებდნენ, ვიდრე სვანეთის სახელით და სასარგებლოდ. ამიტომ მათ მისიას არავითარი რეალური შედეგი არ მოჰყვა.

სვანეთის ვითარებისა და მდებარეობის შესწავლის შემდეგ შახოვსკიმ როზენის სახელზე შეადგინა ვრცელი პატაკი, რომელშიაც სვანეთის მნიშვნელობა შეაფასა და იქაური ხალხი დაახასიათა, როგორც არაჩვეულებრივად გაბედული, უხეში და ცრუმორწმუნე[1].

(შახოვსკიმ სვანეთის დამორჩილების გეგმა შეიმუშავა. მისი იდეით სადადიშქელიანო სვანეთში წესრიგის დაცვის მიზნით სამხედრო ასეული უნდა დაბანაკებულიყო, თავისუფალი სვანეთის თემები ცალ-ცალკე დაქუცმაცებულიყო, მათ შორის ლატალისა და ლენჯერის თემები კი რუსეთისადმი ერთგულ დადიანებს გადასცემოდა. ამ გეგმაში, მართალია, შახოვსკი სვანებისადმი ფრთხილი მოპყრობის მომხრე იყო, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში იარაღის გამოყენებას და წინააღმდეგის სასტიკ დასჯას მოითხოვდა[2].)

თავის მოხსენებაში შახოვსკი აზნაურთა მნიშვნელოვან გავლენაზე მიუთითებდა და მიაჩნდა, რომ რუსეთთან შეერთების შემდეგ თავისუფალ სვანეთში მმართველებად დანიშნულიყვნენ ისეთი პირები, რომლებიც დიდი გავლენით სარგებლობდნენ და ბევრი ნათესავი ჰყავდათ.

(თავისუფალი სვანეთის აზნაურები XIX საუკუნის 40-იან წლებშიც აქტივობას იჩენდნენ რუსეთის ქვეშევრდომობაში შესასვლელად. ისინი სათანადო საჩუქრებსაც იღებდნენ, მაგრამ საქმე მაინც მოუგვარებელი რჩებოდა.)

კავკასიის ომის გამწვავებითა და შამილის მეთაურობით მაჰმადიან მთიელთა მიერ მოპოვებული წარმატებებით დამ-

[1] АКАК, т. VIII, стр. 466.

[2] იქვე, გვ. 467.

ფრთხალი მეფის მოხელეები სვანეთში კვლავ ფრთხილად მოქმედებდნენ. ისინი სვანების მშვიდობიანად გადმობირებას ცდილობდნენ. თავისუფალი სვანეთის რამდენიმე აზნაურმა და გლეხმა 1843 წელს კვლავ გამართა მეფის მთავრობის წარმომადგენლებთან მოლაპარაკება. სვანეთის წარმომადგენლებმა მეფის მოხელეებს რუსეთის ქვეშევრდომობის მიღება აღუთქვეს, სამაგიეროდ კარგი საჩუქრები მიიღეს. მაგრამ როდესაც საკითხი წყდებოდა, მოსახლეობის ნაწილმა ისევ უარი განაცხადა რუსეთის მფარველობაში შესვლაზე. სვანების გადაბირებას მთავრობის მიერ შეჩენილი სამღვდელოებაც ამაოდ ცდილობდა.

სვანების ასეთ მოქმედებას მეფის მოხელეები დიდად შეუშფოთებია და ურჩთა დასჯა განუზრახავთ, მაგრამ ჩრდილოეთ კავკასიაში გაჩაღებული ომი ამის საშუალებას არ იძლეოდა. როგორც ჩანს, მთავრობის წარმომადგენელთა აქტიურობას ხალხი უფრო დაუფრთხია და ზემო სვანეთის მისადგომი გზები შეუკრავს. ამის საპასუხოდ კავკასიის ადმინისტრაციამ რაჭა-ლეჩხუმის, იმერეთისა და სამეგრელოს ხელისუფლები და მფლობელები გააფრთხილა, რომ თავიანთ ტერიტორიაზე არ გაეტარებინათ თავისუფალი სვანეთის არც ერთი მცხოვრები, რომელთაც ბარში გარესამუშაოდ წასვლაც აეკრძალათ.

მეფის მოხელეები კარგად იყვნენ ინფორმირებული, რომ სვანეთის მოსახლეობას დამოუკიდებელი ცხოვრება უჭირდა, რომ მათი შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს გარე სამუშაო შეადგენდა. ბართან ურთიერთობის აკრძალვა კი ურჩად წოდებული სვანების განსაცდელში ჩაგდებას მოასწავებდა. მეფის მოხელეები ვარაუდობდნენ, რომ ასეთ იზოლაციას სვანები ვერ გაუძლებდნენ და დაემორჩილებოდნენ, მაგრამ საქმის საბოლოო მოგვარებას ვერც ამან უშველა.

ამ საქმის გადაჭრას განსაკუთრებული ენერგიით შეუდგა მეფისნაცვალი ვორონცოვი, რომელმაც სვანებთან მოლაპარაკება თავის ადიუტანტს ლობანოვ-როსტოვსკის დაავალა. ამ უკანასკნელმა რამდენიმე პირის თანხლებით შემოიარა სვანეთი და მისიის შესრულებაში გარკვეული წარმატებაც მოიპოვა.

ამის შემდეგ, ვორონცოვის განკარგულებით, (1847 წლის ივნისში სვანეთში იგზავნება ექსპედიცია ქუთაისის ვიცე-გუბერნატორის კოლუბაკინის მეთაურობით. ვიცე-გუბერნატორმა თავისუფალი სვანეთის მოსახლეობას მთავრობის სახელით აღუთქვა მშვიდობიანი ცხოვრებისა და თავისუფლების უზრუნველყოფა, გადასახადების დაუწესებლობა, ადგილობრივი ადათ-წესების დაცვა, თვითმმართველობის შემოღება, სასწავლებლების დაარსება, გზების გაყვანა, ეკონომიკური დახმარება და სხვ.)

(მეფის მოხელეთა სისტემატურმა ზემოქმედებამ და უხვმა დაპირებებმა თავისი გაიტანა, გარდა მესტიის, ლენჯერისა და ლატალის თემებისა, ყველა თემი რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლას დაეთანხმა. ამით გახარებული ვიცე-გუბერნატორის ამალა უკან დაბრუნდა.)

(მალე რუსეთის ქვეშევრდომობა მესტიის თემმაც მიიღო. თავისუფალი სვანეთის შეერთებას იმპერატორიც დიდი მოწონებით შეხვდა.)

ყოველივე ამის შემდეგ მეფისნაცვლის განკარგულებით გამოქვეყნდა სპეციალური ცნობა, რომელიც ახლად შეერთებული (სვანეთისათვის გარკვეულ შეღავათებს აწესებდა და ი[illegible] მმართველობის მოსაგვარებლად „მულახ-იფარის“ საბოქაულოს დაარსებას აკანონებდა. სვანეთის ბოქაულად დაინიშნა თავადი (პორუჩიკი) ალექსანდრე მიქელაძე) რომელსაც თანაშემწის, თარჯიმნის, მწერლისა და ორი დამტარებლის წლიურ ხელფასად 1260 მანეთი გამოუყო. სვანეთის ბოქაული უშუალოდ რაჭის მაზრის უფროსს დაექვემდებარა.

(რუსეთთან შეერთების შემდეგ მაზრისა და საბოქაულოს მოხელეებმა ხალხს ვერაფერი სარგებელი ვერ მოუტანეს. ისინი მოსახლეობის ძარცვას შეუდგნენ) არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ ადგილობრივ ადათ-წესებს, ამასთანავე ათასნაირ ჯორებს ავრცელებდნენ სვანთა ურწმუნოებაზე (ქრისტიანული მრწამსის დაკარგვაზე). სინამდვილეში თვითონ მიჰყვეს ხელი საუკუნის მანძილზე სათუთად დაცულ ეკლესია-მონასტრების ქონების დატაცებასაც.

(ყველაფერმა ამან ხალხის აჯანყება და მეფის მოხელეთა

სვანეთიდან გაძევება გამოიწვია. კავკასიის ადმინისტრაცია იძულებული გახდა სვანეთის საბოქაულო გაეუქმებინა[1].

მეფის მთავრობა არც დადიშქელიანებს ეპუებოდა, მით უფრო, რომ დაპირისპირებული დადიანების, აგრეთვე მეზობელი ჩრდილო კავკასიის ზოგიერთი მფლობელის საამებლად მეფის მოხელეები დადიშქელიანებს ხშირად ავიწროებდნენ. ამიტომ ეს უკანასკნელნი მეფის მთავრობის განკარგულებებს ყურად არ იღებდნენ*.

განუწყვეტელი პროტესტისა და შეხლა-შემოხლის მიუხედავად, დადიშქელიანთა სამართლიან მოთხოვნას მთავრობა შხარს არ უჭერდა, რადგან საქმე უპირატესად დადიანებს ეხებოდა, რომლებიც მეფის მთავრობის მიმართ ერთგულების გამო განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდნენ.

მეფის მოხელეები ამაოდ შიშობდნენ, რომ ჩრდილო კავკასიაში გაჩაღებულ საღვთო ომში სვანებიც ჩაებმებოდნენ. შემდეგში კავკასიის ადმინისტრაციამ ამბოხებულ ჩრდილოკავკასიელ მთიელებთან ომში დადიშქელიანთა ჩაბმაც განიზრახა.

ჩერნიშოვისადმი მიმართვიდან ჩანს, რომ მთავრობაზე განაწყენებულმა თათარყანმა დავალება არ შეასრულა, ხოლო ჩუბუხევის მფლობელმა ციოყმა თავისი უფროსი ვაჟიშვილი შურზაყანი (კონსტანტინე) და რაზმი წაიყვანა უბიხების წინააღმდეგ საბრძოლველად, სადაც დაიღუპა.

ციოყის გარდაცვალების შემდეგ დადიშქელიანთა ურთიერთობა კიდევ უფრო აირია. თათარყანმა გადაწყვიტა შექმნილი მომენტით ესარგებლა და ჩუბუხევიც ხელში ჩაეგდო. მან ჯერ ციოყის ცოლ-შვილის მეურვეობა მოითხოვა, მაგრამ ეშმაკობით რომ ვერაფერი გააწყო, ჩუბუხევის მფლობელთა

---

1 АКАК, т. XI, стр. 941; ე. გ ა ბ ლ ი ა ნ ი, თავისუფალი სვანეთი, გვ. 40.

* სხვათა შორის, შახოვსკის მისიის შემდეგ დადიშქელიანებს ჩამოერთვა კავკასიის ქედს იქით ყარაჩაიში და ბაქსანის ხეობაში კუთვნილი მამულები, აგრეთვე სამეგრელოს მხრიდან მდ. ეცსა და ცხვიმზაგარს შორის მდებარე ტერიტორია და სხვა საბალახო ადგილები. ამის თაობაზე 1835 წელს დიგორხანმა და სხვა დადიშქელიანებმა ვრცელი საჩივრები შეადგინეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ (ЦГВИА, ВУА сд. хр. 18505, л. 14; ე. გ ა ბ ლ ი ა ნ ი, დასახელებული შრომა, გვ. 49—53).

სასახლეს თავს დაესხა. ციოყის ცოლ-შვილი ადგილზე არ აღმოჩნდა, სამაგიეროდ, თათარყანის რაზმმა სასახლის ჩვიდმეტი მცველი დახოცა, შემდეგ კი იქაურობა ცეცხლს მისცა, რამაც მოხუცებული დიგორხანიც შეიწირა. თათარყანი არც ამით დაკმაყოფილდა და ციოყის ქალიშვილი მძევლად წაიყვანა[1].

კონსტანტინე და მისი ძმები ჯერ სამეგრელოში აფარებდნენ თავს, შემდეგ უკან დაბრუნდნენ და მამული დაიბრუნეს.

ამგვარი შფოთისა და ორგულობის გამო მეფის მთავრობამ კიდევ უფრო შეკვეცა დადიშქელიანთა სათავადო სახლების უფლებამოსილება. კავკასიის ჯარების მთავარსარდალმა ნეიდგარდტმა დადიშქელიანთა მეთაურების ძველი სატიტულო ნიშნები მოასპობინა, ამის შემდეგ ისინი მხოლოდ „სვან მფლობელებად", „სიატელნი"-დ იწოდებოდნენ. თანამოძმეებისადმი მიყენებული უდიდესი ბოროტმოქმედებისათვის თათარყანი არავის დაუსჯია. მეფის მოხელეებმა ისღა მოახერხეს, რომ პროტორე ქუთათელაძის მეშვეობით მოსისხლე დადიშქელიანები შეარიგა. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ სათავადო სახლებს შორის ფარული მტრობა ისევ გრძელდებოდა. ეს მტრობა ვერ აღმოფხვრა ვერც წერილობითმა პირობამ და ვერც ადათ-წესით შერიგებამ*.

ზემო სვანეთის „ურჩი მოსახლეობისადმი" მთავრობის წაყრუება დროებითი გამოდგა. მეფის მოხელეებმა კვლავ ნაცად ხერხს მიმართეს, ისინი სვანეთს ხან ეკონომიკურ იზოლაციაში აქცევდნენ, ხან სამხედრო ლაშქრობით ემუქრებოდნენ და ხანაც მოთვინიერებას ცდილობდნენ. მეფის მოხელეები განზრახ ირწმუნებოდნენ, რომ თითქოსდა სვანეთში ქრისტიანობა გაქრობის გზაზე იდგა. ასეთი ვერსია ცალკეულ მოხელეთა ცრუ ცხობებზე იყო დაფუძნებული. სხვა შემთხვევაში, როდესაც ეს ხელს აძლევდათ, მეფის მოხელეები სვანებს ღვთის მორწმუნე ფანატიკოსებად ხატავდნენ და აღნიშნავდნენ, რომ ისი-

---

1 ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 9, д. 64, л. 26.

* აწ გარდაცვლილი თათარყანის შვილებმა ჯანსუღმა და ოთარმა კონსტანტინესა და მის ძმებს 1851 წელს შერიგებისას 24 ყმა და დიდძალი ქონება გადაუხადეს.

ნი ქრისტიანულ ეკლესიებს და მის ფასეულობას საკუთარ სახლებზე უფრო იცავენო[1].

რაკი მულახ-იფარის საბოქაულო რაჭის მაზრაზე იყო მიწერილი, სვანეთის საქმის მოგვარება ახლა წერეთლებმა იკისრეს. მათ მღვდელ ს. გავაშელიშვილის მეშვეობით რაჭაში მიიპატიჟეს მულახისა და იფარის აზნაურები: დადაში და სორთმან ქურდიანები, გელა იოსელიანი, სიმონ დევდარიანი, ნოშრევან ყიფიანი და ყასბულათ შერვაშიძე. გრიგოლ წერეთელმა ეს პირები სვანეთის დელეგაციად მონათლა და 1852 წელს მეფისნაცვალს მიჰგვარა ბორჯომში. ამ უკანასკნელმა სვანეთის წარმომადგენლები დაასაჩუქრა და უკან გაისტუმრა იმ პირობით, რომ მეფის მთავრობის სასარგებლო მუშაობა გაეწიათ ადგილზე.

სვანეთში დაბრუნებულმა პირებმა ხმები გაავრცელეს მეფისნაცვლის ჰუმანურობაზე და სვანეთისადმი კეთილ განწყობაზე. ხელსაყრელი სიტუაციის შექმნისთანავე სვანეთში გაიგზავნა დელეგაცია ცნობილი სამხედრო მოხელისა და არქეოლოგის ბარტოლომეის მეთაურობით, რომელმაც 1853 წლის აგვისტოში იფარ-მულახის ყოფილი საბოქაულო შემოიარა, შემდეგ ლატალის თემსაც ეწვია. ბარტოლომეის ახლდნენ მეფისნაცვალთან ნამყოფი აზნაურები, რომელთაც ჩარკვიანებისა და რამდენიმე გავლენიანი გლეხის მეშვეობით ლატალის მოსახლეობა რუსეთის ერთგულებასა და ქვეშევრდომობაზე დააფიცეს. მალე რუსეთის ქვეშევრდომობა აღიარა ლენჯერის თემის მოსახლეობამაც. ყოველივე ამის შემდეგ ბარტოლომეი და მისი თანმხლებნი თბილისში დაბრუნდნენ. სვანეთის რუსეთთან შეერთებაში დამსახურებისათვის ბარტოლომეი და მისი დელეგაციის რამდენიმე მონაწილე, მათ შორის სვანებიც, ფულადი საჩუქრებითა და ორდენებით დაჯილდოვდნენ.

სვანეთის ხელახალი და საბოლოო შეერთების შემდეგ მეფის უმაღლესი მოხელეები დიდხანს ყოყმანობდნენ იმაზე, შეიძლებოდა თუ არა სვანეთში მტკიცე მართვა-გამგეობა შე-

---

[1] Поездка в Вольную Свانетию Полковника Бартоломея в 1853 году, 1853, стр. 15—16, 27, 31, 51, 53.

მოღებულიყო და ამ მიზანს რამდენი თანხა დასჭირდებოდა. საამისოდ მეფის მოხელეებს საჭიროდ მიაჩნდათ გზების გაყვანა და ხალხში რუსეთისადმი რწმენის განმტკიცება. მაგრამ საამისოდ მნიშვნელოვანი თანხის გაღება მთავრობას ხელს არ აძლევდა. ამიტომ სვანეთის მართვა-გამგეობისათვის საჭირო ფულის გამოყოფა გარკვეული დროით გადაიდო (ასე იყო თუ ისე, 1853 წლიდან სვანეთი რუსეთს შეუერთდა)

სვანეთის რუსეთთან საბოლოო შეერთების შემდეგ ბოქაულად კვლავ ა. მიქელაძე დაინიშნა. იგი თავდაპირველად ფრთხილად და წინდახედულად მოქმედებდა, საქმეს ზოგჯერ ისე წარმართავდა, თითქოს ხალხის ინტერესებისთვის ზრუნავდა. მაგრამ ასე დიდხანს არ გაგრძელდა. ხალხი მეფის მთავრობისაგან ვერავითარ სარგებელს ვერ იღებდა.

ყირიმის ომით გართული მეფის მთავრობა სვანეთის მართვა-გამგეობისათვის საჭირო სახსრებს ვერ იღებდა. ამასობაში ხმა გავრცელდა, თითქოს სვანები თურქეთის აგენტებმა გადაიბირეს და რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლისთვის ემზადებოდნენ.

მეფის მთავრობის პოზიცია სადადიშქელიანო სვანეთშიც სუსტი იყო. აქ რუსული მმართველობა არ არსებობდა და მისი გავლენა მხოლოდ დადიშქელიანთა მიერ რუსეთის ქვეშევრდომობის ფორმალურ აღიარებაში გამოიხატებოდა. ასეთი ვითარების გამო მთავრობა მხოლოდ დროდადრო თუ ახერხებდა დადიშქელიანთა საქმეებში ჩარევას.

მიუხედავად იმისა, რომ დადიშქელიანთა სათავადო სახლების მესვეურები შერიგებული იყვნენ, კონსტანტინეს და მის ძმებს შურისძიების გრძნობა არ ასვენებდათ. თავის მხრივ, ამას გრძნობდნენ მათი მოწინააღმდეგეებიც, რომელთაც კავშირი შეკრეს დადიანებთან. ეს უკანასკნელნი აგრეთვე ჩუბეხევის მფლობელებთან დაპირისპირებული იყვნენ სასაზღვრო დავისა და მთელი სვანეთის ხელში ჩაგდების წადილის გამო.

კონსტანტინესა და მის ძმებს დაუპირისპირდა დადიანების სიძე, მეფის სამხედრო მოხელე თავადი მუხრანსკიც. ჯანსუღთან და ოთართან (თათარყანის შვილებთან) კავშირით დადიანები ლამობდნენ ე. წ. თავისუფალი სვანეთის ხელში ჩაგდებას, ხოლო ჯანსუღი და ოთარი დადიანების მეშვეობით. მე-

ტოქე კონსტანტინესა და მისი ძმების განადგურებას ცდილობდნენ.

შექმნილ სიტუაციაში დადიშქელიანთა შორის მტრობა კიდევ უფრო გამწვავდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ 1855 წელს გურიის სამხედრო რაზმის უფროსის გენერალ-ლეიტენანტ ბაგრატიონ-მუხრანსკის მიერ გამოძახებული ჯანსუღი, რომელიც თავისი ვაჟიშვილით და 40-კაციანი რაზმით დანიშნული ადგილისკენ მიდიოდა, გზაში მოკლეს კონსტანტინეს ძმებმა თენგიზმა და ისლამმა (ჯანსუღის დაჭრილმა ვაჟიშვილმა ნიკოლოზმა გაქცევით უშველა თავს). ჩუბეხევის მფლობელები არც ამით დაკმაყოფილდნენ და ჯანსუღის მამულსაც დაეპატრონენ.

ჩუბეხევის დადიშქელიანთა ამგვარი მოქმედებით გაბოროტებულმა ბაგრატიონ-მუხრანსკიმ და ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა ძმების თენგიზის, ისლამის, აგრეთვე კონსტანტინეს, ბექირბის (ალექსანდრეს, რომელიც სამხედრო ოფიცერი იყო და დროებით იმყოფებოდა შვებულებაში) და ციოყის (ეს სამი უკანასკნელი მკვლელობაში არ მონაწილეობდნენ) წინააღმდეგ მძიმე პოლიტიკური საბრალდებო საქმე შეთხზეს. ამასთანავე დამნაშავე დადიშქელიანების დასასჯელად გენერალ ბებუთოვს (ბებუთაშვილს) სვანეთში სამხედრო ნაწილის გაგზავნა შესთავაზეს.

დადიშქელიანთა საქმეებმა კავკასიის ადმინისტრაციაც გაანაწყენა, მაგრამ იმჟამინდელი რთული ვითარება სვანეთში სამხედრო ძალის გაგზავნის შესაძლებლობას არ იძლეოდა, რადგან, ამისათვის მსხვერპლის გასაღებად არავის ეცალა. კავკასიის ადმინისტრაციამ ქუთაისის გუბერნატორი და ბაგრატიონ-მუხრანსკი გააფრთხილა, რომ სვანეთში სამხედრო ძალა არ გამოეყენებინათ რუსეთისადმი კონსტანტინეს დამოკიდებულების საბოლოო გამორკვევამდე.

სანამ ჯანსუღის მკვლელობის გარემოება და მიზეზები დადგინდა, ეკატერინე დადიანმა კონსტანტინესა და მისი ძმების წინააღმდეგ რამდენიმე საჩივარი შეადგინა. ჩანს, ეკატერინეს უნდოდა ხელიდან არ გაეშვა ხელსაყრელი მომენტი და საბოლოოდ გაენადგურებინა მოწინააღმდეგე სვანი მფლობელები. ამ მიზნით ეკატერინემ რამდენიმე საბუთიც შექმნა.

ერთ საბუთში ნათქვამი იყო, რომ ჯანსუღი დადიანებისადმი ერთგულების გამო მოკლეს, მეორე „საბუთში“, რომელიც თითქოს ლატალის თემის მცხოვრებთა მიერ იყო შედგენილი, ნათქვამი იყო, რომ „ლატალი მუდამ დადიანთა მფლობელობაში იყო“ და თითქოს ლატალელებს ახლაც დადიანთა ხელში. ყოფნა სურდათ.

ეკატერინე მთავრობის ყველა ინსტანციაში ჩიოდა, რომ კონსტანტინე და მისი ძმები ჯანსუღის ცოლ-შვილს ამოწყვეტას უპირებენო და მთელი სვანეთის ხელში ჩაგდებას ცდილობენო. იგი ჩიოდა, რომ ჩუბეხევის მფლობელები რამდენჯერმე დაესხნენ თავს მის მეჯოგეებს და გაძარცვეს.

ეკატერინე კონსტანტინეს ოჯახს არა მარტო ჩვეულებრივ ბოროტმოქმედებაში ადანაშაულებდა, არამედ რუსეთის წინააღმდეგ პოლიტიკურ შეთქმულებასაც აბრალებდა. ცხადია, ეკატერინეს ნაკლებად ადარდებდა მთავრობის თუ სხვებისადმი დადიშქელიანების ორგულობა, მას, პირველ რიგში, საკუთარი ანგარიშები ამოძრავებდა.

როგორც მეფის მოხელე დემიანოვიჩმა სვანეთში ყოფნისას დაადგინა, რუსეთის წინააღმდეგ დადიშქელიანები არავითარ შეთქმულებას არ ამზადებდნენ, მათ არც თურქეთთან ჰქონდათ რაიმე კავშირი. დემიანოვიჩმა კავკასიის ჯარების მთავარსარდალს მიუტანა კონსტანტინეს წერილი, რომელშიც ეს უკანასკნელი დიდ წუხილს გამოთქვამდა ჯანსუღის მკვლელობასთან დაკავშირებით და ირწმუნებოდა, რომ ეს მხოლოდ შურისძიების გამო იყო ჩადენილი. ამასთან კონსტანტინე დიდ ბოდიშს უხდიდა სამხედრო ხელმძღვანელობას და გუბერნიის მმართველობას მომხდარი ამბის გამო და არწმუნებდა, რომ მზად იყო მთავრობის ერთგულებისა და გადაწყვეტილების შესრულებისათვის[1].

რაკი სვანეთში არავითარი შეთქმულება არ მზადდებოდა და დადიშქელიანებს თურქეთთან არავითარი კავშირი არ ჰქონდათ, მთავრობამ მკვლელობისა და სხვა დანაშაულებების განხილვა მშვიდობიანი დროისთვის გადადო, ხოლო კონსტანტინეს მომდევნო ძმას — ალექსანდრეს მოქმედ არმიაში დაბრუნება უბრძანა.

[1] АКАК, т. XI, стр. 946—947.

მიუხედავად იმისა, რომ დადიშქელიანთა საქმე ერთგვარად მიწყნარდა, ეკატერინე დადიანი მაინც არ ისვენებდა. იგი. ერთი მხრივ, დადიშქელიანებს უკიჟინებდა, ხოლო, მეორე მხრივ, ბალსზემო სვანებს ავიწროებდა და ლატალის თემის დაქვემდებარებას ლამობდა[1].

დადიშქელიანთა საქმეების ნაწილობრივი გარკვევის შემდეგ მთავრობამ რაჭის მაზრის უფროსს ვასილიევს და ა. მიქელაძეს დაავალა გამოერკვიათ თავისუფალმა სვანებმა მართლა მიიღეს თუ არა თურქეთის აგენტი. საქმის დასადგენად მეფის მოხელეები ჯერ ქვემო სვანეთს ესტუმრნენ, შემდეგ უშგულშიც გადავიდნენ, მაგრამ სვანების გამცემლობაზე და მთავრობის წინააღმდეგ თურქეთთან კავშირზე ვერავითარი სარწმუნო ცნობა ვერ მიიღეს და უკან დაბრუნდნენ.

ყირიმის ომის დამთავრების შემდეგ კავკასიის ადმინისტრაციამ ხელახლა ამოატივტივა სვანეთის ამბები, მათ შორის დადიშქელიანთა საქმეები. მეფისნაცვალმა დამნაშავედ ცნობილი დადიშქელიანები თბილისში გამოიძახა, ხოლო ალექსანდრეს კვლავ სამხედრო სამსახურში დაბრუნება ებრძანა.

(მეფისნაცვალმა ბარიატინსკიმ ბრძანების შეუსრულებლობის გამო ალექსანდრეს სამხედრო სამსახურიდან გარიცხვა. ხოლო მკვლელობის მონაწილე ძმების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა მოითხოვა.) დამნაშავედ ცნობილი დადიშქელიანების საქმეები ლორის-მელიქოვის მაგიერ პ. უსლარმა გამოიძია*. პ. უსლარი არ დაკმაყოფილდა დადიშქელიანთა სისხლის სამართლის საქმეების დამძიმებით. (მან კონსტანტინეს და მის ძმებს თურქეთთან კავშირი და რუსეთის წინააღმდეგ პოლიტიკური შეთქმულებაც დააბრალა.) ამის დამამტკიცებლად ის ომარ-ფაშას წინააღმდეგ რაზმის გამოუყვანლობას და მთავრობის ერთგულ ჯანსუღის მოკვლას ასახელებდა. ჩუბეხევის მფლობელებს ბრალი ედებოდათ იმაშიც, რომ თითქოს მათ თავისუფალი სვანეთის ძალდატანებითი დაპატრონება უნდოდათ. ყოველივე ეს საკმარისი მიზეზი

---

1 АКАК, т. XI, стр. 946—947.

* პ. უსლარი გურიაში დაბანაკებული სამხედრო რაზმის შტაბის უფროსი იყო და ახლო ურთიერთობა ჰქონდა ბაგრატიონ-მუხრანსკისთან, გენერალ გრიგოლ დადიანთან და ეკატერინე დადიანთან.

ეყო იმისათვის, რომ დადიშქელიანები მკაცრად დასჯილიყვნენ.

სათანადო მზადების შემდეგ (1857 წლის ივლისში ბარიატინსკისა და სამხედრო მინისტრის ბრძანებით სვანეთში სამხედრო ექსპედიცია მოეწყო.) ამასთანავე მზადყოფნაში იყო ნალჩიკში, კისლოვოდსკსა და წებელდაში დაბანაკებული სამხედრო ნაწილები, რომლებიც, აგრეთვე, დაუყოვნებლივ უნდა წასულიყვნენ სვანეთში — თუკი დადიშქელიანები შეიარაღებულ წინააღმდეგობას გაწევდნენ.

სვანეთის სამხედრო ექსპედიციის საერთო ხელმძღვანელობა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს გაგარინს დაევალა, უშუალო ხელმძღვანელობა კი — პ. უსლარს. ზემო სვანეთის მისადგომთან პ. უსლარს პირადად შეხვდა კონსტანტინე და განუცხადა, რომ თვითონ და მისი ძმა ალექსანდრე ნებაყოფლობით გამოცხადდებოდნენ მთავრობასთან და თხოვა ექსპედიცია უკან დაებრუნებინა. მიუხედავად ამისა, ექსპედიცია მაინც წავიდა ჩუბეხევში, მაგრამ დამნაშავე ძმები თენგიზი და ისლამი მაინც ვერ დაიჭირა და უკან დაბრუნდა.

აფასებდა რა აღნიშნული ექსპედიციის შედეგებს, მეფისნაცვალი ბარიატინსკი 1857 წლის 17 აგვისტოს სამხედრო მინისტრს სწერდა: „რაოდენ მცირეც არ უნდა იყოს თავისთავად სვანეთი, თავისი ცენტრალური მდებარეობით ყაბარდოს, ყარაჩაის, წებელდისა და სამურზაყანოს ტომებს შორის, რომლებიც თუმცა მორჩილნი არიან, მაგრამ ნახევრადველურებია, თავისი სიახლოვით ჩვენდამი არაკეთილად განწყობილ მთიულებთან, სვანეთში ყოველგვარი მღელვარება შეიძლებოდა ჩვენთვის საშიში ყოფილიყო, არა მარტო ჩვენდამი პირდაპირ მტრული, არამედ საეჭვო დამოკიდებულებისასაც. სვანეთი, თავისი ცუდი მისადგომების გამო, ადვილად შეიძლებოდა გამხდარიყო ყველა მეზობელი ყაჩაღის თავშესაყარი, რითაც სავსებით შეიცვლებოდა ჩვენი მდგომარეობა ამიერკავკასიის მთელ დასავლეთ ნახევარში. აუცილებელი იყო სრულად და საბოლოოდ გარკვეულიყო დადიშქელიანების დამოკიდებულება ჩვენდამი და იმ შემთხვევაში, თუკი ისინი არ გაგვიგონებდნენ, დროის დაუკარგავად ძალით მოგვეყვანა

მორჩილებაში"[1]. როგორც ვხედავთ, ექსპედიციის მიზანს მარტო დადიშქელიანების შეპყრობა არ წარმოადგენდა, ძალ-უფრო შორს გამიზნული მისია ეკისრა.

სანამ სამხედრო ექსპედიცია უკან დაბრუნდა, კონსტანტინე და ალექსანდრე დადიშქელიანები თბილისში მეფისნაცვალთან გამოცხადდნენ. მეფისნაცვალმა კონსტანტინე ქუთაისში გაისტუმრა, ხოლო ალექსანდრე (ბექირბი) მეფისა და სამხედრო მინისტრის განკარგულებით სამხედრო სამსახურში (ჩერნიგოვის დრაგუნთა პოლკში) დაბრუნდა. წინასწარ გადაწყდა, რომ კონსტანტინეს ძმები თენგიზი და ისლამი ვიატკაში გადაესახლებინათ.

მეფის მთავრობამ დაადანაშაულა ბეჩოს მფლობელი ოთარ დადიშქელიანიც, რომელიც ყაბარდოში ცოლეურების მამულზე დასახლდა და თითქოს მაჰმადიანობაც მიიღო. აღნიშნულის გამო ოთარს და მის მემკვიდრეებს აეკრძალათ დადიშქელიანის გვარის ტარება. მათ წინაპართა სახელის მიხედვით ოთაროვები ეწოდათ.

კონსტანტინეს ებრძანა ქუთაისიდან არსად წასულიყო. მას მეთვალყურედ ბარტოლომეი და პოლიციელები მიუჩინეს. გაურკვეველ მდგომარეობაში მყოფი კონსტანტინე 1857 წლის 24 ოქტომბერს გენერალ-გუბერნატორმა გაგარინმა გამოიძახა და განუცხადა, რომ მთავრობის გადაწყვეტილებით მას სვანეთის მფლობელობა ჩამოერთვა და საკითხის საბოლოო გადაჭრამდე ერევანში უნდა გადასახლებულიყო.

ასეთი გადაწყვეტილებით აღელვებულ კონსტანტინესა და გაგარინს შორის ცხარე კამათი გაჩაღდა, რაც შეტაკებაში გადაიზარდა. ამასობაში კონსტანტინემ ხანჯალი იშიშვლა, გაგარინი, მისი ორი მცველი და დანამომარჯვებული მზარეული სიცოცხლეს გამოასალმა. ამის შემდეგ კონსტანტინემ გაქცევა სცადა, მაგრამ ხიდი და გზები შეკრული აღმოჩნდა და ჯარისკაცებთან შეტაკების შემდეგ შეპყრობილ იქნა.

დიდი დანაშაულის გამო სამხედრო-საველე სასამართლოს გადაწყვეტილებით კონსტანტინე დადიშქელიანს სიკვდილი მიესაჯა, რაც მალე სისრულეში მოიყვანეს.

---

[1] АКАК, т. XII, стр. 369.

უსლარმა დეტალურად გამოიკვლია დადიშქელიანთა შორის მომხდარი მკვლელობები და დაასკვნა, რომ მათთვის თითქოს შურისძიებითი მკვლელობა ჩვეულებრივი სასიცოცხლო მოთხოვნილება და ვალდებულება იყო. მან მეფის მთავრობა დაარწმუნა, რომ კონსტანტინეს დახვრეტის გამო დანარჩენი დადიშქელიანები მათზეც შურს იძიებდნენ. ყოველივე ამის გამო, უსლარის აზრით, ჩუბეხევის ყველა დადიშქელიანი სვანეთიდან და საერთოდ კავკასიიდან უნდა განდევნილიყო[1].

თენგიზი, ისლამი და მათი უმცროსი ძმა ციოყი, რომელთაც წინასწარი გადაწყვეტილებით ვიატკაში გადასახლება ჰქონდათ მისჯილი, წელიწადზე მეტხანს იმალებოდნენ, მაგრამ, 1858 წელს შემოდგომაზე სამეგრელოს მხრიდან (ენგურის ხეობით) სვანეთში მიდის სამხედრო რაზმი ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებლის, ერისთავის ხელმძღვანელობით. ეს ამბავი ძმებისთვის მოულოდნელი იყო და სახლში იმყოფებოდნენ. რაკი წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა, ისინი იძულებული გახდნენ სამხედრო ნაწილს ჩაბარებოდნენ.

კავკასიის ადმინისტრაციამ კონსტანტინეს დახვრეტის სისრულეში მოყვანის შემდეგ სამხედრო მინისტრს სთხოვა, რომ ჩერნიგოვის დრაგუნთა პოლკის ოფიცერ ალექსანდრეზე განსაკუთრებული მეთვალყურეობა დაწესებინა, რათა სამშობლოში გამოქცევის შესაძლებლობა არ მისცემოდა. საშიშროების თავიდან აცილებისა და ჩუბეხევის მფლობელთა საბოლოო ნეიტრალიზაციის მიზნით ალექსანდრე რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში გაგზავნეს, ხოლო კონსტანტინეს უფროსი ვაჟიშვილი, რომელიც თბილისის გიმნაზიის მოსწავლე იყო, ციმბირის კადეტთა კორპუსში ჩარიცხეს.

თენგიზ, ისლამ და ციოყ დადიშქელიანები თბილისში ჩამოიყვანეს, მაგრამ მათი საქმის საბოლოო გადაწყვეტას საკმაო დრო დასჭირდა. ამასობაში, ალექსანდრეს ზემოქმედების მეოხებით, ამურის გენერალ-გუბერნატორმა მურავიოვ-ამურსკიმ კავკასიის მეფისნაცვლის წინაშე იშუამდგომლა, რომ

[1] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 9, д. 64, лл. 66—67.

თავის ადიუტანტ ალექსანდრეს ძმებისთვის დადგენილი სასჯელი ეპატიებინათ ან შეემსუბუქებინათ.

(რაკი მთავარი მიზანი შესრულებული იყო (კონსტანტინე დაბეგრიტეს, სამთავრო გააუქმეს) და დანარჩენი დადიშქელიანების მკაცრ დასჯას უკვე აზრი არ ჰქონდა, მთავრობამ ანგარიში გაუწია გენერალ-გუბერნატორის შუამდგომლობას, აგრეთვე ალექსანდრე დადიშქელიანის* თხოვნას და თენგიზს. ისლამს და ციოყს გადასახლება პოლონეთში სამხედრო სამსახურში გაგზავნით შეუცვალა.)

მსგავსი გადაწყვეტილება გამოიტანეს ჩუბეხევის ყველა დადიშქელიანის მიმართ, რომელთაც სვანეთში და საერთოდ კავკასიაში ცხოვრება აეკრძალათ. უმაღლეს ინსტანციებში საკითხის რამდენჯერმე დასმის შედეგად, მეფის 1859 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილებით, სვანეთიდან გადასახლებულ დადიშქელიანებს ჩუბეხევის მამულის საფასურად 150 ათასი მანეთი გამოეყოთ, ხოლო ჩუბეხევი ხაზინის საკუთრებად გამოცხადდა[1].

(ასე ტრაგიკულად დასრულდა დადიშქელიანთა უფროსი შტოს ისტორია. რაც შეეხება ეცერ-ცხუმარ-ბეჩოს დადიშქელიანებს (უმცროს შტოს), მართალია, მათი უფლებებიც შეიზღუდა, მაგრამ უმრავლესობა სვანეთში დარჩა და მამულებიც შეუნარჩუნეს (სხვათა შორის, საბოლოოდ არც ყაბარდოში გადასახლებულ ოთარს წაართვეს თავისი წილი ბეჩოში).)

XIX საუკუნის შუა ხანებში, როდესაც მთელი კავკასია რუსეთის ხელში იყო, მეფის მთავრობამ კარგად დაინახა, რომ ფეოდალური სამთავრო-ერთეულების დამოუკიდებლობა ხელს უშლიდა მეფის მთავრობის მმართველობის მტკიცე ცენტრალიზაციას. ამიტომ სხვა მიზეზიც რომ არ არსებულიყო, დადიშქელიანთა სამთავროს გაუქმება ისედაც ობიექტურად

---

* მართალია, ალექსანდრე დადიშქელიანი მხოლოდ ამურის გუბერნატორის ადიუტანტი იყო და ჯერ კიდევ შევიწროებას განიცდიდა, მაგრამ თავისი ნიჭის, ერუდიციისა და სიმამაცის წყალობით დიდი პერსპექტივის მქონედ ითელებოდა. სხვათა შორის, მან გენერლობას მიაღწია და რამდენიმე მეცნიერული გამოკვლევის ავტორიც გახდა.

ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 9, д. 64, лл. 95—99, 127—128.

ყო მომზადებული. ყირიმის ომის შემდეგ, როცა მეფის ხელისუფლებამ მტკიცედ დაისახა კავკასიის ეკონომიკური ათვისება და მისი მმართველობის უნიფიკაცია, ცალკეული პოლიტიკური ერთეულების არსებობა ცარიზმის მიერ დასახული კურსის გატარებას აფერხებდა, მით უმეტეს, რომ ამ სამთავროებისათვის რუსეთის ხელისუფლების მიერ დაკისრებული მისია ამოწურული იყო და ქვეყნის გაერთიანებისათვის ეკონომიკური საფუძველიც მომზადებული ჩანდა[1].

დადიშქელიანთა მფლობელობის ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის განხორციელების შემდეგ კავკასიის ადმინისტრაციამ მიზნად დაისახა ჯერ ზემო სვანეთის გაერთიანება და იქ მტკიცე რუსული მმართველობის დამყარება. ამ მიზნით 1859 წელს მთავრობა დათანხმდა სვანეთში (აგრეთვე წებელდაში) ორი წლის საცდელი ვადით განსაკუთრებული (ე. წ. საპოლიციო) საბოქაულოს ჩამოყალიბებაზე. გარკვეული მზადების შემდეგ ზემო სვანეთში შეიქმნა განსაკუთრებული საბოქაულო, რომლის მმართველობისათვის საკმაო თანხაც გამოიყო. როგორც კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარის (იუსტიციის მინისტრისადმი) მიმართვიდან ჩანს, 1859 წლის ბოლოს მთელი ზემო სვანეთი ერთ საბოქაულოში შევიდა და ცენტრად ბეჩო შეარჩიეს. სვანეთის საბოქაულოს შტატი 18 ერთეულით განისაზღვრა, მათ შორის: ბოქაული, მისი თანაშემწე, ორი მწერალი, თარჯიმანი, დამტარებელი, ორი ცხენოსანი და ათი ფეხოსანი ჩაფარი. საბოქაულოს მმართველობის წლიური თანხა 2505 მანეთით განისაზღვრა. სვანეთის ბოქაულად დაინიშნა ს. ამირეჯიბი, რომელსაც ნაწილობრივ მაზრის უფროსის უფლებები მიენიჭა.

საბოქაულოში შეიქმნა სასამართლო ორგანოც („სიტყვიერი სასამართლო"), რომლის შემადგენლობა 12 ერთეულით განისაზღვრა. მათ შორის: ხუთი მდივანბეგი, ოთხი თანაშემწე, ერთი დამტარებელი და ორი ცხენოსანი ჩაფარი. სასამართლო ორგანოს მთელი წლიური თანხა 1665 მანეთს შეადგენდა[2].

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, 1970, გვ. 217.

[2] АКАК, т. XII, стр. 249.

სასამართლოს თავმჯდომარე წესისამებრ ბოქაული იყო. საბოქაულოს სასამართლო (რომელიც საქმეებს ზეპირსიტყვიერად არჩევდა) სამოქალაქო საქმეებს განაგებდა, ხოლო სისხლის სამართლის საქმეები, წესისამებრ, გუბერნიის სათანადო უწყებას ექვემდებარებოდა.

1859 წელს შემოღებულმა მმართველობამ, რომელიც ნახევრად რუსული იყო, სვანეთში ნორმალური მართვა-გამგეობა ვერ უზრუნველყო. ბოქაული ძირითადად რუსული კანონებით მოქმედებდა, რაც მოსახლეობისათვის უცხო და გაუგებარი იყო. ბოქაულს და მის აპარატს ძირითადად მხოლოდ სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების გადაწყვეტის უფლება ჰქონდა. ყოველ მნიშვნელოვან საქმეზე ხალხს გუბერნიის მმართველებისათვის უნდა მიემართა, რაც რუსული კანონებისა და რუსული ენის ცოდნას, აგრეთვე ქუთაისში განუწყვეტლივ სიარულს მოითხოვდა. ყოველივე ამის გამო ხალხი გაურბოდა ადგილობრივ თუ ზემდგომ ხელისუფლებას, საქმეს ძველი ადათ-წესის საფუძველზე არჩევდა და წყვეტდა.

ამის მიუხედავად ძველ ვითარებასთან შედარებით ახალ მმართველობას პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა; ჯერ ერთი, ახალი მმართველობა კრძალავდა ძალადობას, მათ შორის სისხლის აღებასაც; მეორე, ახალი მმართველობა ზღუდავდა თავადაზნაურთა უფლებებს, რომელიც წოდებრივ უპირატესობაზე იყო აგებული; მესამე, ახალი მმართველობა აკავშირებდა ერთიმეორისაგან გათიშულ საქართველოს კუთხეებს. ერთიანი საქართველოს ჩამორჩენილ კუთხეებში ეკონომიკა და კულტურაც სწრაფად ვითარდებოდა.

რაკი სვანეთის ადმინისტრაციას მცირე უფლებამოსილება გააჩნდა და მნიშვნელოვან საკითხებს ვერ ჭრიდა, მას ხალხი არც მიმართავდა და არც ემორჩილებოდა.

(XIX საუკუნის 60-იან წლებში მეზობელ კუთხეთა ზოგიერთმა მფლობელმა კვლავ დაიწყო თავისი მომიჯნავე სვანეთის მოსახლეობის შევიწროება. სვანეთის საბოქაულოს ხელისუფალთა აშკარა წაყრუებით სამურზაყანოდან და სამეგრელოდან ჩუბეხევისა და ლატალის საძოვრებში ჯოგები შერეკეს. რაკი სვანთა ყოველგვარი პროტესტი უყურადღებოდ დარჩა, ლატალელებმა და ჩუბეხეველებმა თავიანთ ტერიტო-

რიაზე მყოფი ჯოგები ძალით დაიტაცეს[1]. სვანეთის მოსახლეობა სხვადასხვა მიზეზით თუ საბაბით პირუტყვის მისატაცებლად თავდასხმებს ზოგჯერ რაჭასა და ჩრდ. კავკასიაშიც აწყობდა.

სამეგრელოს მმართველმა გ. ვლასტოვმა და სოხუმის ოლქის უფროსმა სვანებზე საჩივრები აღძრეს. თუ ადრე დადიანები ძალით ან სხვა საშუალებით ლამობდნენ სვანეთის ან მისი ცალკე ნაწილის დამორჩილებას, ახლა, როცა მათ პირისპირ დადიშქელიანთა უფროსი შტოს წარმომადგენლები არ იდგნენ, ისინი სამეგრელოს მმართველის გ. ვლასტოვის მეშვეობით ცდილობდნენ მოსაზღვრე სვანეთის ტერიტორიების მიტაცებას. გარდა იმისა, რომ ამასთან დაკავშირებით დადიანებმა გუბერნიის ხელისუფლები მრავალგზის შეაწუხეს. 1866 წ. 18 მაისს გ. ვლასტოვი მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსს სწერდა: ეკონომიკური თვალსაზრისით სვანეთს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს შავი ზღვისპირეთისათვის, რადგან მთელ სამეგრელოს არ გააჩნია სათიბები და საძოვრები, ამიტომ აქ ძალზე მცირეა რქოსანი პირუტყვი, ცხენები და ცხვარი, რაც სოფლის მეურნეობის საფუძველს შეადგენს. სამეგრელოში ხორცისა და რძის პროდუქტების უკმარობა იქამდე მიდის, რომ ფოთი იძულებულია ხორცისა და რძის პროდუქტები ტრაპიზონიდან იყიდოს, თვით ზუგდიდიც კი კარაქს ტრაპიზონიდან და რუსთა საგუშაგოებიდან იღებს[2]. ყოველივე ამის გამო ვლასტოვი სამეგრელოს მფლობელებისათვის სვანეთის კუთვნილი საძოვრების მიცემას მოითხოვდა.

სვანეთის ბოქაული ამირაჯიბი, ნაცვლად იმისა, რომ თავის საგამგებლო მოსახლეობის კანონიერი ინტერესების დაცვაზე ეზრუნა, ძალადობის წინააღმდეგ ამხედრებულ სვანთა დასჯასა და გაკიცხვას მოითხოვდა.

მეფის მოხელეთა ამგვარი მოქმედების გამო სვანეთში წესრიგი არც ახალი საბოქაულოს შექმნის შემდეგ დამყარდა, ხალხი ხელისუფლების ყოველგვარ მოქმედებას ეჭვის თვა-

1 საქ. სსრ ცსსა (ქუთაისში), ფ. 16, ს. 365.

2 Сельское хозяйство и аграрные отношения, т. II, составил проф. П. В. Гугушвили, Тбилиси, 1950, стр. 516.

ლით უყურებდა და მზად იყო მისი უკანონო მოქმედებისათვის უმალვე წინააღმდეგობით ეპასუხა.

ქართველ და კავკასიის სხვა მთიელებს თვითმპყრობელობა უფრო ენერგიულად უჭერდა მარწუხებს, იგი ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა მალე გაექელა მოწინააღმდეგე და რუსული მმართველობა რაც შეიძლება ჩქარა დაემკვიდრებინა.

1867 წლის 25 მაისს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა სვიატოპოლკ-მირსკიმ მეფისნაცვლის წინაშე დასვა საკითხი მთელი სვანეთის ერთიანი საბოქაულოს შექმნაზე. მართალია, ამ საკითხის აღძვრა გუბერნატორმა სამეგრელოს მმართველობის რეორგანიზაციას დაუკავშირა, მაგრამ მისი მთავარი მიზანი სვანეთში მეფის მმართველობის განმტკიცება იყო. სვანეთის ერთ საბოქაულოში გაერთიანებას სვიატოპოლკ-მირსკი იმითაც ასაბუთებდა, რომ, მისი აზრით, „სვანეთის მოსახლეობა, როგორც პირველ ორ ვოლოსტში (ლაპარაკია ზემო სვანეთზე — ბალსზემო და ბალსქვემო თემებზე — გ. გ.), აგრეთვე მესამეში (ქვემო სვანეთში — გ. გ.) ყოველმხრივ ერთმანეთს გავდა, როგორც ცხოვრების წესით, შეხედულებებით, ეერეთვე ადათ-წესებით და დაუდეგარი მოქმედებით"[1].

მეფისნაცვლისადმი მოხსენებაში ქუთაისის გუბერნატორი შეშფოთებული წერდა, რომ სვანეთის საბოქაულოში, ე. ი. ზემო სვანეთში (ქვემო სვანეთი ლეჩხუმის მაზრაში შედიოდა) ადგილობრივმა ადმინისტრაციამ წესრიგი და სიწყნარე ვერ შეზრუნველყო. გუბერნატორის აზრით, სვანეთში სრული წესრიგის დამყარებისათვის აუცილებელი იყო ერთიანი მმართველობის შემოღება. მაგრამ რადგან, მისი აზრით, ამ მმართველობას დამოუკიდებელი მოქმედების პირობები არ ჰქონდა, საჭიროდ მიიჩნევდა სვანეთის უფროსის დამორჩილებას ლეჩხუმის მაზრის უფროსისადმი.

სვანეთის მმართველობის რეორგანიზაციაზე გუბერნატორის წინადადებანი 1868 წ. 10 ივნისს განიხილა მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს დეპარტამენტმა, რომელმაც მიზანშეწონილად მიიჩნია გუბერნატორის მოსაზრების დაკმაყოფილება — სვანეთის მმართველობის ცენტრალიზაციის განხორ-

---

[1] ЦГИАЛ, ф. 416, оп. 3, д. 91, л. 1.

ცელების თაობაზე, მით უფრო, რომ კავკასიის ადმინისტრაციული ერთეულების გამსხვილებასა და სათანადო ცვლილებების შეტანაზე უკვე მმართველი სენატის მითითებაც არსებობდა.

ყოველივე ამის გამო დეპარტამენტმა სვანეთის მმართველობის საკითხი საბოლოო გადასაწყვეტად მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს საბჭოში შეიტანა.

1868 წლის 22 ივლისს დეპარტამენტის წარდგინება — სვანეთის ერთიანი საბოქაულოს ჩამოყალიბებაზე მთავარი სამმართველოს საბჭომაც მოიწონა. მალე მეფისნაცვალმა განკარგულება გასცა სვანეთის ერთიანი მმართველობის შემოღება პრაქტიკულად აღსრულებულიყო[1]. დადგინდა, რომ სვანეთის საბოქაულო ლეჩხუმის მაზრაში შესულიყო და ბოქაული მაზრის უფროსს დაქვემდებარებოდა.

სვანეთის ბოქაულს ზოგიერთ საკითხში მაზრის უფროსის უფლებები მიენიჭა, მით უფრო მაშინ, როდესაც ადგილი ჰქონდა მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებას და საჭირო იყო მისი სასწრაფოდ აღკვეთა.

გადაწყდა, რომ საბოქაულოს შტატი და ფინანსები ადრინდელი დარჩენილიყო, ბოქაულის რეზიდენცია ზაფხულში ბეჩო, ხოლო ზამთარში ქვემო სვანეთი უნდა ყოფილიყო.

## 2. სასოფლო-სათემო მმართველობის დაარსება

(საქართველოს დანარჩენი კუთხეების მსგავსად, სვანეთში XIX საუკუნის 60-იან წლებამდე სპეციალური სასოფლო მმართველობა არ არსებობდა[2].)

საადგილმამულო-საგლეხო რეფორმის მომზადების პერიოდში მთავრობის წინაშე ლოგიკური აუცილებლობით დაისვა ახალი პირობების შესაბამისი სასოფლო-სათემო მმართველობის რეორგანიზაციის დებულების შემუშავების საკითხი.

დებულების თანახმად, რუსეთში შემოღებული სასოფლო-

---

[1] ЦГИАЛ, ф. 416, оп. 3, д. 91, л. 1.

[2] ალ. ბენდიანიშვილი, სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის შემოღება, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, გვ. 303.

სათემო მმართველობის ანალოგიური მმართველობა მთელ იმპერიაში და, კერძოდ, საქართველოშიც უნდა დამყარებულიყო.)

1864 წ. 13 ოქტომბერს თბილისის გუბერნიის სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის მოწყობის უმაღლესად დამტკიცებული წესების თანახმად მეფისნაცვალს დაევალა, რუსეთის 1861 წლის დებულების საფუძველზე, კავკასიაში სასოფლო-სათემო საზოგადოებათა მოწყობის დაწვრილებითი დებულება შეედგინა. 1865 წ. 11 აპრილს მეფისნაცვალს მიხეილ რომანოვს უკვე ხელთ ჰქონდა სათანადო დებულება, რომლის საფუძველზე საგლეხო რეფორმის კვალდაკვალ მთელ საქართველოშიც ახალი სასოფლო-სათემო მმართველობა უნდა დაარსებულიყო.

დებულების თანახმად, საქართველოში სოფლის საზოგადოებრივ მმართველობას უნდა დაკისრებოდა ყველა ის ფუნქცია, რაც რუსეთში სათემო-სასოფლო მმართველობას ევალებოდა, ე. ი. საჭირო შემთხვევაში სოფლის მმართველობას ადმინისტრაციულთან ერთად, სამეურნეო საქმეების გამგებლობაც ეკისრებოდა. ნავარაუდევი იყო განხორციელებულიყო ისეთი ადმინისტრაციული დაყოფა, რომელიც მმართველობის თვალსაზრისით მოხერხებული იქნებოდა. იმ შემთხვევაში, თუ ცალკეულ სასოფლო-ადმინისტრაციული ერთეულის ჩამოყალიბებისათვის ამა თუ იმ სოფლის მოსახლეობა საკმარისი არ აღმოჩნდებოდა, ტერიტორიული პრინციპით, ერთ მმართველობაში რამდენიმე სოფელი უნდა გაერთიანებულიყო. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ ჰქონდა ეს სოფლები უწინ ვის კუთვნილებას შეადგენდნენ. მთავარი ყურადღება ადმინისტრაციული მართვის მოხერხებულობას ექცეოდა. მმართველობის მოხერხებულობისათვის ერთ სასოფლო საზოგადოებაში არამც თუ სხვადასხვა სოფლის გაერთიანება შეიძლებოდა, არამედ ერთი და იმავე მებატონისადმი ვალდებული გლეხების სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეულისადმი მიკუთვნებაც. ამასთან, ერთ საზოგადოებაში უნდა გაერთიანებულიყო ყველა კატეგორიის გლეხი.

მაშასადამე, დებულების თანახმად, სასოფლო-სათემო ადმინისტრაციული ერთეულების შექმნის ერთ-ერთი მთავარი

მიზანი ის იყო, რომ ეს ერთეული ადმინისტრაციული და სამეურნეო თვალსაზრისით მოხერხებული ყოფილიყო.

სოფლის საზოგადოების ორგანო — სასოფლო კრებისა და მისი მმართველი პირებისაგან უნდა შემდგარიყო. სოფლის საზოგადოების უმაღლესი ორგანო გლეხთა ყრილობა უნდა ყოფილიყო. აღმასრულებელი ხელისუფლება მამასახლისს ენიჭებოდა, ხოლო მართლმსაჯულის — სასამართლოს. სასოფლო-სათემო საზოგადოების შტატი უნდა განსაზღვრულიყო სასოფლო-სათემო საზოგადოების შეხედულებისამებრ, იმ პირობით, რომ ადმინისტრაციული აპარატის ხარჯი მოცემულ ერთეულში გაერთიანებული მოსახლეობისაგან აკრეფილი სახსრებით დაფარულიყო, ე. ი. სოფლის მოსახლეობას თვითონ უნდა უზრუნველეყო თავისი მმართველობის დაფინანსება. სასოფლო მმართველობის აპარატის შტატი შედგებოდა მამასახლისისა და მისი ქვემდგომი ერთეულებისაგან. თუ სასოფლო საზოგადოება დიდი იყო და, რაც მთავარია, მას შეეძლო მმართველი აპარატის სათანადო ხარჯებით უზრუნველყოფა, სოფლის მმართველობა შეიძლებოდა შემდგარიყო მამასახლისის, თანაშემწის (ანუ ნაცვალის), გზირის, მეველის, მერუის, მწყემსის, მეწისქვილის, სარწყავი არხებისა და თხრილების ზედამხედველისა და სხვა საშტატო ერთეულებისაგან.

სახელმწიფო-საერობო გადასახადებთან და საზოგადოებრივი მმართველობის დაფინანსებასთან ერთად, გლეხობა ვალდებული იყო დამატებითი, ერთდროული ან მუდმივი თანხები გაეღო სოფლის განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებისათვის, აგრეთვე, სარწყავი არხების, გზებისა და ხიდების მოვლისათვის; მაღაზიების, საცხობებისა თუ სხვა ამგვარ დაწესებულებათა მოწყობისათვის, აგრეთვე დარაჯის, მწყემსისა თუ სხვა საშტატო ერთეულის შენახვისათვის.

დებულება ითვალისწინებდა სასოფლო-სათემო სასამართლოს ჩამოყალიბებასაც. ამ შემთხვევაში სოფლის ყრილობა სასამართლოს შემადგენლობაში არანაკლებ სამ პირს ირჩევდა. სასოფლო სასამართლოს ფუნქციებში მხოლოდ უმნიშვნელო სამოქალაქო საქმეების განხილვა-გადაჭრა შედიოდა. მაგალითად, მიწაზე გლეხთა დავის, ნასყიდობის, ურთიერთზარალის მიყენებისა და სხვა ამგვარი საქმეების მოწეს-

რიგება. ძაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ დავის საგანს სათანადო აქტებით გაფორმებული საქმე შეადგენდა და მისი ღირებულება 100 მანეთს არ აღემატებოდა.

დებულების შესაბამისად, სასოფლო საზოგადოების თანამდებობის პირები: მამასახლისი, თანაშემწე, მოსამართლე და სხვა სამი წლის ვადით უნდა არჩეულიყვნენ. შემდეგ კი არჩევნები ხელახლა უნდა ჩატარებულიყო. არჩევნების შედეგები საბოლოოდ გუბერნატორს უნდა დაემტკიცებინა. სასოფლო საზოგადოების თანამდებობის პირები, პირველ რიგში, ბოქაულს ექვემდებარებოდნენ, მაგრამ ყველა მათგანი მაზრის უფროსისა და გუბერნატორის წინაშე იყო პასუხისმგებელი. იმ შემთხვევაში, თუ სასოფლო საზოგადოების თანამდებობის პირები არასასურველი აღმოჩნდებოდნენ, მათი განთავისუფლება, გუბერნატორთან შეთანხმებით, მაზრის უფროსს შეეძლო ყრილობის გარეშე.

(რუსეთთან შეერთების შემდგომ ბატონყმობის გაუქმებამდე სვანეთის მთელ მმართველობას ადგილობრივი მებატონეები ან მთავრობის მოხელეები განაგებდნენ, მაგრამ სისხლისა თუ სამოქალაქო საქმეების უმეტესობა ტრადიციისამებრ — მოდავე პირთა ან მათ მიერ დროებით არჩეულ თავკაცთა (მოციქულ-მედიატორთა) განსჯით და ეკლესიაში დაფიცებით წყდებოდა.) საერთო საკითხების მოგვარება ზოგჯერ სოფლის ან ყველა დაინტერესებული პირის შეკრებით და მოლაპარაკებითაც ხდებოდა. საკითხების განხილვა-გადაწყვეტა მიმდინარეობდა საუკუნეებით დაგროვილ იმ ადათ-წესების საფუძველზე, რომლებიც საერთო ქართული ფეოდალური კანონმდებლობიდან და ტრადიციებიდან გამომდინარეობდა (ზოგჯერ საქმე გვაქვს ადგილობრივ თავისებურებასთანაც).

(როგორც აღვნიშნეთ, რეფორმამდელ სვანეთში სასოფლო მმართველობის ადგილობრივი ორგანოები არ არსებობდა. საქმეებს მებატონეები (თავადაზნაურები) ან დაინტერესებულ გლეხთა მიერ დროებით არჩეული თავკაცები განაგებდნენ.)

დებულების მიხედვით, სასოფლო მმართველობის ჩამოყალიბება საგლეხო რეფორმის შემდეგ უნდა განხორციელებუ-

ლიყო, მაგრამ ზემო სვანეთში ჯერ სასოფლო მმართველობა დაარსდა, ბატონყმობა კი შემდეგ გაუქმდა*. მეფის მოხელეთა (სამეგრელოს მმართველის, გუბერნატორ ლევაშოვის და სხვ.) ჩვენებით, სვანეთში საგლეხო რეფორმის გვიან გატარების ერთ-ერთი მიზეზი მტკიცე მმართველობის არარსებობაც იყო[1].

(მეფის მთავრობის გადაწყვეტილებით 1869 წელს მთელი სვანეთი უკვე ერთ საბოქაულოში გაერთიანდა და ახალი ადმინისტრაციული დაყოფა განხორციელდა.)

სვანეთის ადმინისტრაციულ გარდაქმნასთან ერთად**, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა ლევაშოვმა 1869 წელს სასოფლო საზოგადოების არჩევნებიც ჩაატარა. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო სათანადო საზოგადოების ყველა ოჯახის უფროსმა მამაკაცმა („მახვშიმ") და არჩეულ იქნენ მამასახლისები (ზოგან თანაშემწეები და სხვა პირებიც) და სასოფლო სასამართლოს შემადგენლობა. ამის შესახებ გუბერნატორი მეფისნაცვლისადმი გაგზავნილ მიმართვაში წერდა: „Сельские управления и суды введены при мне в действие в обеих Сванетиях. Большинство выборов в должностные лица пало на людей сравнительно надежных и влиятельных в обществах и потому должностные все тотчас же были мною утверждены»[2].

სასოფლო საზოგადოებების ჩამოყალიბებასთან ერთად, ამ საზოგადოების მმართველ ორგანოთა ფუნქციები და უფლება-მოვალეობანი დებულების საფუძველზე განისაზღვრა. რადგან სვანეთში სახნავ-სათიბ მიწაზე და ტყეზე საერთო-სათემო მფლობელობა არ არსებობდა***, სასოფლო ანუ სათე-

* სასოფლო საზოგადოებების ჩამოყალიბებას საგლეხო რეფორმა წინ უსწრებდა მხოლოდ ქვემო სვანეთში.

[1] Сельское хозяйство и аграрные отношения, т. II, Тбилиси, 1959, составил проф. П. В. Гугушвили, стр. 518.

** ეს დაყოფა ტერიტორიული პრინციპით განისაზღვრა და არსებითად უწინდელი თემების ფარგლებში მოექცა.

[2] 1868 г. 9 августа. Отношение кутаисского военного губернатора гр. Левашова наместнику Кавказскому вел. кн. м. Романову о мерах, предпринятых в Сванетии для разрешения крестьянского вопроса, сельское хозяйство и аграрные отношения, II стр. 521.

*** საერთო მფლობელობაში იყო მხოლოდ საძოვრები და საბალახო ადგილები, რომელიც სოფელს ეკუთვნოდა.

მო მმართველობას ძირითადად ადმინისტრაციული ფუნქციები დაეკისრა, ეს მაშინ, როდესაც რუსეთისა და კავკასიის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის სასოფლო მმართველობას ადმინისტრაციულთან ერთად სამეურნეო ფუნქციებიც მიენიჭა*.

მამასახლისის მთავარ მოვალეობას შეადგენდა: სახელმწიფო და საერობო გადასახადების აკრეფა, აღწერათა ჩატარება, სვანეთის ფარგლებს გარეთ სამუშაოდ თუ სხვაგან გლეხების გაშვებაზე ნებართვის მიცემა, ზემდგომი ორგანოების თუ ცალკეულ მოხელეთა ბრძანება-განკარგულებების სისრულეში მოყვანა. მამასახლისს ევალებოდა: სამხედრო დეზერტირების, მთავრობის მოწინააღმდეგეების, ქურდ-ყაჩაღებისა და წესრიგის დამრღვევთა დაკავება. იგი ვალდებული იყო აგრეთვე თვალყური ედევნებინა მთელი საზოგადოების მოქმედებისათვის და საეჭვო შემთხვევაში ყოველივე ბოქაულის, მაზრის უფროსისა და გუბერნატორისათვის შეეტყობინებინა, აუცილებლობის შემთხვევაში ბოქაულს შეეძლო პოლიციური რაზმის გამოძახება და დადგენილ ფარგლებში მოქმედება.

როგორც სპეციალური დებულებით იყო ნავარაუდევი, რეფორმის გატარების შედეგად სვანეთში სასოფლო-სათემო საზოგადოების უმაღლესი ორგანო გახდა ყრილობა, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა ყველა ოჯახის უფროსი („მახვში"). ამ ყრილობის უფლებებში შევიდა: თემის თანამდებობის პირთა არჩევა, ოჯახის გაყოფაზე ნებართვის გაცემა, საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გარკვეული გადასახადების დაწესება, უპატრონოდ დარჩენილებისადმი მეურვეობა, მავნე პირად მიჩნეულთა სოფლიდან გადასახლებაზე საკითხის დასმა, სახაზინო და საერობო გადასახადებისა თუ თემის საზოგადოებრივი დაწესებულებების შესანახი სახსრების კომლობრივი განაწილება და სხვ.

სოფლის ყრილობის დადგენილება კანონიერად ითვლებო-

---

* ბალსზემო სვანეთში მხოლოდ ზოგიერთ თემს ჰქონდა საერთო საძოვარი. სხვა შემთხვევაში ასეთი საძოვარი თემის ცალკეული სოფლის მფლობელობაში იყო. ასე მაგალითად, კალის თემში არც ერთ დანარჩენ სოფელს არ შეეძლო ხალდეს საძოვრებით ესარგებლა, ასევე, ვიჩნაშის, დაუბერის, იფრალის, ლალხორის სოფლები ცალ-ცალკე ფლობდნენ საძოვრებს. ასეთივე სურათი იყო სვანეთის უდიდეს ნაწილში.

და. თუ მას ოჯახის უფროსთა ნახევარი მაინც ესწრებოდა; საკითხები ხმების უმრავლესობით წყდებოდა. მნიშვნელოვანი დადგენილების გამოსატანად აუცილებელი იყო ხმების ორი მესამედი მაინც.

როგორც აღვნიშნეთ, ლევაშოვმა 1869 წელს სათემო სასამართლოებიც დაარსა. სასოფლო-სათემო საზოგადოების მიერ არჩეულ სასამართლო ორგანოს შემადგენლობაში, მოსამართლესთან ერთად, სოფლის თავკაცებიც შევიდნენ (მათ რიცხვს თითოეული საზოგადოება თავის შეხედულებისამებრ საზღვრავდა. როგორც წესი, ერთი საზოგადოების სასამართლო ორგანოში დაახლოებით 10—20 ასეთი თავკაცი ირჩეოდა).

სასოფლო-სათემო სასამართლოს უფლებამოსილებას, დებულების შესაბამისად, მხოლოდ უმნიშვნელო სამოქალაქო საქმეების განხილვა-გადაწყვეტა შეადგენდა. სასამართლო ფუნქციას 100 მანეთის ფარგლებში დაჯარიმება ექვემდებარებოდა, აგრეთვე ექვსი დღით საზოგადოებრივი სამუშაოს მისჯა, ურთიერთმიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებინება და სხვა მსგავსი საქმეები. მამასახლისს ფორმალურად არ შეეძლო სასამართლოს მსვლელობაზე გავლენის მოხდენა, მაგრამ იგი სინამდვილეში სასამართლოს მთელ საქმიანობას თავისი შეხედულებისამებრ წარმართავდა. მამასახლისის ხელში იყო აღმასრულებელი უფლებებიც.

ასეთია ის ფუნქციები (უფლება-მოვალეობანი), რაც მთავრობის სპეციალური დებულებით ყრილობას და მამასახლისს მიენიჭათ, აგრეთვე, მათი მოწვევის წესი და მოქმედების სფერო.

*

* *

ინტერესს არ უნდა იყოს მოკლებული ზოგიერთი საკითხი, რომელიც სვანეთში ე. წ. „გვაროვნულ“ ინსტიტუტებთანაა დაკავშირებული. სვანეთში და, კერძოდ, ბალსზემო სვანეთში „გვაროვნული“ სახალხო მმართველობის არსებობის ერთ-ერთ მაჩვენებლად სწორედ ყრილობა და მახვშია

წარმოდგენილი. რეფორმით შემოღებული სასოფლო-სათემო საზოგადოების უმაღლესი ორგანო — ყრილობა — სვანეთისადმი მიძღვნილ ეთნოგრაფიული და ისტორიული ლიტერატურის უდიდეს ნაწილში უძველესი დროიდან მოქმედ გვაროვნული საზოგადოების ინსტიტუტადაა მონათლული, ხოლო მამასახლისის („სტარშინას") ფუნქციები და მოვალეობა ოჯახის უფროსის — „მახვშის" ფუნქცია-მოვალეობადაა გასაღებული. მართალია, ზოგიერთი მოხელე თუ მოგზაურ-მკვლევარი სვანეთში ადრეც მოიხსენიებს მამასახლისს („სტარშინას" და არა „მახვშის"), მაგრამ ეს მხოლოდ რუსეთის სათემო მმართველობის სათანადო ტერმინების გაელენით აიხსნება. რაც შეეხება რეფორმის შემდეგდროინდელ სვანეთს, როგორც ვნახეთ, აქ ყრილობის ორგანოს არსებობა ფაქტია. სწორედ რეფორმის შედეგად შემოღებულ ყრილობასა და მამასახლისზეა ლაპარაკი ნ. დუბროვინის ნარკვევში[1]. შემდგომ სვანეთის მმართველობის საკითხზე სტატიას აქვეყნებს სვანეთის ბოქაული ი. მამაცოვი, რომელიც აღნიშნავს, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე სვანეთში არსებობდა „ფედერაციული რესპუბლიკები", რომელთაც თითქოს საბჭოების ტიპის დაწესებულებები ჰქონდათ: «Члены этого федеративного Совета выбирались по большинству голосов. Каждое общество назначало по 24 человека. Цвирми (Симон) было местом заседания, куда собирались все члены два раза в год для разбора порученных им дел. Под ведением этого союзного схода находились дела, касающиеся всей вообще Сванетии, как например, объявление войны соседям, вызов ополчения, назначение главного начальника над ополчением, а равно и сотников и заключение мира. В случае нужды «лузроб» имел право облагать жителей податями для ведения войны и для других финансовых нужд... Решение или постановление этого союзного Совета было безапелляционно для всех сванетов, в знак чего и присягали образу «Шалиани». Эти советы не касались

[1] Н. Дубровин, Сванеты (Шаны) История войны и владычества русских на Кавказе, I, кн. II, Санкт-Петербург, 1871, стр. 94.

внутреннего управления Сванетии, т. к. каждое общество само заведывало своими делами»[1].

როგორც ჩანს, ამ ფანტაზიურ წერილს, რომელიც არავითარ სარწმუნო საბუთს არ ეყრდნობა (ერთმანეთშია არეული ფედერაციული რესპუბლიკები, საბჭოები და ყრილობა), საბაბი მიუცია ზოგიერთი სხვა ავტორისათვის არა მარტო ეს შეთხზული მოსაზრება მიეღო, არამედ თვითონაც ახალი აზრები გამოეგონა.

სვანეთის მმართველობის შესახებ თავის მოსაზრებას გვაწვდიან ი. ივანიუკოვი და მ. კოვალევსკი, რომლებიც საერთო ნარკვევში წერენ: «Военный пристав..., его помощник и выборные обществами старшины суть единственные представители власти в Сванетии...»[2], აღნიშნული მკვლევარები ქვემოთ ეხებიან მესტიაში აზნაურ ჯაფარიძეთა ბატონობის დამხობას და „ისტორიულ“ თვითმართველობის დახასიათებისას წერენ: «Избавившись от князей, жители местийского общества стали управляться сами собою, собираясь с этою целью на народные сходы (джан-назуран*) и выбирая на них особого старейшину, занимавшего должность бессрочно, до тех пор, пока дурное поведение его заставит подумать народ о новом выборе. Старшина этот носил то же название, какое принадлежит доселе старейшему во дворе («Махвши»); буквально слово это означает: старший. Кроме старшины, — განაგრძობენ მკვლევარები, — сходы выбирали еще двенадцать человек так называемых «ми бари» (выборные) (?), обязанностью которых было, между прочим, следить за тем, чтобы никто не работал по пятницам, субботам и воскресениям. Виновных в нарушении таких запретов подвергали штрафованию. Народные сходы созываемы были с помощью особых, поч-

1. И. Мамацов, Заметки о Сванетии, газ. «Кавказ», 1872, № 121.

2 Журн. «Вестник Европы», кн. 8-ая, стр. 575.

* ლაპარაკია „ლუზორ“-ზე, რაც რაიმე საკირბოროტო საკითხთან დაკავშირებით ხალხის თავმოყრა-შეკრებას ნიშნავს.

ти саженных труб... Участие в собрании принимали все совершеннолетние, не только мужчины, но и женщины. Для постановки решения требовалось единогласие: но последнего, очевидно, нелегко было достигнуть, особенно если принять во внимание, что наиболее влиятельные граждане являлись на джан-назуран каждый в сопровождении своей партии и притом не безоруженными...»[1]. იგივე მკვლევარები ქვემოთ მიუთითებენ, რომ «События, описанные нами в Местии, с некоторыми вариантами повторялись и в любом из остальных обществ Вольной Сванетии. В каждом возникает свой народный сход (джанназуран), называющийся также в некоторых обществах «лухор» или «лузор». Местом его собраний служит специально отведенная площадь, своего рода форум, по-сванетски «лахор». Народное собрание каждого общества выбирает своего старшину, который, подобно английскому мировому судье, остается в должность «durante gesserit», то есть пока его дурное поведение не сделает нужным в глазах народа назначение ему преемника»[2].

როგორც ამ ამონაწერებიდან ჩანს, საკითხი მართლაც 1869 წელს რეფორმის შედეგად დაარსებულ ყრილობას და მამასახლისს ეხება (ამის შესახებ ავტორთა მიერ პირველ ამონაწერში პირდაპირაა ნათქვამი). შემდეგ ი. ივანიუკოვსა და მ. კოვალევსკის (ი. მამაცოვისა და ბ. ნიჟარაძის ნაამბობის საფუძველზე) უცდიათ თავიანთი სქემის შევსება და სვანური ტერმინების მოშველიებით ხსენებული ყრილობა და მამასახლისი წარსულში გადააქვთ — ყრილობას გვაროვნული საზოგადოების ინსტიტუტად ნათლავენ, ხოლო მამასახლისს (სტარშინას) — „მახვშიდ". როგორც ადრე აღვნიშნეთ, „მახვში" არც ერთ ადრინდელ ისტორიულ საბუთში არ გვხვდება[3], ხოლო სვანური ტერმინები „ლუზორ", „ლუხორ" რაიმე სა-

1 Журн. «Вестник Европы», кн. 8-я стр. 603.

2 იქვე, გვ. 604.

3 იხ. გ. გასვიანი, სვანეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, ჟურნ. „ცნობები", 1968, № 7, გვ. 173

ჭირბოროტო საკითხთან დაკავშირებით ხალხის დროებით შეკრება-თავყრილობას ნიშნავს და არაფერი საერთო არა აქვს მთავრობის მიერ შემოღებულ სასოფლო მმართველობის მუდმივმოქმედ ორგანოსთან — ყრილობასთან და არც ამ გვაროვნულ ინსტიტუტთან, რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი გვთავაზობს.

ი. ივანიუკოვმა და მ. კოვალევსკიმ წინასწარ შედგენილი გვაროვნული საზოგადოების სქემისათვის ხორცის შესხმის მიზნით რეფორმის შედეგად შემოღებული ყრილობის ჩატარებისა და მამასახლისის არჩევის წესი და მათი ფუნქციები სახელდახელოდ გამოგონილ „სვანურ გვაროვნულ ინსტიტუტებს — ყრილობასა და მახვშის“ მიაწერეს. თხრობის დამაჯერებლობისათვის საეკლესიო ნივთი — „სანვყირიც“ (საყვირი) მოიშველიეს. აღნიშნული მკვლევარები ქვემოთ კიდევ უფრო შორს მიდიან და წერენ, რომ სხვადასხვა თემთა ყრილობა თითქოს სულ სამ ადგილზე ტარდებოდა: «В Ушкуле, на площади, называемой Жибиапи, в поселке Цвирли (სოფ. წვირმი — გ. გ.) местийского общества, на площади, называемой Симок, и в Лалвере, селении, расположенном к западу от Эцери и более не существующем»[1].

აქ გარდა იმისა, რომ ერთიმეორეშია არეული ადგილმდებარეობები (წვირმი მესტიისაგან დამოუკიდებელი, სულ სხვაგან მდებარე თემია, ხოლო მესტიაში დასახელებული მოედანი „სიმოკ“, სინამდვილეში „სიმონი“ მდებარეობს იფარის, წვირმისა და მულახის თემებს შორის), ყურადღებას იპყრობს ის, რომ ი. ივანიუკოვის და მ. კოვალევსკის განცხადებით ყრილობა (народный сход) მას შემდეგ გაჩნდა, რაც მესტიაში ჯაფარიძეთა ბატონობა დაამხეს[2]. ამ შემთხვევაში სხვა უხერხულობას (ჯერ ბატონყმობის დამხობა და შემდეგ გვაროვნული ინსტიტუტების წარმოშობა) ემატება ის, თუ როგორ გავიგოთ სადადიშქელიანო სვანეთში გვაროვნული ყრილობის მოწვევა (ყრილობის ჩასატარებელ ერთ-ერთ ად-

1 Журн. «Вестник Европы», кн. 8-я стр. 604.

2 М. М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, т. I и II, М., 1890.

ბილად ლალვერია მითითებული). თუ დასახელებულ მკვლევარებს მიაჩნდათ, რომ ყრილობას დადიშქელიანთა ყმები იწვევდნენ, ნუთუ იმაზე არ დაფიქრდნენ, რომ ამას დადიშქელიანები არ დაუშვებდნენ? ხოლო „თავისუფალი“ სვანეთის წარმომადგენელთა ყრილობის მოწვევა სადადიშქელიანო სვანეთში კიდევ უფრო წარმოუდგენელია.

გარკვეული დროის შემდეგ მ. კოვალევსკიმ სვანეთში ადრე „აღმოჩენილ“ ე. წ. „გვაროვნულ ინსტიტუტებს“ სლავ, ჩერნიგორიელ, სერბ თუ სხვა ხალხებში შენიშნული გვაროვნულ-პატრიარქალური ინსტიტუტებიც მიუმატა და ყოველივე ეს სვანეთზე გაავრცელა მექანიკურად. მ. კოვალევსკის გამოკვლევამდე სვანეთის სასოფლო საზოგადოების მმართველობის წარმომადგენლებზე 1875 წ. წერილს აქვეყნებს ლაზარე დადუანი, რომელიც წერს: „დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც სვანეთში მამასახლისები და სუდიები დააყენეს... უმეტესად მამასახლისებად და სუდიებად, ვინც ქართული იცოდა ის ამოირჩიეს. თავად-აზნაურობას სისხლი მოსდიოდათ ყელში, როდესაც გლეხებს ირჩევდნენ სოფლის მოსამართლედ... მულახის საზოგადოებაში ერთს გლეხკაცს და აზნაურიშვილს გვარიანი ჩხუბი შეექმნათ მაზედ, რომ თუ როგორ იქნება თქვენი, გლეხების ჩვენს უმფროსებად დაყენება*. ჩვენ აზნაურნი ვართ და თქვენ ჩვენი მოყმე გლეხები. დღეს აზნაურიშვილებმა უნდა მოვიყაროთ თავი და ვთხოვოთ ქუთაისის გუბერნატორს უფ. ლევაშოვს, რომ როგორც იმერეთში და რაჭა-ლეჩხუმში თავად-აზნაურობას მიეცათ ფული გლეხების განთავისუფლებაზე, აგრეთვე ჩვენც ეოგვცენ“[1]. როგორც ვხედავთ, ი. დადუანმა კარგად იცოდა, რომ სოფლის მოხელეები (მამასახლისი, მოსამართლე თუ სხვა) მოსახლეობის მიერ ირჩეოდნენ მთავრობის მითითებით.

ი. დადუანის შემდეგ მ. კოვალევსკიმდე და მის პარალელუ-

---

* როგორც ცნობილია, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ თანამდებობაზე არჩევისას წოდებრიობას გადამწყვეტი მნიშვნელობა უკვე არ ენიჭებოდა, ამიტომ მამასახლისად თუ მომრიგებელ მოსამართლედ გლეხთა წრიდანაც ირჩევდნენ.

1 ლ. დ ა დ უ ა ნ ი, მამასახლისები და სუდიები სვანეთში, ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე, თბილისი, 1973, გვ. 26.

რად სვანეთის სასოფლო მმართველობაზე, კერძოდ, ყრილობისა და მახვშის შესახებ 1885 წელს ეთნოგრაფიულ წერილებს აქვეყნებს ბესარიონ ნიჟარაძე, რომელიც წერს: „სასოფლო ყრილობა იყო უზენაესი ინსტანცია სვანეთის იურიდიულს წესთ-წყობილებაში.

სასოფლო ყრილობა დაბოლოვებით ათავებდა საზოგადო საქმეებს; არავის არ აძლევდა თავის მოქმედების ანგარიშს; არავის წინაშე პასუხისმგებელი არ იყო. ყრილობას დიდი რთული და მრავალგვარი უფლება ჰქონდა; იგი „მახვშის“ (მაზასახლისის) თავმჯდომარეობით აყრიდა მოსახლეს, ერთს ან მეტს, გადასწვავდა მის სახლ-კარს, განდევნიდა საზოგადოებიდან მავნე პირთ და დასჯიდა სიკვდილით თუ რომ საზოგადოების რომელიმე წევრს აღმოაჩნდებოდა, რომ იგი სცდილობს საზოგადოების რომელიმე თავადიშვილის ხელში ჩაგდებას საყმოდ — კერძო ინტერესებისათვის. ერთის სიტყვით, როგორც ხალხი ამბობს „ვერი მუქდენის“ — ქვეყნის ბოღალატეს; სიკვდილით ისჯებოდა ადგილობრივ ეკლესიათა გამცარცავიც“[1]. იქვე ნიჟარაძე სასჯელის საკითხს ეხება და მიუთითებს: „ახლანდელს მოდგმას თავის-თავად არ ახსოვს ვისიმე სიკვდილით დასჯა საზოგადოებისაგან“[2]. მაგრამ ნიჟარაძე იმოწმებს ზეპირ გადმოცემას, რომლის მიხედვით, თითქოს იფარის საზოგადოებაში დაუსჯიათ ვინმე გულბანი, რომელსაც ამ საზოგადოებაზე გაბატონების მოსურნე ვიღაც დევდარიანისადმი დახმარება დაბრალებია. იქვე ბ. ნიჟარაძე კვლავ ყრილობის ფუნქციებზე მსჯელობს და წერს: „სასოფლო ყრილობის საქმე იყო: ა) გადაწყვეტა სამტროდ წასვლისა (ლიმახვალდ ლიზი) გარეშე ქვეყნებში... ბ) მათი დაბეგვრა და შერიგება, გ) კავშირის შეკვრა სხვა საზოგადოებასთან, როდესაც ეს საჭიროდ აღმოჩნდებოდა და დ) განაწილება მეკომურთა შორის გარდასახადისა, თუ ამ უკანასკნელს რაიმე შემთხვევა მოითხოვდა; მაგალითად, თუ

---

[1] ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I. თბილისი, 1962, გვ. 85—86.

[2] იქვე.

საზოგადოების რომელიმე წევრი საზოგადო მტერს, გარეშეს მოჰკლავდა, მაშინ საზოგადოება ვალდებული იყო ეზღო მოკლულის ჭირისუფლისათვის „სისხლი“ (წორ) საერთოდ და თანასწორად ყოველს მეკომურს...

სასოფლო ყრილობა თავისის უფლებით სჯიდა ადგილობრივ ქურდებს... ქურდების დასჯა მდგომარეობდა ჯარიმის (ჰიბარ) გადახდევინებაში საზოგადოების და ნაქურდალის პატრონის სასარგებლოდ, რაოდენობა ქურდისაგან ამოსაღებ ჯარიმისა ყრილობის შეხედულებასა და ნებაზე იყო დამოკიდებული, ქურდის ნივთიერის შეძლებისა და მდგომარეობის მიხედვით“[1]. ქვემოთ ბ. ნიჟარაძე ეხება ყრილობის სხვა ფუნქციებსაც და მიუთითებს ამ ყრილობათა თავშესაყარ ადგილებზე, კერძოდ, ლალვერზე, სვიმონზე და უშგულზე.

თუ ჩავუკვირდებით ბ. ნიჟარაძის აღწერილს, ცხადია, საკითხი 1869 წელს რეფორმით შემოღებულ ყრილობას, მამასახლისს და მათ ფუნქციებს ეხება (ოღონდ გაზვიადებულ ფორმაში — სიკვდილით დასჯა, გადაწვა, საომრად წასვლა და სხვ.), თან ამ დაწესებულებათა მოქმედება წარსულ დროშია გადატანილი. ეს რომ ასეა, ჩანს იქიდანაც, რომ ბ. ნიჟარაძე ერთ შემთხვევაში ყრილობის ერთ-ერთ ფუნქციად გადასახადების მეკომურთა შორის განაწილებაზე მიუთითებს; ცხადია, აქ ლაპარაკია რეფორმის შედეგად შემოღებულ გადასახადებზე, რომელიც სასოფლო საზოგადოების მმართველობას კომლობრივად უნდა დაეყო. სხვა შემთხვევაში ბ. ნიჟარაძე 1875 წელს მოწვეულ სვანეთის ყრილობაზე (აჯანყებისათვის მზადებას რომ მიეძღვნა) მსჯელობს და დასძენს, რომ ფ ე დ ე რ ა ტ ი უ ლ ი რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი ს მსგავსი ყრილობის ნოწვევის საკითხი ს ა ს ო ფ ლ ო ყ რ ი ლ ო ბ ებ მ ა გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს ო; ქვემოთ იგივე ავტორი სოფ. დაუბერში მოწვეულ სასოფლო ყრილობას ეხება და წერს, რომ 1880 წელს კალის საზოგადოებაში ვიღაც პირმა მეზობელს ცხვარი მოპარა, ამ დანაშაულმა როგორც კი საზოგადოების ყურამდე მიაღწია, „მ ა შ ი ნ ვ ე ს ო ფ ლ ი ს ყ რ ი ლ ო ბ ა მ ო ხ დ ა.

---

1 ბ. ნ ი ჟ ა რ ა ძ ე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, გვ. 85—96.

მიადგა ქურდს, წაართვა ერთი ხარი და ორი ცხვარი; ორი ცხვარი მოპარული ცხვრის პატრონს მისცა ყრილობამ და ხარი თვით მოიხმარა — დაჰკლა და შეჭამა. როდესაც ადგილობრივ ადმინისტრაციამ თვითმნებელობისათვის უკმაყოფილება გამოუცხადა ყრილობას ამგვარ უკანონო მოქმედებისათვის და დააპირა ხარის გადახდევინება... ამგვარი შემთხვევები, — დაასკვნის ბ. ნიჟარაძე, — სხვა საზოგადოებაშიც ბევრი გვინახავს უკანასკნელ ხანებში"[1].

როგორც ვხედავთ, ეჭვი არ შეიძლება იყოს, რომ საკითხი მთავრობის მიერ შემოღებულ სასოფლო ყრილობას ეხება. ეს კარგად ჩანს იქიდანაც, რომ ყრილობის მიერ ქურდის მეტისმეტად მკაცრ დასჯას ადმინისტრაციის უკმაყოფილება გამოუწვევია. აღსანიშნავია, რომ მითითებული წერილების გამოქვეყნებამდე ბ. ნიჟარაძე რამდენიმე წელიწადს (1878—1883 წ..) სვანეთის საბოქაულოს საქმისმწარმოებლად მუშაობდა[2] და, ცხადია, მან კარგად იცოდა მთავრობის მიერ დაარსებული სასოფლო მმართველობის ორგანოთა ფუნქციები.

ასეთია ჩვენთვის საყოველთაოდ ცნობილი „ყრილობის" და „მახვშის" უფლება-მოვალეობანი და მათი ისტორიულ-პეშმარიტებითი არსი.

ვინც კი სვანეთს შეეხო და იქ გვაროვნული წყობილების ან მისი „მრავალრიცხოვანი" და „მნიშვნელოვანი" გადმონაშთების აღმოჩენა სცადა (ან მათი არსებობა ირწმუნა), ამოსავალ წყაროდ ი. მამაცაშვილის (მამაცოვი) და ბ. ნიჟარაძის ეთნოგრაფიული წერილები გაიხადა. მათ რიცხვს განეკუთვნებიან მ. კოვალევსკი, ი. ივანიუკოვი (რომლებიც ამ-

---

1 ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, გვ. 67 (ხაზგასმა ჩვენია — გ. გ.).

2 ბ. ნიჟარაძის ბიოგრაფია, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, გვ. 11.

ზე პირდაპირაც მიუთითებენ)[1], რ. ერისთავი[2], ე. გაბლიანი[3], ბ. დეგენ-კოვალევსკი[4], რ. ხარაძე[5] და სხვები.

ამ მცირე შენიშვნაში შეუძლებელია „ყრილობის", „მახვშის" და ამგვარი ე. წ. „გვაროვნულ" ინსტიტუტებზე დაწერილ ნარკვევთა მთელი შინაარსის გადმოცემა, თუმცა არც ერთ მათგანში არ არის დამოწმებული რაიმე სარწმუნო წერილობითი წყარო, რომელიც „მახვშის" და „ყრილობის" იმდაგვარ გაგებას და მათ ისტორიულობას დაუჭერდა მხარს, როგორც ზემოაღნიშნულ მკვლევართა მიერაა ისინი წარმოდგენილი.

თანამედროვე მკვლევართაგან „მახვშის" ეხება ა. ჩარკვიანი, რომელიც წერს: „ზღაპრულია გადმოცემა, რომ თითქოს „თემს" (საგვარეულოს) XIX საუკუნეში ჰყავდა ამორჩეული, ან დანიშნული მახვში. რა თქმა უნდა, გვარში თავისი ასაკით, გამოცდილებით და გავლენით გამოირჩეოდნენ პირები, რომელთა მოსაზრებას ნათესაობაში განსაკუთრებული ენგარიში ეწეოდა, თუმცა გვარს თუ საგვარეულოს ოფიციალური, რეალური ე. წ. საერთო მახვში არ ჰყოლია[6]. მკვლევარი განმარტავს „მახვშის" ცნებას, რომ იგი ოჯახის მეთაურს — უფროსს ეწოდებოდა. რომ იგი იყო ოჯახში ყველაზე ხანშიშესული, ცხოვრების გამოცდილების მქონე გავლენიანი პირი და აქვე დასძენს: „მახვში არ ინიშნებოდა, არ ირჩეოდა, ის თვითონ ხდებოდა ოჯახის უფროსი"[7].

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ „მახვში" (ხოშა-ხნით უფროსი) ოჯახის უფროსია. ქართული ტრადიციით ოჯახის უფროსად ასაკით უფროსი მამაკაცი ითვლებოდა (უმამაკაცოდ

---

1 Журн. «Вестник Европы», т. IV, кн. 8-я, 1886, стр. 580, 582, М., Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, т. I и II, М., 1890.

2 Р. Д. Эристов, Заметки о Сванетии, Тифлис, 1898.

3 ეგნ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი.

4 Б. Е. Деген-Ковалевский, Сванетское селение как исторический источник, Советская этнография, № 4—5, М.-Л., 1936.

5 რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბილისი, 1939; მისივე. სახალხო მმართველობის სისტემა სვანეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VI, თბილისი, 1953 და სხვ.,

6 ა. ჩარკვიანი, სვანეთი. თბილისი, 1967, გვ. 67.

7 იქვე.

დარჩენილ ოჯახში ასევე ხნით უფროსი ქალი, თუმცა სვანეთის სინამდვილეში ოჯახის უფროსი ქალის ცნებაც — „ქორა მახვში ზურაალ“ გამოგონილია. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაშიც სვანეთზე მექანიკურადაა გავრცელებული სერბი ხალხის ოჯახის ყოფისათვის ერთ დროს დამახასიათებელი „დომაჩიცას“ ინსტიტუტი).

ცხადია, მრავალრიცხოვან ოჯახში მოხუცს (ასაკით ყველაზე უფროსს), რომელსაც დიდი დამსახურება ჰქონდა, რამდენიმე შვილი, შვილიშვილი და და-ძმები ჰყავდა, უპირატესობა და პატივისცემა ჰქონდა (მოხუცის კულტი მთელ კავკასიაში არსებობდა). შემთხვევითი არ არის ქართული ფეოდალური სამართლისათვის დამახასიათებელი „საუფროსოს“ ინსტიტუტი, როდესაც ოჯახი გაიყრებოდა, უფროსს, რიგით წილთან ერთად, დამატებით საუფროსო წილიც ეძლეოდა.

ფაქტია, უფროსისადმი პატივისცემას სვანეთშიც ჰქონდა ადგილი. მოხუცი, რომელიც დამსახურებით, ჭკუით, გამოცდილებით და სხვა დადებითი თვისებებით გამოირჩეოდა, საოთანადო გავლენით სარგებლობდა არა მარტო საკუთარ ოჯახში, არამედ საძმოში („ლანხუბ“-ში), გვარში, სოფელში და ზოგჯერ მთელ კუთხეშიც. რაც შეეხება ოჯახის უფროსის „მახვშის“ იმდაგვარ გაგებას, თითქოს იგი საძმოს, გვარისა და თემის უფროსი იყო — სინამდვილეს არ შეეფერება. მართალია, საძმო სისხლით ნათესავ ოჯახებს აერთიანებდა, მაგრამ იგი შედგებოდა ცალკეული დამოუკიდებელი ოჯახებისაგან, რომელთაც თავ-თავისი უფროსი ანუ „მახვში“ ჰყავდათ. გვარს (რომელიც, როგორც სისხლით ნათესაობაზე და სამეურნეო ერთიანობაზე აგებული ერთეული, დაშლილი იყო და არა ნათესავ განშტოებებისაგან შედგებოდა) არც შეიძლებოდა ჰყოლოდა ერთი „მახვში“, რომელიც თავის ბრძანებას დაუქვემდებარებდა მთელ გვარს, მით უფრო თემს, რომლის მოსახლეობა არა მარტო სხვადასხვა გვარეულობისაგან შედგებოდა, არამედ სხვადასხვა წოდების გვარებისაგანაც. სხვათა შორის, თვით ტერმინებიც „ლანხუბი მახვში“ (საძმოს უფროსი), „გვარი მახვში“ (გვარის უფროსი) და „თემი მახვში“ (თემის უფროსი) ხელოვნურადაა გამოგონილი, ასეთი ცნებები არ არსებობენ.

სულ სხვა საკითხია ადმინისტრაციული თანამდებობის პირის — „მახვშის“ სახელწოდებით მოხსენიება. როგორც ირკვევა, რუსეთთან შეერთებისა და ადმინისტრაციული მმართველობის შემოღების შემდეგ ტერმინმა „მახვშიმ“ (ისევე, როგორც „უფროსმა“) ახალი შინაარსიც შეიძინა და მისი ცნება გაფართოვდა. ამგვარად, „მახვში“, ოჯახის უფროსის გარდა, თანამდებობის პირსაც ეწოდებოდა, მაგალითად, მამასახლისს, ბოქაულს, მოსამართლეს და ა. შ. როგორც ჩანს, მოცემულ პერიოდში ზემოაღნიშნულის გავლენით ეს ტიტული თავადთა წოდების წარმომადგენლის აღმნიშვნელიც გახდა, მაგალითად, „მახვში ფუთა“ და სხვ.

*

* *

მეფის მთავრობის მიერ განხორციელებული სასოფლო მმართველობის რეფორმა მებატონეთა გამგებლობასთან შედარებით პროგრესული მოვლენა იყო, მაგრამ სასოფლო საზოგადოებათა ახლებურმა მოწყობამ სვანეთის ცხოვრებაში ფაქტიურად დიდი სიახლე ვერ შეიტანა.

მნიშვნელოვანი საქმეები სოფლის მოხელეთა შეხედულებისამებრ წყდებოდა. ახლად შემოღებული მმართველობის ერსებითი ნაკლი ისიც იყო, რომ იგი ძალდატანებით რუსიფიკაციას ემსახურებოდა. საქმის წარმოება ადგილობრივი ხალხისთვის გაუგებარ რუსულ ენაზე წარმოებდა, რის გამო გლეხობა იძულებული იყო ზოგჯერ პროგრესული ღონისძიებებისთვისაც ზურგი შეექცია და მოძველებული ადათ-წესებით ემოქმედნა.

ახლად შემოღებული სასოფლო მმართველობა ანგარიშს არ უწევდა მოსახლეობის ეკონომიკურ შესაძლებლობას, მთავრობა არავითარ სახსრებს არ ხარჯავდა სოფლის ცხოვრების გარდაქმნისათვის. იგი არ ითვალისწინებდა თავის ხარჯზე სკოლების, საავადმყოფოების, სავაჭრო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების დაარსებას, გზების გაყვანას და სხვ. ამასთანავე, ცხოვრების ახლებურ მოწყობას მხოლოდ გლეხობაში აკრეფილი სახსრებით ცდილობდა. ამი-

ტომ, მიუხედავად ახალი მმართველობის შემოღებისა, მეფის მთავრობამ სვანეთის მშრომელი ხალხის ცხოვრების პირობები ვერც რეფორმის შემდგომ გააუმჯობესა, მისი ყოველგვარი ღონისძიებები ფაქტიურად ქაღალდზე რჩებოდა.

სასოფლო მმართველობის შემოღების არსებითი ნაკლი ისიც იყო, რომ ეს რეფორმა მხოლოდ მშრომელებს შეეხო და საზოგადოების რომელიმე წევრის დანაშაულზე პასუხს მთელი საზოგადოება აგებდა. ახლად შემოღებული ე. წ. ურთიერთთავდებობის სისტემისას პასუხისმგებლობა მხოლოდ მშრომელებს ეკისრებოდათ. ამ ნაკლოვანებაზე ილია ჭავჭავაძე ჯერ კიდევ ადრე მიუთითებდა: „თუ გლეხკაცმა დაშავა რამე, წაუხდინა რამ ვისმე, ან მღვდელს, დიაკვანს, მედუქნეს ნება აქვს იქავ თვალწინ, უხარჯოდ, მოუცდენლად, სოფლის სასამართლოს შემწეობით, გადაახდევინოს გლეხს სასჯელი, თუ საზღაური; და თუ არა — გლეხმა გლეხს დაუშავა რამე, წაუხდინა, პირობა არ აუსრულა, საწყალი გლეხი იძულებულია ათს, ოცს, ოცდაათს ვერსზე გაიქცეს, მომრიგებელ მოსამართლეს მიმართოს, რამდენიმე დღე წასვლა-მოსვლაში დაკარგოს, მერე რამდენიმე თვე საქმის გარჩევას ელოდოს... ყველა ეს იმისთანა მძიმე რამ არის გლეხისათვის, რომ მის გამო გლეხი უფრო ხშირად იძულებულია თავისი დაჩაგვრა არა — გლეხისაგან გულში გაბოროტებით ჩაიმარხოს, ხელი აიღოს საჩივარზედ, გული აიყაროს თავის სამმართველოზედაც, რომელიც უღონოა დიდის წინაშე. რა წარმომადგენელია უფლებისა იგი წყობა, რომელიც დიდის წინ ნაცრად იქცევა ხოლმე, და დაბლის წინ — ცეცხლად?! რა პატივით უნდა უყურებდეს გლეხი იმ მმართველობას, რომელიც დიდისაგან გაჭირვებულს არ ესარჩლება, არას შველის,, და რომელიც დიდისათვის კი თავს გამოიდებს ხოლმე...

ყოველ ამის გამო, ჩვენის სოფლის სამმართველო და მისნი მოხელენი პოლიციის ბრმა მსახურებს და დარაჯებს უფრო წარმოადგენენ, ვიდრე სოფლის საზოგადოების ინტერესებს“[1].

---

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, VIII, თბილისი, 1928, გვ. 64—70.

ი. ჭავჭავაძის მიერ მოცემული ეს კლასიკური დახასიათება კარგად ასახავს სვანეთის სათემო მმართველობის მთელ დედაარსს და მის ნაკლოვანებებს. საქმე ის არის, რომ სიმართლის ძებნა აქ ცაგერში ან ქუთაისში წასვლასთან იყო დაკავშირებული, სადაც, აგრეთვე, გლეხს სიმართლის პოვნის არავითარი გარანტია არ ჰქონდა. სასოფლო-სათემო მმართველობის მანკიერებას ჯერ კიდევ 1875 წელს შეეხო ლაზარე დადუანი. მისი გადმოცემით, მუჟალში ერთმა აზნაურმა გლეხის ეზოდან ხარი წაიყვანა. როცა ეს გლეხმა შეიტყო, მივიდა აზნაურთან და შეეხვეწა ხარი დაებრუნებინა, მაგრამ აზნაურმა ხარი დაკლა და მთელი კვირა იქეიფა. ამის თაობაზე გლეხმა მამასახლისთან და მომრიგებელ მოსამართლესთან იჩივლა, მაგრამ მის ჩივილს ყური არავინ დაუგდო, სანამ სახლში არ დაპატიჟა და ცხვარი არ დაუკლა. ქეიფის შემდეგ მამასახლისმა და მომრიგებელმა გლეხის საქმე დაივიწყეს. რადგან გლეხმა ადგილზე ვერაფერი გააწყო, მაზრის უფროსთან იჩივლა, მაგრამ ლეჩხუმში სიარულითაც ვერაფერს გახდა და ბოლოს იძულებული შეიქნა ჩივილი შეეწყვიტა[1]. ადმინისტრაციულ მმართველთა უკანონო მოქმედებასთან ერთად ლ. დადუანი აგვიწერს სასოფლო-სათემო სასამართლოში გამეფებულ მექრთამეობასა და განუკითხაობას. სასამართლოში არჩეულმა მომრიგებელმა მოსამართლემ და ხევისთავებმა (ლაპარაკია სოფლის თავკაცებზე — გ. გ.), — წერს ლ. დადუანი, — გარკვეულ სიკეთესთან ერთად ბევრი საქმეც წაახდინეს, როდესაც ისინი საქმის მოსაგვარებლად დამნაშავის ოჯახში მიდიან, არყით, ხორცით და პურით ძღებიან, ხოლო დანაშაულს ხუთმაგად ანაზღაურებინებენ (ორმაგს დაზარალებულს უბრუნებენ და დანარჩენს თვითონ იტოვებენ)[2]. სოფლის სასამართლოს ამგვარ მოქმედებაზე ლ. დადუანი არაერთხელ მიუთითებს.

აღნიშნული სისტემის გამო სვანეთში კანონმდებლობასა და ოფიციალურ მოხელეებს იშვიათად თუ ვინმე მიმართავდა. მთავრობის ღონისძიებებს თუ ცალკეულ მოხელეთა უკანონო

---

1 ლ. დადუანი, მამასახლისი და სუდიები სვანეთში, გვ. 28—29.

2 იქვე, გვ. 39.

მოქმედებას ხალხი ხშირად პროტესტითა და შეიარაღებული გამოსვლით ხვდებოდა.

არსებული მონაცემების მიხედვით სვანეთის საბოქაულოში, სასამართლო ორგანომ სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით განიხილა შემდეგი საკითხები (იხ. ცხრილი 1)[1]:

ცხრილი

| საქმე აღიძრა | საქმეთა რაოდენობა* | |
|---|---|---|
| | 1886 წ. | 1887 წ. |
| ქონებრივ დავაზე | 22 | 16 |
| სახაზინო საქმეზე | 4 | — |
| სხვადასხვა საქმეზე | 2 | 1 |
| ვალის გადაუხდელობის გამო | 16 | 13 |
| პირად ვალდებულებასთან დაკავშირებით | 3 | 4 |
| ზიანთან და ზარალთან დაკავშირებით | 3 | 1 |
| მეურვეობის გამო | 6 | — |

რა თქმა უნდა, ეს მონაცემები სრული არ შეიძლება იყოს, რადგან გლეხს მხოლოდ უკიდურესობა აიძულებდა სასამართლოსათვის მიემართა. ამიტომ დანაშაულთა დიდი ნაწილი შინაურული ადათ-წესით წყდებოდა. მიუხედავად ამისა, ძარცვა, ქურდობა თუ სხვა ამგვარი დანაშაული სვანეთში საერთოდ იშვიათად ხდებოდა. მოგზაურს შეუძლია, — წერს ვ. ტეპცოვი, — დამშვიდებული შემოუაროს მთელ სვანეთს ისე, რომ არ ჰქონდეს გაძარცვის შიში[2].

წერილობითი მონაცემების მიხედვით 1886 წელს სვანეთში მოხდა სისხლის სამართლის დანაშაულობანი (იხ. ცხრილი 2)[3].

ცხრილში მოცემულიდან 1 თავადი და 5 გლეხი მისცეს პასუხისგებაში პოლიციელისა და სასამართლოსადმი შეურაცხყოფის გამო, აქედან ერთ თავადს და ერთ გლეხს ფულადი

1 В. Я. Тепцов, Сванетия, СМОМПК, вып. X, отд. I, стр. 63.

* რადგან ყველა წლის მონაცემი არ მოგვეპოვება, იძულებული ვართ მხოლოდ აღნიშნულით ვისარგებლოთ.

2 В. Я. Тепцов, Сванетия, стр. 63.

3 იქვე.

| დანაშაულის სახე | აზნაური | | თავადი | | გლეხი | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მამრ. | მდ. | მამრ. | მდ. | მამრ. | მდ. |
| მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისგებაში | 1 | — | 17 | 1 | 83 | 4 |
| განთავისუფლებულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან | — | — | 11 | 1 | 20 | 1 |

ჯარიმა მიუსაჯეს, ხოლო 4 გლეხს პატიმრობა. სულ 106 ბრალდებულიდან 33 გამართლდა. თუ ჩავთვლით, რომ ყველა დანარჩენი დამნაშავე იყო, გამოდის, რომ ერთი წლის განმავლობაში მთელ სავანეთში სისხლის სამართლის 73 დანაშაული მოხდა. ამ შემთხვევაში ძნელია თავს ვიდოთ ამ მონაცემების სიზუსტე, მაგრამ ერთი რამ ფაქტია — სისხლის სამართლის დანაშაულის და მათ შორის მკვლელობის საქმეს მეფის მოხელეები აღურიცხავს ნაკლებად ტოვებდნენ. ამდენად, საფუძველსმოკლებული და გაზვიადებულია ზოგიერთი მოხელის, მოგზაურისა თუ მკვლევარის განცხადება — სვანეთი თითქოს სისხლის აღებისა და ხოცვა-ჟლეტის მოედანს წარმოადგენდა*

* დ. დობროვოლსკის განცხადებით, სვანეთში მამაკაცები თითქოს თავისით იშვიათად კვდებოდნენ, არამედ ერთმანეთს კლავდნენ, რის გამოც მოხუცებულები არ არიანო (იხ. ЗКОСХ, № 6, 1868, გვ. 209). ასეთივე განცხადებას აკეთებს ნ. დუბროვინი, რომლის მიხედვით „სვანეთში ვერ ნახავთ კაცს, რომელსაც სხვა არ ყავდეს მოკლული“ (იხ. Сванети, История войны и владычества русских на Кавказе, I кн. 2-я, III, 1867). მსგავს მოსაზრებას გამოთქვამენ: ევგ. კოვალევსკი (журн. „Вестник Европы“, III, 1867) და ბორის კოვალევსკი (Страна снегов и башен „Прибой“. 1913). სამწუხაროა, რომ აღნიშნულ უსაფუძვლო და ტენდენციურ მოსაზრებას ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარიც იმეორებს. მაგალითად, ვ. ჯაოშვილისა და მ. შენგელიას ნარკვევის მიხედვით, სვანეთის მოსახლეობის რიცხობრივი ზრდის ერთ-ერთ დამაბრკოლებელ მიზეზს „სისხლის აღების წესი“ და „მეზობელ თემებს შორის დაუსრულებელი შუღლი“ წარმოადგენდა (იხ. სვანეთის მოსახლეობა, კრებულში: მაღალმთიანი რაიონების ეკონომიურ-გეოგრაფიული ნარკვევი, თბილისი, 1970, გვ. 61).

ახალი მმართველობის შემოღებამ სვანეთში ერთგვარი ბიძგი მისცა განათლების განვითარებას. 70—80-იან წლებში აქ რამდენიმე დაწყებითი სკოლა გაიხსნა, მაგრამ სათანადო სახსრების უქონლობისა და მასწავლებელთა სიმცირის გამო ზოგიერთი მათგანი კიდევაც დახურულა. სვანეთიდან ზოგიერთი ახალგაზრდა ქუთაისში წასულა სასწავლებლად. მაგრამ სწავლა-განათლებას მაინც ვიწრო მასშტაბი ჰქონდა, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი წერა-კითხვის უცოდინარი იყო. მიუხედავად უკიდურესი პირობებისა, XIX საუკუნის 80-იან წლებში სვანეთში წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. ამასთან დაკავშირებით სვანეთის ერთ-ერთი მკვლევარი ვ. ტეპცოვი ერთგვარ გაკვირვებასაც კი გამოთქვამს. იგი, ერთი მხრივ, ხაზს უსვამს მოსახლეობის განათლების მიღებისათვის მისწრაფებას, მეორე მხრივ, სინანულს გამოთქვამს სასწავლო ქსელის ვიწრო მასშტაბის გამო და ამ მხრივ მეფის მთავრობის უმოქმედობაზე[1].

მიუხედავად ერთგვარი ჩამორჩენისა, XIX ს-ის მიწურულში მარტო ე. წ. ბალსზემო სვანეთში (ბალსქვემოზე მონაცემები არ მოგვეპოვება) სოფლის 13 სკოლა არსებობდა (7 საეკლესიო-სამრევლო და 6 საერო), ხოლო ქვემო სვანეთში 4 სკოლა (2 საეკლესიო და 2 საერო). ბალსზემო სვანეთის სკოლებში სულ 419 მოსწავლე სწავლობდა, ხოლო ქვემო სვანეთში —82[2]. იმავე პერიოდისათვის სვანეთში (ბალსქვემო სვანეთის გამოკლებით) საშუალო სასწავლებელდამთავრებული 40-ს უდრიდა, ხოლო ქალაქის სხვადასხვა სასწავლებლებში 30-მდე მოსწავლე სწავლობდა[3].

(ასეთი იყო 1869 წელს სვანეთში მეფის მთავრობის მიერ შემოღებული სასოფლო-სათემო მმართველობა (აგრეთვე ყრილობისა და მამასახლისის — „მახვშის“ ფუნქციები და არსი), რომელმაც მშრომელი მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები ვერ შეიტანა.)

---

1 В. Я. Тепцов, Сванетия, стр. 65.

2 ი. მარგიანი, წერილი სვანეთიდან, ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე, თბილისი, 1973, გვ. 178—179.

3 იქვე.

## თავი მესამე

# გლეხთა აჯანყება

### 1. მღელვარების დასაწყისი

რუსეთთან შეერთებისა და რუსული მმართველობის შემოღების საწყის ეტაპზე სვანეთის მართვა-გამგეობის ხარჯებს ხაზინა იხდიდა. შემდეგ, მთავრობის გადაწყვეტილებით, ეს ხარჯები მოსახლეობას უნდა გაეღო. მთავრობის ამ განსრახვამ სვანეთის მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია.

ხალხს კარგად ახსოვდა ცარიზმის მოხელეთა უხვი დაპირებები ყოველმხრივი დახმარების აღმოჩენაზე. სინამდვილეში კი პირიქით — მოსახლეობას ბეგარა-გადასახადები უნდა დაკისრებოდა.

გადასახადების შესაძლო შემოღებით დაშინებული გლეხობა მთავრობის მოხელეებს პროტესტს უცხადებდა, გარანტიას თხოულობდა, რომ არავითარი ბეგარა-გადასახადი არ დაწესებულიყო.

ცრუ დაპირებებისა და უკანონო მოქმედების გამო ბოქაულსა და მოხელეებს ხალხი არარად აგდებდა. უკმაყოფილება წინააღმდეგობაში რომ არ გადაზრდილიყო, ბოქაული ხალხს აშოშმინებდა, ირწმუნებოდა, რომ არ არის განზრახული რაიმე გადასახადის შემოღება, მალულად კი მთავრობის მოწინააღმდეგეებს აღრიცხავდა და დასმენასაც არ ერიდებოდა.

კავკასიის ადმინისტრაციამ გადასახადების შემოღება მთელი სვანეთის ერთიანი გამგებლობის დაწესებასა და საგლეხო რეფორმის გატარებას დაუკავშირა. ამასთან დაკავშირებით 1869 წლის ივლისში ქუთაისიდან სვანეთში მიდის გენე-

რალ-გუბერნატორი ლევაშოვი, რომლის მიზანი, სხვათა შორის, მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლების ალაგმვა და ბატკაცე წესრიგის დამყარებაც იყო.

გენერალ-გუბერნატორმა სვანეთში ჩასვლამდეც კარგად იცოდა ხალხის უკმაყოფილების მიზეზები. იქ ჩასვლისთანავე დამნაშავედ ცნობილი 28 პირი დაიბარა და განმარტებები მოსთხოვა. „დამნაშავეებთან“ საუბრისას გუბერნატორი ერთხელ კიდევ დარწმუნდა, რომ სვანეთში გადასახადების დაწესებას და, მით უფრო, რეპრესიებს შეიძლებოდა მძიმე შედეგები მოჰყოლოდა. ამიტომ საქმის მშვიდობიანი მოწესრიგება არჩია და დამნაშავედ მიჩნეული პირები პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლა.

სვანეთის ერთ საბოქაულოში გაერთიანების, საერთო მმართველის დანიშვნისა და სასოფლო-სათემო მმართველობის დაარსებასთან ერთად, გუბერნატორმა სვანეთში საკომლო გადასახადები დააწესა, კერძოდ: ჩუბეხევსა და ბეჩოში 5 მანეთი. ხოლო დანარჩენ კუთხეებში —1 მანეთი და 30 კაპიკი*.

ასეთი „მცირე“ გადასახადების შემოღებას (მაგალითად, მეზობელ სამეგრელოში იგი 2 მანეთსა და 60 კაპიკს უდრიდა) გუბერნატორი მთავრობის წყალობად ასაღებდა და ხალხს არწმუნებდა, რომ ხელისუფლება სვანეთის კეთილდღეობისათვის ზრუნავს და მის სიღარიბეს ანგარიშს უწევს. ამასთანავე, კავკასიის მმართველობისადმი მიწერილ წერილში გუბერნატორი სვანეთის მოსახლეობას ადანაშაულებდა და წერდა, რომ მოსახლეობას თითქოს გაუნათლებლობის გამო გადასახადების გადახდის აუცილებლობა ჯერ კიდევ არ ჰქონდა შეგნებული.

რაკი გუბერნატორს ეშინოდა, რომ სვანეთის მოსახლეობა გადასახადს არ გადაიხდიდა, ის სვანეთში ყოფნის დროსვე ააკრეფინა[1].

ახალი მმართველობის შემოღება მიზნად ისახავდა მეფის

---

* გადასახადების სიდიდის სხვადასხვაობა გამოწვეული იყო იმით, რომ ჩუბეხევი და ბეჩო ხაზინის კუთვნილებად იყო გამოცხადებული. მაგრამ დიდი დავის შემდეგ ხაზინას მხოლოდ ჩუბეხევი გადაეცა, ხოლო ბეჩო დადიშქელიანებს დარჩა.

[1] СХАО, т. II, стр. 522.

ალაუფლებისა და კანონმდებლობის საბოლოო განმტკიცე-ბას, სვანეთის მოსახლეობის ძალდატანებითი ასიმილაციის დაჩქარებას. სვანეთში შეიზღუდა ან აიკრძალა ქართულ ენაზე საქმის წარმოება და სწავლება.

XIX საუკუნის 50-იან წლებში სამხედრო მოხელე ბარტოლომეის (არქეოლოგი და ნუმიზმატიკოსი) სვანებისათვის რუსული ანბანისა და რუსულ-სვანური ლექსიკონის შედგენა დაევალა. გადაწყდა, რომ ღვთისმსახურებაც რუსულ ენაზე წარმოებულიყო. ყოველივე ამის საფუძველზე სვანეთის მოსახლეობა რუსულ ენაზე უნდა გადასულიყო, რუსულ ყაიდაზე გარდაქმნილიყო. რადგან ბარტოლომეიმ ვერაფერი გააწყო, საქმის მოგვარება მეორე სამხედრო მოხელეს — უსლარს დაეკისრა. მან, როგორც ფილოლოგმა, სვანებისათვის რუსული ანბანი და რუსულ-სვანური ლექსიკონიც შეადგინა.

მეფის მთავრობისა და მის მოხელეთა მტკიცებით, „სვანეთში საჭირო არ იყო ქართულ ენაზე საქმის წარმოება და ქართული ენის განვითარება, რადგან მეფის მოხელეთა განჯით, საბოლოოდ მთელ საქართველოში რუსული ენა უნდა დამკვიდრებულიყო". რუსული ენის დანერგვისა და გავრცელების, სააგიტაციოდ სვანეთში გაიგზავნა ქუთაისის გიმნაზიის მასწავლებელი და დირექტორი სტოიანოვი, რომლის აზრითაც, სვანეთში მხოლოდ ერთადერთი სახელმწიფო ენა — რუსული ენა — უნდა გავრცელებულიყო.

მიუხედავად მრავალი დაპირებისა, თვითმმართველობამ სვანეთის კეთილდღეობისათვის არავითარი სახსრები არ გაიღო; კიდევ მეტი, გუბერნიის მმართველობა დღენიადაგ იმას ჩიოდა, რომ იქ დაწესებული გადასახადები თვით ადგილობრივ მართვა-გამგეობის ხარჯებს ვერ ფარავდა.

ეკონომიკური სიდუხჭირე, უგზოობა და უსწავლელობა სვანეთის მოსახლეობას კვლავინდებურად ტანჯავდა. მართალია, რუსეთთან შეერთებას მნიშვნელოვანი პროგრესი მოჰყვა, მაგრამ, მეორე მხრივ, საკომლო გადასახადების შემოღებამ, მჩაგვრელმა რეჟიმმა და ასიმილატორულმა პოლიტიკამ ხალხი სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა.

გლეხობა ახალი მჩაგვრელის თავიდან მოშორებაზე ოცნე-

ბობდა. ამას კარგად გრძნობდა გუბერნიის მმართველობაც, 1871 წლიდან სვანეთში (ბეჩოში) სამხედრო ასეული შეიყვანა.

მართალია, სვანეთში დაბანაკებული სამხედრო ნაწილის მთავარი მისია მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებისა და არეულობის აღკვეთა იყო, მაგრამ სინამდვილეში მისი უფროსი ყველა საქმეში ერეოდა, ანგარიშს არ უწევდა საუკუნეების მანძილზე შემუშავებულ ადგილობრივ ადათ-წესებს. საქმეებს სამხედრო დროის კანონებით „აწარმოებდა“ და სამხედრო რეჟიმის დამკვიდრებას ცდილობდა.

მიუხედავად მოსახლეობის სისტემატური წინააღმდეგობისა, მთავრობა არ აპირებდა ასიმილატორულ პოლიტიკაზე და ხალხის ჩაგვრაზე ხელის აღებას. მის მიზანს მარტო სვანეთის მმართველობისათვის გაღებული ხარჯების ამოქაჩვა როდი შეადგენდა, იგი კუთხის ეკონომიკურ ათვისებასაც ესწრაფვოდა.

1873 წელს სვანეთში თუთუნსა და არაყზე სააქციზო გადასახადი დაწესდა, მაგრამ ეს მთავრობას დიდ შემოსავალს ვერ აძლევდა, ამიტომ კავკასიის ადმინისტრაცია სვანეთის მოსახლეობის მეტი დაკაბალებისათვის ახალ საშუალებას ეძებდა.

უდავოა, რომ მთავრობის განკარგულება მიწების გაზომვაზე ამ მიზანს ემსახურებოდა. გადაწყვეტილება მიწის გაზომვაზე გუბერნიის ადმინისტრაციამ ბოქაულს აცნობა, ამ უკანასკნელმა 1875 წლის ივნისში მოსახლეობა გააფრთხილა, რომ მათი მიწის ფართობის გასაზომად კომისია მოდიოდა და ამისათვის მზად ყოფილიყვნენ. ამან ხალხს ეჭვი აღუძრა — იქნებ მთავრობას მიწაზე გადასახადების შემოღება აქვს განზრახულიო.

მთავრობის ახალი განკარგულება სვანეთში ელვის სისწრაფით გავრცელდა. გლეხობა სხვადასხვა მოსაზრებას გამოთქვამდა. გამოცდილ გლეხებს ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ახალი ღონისძიება მიწაზე გადასახადის შემოღებას მოასწავებდა, მაგრამ ეს ზოგიერთს არ სჯეროდა, რადგან არც თუ ისე დიდი დრო იყო გასული მას შემდეგ, რაც საკომლო გადასახადი დაწესდა და მეფის მოხელეები ირწმუნებოდნენ, რომ სვანე-

თის მოსახლეობის ყოველგვარი ვალდებულება ამით აწოიწურებოდა.

სინამდვილის დასადგენად სხვადასხვა თემის გლეხთა წარმომადგენლები ბეჩოში ეწვივნენ ბოქაულ ჯორჯაძეს, რომელმაც გლეხთა წარმომადგენლების შეკითხვებზე განმარტების მიცემა არ ინება და მოკლედ განუცხადა — „მთავრობამ ბრძანა თქვენი მიწების გაზომვა, ალბათ საჭიროა, მე კი სათანადო ცნობების წარდგენა მევალება“.

ძნელია იმის ზუსტად დადგენა, თუ გლეხობამ მიწაზე გადასახადის დაწესება პირველად ვისგან გაიგო — მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლებისაგან თუ შემთხვევითი პირებისაგან, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ასეთი გადაწყვეტილება მართლაც არსებობდა და გლეხობამ ეს ოფიციალურად თუ არაოფიციალურად შეიტყო. ყოველ შემთხვევაში, რაკი ბოქაულმა თავი აარიდა მასთან მისულ გლეხთა დარწმუნებას, რომ არავითარი გადასახადების შემოღება არ იყო განზრახული, ამან ეჭვები უფრო გააძლიერა და ბევრი ააფორიაქა. მაგრამ რაკი სათანადო ოფიციალური განკარგულება ჯერ არ იყო გაცემული, ხალხი მთავრობის წინააღმდეგ მოქმედების დაწყებაზე თავს იკავებდა.

(მართლაც, დაიწყო ლატალის თემის მიწების გაზომვა. მიუხედავად მითქმა-მოთქმისა, აშკარა წინააღმდეგობა არავის უცდია. იმავდროულად მიწების გაზომვა უნდა დაწყებულიყო მულახისა და მესტიის თემებშიც, სადაც მოსახლეობამ თავი ვეღარ შეიკავა და კომისიას დავალებული საქმის დაწყება აუკრძალა)

საისტორიო წყაროების მოწმობითაც და ე. გაბლიანის სიტყვებით რომ ვთქვათ, მღელვარების პირველი ნაპერწკალი ლატალში გაჩნდა, ხოლო მულახში აინთო ცეცხლი, რომელიც მთელ ბალსზემო სვანეთს მოედო.

სხვათა შორის, გლეხთა წაქეზებასა და მღელვარების გაჩაღებაში აქტიური როლი ითამაშეს მესტიისა და მულახის აზნაურებმა, რაზეც ა. ჩარკვიანი სამართლიანად მიუთითებს.

საქმე ისაა, რომ სვანეთის აზნაურები დიდად განაწყენებული იყვნენ მეფის მთავრობაზე, რომელმაც საგლეხო რეფორმის გატარების დროს (1869—1871 წწ.) მხოლოდ ზოგა-

�ად ცნო ე. წ. „თავისუფალი სვანეთის“ აზნაურების ზოგიერთი უფლება და შინაყმათა თუ გლეხთა საბოლოო განთავისუფლებაზე მათ არავითარი გასამრჯელო არ მისცა[1]. რადგან აზნაურთა მრავალგზის თხოვნამ თავის დროზე უშედეგოდ ჩაარა, ისინი განაწყენებული იყვნენ და ახლა მთავრობის ღონისძიებას გადასახადების შემოღებაზე ყოველნაირად წინააღუდგნენ.

მღელვარების მონაწილე გლეხთა დაკითხვის ოქმიდან, ასევე ქუთაისის გუბერნიის მმართველის მალაფეევის მეფისნაცვლისადმი მოხსენებიდანაც ჩანს, რომ მესტიისა და მულახის აზნაურები პირველნი გადაეღობნენ მთავრობის ღონისძიებებს. ამასთან დაკავშირებით ვიცე-გუბერნატორი მალაფეევი მეფისნაცვალს მოახსენებდა: მართალია, ლატალის საზოგადოება (სადაც პირველად დაიწყო მიწების აღწერა) უნდობლად მოეკიდა ჩვენს ღონისძიებას, მაგრამ მას აშკარა წინააღმდეგობა არ გაუწევია. ხოლო, როდესაც ბოქაულმა და მისმა თანაშემწემ მესტიასა და მულახში აღწერის უწყისების გაცემა მოიწადინეს, აზნაურებმა მათ მიღებაზე კატეგორიული უარი განაცხადეს[2].

როგორც აღვნიშნეთ, აზნაურების ეს წინააღმდეგობა შემთხვევითი არ იყო, ისინი მეფის ხელისუფლების მიმართ შეგნებულად იყვნენ მტრულად განწყობილი.

მიუხედავად იმისა, რომ ლატალში მიწის მზომელები აშკარა წინააღმდეგობას არ წააწყდნენ, აქაურმა გლეხობამ თავისი წარმომადგენლები დააგზავნა დანარჩენ საზოგადოებებში, შეატყობინა ყოველივე და თხოვა ერთად გამოსულიყვნენ მთავრობის განზრახვის აღსრულების წინააღმდეგ. მართალია, მიწის გაზომვის წინააღმდეგ მესტიის მოსახლეობამაც პროტესტი გამოთქვა, მაგრამ აშკარა და შედარებით ორგანიზებუ-

---

[1] იხ. გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბილისი, 1973, გვ. 344—348.

[2] ა. კოპლავაშვილი. გლეხთა შეიარაღებული აჯანყება სვანეთში 1875—1876 წწ. (დოკუმენტების პუბლიკაცია და შესავალი წერილი), სჭ. სსრ შსკ საარქივო სამმართველოს ჟურნალი „საისტორიო მოამბე“, I, 1945, გვ. 145.

ლი წინააღმდეგობა პირველად მაინც მულახის საზოგადოებაში დაიწყო.

(ბ. ნიჟარაძე და ე. გაბლიანი გადმოგვცემენ, რომ მთავრობის გადაწყვეტილებით აღელვებული მულახის მოსახლეობა შეიკრიბა სოფ. ჭოლაშში) სადაც ერთიმეორეს ეკითხებოდნენ: რატომ გვიზომავენ მიწებს, რა უნდათ ჩვენგან? მიწას თუ გადასახადი დაედო — ჩვენი ცხოვრება შეუძლებელია და სხვ. როცა ხალხმა ყიჟინითა და ჩოჩქოლით გული იჯერა, სიტყვაში გამოვიდა მულახის თემის მამასახლისი ყასბულათ შერვაშიძე: „ყველამ ვიცით, რაც ბოქაულმა გამოგვიცხადა, დანამდვილებით არ ვიცი რისთვის გვიზომავენ მიწებს! სხვა რა მიზეზი უნდა იყოს მიწების აღწერა, თუ არა მათი დაბეგვრა?"[1] ყრილობის* მონაწილეები კვლავ ახმაურდნენ და გაიძახოდნენ — ეს არ მოხდება, მიწაზე გადასახადს არ გადავიხდით! გარკვეული სჯა-ბაასის შემდეგ ყრილობის მონაწილეებმა დაადგინეს: „შევატყობინოთ ჩვენი აზრი თავისუფალი სვანეთის ყველა სოფელს — თუ მთავრობას მართლაც აქვს განზრახული მიწების დაბეგვრა, არზა მივცეთ, რომ ეს არ ინებოს, თუ თხოვნით არაფერი გაგვიგიდეს, მაშინ ყველამ იარაღს მოვკიდოთ ხელი და ჩვენი უფლებები ისე დავიცვათ, როგორც ჩვენი სახელოვანი წინაპრები იცავდნენ თავს ყოველგვარი ძალადობისაგან". აქვე დაადგინეს, რომ ეს გადაწყვეტილება ეცნობებინათ დანარჩენი თემებისთვისაც 50 წარმომადგენლის მეშვეობით.

როგორც ბ. ნიჟარაძე და ე. გაბლიანი გადმოგვცემენ, მეორე დღეს მულახის ორმოცდაათი წარმომადგენელი მესტიაში ჩავიდა და თავისი თემის გადაწყვეტილება აცნობა. მესტიაშიც, როგორც მულახში, მთელი საზოგადოება შეიკრიბა და მულახის მაგალითს მიბაძა. მათ თავიანთი გადაწყვეტილება ლენჯერის მოსახლეობას აცნობეს, ხოლო სამივემ ერთად

---

1 ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, II, გვ. 174.

* მთავრობის მიერ 1869 წ. განხორციელებული რეფორმით ყრილობა იყო სასოფლო-სათემო მმართველობის უმაღლესი ორგანო, ზოგიერთი მკვლევარი კი ამ ყრილობას სვანეთში გვაროვნული წყობილების გადმონაშთად ნათლავს.

ლატალისა, სადაც ეკლესიის ეზოში თავმოყრილმა ხალხმა სრული თანაგრძნობა და მხარდაჭერა გამოუცხადა მულახის, მესტიისა და ლენჯერის საზოგადოებების გადაწყვეტილებებს და ბოლოს ოთხივე საზოგადოების 200-მდე წარმომადგენელმა ერთიმეორეს შეჰფიცეს, რომ ერთგულნი და ერთიანი ყოფილიყვნენ. აქვე გადაწყდა, ოთხი საზოგადოების წარმომადგენლებს თავისი გადაწყვეტილება იფარის, კალის, უშგულისა და სხვა საზოგადოებებისათვის შეეტყობინებინათ და თუ ეს უკანასკნელნიც მხარს დაუჭერდნენ, ყველანი ერთად შეკრებილიყვნენ კალის საზოგადოებაში, სადაც სვანეთის მთავარ სალოცავში — კვირიკესა და ივლიტას ეკლესიაში საბოლოო გადაწყვეტილება მიეღოთ, რასაც ფიცითაც დაადასტურებდნენ.

იფარის, კალისა და უშგულის მოსახლეობამ შეიტყო მულახის, მესტიის, ლენჯერისა და ლატალის გლეხობის გადაწყვეტილება და ის ერთხმად მოიწონა.

(ივნისის დასაწყისში, დანიშნულ დროს, მთელი ბალსზემო სვანეთის წარმომადგენლები — ბრძოლისუნარიანი 2 ათასამდე მამაკაცი კალის თემის სოფელ ლალხორში შეიყარა*) შეიარაღებული ხალხი დილაადრიანად შეიკრიბა პატარა მინდორში. ყველა ერთნაირად ღელავდა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობა აქტიურობდა. ცოტა ხანიც და კრება თადარიგს შეუდგა. ხალხს გამოეყო ერთი მოხუცებული თავკაცი გინადრუყვ გირგვლიანი, რომელმაც აღნიშნა: „ხათრი დასდევით ჩემს მოხუცებულობას, ჩემს ჭაღარას და გამიგონეთ, დაწყნარდით, დამშვიდდით, ასე აღელვებით საქმე არ გაკეთდება. მოლაპარაკე ავირჩიოთ. კარგად გავიგოთ ყოველივე, მოვისაზროთ რა გზას უნდა დავადგეთ. ჯერ ისეთი გაჭირვება

---

* ლალხორ სვანურად თავშესაყარ, შესაკრებ ადგილს ნიშნავს. „ლალხორ“ წარმოდგება ლუხო-ლუზორიდან, რაც შეკრება-თავმოყრას ნიშნავს. სხვათა შორის, სვანეთის ერისთავ გელოვანთა რეზიდენციაც ამ სოფელში იყო. აქ მდებარეობდა სვანეთის ერთ-ერთი მთავარი, უძლიერესი და უმდიდრესი კვირიკესა და ივლიტას სახელობის მონასტერი. ამასთანავე ლალხორი კეტაედა ზემო სვანეთიდან ქვემო სვანეთისაკენ და აქედან ლეჩხუმ-ქუთაისისკენ მიმავალ მთავარ გზას. ყველაფერი ეს იმაზეც მეტყველებს, რომ სოფ. ლალხორი თავის დროზე მთელი სვანეთის ერთ-ერთ ისტორიულ ცენტრს და თავშესაყარს წარმოადგენდა.

�ა დაგვდგომია რა, რომ მაინცდამაინც თავი გავიმეტოთ, და თუ შემდეგში რაიმე განსაცდელი მოგველის, მაშინ თავს ხურავინ დაზოგავთ, პირველი მე გაგიძღვებით, სადაც საჭირო იქნება. დაე დიაცის ლეჩაქი დაეხუროს მას, ვინც გაგაჭირვების დროს თავი დაზოგოს...“[1].

გ. გირგვლიანის მოწოდებაზე ყველანი დამშვიდდნენ და სმენად იქცნენ (ყრილობამ ხელმძღვანელად ერთხმად აირჩია მულახის მკვიდრი ყასბულათ შერვაშიძე, რომელსაც კარგად იცნობდა გუბერნიის ხელმძღვანელობა. იგი თავდაპირველად ბოქაულის მდივანბეგად მუშაობდა, ხოლო შემდეგ —1869 წლიდან — მულახის მამასახლისად.)

ყრილობის მონაწილეთა თხოვნით ყასბულათ შერვაშიძემ ყრილობის მონაწილე სხვადასხვა თემთა წარმომადგენლებს (ჩენილებს) მიმართა: „ამგვარი ყრილობა მთელის ხევისა, როგორსაც დღეს ვხედავ, აქ ძველად ხშირად ყოფილა თურმე. ამისთანა ყრილობას გამოიწვევდა ხოლმე საზოგადო გაჭირვება. ვთქვათ, რომელიმე თავადიშვილის გვარეულობა მოინდომებდა სვანების ხელში ჩაგდებას, ჩვენზე ბატონობას, ჩვენი შამა-პაპანი ხევობას („ხევობ“*) მოიწვევდნენ და საზოგადო მეტრს საკადრის პასუხს გასცემდნენ. ძველებისაგან ნაამბობნაარაკევი მრავალი შემთხვევა ვიცი, როდესაც ჩვენზე ბატონობის მოსურნე შერცხვენილი დაგვიტოვებია. ჩემზე უფრო მოხუცნი ურევია ამ ყრილობას და ისინი ჩემზე უკეთ გეტყვიან, რომ ვისაც ჩვენი დამონება, ხელში ჩაგდება მოუნდომებია, ყველანი ჩვენი მსხვერპლი გამხდარან: თოფი და ხანჯალი ყოფილა ჩვენი დამცველი! სვანეთის სალოცავმა გვაშოროს, რომ თოფი და ხანჯალი დაგვჭირდეს ეხლაც. ამგვარი საქმის მოსურნე არავინ ვართ, რადგან სიცოცხლე გვინდა და არა სიკვდილი. ჩხუბში რუსებს ვერ გაუმაგრდებით, რადგან ისინი ბევრნი არიან — გამოულეველნი და ჩვენ ცოტანი ვართ. მართალია, თავს ვისისხლებთ, მაგრამ რუსები მაინც მრავალნი დარჩებიან და ჩვენ ისეთი საქმე მოგვივა, როგორც აფხაზებს**,

---

1 ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, II, გვ. 175.

* „ხევობ“ — სხვადასხვა ხევის (ძველ სვანეთში ხევი ეწოდებოდა თემს, ზოგჯერ ცალკეულ სოფელსაც) წარმომადგენელთა კრება ანუ ყრილობა.

** იგულისხმება აფხაზეთის 1866 წლის აჯანყება.

მაგრამ იქამდე რატომ უნდა მივიდეს ჩვენი საქმე? ჩვენ ხოლ არ ვეუბნებით მთავრობას, რომ თქვენ ხელში ყოფნა არ გვინდაო. ამის თქმა შეგვეძლო პირველად, როდესაც მტერი და მოყვარე ყველა რუსების ხელში გადასვლას გვირჩევდა, მაგრამ უარი არ გვითქვამს იმიტომ, რომ გვარწმუნებდნენ: რუსების ხელში უფრო ბედნიერი იქნებით, ვიდრე თავისთავად ხართო. მთავრობას ბევრ რამეს ჩამორჩებითო და თქვენ კი არაფერს მოგთხოვენო.

მე თვითონ, — განაგრძობს შერვაშიძე, — მთავარმართებელის (ე. ი. მეფისნაცვლის) ვორონცოვის მონათლული ვარ* და იმისგან მოკიდებული პატარა მოხელემდე ყველანი იმის გვიმტკიცებენ, რომ რუსის მთავრობა აგაშენებთო. ჩვენ ეს დავიჯერეთ. რასაც გვეუბნებოდნენ მართალი გვეგონა. ამიტომაც ძალდაუტანებლად — ჩვენი ნებით დაუკარით თავი რუსებს. არავის წინააღმდეგობა არ გაგვიწევია, თუმცა ეს შეგვეძლო: თუ ჩვენმა მეზობლებმა რუსებს თოფ-იარაღით გაუწიეს წინააღმდეგობა**, ჩვენ რა ღმერთი გაგვიწყრებოდა, რომ ერთ თოფს ვერ გავისვრიდით. მაგრამ არა! იმ იმედით, რომ მთავრობა ბევრ რამეს შეგვძენდა, მისი ყოველი მოთხოვნილება ავასრულეთ: გამოგზავნა მღვდლები — დავიყენეთ, დანიშნა ბოქაულები — მივიღეთ, სოფლის მოხელეები აირჩიეთო — დავუჯერეთ, ბოლოს ექვსი აბაზი — უზალთუნიც ბეგრად დავიდეევით***.

იმ ბევრ შემწეობის დაპირების შემდეგ, — განაგრძო ყასბულათმა, — რაც მე ჩემი ყურით გამიგონია მთავრობის წარმომადგენელთაგან, ეს ბეგარა კი ძლიერ გამიკვირდა. გვეუბნებოდნენ აგაშენებთო — პირიქით ბეგარა ჩვენგან წაიღეს. ჯერ ჩვენთვის უნდა შეეძინათ რამე და მერე მოეთხოვათ, თორემ ისე გამოდის, რომ „ცხვარი თხას მიადგა მატყლის სათხოვნელადო“.

ეს ასეა, მაგრამ ახლა კიდევ გვეუბნებიან: მიწები უნდა გა-

---

* ლაპარაკია მეფისნაცვალ ვორონცოვზე, რომელსაც 1852 წელს სხვებთან ერთად ბორჯომში ეწვია თვით ყ. შერვაშიძეც.

** იგულისხმებიან ჩრდილო კავკასიის მთიელები, ე. ი. კავკასიის ომი.

*** ლაპარაკია საკომლო გადასახადზე (1 მან. 30 კაპ.), რომელიც 1869 წელს იქნა შემოღებული.

გიზომოთთო. რისთვის? რად უნდათ ჩვენი მიწების გაზომვა? ამაზე ბოქაული გვეუბნება: ასეა მთავრობის განკარგულებაო. ჩვენში კი ხმა დადის, მათი დაბეგვრა უნდათო. თუ ეს ხმა მართალი გამოდგა, მაშინ კი, სწორედ სიცოცხლის პირი არ გვაქვს და, მუდამ წვალებას, ის გვირჩევნია, ერთ დღეს გავთავდეთ. ახლა, რადგან ეს ზუსტად არ ვიცით, ჯერ უნდა შევიტყოთ — რაშია საქმე. მოვახსენოთ მთავრობას ისე, როგორც ამას დღეს ვამბობ და მის პასუხს მოუცადოთ, მერე კი ჩვენი ვიღონოთ"[1]. ყრილობის მონაწილეებიც ერთხმად დაეთანხმნენ მის მიერ წარმოთქმულ მოსაზრებებს.

შერვაშიძის გამოსვლის შემდეგ ყრილობის მონაწილეებს კვლავ გინადრუყვ ფარჯიანმა მიმართა: ყასბულათის სიტყვებს მე მხოლოდ იმას დავუმატებ, რომ სვანეთში ყოველთვის, როცა ასეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხები წყდებოდა, გადაწყვეტილების მიღების დასტურად და სიმტკიცისათვის წმ. კვირიკეზე იფიცებოდნენ. ამიტომ ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ. წავიდეთ და ეკლესიაში შევფიცოთ ერთმანეთს, რომ ერთიმეორეს არ უღალატებთ. ჭირსა და ლხინში განუყრელი ვიქნებით, ვიბრძოლებთ ბოლომდე და თუკი აუცილებლობა მოითხოვს, ოავს შევწირავთ საერთო საქმეს. ხოლო ის, ვინც ფიცს გატეხავს და გვიღალატებს — სასტიკად იქნას დასჯილი[2].

რაკი საწინააღმდეგო არავის ჰქონდა და არც სხვა რამე დამატებითი მოსაზრება არ წამოუყენებიათ, ყრილობის მონაწილეები გაემართნენ კვირიკესა და ივლიტას ეკლესიისაკენ, რომელიც ლალხორიდან თითქმის ორ კილომეტრზე მდებარეობდა.

როდესაც ყრილობის მონაწილეებმა ეკლესიის გალავნის შიგნით მოიყარეს თავი, გიორგი ფანგანმა ეკლესიის კარები გააღო და შალიანის* ხატი გამოასვენა. დაიწყო ფიცის ცერემონიალი, ხალხმა ქუდები მოიხადა, სმენად გადაიქცა და

---

1 ყასბულათ შერვაშიძის სიტყვის შინაარსი 1892 წელს პირველად გამოაქვეყნა ბესარიონ ნიჟარაძემ გაზეთ „ივერიაში", № 129—141, რითაც ჩვენ ვსარგებლობთ. იგივე სიტყვა მცირედი განსხვავებით 1925 წ. გამოაქვეყნა აგრეთვე ე. გაბლიანმა (იხ., ძველი და ახალი სვანეთი, გვ. 95—96).

2 ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, II, გვ. 177.

* შალიანი კვირიკეს ეკლესიას ეწოდებოდა.

მუხლმოდრეკილი ხატს მისჩერებოდა. გ. ფანგანმა ხატი მაღლა ასწია და დაიწყო ფიცის ტექსტის გადმოცემა: „დაე, ვინც საერთო გადაწყვეტილების ერთგული არ დარჩეს ბოლომდე, ერთიმეორეს უღალატოს და საერთო საქმისათვის არ იბრძოლოს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე — მისი ტანი, ოჯახი და ჯილაგი შერისხოს და ამოწყვიტოს მამა ზეციერმა!“ ხალხი მუხლმოდრეკილი და მაღლა ხელებაპყრობილი დასტურის ნიშნად ამინ-ამინს იძახოდა. საჯარო ფიცისა და წყევლა-კრულვის დამთავრებისთანავე ცერემონიალის მონაწილეთაგან ორმა კაცმა ჯოხის ბოლოებს მოჰკიდეს ხელი, მის თავზე ხატი ამართეს და გადაწყვეტილებისადმი საბოლოო ერთგულების დასადასტურებლად ყველა მონაწილემ ჯოხის ქვეშ გაიარა (რაკი ფიცი საჯარო ხასიათს ატარებდა და შესაძლებელი იყო მისი მონაწილე გულში გადაწყვეტილების მომხრე არ ყოფილიყო, ამიტომ საჭიროდ მიიჩნიეს ხატის ქვეშ გადებული ჯოხის ქვეშ ყველას გავლა, რაც ფაქტიურად ინდივიდუალურ დაფიცებას ნიშნავდა).

შემდეგ ყრილობის მონაწილეებმა მოიფიქრეს, თუ როგორ ემოქმედათ საგანგაშო ვითარებისას, როგორი სიგნალით ემცნოთ ერთიმეორისათვის თავშეყრისა თუ სხვა საჭიროება.

შექმნილი ვითარება არ გამოპარვია სვანეთის ადმინისტრაციას. ბეჩოში მყოფმა ბოქაულმა და სამხედრო რაზმის ხელმძღვანელობამ ყოველივე გაიგო, ამასთან, მათ დასმენა მიიღეს — თითქოს სვანეთის მოსახლეობამ ფიცი დადო მათ განადგურებაზე და, საერთოდ, მეფის მთავრობის ძალაუფლების დამხობაზე.

ბოქაულმა ჯორჯაძემ და რაზმის უფროსმა სვანეთში შექმნილი ვითარება მაზრის უფროსსა და გუბერნიის მმართველობას გაზვიადებული სახით აცნობეს. ამავე დროს მოსალოდნელი თავდასხმის მოსაგერიებლად თადარიგს შეუდგნენ.

ლეჩხუმის მაზრის უფროსის ბიერ 1875 წ. 4 ივნისს ქუთაისის მმართველ მალაფეევისადმი მიცემულ პატაკში აღნიშნული იყო, რომ სვანეთში 700-მდე გლეხმა დაიფიცა ეკლესიაში, რათა მთავრობისათვის მიწების გაზომვა არ დაენებებინა. მაზრის უფროსი გრინევსკი იტყობინებოდა, რომ სვანეთის გლეხთა მღელვარების მიზეზი თითქოს ცრუ ხმები იყო, რომ-

ლის თანახმად თითქოს მთავრობა არა მარტო მიწაზე, არამედ პირუტყვზეც გადასახადის შემოღებას, და აგრეთვე, ყველა ოჯახიდან თითო მამაკაცის ჯარში გაწვევას აპირებდა.

მაზრის უფროსი იტყობინებოდა, რომ მიუხედავად გაწეული ღონისძიებისა, ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ვერ შეძლო ამბოხებული ხალხის დაშლა. ამიტომ იგი ვიცე-გუბერნატორ მალაფეევს თხოვდა მიეცა 20-კაზაკიანი რაზმი, რათა სვანეთში დაბანაკებულ ასეულთან ერთად უწესრიგობისათვის ბოლო მოეღო.

ქუთაისის ვიცე-გუბერნატორმა სვანეთის ადმინისტრაცია გააფრთხილა, რათა მიწების გაზომვა დაუყოვნებლივ შეეწყვიტა, ხოლო 20-კაციანი კაზაკთა რაზმის მიცემაზე უარი განუცხადა, რადგან ასეთი მცირე ძალებით მას სვანეთის გლეხთა ამბოხების ჩაქრობა შეუძლებლად მიაჩნდა.

რაკი გუბერნიის ხელმძღვანელობის ოფიციალური დახმარება გვიანდებოდა, ბოქაულის მოადგილემ თენგიზ დადიშქელიანმა ბეჩოში, ცხუმარში და ეცერში თავისი ერთგული პირები გააფრთხილა, რათა დაძახებისთანავე ბეჩოში გამოცხადებულიყვნენ ადმინისტრაციისა და სამხედრო ასეულის დასაცავად.

თ. დადიშქელიანმა ბეჩოში თავი მოუყარა შეიარაღებულ გლეხთა რაზმს, რომელსაც უბრძანა ფხიზლად ყოფილიყო, რათა ადმინისტრაციულ ცენტრსა და სამხედრო რაზმს ლატალის მხრიდან თავს არავინ დასხმოდა.

სამხედრო ასეულის საომარ მდგომარეობაში მოყვანამ და თ. დადიშქელიანის მიერ ქვემო თემებში გლეხთა შეიარაღებული რაზმის შექმნამ მთავრობის მოწინააღმდეგე გლეხობაში თავისთავად ეპვი და შიში დაბადა. ასეთ ვითარებაში ლატალის გლეხობამ თავისი წარმომადგენლები დაგზავნა ყველა თემში და შეატყობინა, რომ სათანადო ზომების მიღება იყო საჭირო. მოლაპარაკებისამებრ მღელვარე გლეხობამ ახლა ლატალში მოიყარა თავი. აჯანყებულებმა აქ საკმაოდ ხანგრძლივი თათბირი გამართეს. ზოგიერთს მიაჩნდა, რომ სამხედრო რაზმისათვის დაესწროთ და მანამ ამოეხოცათ ისინი, სანამ მთავრობა გონს მოვიდოდა და სვანეთში დამატებით ძალებს გაგზავნიდა. ამაზე ზოგიერთი თავს იკავებდა და მოითხოვ-

და, რომ შეიარაღებული დაცვა დაეყენებინათ, როგორც ლატალის მისადგომებზე (ბალის ქედზე გამავალ გზაზე), აგრეთვე ლატფარის ქედზე. თუკი საქმე მაინც შეჯახებამდე მივიდოდა, მაშინ თავი დაეცვათ მეფის მთავარობის მიერ გამოგზავნილი ჯარის შემოტევისაგან. ამგვარი სჯა-ბაასის შემდეგ ლატალში თავმოყრილმა გლეხობამ თავისი შეიარაღებული რაზმი გაგზავნა ბალის გადასასვლელზე, რათა ამის მეოხებით საბოლოოდ დაედგინათ ბეჩოში დაბანაკებული რაზმი და ქვედა თემების გლეხები მართლა აპირებდნენ თუ არა აჯანყებული გლეხების წინააღმდეგ გალაშქრებას? თუკი ეს დადასტურდებოდა, მაშინ აჯანყებულები აპირებდნენ თვითონ დაესწროთ, ჯარის ნაწილი დაეხოცათ და მისი იარაღი და ტყვიაწამალი ხელთ ეგდოთ, ხოლო შემდეგ ყველაფერი ეღონათ, რათა მეფის რუსეთის ჯარი სვანეთში არ შეეშვათ.

საქმის საბოლოო დასაზუსტებლად აჯანყებულთა ნაწილი ბალის ქედისაკენ გაემართა. იქ შენიშნეს ქვემო თემების შეიარაღებული გლეხობა, რომელთაც თ. დადიშქელიანმა სამხედრო რაზმისა და საბოქაულოს ადმინისტრაციის დაცვა დაავალა.

რაკი დამხდურთა შორის სამხედროები არ იყვნენ, აჯანყებულები მოერიდნენ მათთან პირდაპირ შეჯახებას და თავის თვისტომებს აღელვებულებმა მიმართეს, თუ რატომ იდგნენ გზაზე და რა განზრახვა ჰქონდათ? დამხვდურებს მეთაურობდა ორი დადიშქელიანი. მათ აჯანყებულებს განუმარტეს: „თქვენ თვითონ ხედავთ, რომ კამანდა ამჟამად ჩვენი ხიზანია, ჩვენ მიწა-წყალზეა დაბანაკებული და სტუმარია. ნუ შეგვარცხვენთ! როგორ უნდა გამოვჩნდეთ სადმე, თუ ჩვენი სტუმარი ამოსაწყვეტად დაგანებეთ. გვირჩევნია უწინ ჩვენ დაგვხოცოთ, ჩვენს მკვდარ სხეულზე გაიაროთ და ისე მიხვიდეთ კამანდის ამოსაწყვეტად, ვიდრე ცოცხალი დავრჩეთ და ასე გიყუროთ“[1]. აჯანყებულები კიდევ უფრო გაღიზიანდნენ და აღელდნენ, მაგრამ დადიშქელიანებმა და სხვა დამხვდურებმა განუმარტეს, რომ მათ აჯანყებულების წინააღმდეგ არავითარი მტრული განზრახვა არ ჰქონდათ და დამშვიდება დაუ-

---

[1] ა. ჩარკვიანი, სვანეთი, გვ. 184.

წყეს. როდესაც აჯანყებულები დარწმუნდნენ, რომ თავიანთი თვისტომების მიზანი მხოლოდ სვანეთის ადმინისტრაციისა და სამხედრო რაზმის ხელმძღვანელობის დაცვა იყო, მათთან შეტაკებას მოერიდნენ და ბეჩოში განიზრახეს წასვლა. როგორც ბ. ნიჟარაძე აგვიწერს, ამ შემთხვევაშიც დამხვდურებმა იმარჯვეს და აჯანყებულებს მიმართეს: „ხომ ხედავთ — თუ კამანდისკენ წასვლას არ მოიშლით, თავი უნდა შეგაკლათ, რად იქცევით ასე, რა გამოვა ჩვენ რომ ერთმანეთს თავი შევაკლათ? კამანდა დარჩება და ჩვენ ერთმანეთის ძმები — ერთიმეორეს დავხოცავთ!"[1] ამ სიტყვებმა ბევრი ჩააფიქრა, თანაც ერთიმეორის ნათესავებიც გამოჩნდნენ. ყოველივე ამის გამო აჯანყებულებმა ხელი აიღეს განზრახვის აღსრულებაზე.

ბალის გადასასვლელთან აჯანყებულებმა თათბირი მოაწყვეს და გადაწყვიტეს, რომ გადასასვლელზე და ლატფარის ქედზე შეიარაღებული დაცვა დაეყენებინათ, რათა ბალსზემო სვანეთში არც ბეჩოში დაბანაკებული რაზმი, არც სხვა რომელიმე სამხედრო ნაწილი და, აგრეთვე, არც მეფის მოხელეები შეეშვათ. აქვე დადგინდა, რომ მეფის ჯარის შესაძლო შემოსევისაგან დასავლეთი მხარე ლატალსა და ლენჯერის საზოგადოებას დაეცვა, ხოლო აღმოსავლეთისა — დანარჩენ საზოგადოებებს.

(გადაწყვეტილების თანახმად, აჯანყებულებმა რამდენიმე დღის შემდეგ ბალსზემო სვანეთისკენ მიმავალი გზები ჩაკეტეს.)

1875 წლის 22 ივნისს გუბერნატორმა მალაფეევმა მაზრის უფროსის გრინევსკისაგან მიიღო ახალი პატაკი, რომელშიც იტყობინებოდა, რომ სვანები არ ემორჩილებიან მთავრობის არავითარ განკარგულებას და თავისუფალი თვითმმართველობის აღდგენას ლაშობენ. ახალმა ცნობამ ვიცე-გუბერნატორი კიდევ უფრო შეაშფოთა და, საქმის მეტისმეტი სერიოზულობის გამო, გადაწყვიტა 2 ივლისს მეფისნაცვალთან გამოცხადებულიყო ბორჯომში. მალაფეევი მეფისნაცვალს ეახლა, დეტალურად გააცნო სვანეთის ვითარება და მოახსენა, რომ

---

1 ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, II. გვ. 178.

სვანები მეამბოხე ხასიათის გამო მთავრობის არავითარ განკარგულებას არ ემორჩილებიან. ამასთანავე მოახსენა, რომ ისინი თავის ტერიტორიაზე არავის ატარებდნენ, ხიდები და გზები გააფუჭეს და თითქოს ბეჩოს სამხედრო ასეულს თავდასხმით ემუქრებიან[1].

საქმის საგანგაშო მდგომარეობის გამო მეფისნაცვალმა პირადად მალაფეევს უბრძანა თვითონ წასულიყო სვანეთში და გენერალ-მაიორ ციტოვიჩის სარდლობით ჯარის ნაწილი წაეყვანა. მალაფეევს დაევალა, რომ გაერკვია მღელვარების მიზეზები, დაესაჯა ამბოხების მოთავეები და სრული წესრიგი დაემყარებინა[2].

მეფისნაცვლის ბრძანების თანახმად სასწრაფო წესით შედგა სამხედრო ექსპედიცია, რომლის შემადგენლობაში შევიდა: 1. ალექსანდრეპოლის 161-ე პოლკის ორი ასეული (6 ობერ-ოფიცრის, 20 უნტერ-ოფიცრის, 200 ფეხოსანი ჯარისკაცისა და 8 მუსიკოსის შემადგენლობით); 2. ქუთაისის ირეგულარული პოლკის ერთი ცხენოსანი ასეული (1 შტაბოფიცრის, 4 ობერ-ოფიცრის, 2 იუნკერის, 4 ურიადნიკისა და 120 ცხენოსნის შემადგენლობით); 3. იმავე პოლკის ერთი ფეხოსანი ასეული (1 შტაბოფიცრის, 4 ობერ-ოფიცრის, 2 იუნკერის, 4 ურიადნიკის, 120 ფეხოსანი ჯარისკაცის შემადგენლობით); 4. სამთო საარტილერიო ბატარეისა და მესანგრეთა რაზმი (20-კაციანი). ამასთან ერთად სამხედრო ექსპედიციაში შედიოდა გურულთა მილიციის ასეული და სხვ.[3].

აღნიშნულ სამხედრო ექსპედიციას ემსახურებოდა 2 ტოპოგრაფი, 7 ფერშალი, 7 სანიტარი, 60 სატვირთო ცხენი და სხვ.

ექსპედიციის სამხედრო მეთაურთა შემადგენლობაში გენერალ-მაიორ ციტოვიჩთან ერთად შედიოდნენ: შტაბსკაპიტანი სენიუკოვი (ექსპედიციის ადიუტანტი), როტმისტრი თავადი ბარიატინსკი, მაიორი თავადი წულუკიძე (ორივე ფეხოსანი ასეულის მეთაური), კაპიტანი (თავადი) ილია კერაძე (პირველი ფეხოსანი ასეულის უფროსი), კაპიტანი მურატოვი (მეორე

---

[1] საქ. სსრ ცსსა, ფ. 416, ან. 3, ს. 174, ფურც. 1.

[2] იქვე, ფურც. 2.

[3] იქვე, ფ. 521, ან. 16, ს. 43, ფურც. 7—8.

ფეხოსანი ასეულის უფროსი), პოდპოლკოვნიკი პრინცი (ცხენოსანი ასეულის უფროსი), მაიორი თავადი წერეთელი (ქუთაისის ირეგულარული პოლკის ფეხოსანი ასეულის მეთაური), პოდპოლკოვნიკი მაკაროვი, შტაბსროტმისტრი კოდიაკო, პორუჩიკები: თავადები წულუკიძე, ჯავახიშვილი, მაჭავარიანი, პოდპორუჩიკი გიორგობიანი, პრაპორშჩიკი გიგობერაძე და სხვ.[1].

მეფისნაცვლის (კავკასიის არმიის მთავარსარდლის) ბრძანების შესაბამისად, თუ დადგინდებოდა, რომ სვანეთის ამბოხებულები მართლაც აპირებდნენ ბეჩოს სამხედრო ასეულზე თავდასხმას, მაშინ ამ ასეულის მხარდასაჭერად კავკასიის ქედის გადასასვლელით ყაბარდოდან სვანეთში უნდა გადასულიყო სამთო მილიცია — სამი ასეულის შემადგენლობით[2].

სვანეთში სამხედრო ექსპედიციის წასვლის მზადების შესახებ გენერალ-მაიორი ციტოვიჩი კავკასიის არმიის მთავარსარდალს მოახსენებდა, რომ განკარგულების თანახმად ექვს ივლისს ექსპედიცია მზადაა სვანეთში ლაშქრობისათვის. ამასთანავე აცნობებდა, რომ ექსპედიციის საყრდენი პუნქტი იქნებოდა მურში, სადაც ერთი თვის სურსათს მიზიდავდა და საჭიროების შემთხვევაში ლაზარეთს გამართავდა[3].

სასწრაფო მზადების შემდეგ თბილისსა და ქუთაისში შექმნილი რაზმები 8 ივლისს სვანეთისკენ დაიძრნენ. მალაფეევსა და ციტოვიჩს ეშინოდათ, რომ ამბოხებაში მთელი სვანეთი არ ყოფილიყო ჩაბმული, ამიტომ საქმის ვითარების გარკვევამდე 10 ივლისს ცაგერში დაბანაკდნენ.

ცაგერში, მურის ხიდთან მაალაფეევის თანმხლებმა პირებმა შენიშნეს სვანეთში მიმავალი შვიდი მგზავრი, რომლებიც იმერეთიდან შინ მიდიოდნენ. ისინი ვიცე-გუბერნატორს მიჰგვარეს. ამ უკანასკნელმა გლეხები პატივით მიიღო და დაარწმუნა, რომ მთავრობას არავითარი ახალი გადასახადების შემოღება არ განუზრახავს. რაც შეეხებოდა მიწების გაზომვას, განუმარტა, რომ თითქოს ხელმწიფე-იმპერატორს თავისი ქვეშევრდომების მიწების რაოდენობა აინტერესებდა.

---

1 საქ. სსრ ცსსა, ფ. 521, ან 16, ს. 43, ფურც. 9.

2 იქვე, ფ. 416, ან. 3, ს. 174, ფურც. 2.

3 იქვე, ფ. 521, ან 16, ს. 43, ფურც. 7.

მალაფეევმა გლეხებს დაავალა გადაეცათ ამბოხებულებისთვის, რომ პირადად მასთან გამოცხადებულიყვნენ, როგორც არეულობის თავკაცები, აგრეთვე რვა-რვა კაცი თითოეული საზოგადოებიდან; თუ აჯანყებულები ამ მოთხოვნას შეასრულებდნენ და შეთანხმდებოდნენ, ჯარს უკან გააბრუნებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი სვანეთში შეჭრითა და სასტიკი სასჯელით იმუქრებოდა.

ვიცე-გუბერნატორი ამით არ დაკმაყოფილდა და სცადა საქმეში სწავლული სვანები და, აგრეთვე, მეზობელ მხარეთა გავლენიანი მოხელეებიც ჩაება.

ამის თაობაზე ბესარიონ ნიჟარაძე წერდა: ლეჩხუმის მაზრის უფროსისაგან მივიღე ბარათი, რომელშიც მწერდა — „ხვალ უთუოდ ჩემთან გამოცხადდი, გუბერნატორი გიბარებს, თარჯიმნად უნდიხარ სვანეთში ყოფნის დროსო“[1].

დიდად არ მეამა ამგვარი მოწვევა, — წერდა ბ. ნიჟარაძე, — რომელიც თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლე იყო და არდადეგებზე შინ იმყოფებოდა. ამგვარ საქმეში ჩაბმას მას დასვენება ერჩია, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა და ლეჩხუმისაკენ გაუდგა გზას.

სამხედრო ექსპედიციის მოახლოებამ აჯანყებულები როდი დააფრთხო, მათ თავის საზღვრების დაცვა კიდევ უფრო გააძლიერეს. „მთის მწვერვალს (ლაპარაკია ლატფარის უღელტეხილზე — გ. გ.) რომ უახლოვდებოდი, — გადმოგვცემს ბ. ნიჟარაძე, — დამინახეს დარაჯებმა, რომელთა ყურადღება მიიპყრო ჩემმა რუსულმა ჩაცმულობამ. ჯერ კიდევ მოშორებით ვიყავი, როდესაც დაგვიძახეს: ვინ ხართო? ჩემმა ამხანაგმა ჩვენი ვინაობა ძახილითვე შეატყობინა. დარაჯებს გუბერნატორთან გაგზავნილი ბოქაულის მოხელეთაგან ვინმე ვეგონე. მივაღწიეთ ლატფარის მწვერვალს, სადაც შემოგვეხვია 200-მდე დარაჯი, რომლებშიც ჩემი ნათესავები და ნაცნობებიც ერიენ. ჩემი წასვლის გამო ახლო ნათესავები ძლიერ შეწუხდნენ, არა გზით არ მიშვებდნენ. ზოგიერთმა მითხრა — ჩხუბი რომ მოხდეს, შენ ვინ გაგარჩევსო? შენც ისე მოგკლავენ, როგორც სხვასო. ვინც ჩემი ნათესავი და ნაცნობი არ იყო, იმათ

---

[1] ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, II, გვ. 179.

სხვა თვალით შეხედეს გუბერნატორთან ჩემს წასვლას. მათი აზრით, მე გუბერნატორი იმისთვის მიბარებდა, რომ მის მხარეზე ვიყავი და სვანების მტერი. ერთმა უცნობმა მომაძახა, რომ თავისი მიწა-წყლის მოღალატეს დაე სვანეთის სალოცავი გაუწყრესო. ეს ჩემს ნათესავებს ეწყინათ, როგორ თუ შენ მოღალატედ მიაჩნიხარო და მათ შორის კინაღამ უსიამოვნება მოხდა. დარაჯებმა თითქმის ერთ საათს გამაჩერეს და ამ ხნის განმავლობაში სულ გულსაკლავი სიტყვები მესმოდა: ახლობელიც და გარეშეც ჩემი წასვლის წინააღმდეგი იყო. მაგრამ მე ჩემი მაინც არ დავიშალე და როგორც იქნა მათ ხელიდან გავუსხლტი"[1].

საღამოს ბ. ნიჟარაძემ სოფელ ლუჯიში (ჩოლურისა და ლაშხეთის საზოგადოებების საზღვარზე) მიაღწია, სადაც ლეჩხუმის მაზრის უფროსი გრინევსკი და თავისი თანამემამულე ექვსი გლეხი დახვდა.

ჩოლურში მყოფი მაზრის უფროსი ერთხელ კიდევ მოელაპარაკა ზემო სვანეთში მიმავალ გლეხებს და უთხრა: წადით და ჩემს მაგიერ ხალხს გადაეცით, რომ თქვენი მიწების დაბეგვრა მთავრობას აზრადაც არ მოსვლია. მათ იმიტომ ზომავენ, რომ ხელმწიფემ უნდა იცოდეს თავისი ქვეშევრდომთა ადგილ-მამულის ოდენობა. მიწაზე და პირუტყვზე გადასახადის დაწესება, აგრეთვე სამხედრო ბეგარის შემოღება მოგონილია ბოროტი პირების მიერ, რომელთაც სურთ სვანეთს ზიანი მოუტანონ. ნუ დაუჯერებთ იმათ, ვინც ამას გეუბნებათ, ისინი თქვენი მტრები არიან და შეცდომაში შეჰყავხართ.

ამგვარი აგიტაციის შემდეგ გრინევსკიმ ნიჟარაძეს კიდევ გაუმეორა. თუ სვანებს სურთ ყველაფერი კეთილად დამთავრდეს და მთავრობამაც არავინ დასაჯოს, ჩემთან ჩამოვიდნენ თქვენი მეთაურები, აგრეთვე რვა-რვა კაცი თითოეული საზოგადოებიდან და ყველა მათგანს მე ცაგერში გუბერნატორთან მივიყვან. თუ ამ მოთხოვნას შეასრულებთ, ჩვენ არავის დავსჯით და ქუთაისში დავბრუნდებით, თუ არადა სვანეთში ჯარით შევიჭრებით და მაშინ საქმე სხვაგვარად წარიმართებაო.

[1] ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, II, გვ. 179.

მეფის მოხელეებმა კარგად იცოდნენ, რომ სვანეთში დღეს თუ ხვალ ახალი გადასახადები უნდა შემოღებულიყო, მაგრამ ახლა მათი უპირველესი ამოცანა არეულობის აღკვეთა და მტკიცე წესრიგის დამყარება იყო.

ბ. ნიჟარაძე და შვიდი გლეხი კალის თემში გამოცხადდნენ და აჯანყებულებს გადასცეს გუბერნატორისა და მაზრის უფროსის დანაბარები. ყოველივე ამან, ბუნებრივია, მათ ეჭვი აღუძრა — ვაი თუ მთავრობას უბრალოდ აინტერესებს ჩვენი მიწების ოდენობა და გადასახადების შემოღებას არ აპირებს, ამ შემთხვევაში აჯანყება და სისხლისღვრა ხომ უმიზნო იქნებაო. ამასთან, მათ ეშინოდათ არ მოტყუებულიყვნენ, რადგან მეფის მოხელეები ხშირად ერთს ამბობდნენ და მეორეს აკეთებდნენ. ასეთ ორჭოფულ ვითარებაში აჯანყებულებმა ირჩიეს სპეციალური წარმომადგენლები გამოეყოთ ათი კაცის შემადგენლობით და გუბერნატორთან გაეგზავნათ.

13 ივლისს აჯანყებულთა დელეგაცია ყასბულათ შერვაშიძის ხელმძღვანელობით ჩოლურში გამოცხადდა გრინევსკისთან, რომელმაც ეს დელეგაცია 14 ივლისს ცაგერში, ვიცეგუბერნატორ მალაფეევთან წაიყვანა.

მულახის მამასახლისს ყ. შერვაშიძეს მეფის მოხელეები კარგად იცნობდნენ. ბ. ნიჟარაძის გადმოცემით, მაზრის უფროსმა გრინევსკიმ ყ. შერვაშიძეს საყვედურით მიმართა: აგერ 15 წელიწადია, რაც შენ მთავრობის სამსახურში ხარ. მთავრობამ ორი მედლით დაგაჯილდოვა და დღეს შენ მის წინააღმდეგ სვანეთს ამხედრებ. იცოდე, თუ შენს მიერ აჯანყებული ხალხი შენვე არ დაგიწყნარებია, სასტიკად დაისჯები!..[1].

ყასბულათმა მიუგო: ტყუილად გგონიათ, რომ მე სვანეთის თავი ვიყო, მე კი არა და როგორც ხედავთ — ვეოაურად რუსეთის დიდ ხელმწიფესაც უარყოფენ. ჩემი მოთავეობა არაფერ შუაშია, სვანეთში ისეთი არავინ მეგულება, არც ჩემი თავი და არც სხვა, რომ თავის ნებაზე ააჯანყოს ხალხი და კიდევაც დაამშვიდოს. ყველაფერი ყრილობის საქმეა, რაც მას სურს, ის უნდა აასრულოს ყოველმა სვანმა. ყრილობის

---

1 ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, II, გვ. 181.

უნებურად ერთი ფარას ოდენა არც რა გაკეთდება და არც რა წახდება. რაში უნდა ვიყო მე აჯანყებულთა მოთავე? მთელმა ხეობამ ყრილობა მოიწვია კალაში. რასაკვირველია, მეც იქ ვიყავი. ყრილობამ მთხოვა ჩემი აზრი მეთქვა, მეც ვთქვი რასაც ვფიქრობდი. რატომ არ უნდა მეთქვა! მე კიდეც მთავრობის სასარგებლოდ ვილაპარაკე, სხვა კი უარესს იტყოდა. მე თქვენგან მადლობას ველოდი, თქვენ კი მიწყრებით! თქვენ რომ ხალხის ლაპარაკი გაგეგონათ, მაშინ სულ სხვას იტყოდით, ხალხი არავის უგონებს..[1].

გრინევსკიმ სვანეთის წარმომადგენლებს უბრძანა ცაგერში გუბერნატორთან წასულიყვნენ.

გრინევსკის ქადილმა ყასბულათი ჩააფიქრა და თავისი ამხანაგები ცალკე გაიხმო მოსალაპარაკებლად. ცოტა ხნის შემდეგ ყასბულათმა გრინევსკის მოახსენა: „მე და ჩემი რვა ამხანაგი წამოვალთ. ჩვენ თვითონ გვსურს გუბერნატორის ნახვა და ყველაფერზე დაწვრილებით მოლაპარაკება. რაც შეეხება, ერთ-ერთი ჩვენი ამხანაგი უკან უნდა დაბრუნდეს და ხალხს შეატყობინოს, რომ ჩვენ გუბერნატორთან წავედით". ყასბულათს ეშინოდა, რომ ზემო სვანეთში კაცის გაშვებაზე უარს მიიღებდა, ამიტომ გრინევსკის უთხრა — ყრილობამ ასე დამავალა და თუ ასე არ მოიქცევით, მაშინ ხალხი იფიქრებს, რომ დაჭერილები ვართ, რაც არ ივარგებს.

მართლაც, ერთი კაცი უკან გაუდგა გზას, ხოლო 8 კაცი გრინევსკისთან და ბ. ნიჟარაძესთან ერთად წავიდა ვიცე-გუბერნატორთან მოსალაპარაკებლად.

ბ. ნიჟარაძის გადმოცემით აჯანყებულთა დელეგაცია გრინევსკისთან ერთად 14 ივლისს 12 საათზე ცაგერში წარსდგა ვიცე-გუბერნატორ მალაფეევთან, რომელიც თავის მხლებელ სამხედრო ოფიცრებთან და ადგილობრივ მემამულეებთან ერთად უზარმაზარი იფნის ხის ქვეშ ისვენებდა. დელეგაციის მისვლისთანავე მალაფეევმა სვანებს ჰკითხა, თუ რატომ და რა მიზეზით აჯანყდნენ?

თავი და თავი აჯანყების მიზეზი, — დაიწყო ყასბულათმა, — არის მიწების აღწერა — გაზომვა, მაგრამ არც სხვა ბრივ ვემადლიერებით მთავრობას.

[1] ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, II, გვ. 181.

— რატომ არ ემადლიერებით? — სიტყვა გააწყვეტინა გუბერნატორმა.

— იმიტომ, — მიუგო ყასბულათმა, — რომ თავის დღეში გადასახადები არ გვდებია, დღეს კი გადასახადები შეგვაწერეთ. გადასახადების გაღება არ შეგვიძლია, ჩვენ ღარიბნი ვართ, შემწეობას თქვენგან ველით, თქვენ კი ჩვენგან თხოულობთ გადასახადს! მდიდარნიც რომ ვიყოთ, გადასახადები მაინც გვძულს.

გუბერნატორი არწმუნებდა, რომ ეს ჭორი იყო და არ უნდა დაეჯერებინათ. დავიჯერეთ, — განაგრძო ყასბულათმა, — იმიტომ, რომ პირველად არც სხვა გვჯეროდა, მაგრამ მერე ნამდვილი აღმოჩნდა — ბეგარა დაგვადვეს (იგულისხმება 1869 წელს შემოღებული საკომლო გადასახადი — გ. გ.). რაკი სხვა ხმები დადასტურდა, ვფიქრობთ მიწაზე გადასახადის შემოღებაც მართალი იქნება. სანამ თქვენთან მოვიდოდით, ზოგიერთმა ლეჩხუმელმა სიკვდილის გუნებაზე დაგვაყენა. ნიშნისმოგებით გვითხრეს, რომ მთავრობა არა მარტო მიწას დაადებს გადასახადს ქცევაზე ხუთ შაურს, არამედ იარაღს აგყრიან და კოშკებსაც დაგინგრევენო. ეს კი დაუჯერებელია, მაგრამ გულს მაინც წყენს. თუ მმართებლობა (ე. ი. მთავრობა — გ. გ.) მართლაც ამას გვიპირებს, ბარემ ერთ დღეს ამოგვწყვიტოს, მაშინ იარაღიც ოხრად დაგვრჩება, კოშკებიც და ყველაფერი.

— მე თქვენ ჭკვიანი მგონიხართ და რატომ ერწმუნებით მაგისთანა ჭორებს? — ისევ ჩაერია მალაფეევი.

— არ ვერწმუნებით, მაგრამ გადასახადების შემოღება... —

— რა გადასახადები? — კვლავ შეაწყვეტინა გუბერნატორმა, იცით ხაზინა რამდენ ფულს ხარჯავს თქვენზე? ბოქაული, მისი თანაშემწე, კანცელარია, სამღვდელოება... ყველა სახელმწიფოს ხარჯზეა. თქვენი გადასახადი მეასედიც კი არაა იმის, რასაც ხაზინა თქვენზე ხარჯავს.

— ალბათ მთავრობისათვის არის საჭირო თქვენ მიერ დასახელებული მოხელენი, — მიუგო ყასბულათმა, — თორემ ჩვენ იმათგან არაფერი სარგებლობა და სიკეთე არ გვინახავს. მე, მართალი უნდა მოგახსენოთ, ყრილობამაც ასე დამაბარა.

რომ გადასახადი გვიმძიმს, ის ჩვენთვის თამარ მეფესაც არ დაუდვია...

— თამარ მეფე გადასახადს არ გახდევინებდათ, — შენიშნა მალაფეევმა, — მაგრამ გიწვევდათ ჯარში, როცა საჭიროება მოითხოვდა, თქვენში ჯარს აყენებდა სარჩენად*. — არა ბატონო გუბერნატორო, — განაგრძო ყასბულათმა, — ეს ასე არ ყოფილა. თამარ მეფესთან ყოველწლიურად რამდენიმე სვანი მიდიოდა თურმე, თითოეულ მოსახლისაგან თითო სასროლი თოფის წამალი მიჰქონდა და მეტი არაფერი. თამარი კი ძღვენის მიმტან სვანებს მეფურად ასაჩუქრებდა ძვირფასეულობით. ეხლა კი მამასახლისის თანაშემწეებს ქუთაისის ხაზინაში მიაქვთ გადასახადები და ხაზინა გზის ფულსაც არ იძლევა. თამარ მეფეს კიდევაც ვეცოდებოდით თურმე და ბევრჯერ გვწყალობდა... ყასბულათს სურდა კვლავ განეგრძო, მაგრამ გუბერნატორმა მოუჭრა: — ეხლა ამ ლაპარაკს თავი დავანებოთ, შენ და შენი ამხანაგები ჩვენთან უნდა წამოხვიდეთ სვანეთში, იქ მე თვითონ გავიგებ ყოველივეს.

ასეთი წინადადება ყასბულათს არ ეამა და ვიცე-გუბერნატორს ჰკითხა — ჯარიც ხომ არ მიჰყავდა სვანეთში? მალაფეევმა მიუგო, რომ — დიახ, ჯარიც მიჰყავდა. ყასბულათმა შეამჩნია ვიცე-გუბერნატორის ულოგიკობა და უთხრა — რა საჭიროა ჯარის წაყვანა — თუკი გადასახადების შემოღება არ გაქვთ განზრახული. გუბერნატორმა მყისვე მიუგო, რომ ჯარი თითქოს იმიტომ მიჰყავდა, რომ ბეჩოს რაზმისათვის სურსათ-სანოვაგე უნდა წაეღო. თან დააყოლა, რომ ჯარის წაყვანა თითქოს სვანებისათვის სასარგებლო საქმე იყო, რადგან ის სვანეთში სასმელ-საჭმელს იყიდის, სამაგიეროდ გლეხობა ფულს შეიძენსო.

რაკი ყასბულათი დარწმუნდა, რომ ვიცე-გუბერნატორი სვანეთში წასვლას არ დაიშლიდა, თხოვა თავის დელეგაციიდან ერთ-ერთი რომელიმე წინდაწინვე გაეშვა, რათა ხალხისათვის ყოველივე გაეგებინებინა. მაგრამ მალაფეევი ამაზე არ დათანხმდა და უთხრა, რომ ამ საკითხს გზაში გადაწყვეტდნენ.

---

* როგორც ჩანს, ვიცე-გუბერნატორი მალაფეევი სვანეთზე და მის წარსულზე წინასწარ იყო ინფორმირებული.

საკმაო შესვენების შემდეგ, 15 ივლისს, მალაფეევი და საძ-ხედრო ექსპედიცია, გენერალ ციტოვიჩის მეთაურობით, ცა-გერიდან დაიძრა, ხოლო 16 ივლისს ჩოლურის თემში -- ლატ-ფარის უღელტეხილის მისადგომთან დაბანაკდა. აქ მალაფეე-ვმა კვლავ მოსინჯა სვანეთის საქმე და სცადა მისი დიპლომა-ტიური მოგვარება. მან ჩოლურის თემში შეიტყო, რომ ჯარის მოახლოების გამო აჯანყებულებს ლატფარის გადასასვლელის დაცვა გაუძლიერებიათ. ვიცე-გუბერნატორმა ისიც კარგად იცოდა, რომ მთაგორიან-კლდიან პირობებში ჯარის ნაწილებს და მილიციას გაუჭირდებოდა სვანებთან ბრძოლა ან მათთან იარაღით შებმა დიდ მსხვერპლს გამოიწვევდა. ამიტომ იგი თავდაჭერილად და ლოიალურად იქცეოდა.

ჩოლურის თემის სოფელ ჭველფში მალაფეევი ერთხელ კიდევ ესაუბრა მასთან მისულ დელეგაციას და ნება დართო ყასბულათის გარდა ერთ-ერთი ვინმე წინდაწინ გადასულიყო უღელტეხილზე (ზემო სვანეთში), რათა იქ ხალხისათვის შეე-ტყობინებინა ვიცე-გუბერნატორის მისიის მშვიდობიანი ხა-სიათი.

ვიცე-გუბერნატორი ვარაუდობდა, რომ აჯანყებულები ლატფარის ქედზე დაცვას მოხსნიდნენ და ზემო სვანეთში იგი უბრძოლველად შევიდოდა.

როგორც აღვნიშნეთ, სვანეთში გაშვების საკითხი ყასბუ-ლათმა ჯერ კიდევ ცაგერში წაუყენა მალაფეევს, მაგრამ ამა-ზე იმიტომ უთხრა უარი, რომ ექსპედიცია ზემო სვანეთამდე მიღწევას რამდენიმე დღეს მოანდომებდა და მალაფეევს ეში-ნოდა ეს დრო აჯანყებულებს საწინააღმდეგო მზადებისათვის გამოეყენებინათ. ამასთან მშვიდი და ლოიალური მოპყრო-ბით ვიცე-გუბერნატორმა სვანთა დელეგაცია თანდათან დაი-ახლოვა და, ჩანს, დაარწმუნა, რომ მთავრობა არავითარი ახა-ლი გადასახადების შემოღებას არ აპირებდა.

გუბერნატორი იმასაც ჰპირდებოდა, რომ თუ აჯანყებულე-ბი გზების დაცვას მოხსნიდნენ და მშვიდობიანად დაიშლებო-დნენ, არავის დასჯიდა.

თუკი მოვლენები ისე განვითარდებოდა, როგორც ამას გუბერნატორი ირწმუნებოდა, მაშინ ყასბულათი აჯანყებულ-თა მიზანს და თავის მისიასაც მიღწეულად ჩათვლიდა. ამიტომ

დელეგაციის ერთ-ერთ წევრს დაავალა სასწრაფოდ წასულიყო და აჯანყებულებისათვის გუბერნატორის პირობა გადაეცა. მართალია, ყასბულათს ეშვი ეპარებოდა გუბერნატორის გულწრფელობაში, მაგრამ საქმის საბოლოო გარკვევამდე მეფის ჯართან შებმას მიზანშეწონილად არ მიიჩნევდა, ამიტომ აჯანყებულებთან დაბარა, რომ ლატფარის ქედზე დაცვა მოეხსნათ.

იმის გასაგებად აჯანყებულებმა შეასრულეს თუ არა მოთხოვნა, მალაფეევმა ლატფარის დასაზვერად ჯარისკაცები გაგზავნა და სიფრთხილის მიზნით გრინევსკის დაავალა, რომ მათ მხლებელ ლეჩხუმელ თავად-აზნაურებს წინ გაძღოლოდა და, თუკი გზაზე არავითარ ხიფათს არ შეეყრებოდა, მისთვის შეეტყობინებინა, რომ გზა გახსნილი იყო.

ლეჩხუმის მაზრის უფროსს თან ახლდა ბ. ნიჟარაძეც. როდესაც გრინევსკი და მისი მხლებლები კალის თემის სოფ. ლალხორს მიუახლოვდნენ, პატარა მინდორში შენიშნეს უამრავი ხალხი, რომელთაგან ათიოდე შეიარაღებული პირი მათკენ მიმავალ გრინევსკისა და მის მხლებლებს შეეგება.

ბ. ნიჟარაძე გადმოგვცემს, რომ შეიარაღებულმა ადამიანებმა მათ უბრძანეს გაჩერებულიყვნენ, მაგრამ გრინევსკი შეეპასუხა, და სთხოვა სოფელში შეეშვათ. მაგრამ მის წინ აღმართულმა თოფმოღერებულმა კაცმა შესძახა: თუ ფეხი გადმოგიდგია წინ, ამწამსვე გაგათავებო. ბესარიონი გრინევსკის მივარდა, მისი ცხენის აღვირს ჩაავლო ხელი და სვანის მუქარა გადაუთარგმნა. „გრინევსკი, — წერს ბ. ნიჟარაძე, — სულ გაფითრდა, ისეთი გულმოსული იყო, რომ შესაძლებლობა რომ ჰქონოდა, მთელ სვანეთს ნაცარტუტად აქცევდა“[1].

შიშმორეულ-დაბნეული გრინევსკი და მისი მხლებლები ცხენებზე შემჯდარი თაკარა მზეში იდგნენ, ვერც წინ მიდიოდნენ და ვერც უკან დაბრუნებას ახერხებდნენ. როდესაც გონს მოვიდნენ, შეიარაღებულებს მუდარის კილოთი მიმართეს, რომელიმე პირი მინდორში თავმოყრილ ხალხთან დაბრუნებულიყო და სოფელში შესვლის ნება ეთხოვა.

როგორც იქნა, გრინევსკიმ და მისმა მხლებლებმა სოფელ-

---

[1] ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, II, გვ. 186.

ში შესვლის უფლება მიიღეს. ბ. ნიჟარაძემ ყველა თავის ნათესავთან მიიყვანა, ხოლო თვითონ მინდორში შეკრებილ ამბოხებულებთან მივიდა.

„ჩემს დღეში არ დამავიწყდება ის სურათი, — წერდა ბ. ნიჟარაძე, — რასაც მაშინ ყრილობა წარმოადგენდა. 2000-მდე შეთოფიარაღებული სვანი ერთი გრძნობით იყო გამსჭვალული. მათი სურვილი იყო უმალვე ბრძოლის დაწყება გრინევსკის და მისი მხლებლების ამოსაწყვეტად. ყველანი იძახოდნენ: ხომ არ აგვცილდება ბრძოლა, ბარემ რას ველოდებით, ახლა დავიწყოთ? ნურაფერს დაუჯერებთ გრინევსკის, ყასბულათი მოციქულად გავაგზავნეთ და ჯერაც არ გამოუშვია, შეიძლება კიდევაც დაიჭირეს"[1]. ამბოხებულთა ჩოჩქოლში მალე ბ. ნიჟარაძეც ჩაერია. მან განუმარტა, რომ ყასბულათი დაჭერილი არ იყო და ხვალ ან ზეგ დაბრუნდებოდა. მაგრამ ზოგიერთმა ეს არ დაიჯერეს და ვიღაცამ ხმამაღლა დაიყვირა: რაკი ბრძოლა გარდაუვალია, კვირიკეს მადლი გაუწყრეს იმას, ვინც გრინევსკის და მისი მხლებლების დასახოცად არ წამყვეს. როდესაც ამ მოწოდებას ბევრი მიემხრო და სოფლისაკენ გასწიეს, ერთ-ერთი მესტიელი ამბოხებულებს გადაუდგა და უთხრა: ყველანი ხომ არ წავალთ 20 კაცის წინააღმდეგ?! რამდენიმე კაცი გავაგზავნოთ გრინევსკისთან, მოვთხოვოთ უკან დაბრუნება და ჩვენი დელეგატების გამოშვება. თუ ამ მოთხოვნას არ შეგვისრულებს და ჯარი ისე გამოჩნდება, ეს ომს ნიშნავს და მაშინ გრინევსკი და მისი ყველა მხლებელი დავხოცოთ. ეს აზრი ყველამ მოიწონა. მალე გრინევსკისთან მივიდა თითოეული თემის ორ-ორი წარმომადგენელი. ამ ჯგუფს გაყვა ბ. ნიჟარაძეც, რომელმაც გრინევსკის საქმის ვითარება აუხსნა. მაგრამ ამ უკანასკნელს უკან დაბრუნება არ უნდოდა.

გრინევსკის თავის მხლებლებმაც სთხოვეს უკან დაბრუნება, რადგან აღელვებულ ხალხთან შერკინება შეიძლებოდა სიცოცხლის ფასად დასჯდომოდათ. ლეჩხუმის თავად-აზნაურთა ერთი წარმომადგენელი ამბობდა: უგნურობად ჩამოგვართმევენ, რომ აღელვებულ ხალხს ასე ახირებულად თავი დავახოცინოთ. ნუ იღუპავთ თავს და ნურც თქვენი ცოლ-შვილს

[1] ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, II, გვ. 166.

ცოდვაში ჩადგებით. ამბოხებულთა აშკარა მუქარამ გრინევსკი აიძულა თავის ჯგუფითურთ 18 ივლისს უკან გაბრუნებულიყო და ღამე ლატფარის ქედზე უკუნეთ სიბნელეში გაეტარებინა.

სამხედრო ექსპედიცია ვიცე-გუბერნატორ მალაფეევისა და გენერალ ციტოვიჩის მეთაურობით 19 ივლისს, დილაადრიანად ჩოლურიდან გაუდგა გზას, რამდენიმე საათის შემდეგ გრინევსკის ჯგუფი და მალაფეევის ამალა ერთმანეთს შეხვდნენ ქედზე. გრინევსკიმ დეტალურად მოახსენა ყველაფერი, რაც გადახდა.

მალაფეევი საბოლოოდ დარწმუნდა მათდამი სვანების მტრულ განწყობილებაში და ბრძანა მცირე შესვენების შემდეგ სასწრაფოდ დაშვებულიყვნენ სოფლისაკენ. ამასთანავე გუბერნატორმა არაფერი შეიმჩნია და თავისთან მიიხმო სვანთა დელეგაცია. მალაფეევმა ერთხელ კიდევ დაამშვიდა ისინი, რომ ზემო სვანეთში არავითარი გადასახადების შემოღება არ იყო ნავარაუდევი და თან ყასბულათს სთხოვა, წინ წაძღოლოდა და აჯანყებულები დაერწმუნებინათ, რომ ყველაფერი, რაც მათ გაიგეს და რისთვისაც აჯანყდნენ, ბოროტი და ცრუ ხმების შედეგია, რომ ჯარი ბეჩოს სამხედრო რაზმის მოსამარაგებლად მიდიოდა. ყასბულათი და მისი ამხანაგები დარწმუნებულები იყვნენ, რომ ჯარის უეცარი გამოჩენა კალაში ამბოხებულთა შეშფოთებასა და ჯართან შეჯახებას გამოიწვევდა, სიხარულით დაეთანხმნენ გუბერნატორის წინადადებას და სწრაფად დაეშვნენ კალაში.

19 ივლისს საღამოს სამხედრო ექსპედიციამაც მიაღწია კალის თემის სოფელ დაუბერამდე, სადაც სოფლის მოპირდაპირე მხარეზე მინდორში დაბანაკდა.

როგორც კი ექსპედიციამ კალის თემამდე მიაღწია, აჯანყებულებმა სცადეს მტრის შეიარაღებული ძალების დაზვერვა, მაგრამ აჯანყებულთა მოქმედება არც მოწინააღმდეგეს გამოპარვია.

„19 ივლისს საღამოს, როდესაც კალის საზოგადოების სოფელ დავბერამდე მივაღწიეთ, — წერდა მალაფეევი მეფისნაცვლისადმი მოხსენებაში, — იქ ჩვენი განლაგების პირდაპირ — მდინარე ენგურის მეორე მხარეზე შევნიშნეთ აჯანყე-

ბულთა 200-მდეკაციანი შეიარაღებული ბრბო. მე მაშინათ-ვე გავაგზავნე მათთან ჩემი მხლებელი ნდობით აღჭურვილი პირები — ლეჩხუმის თავადთაგან იმ მოთხოვნით, რომ იქ მყოფთაგან — კალისა და მის მეზობელ უშგულის საზოგადოებათა წარმომადგენლები ჩემთან გამოცხადებულიყვნენ, ხოლო დანარჩენები დაშლილიყვნენ და თავიანთ სახლებში წასულიყვნენ. მაგრამ მათ მიპასუხეს, რომ თითქოს ჩემი რაზმის და აგრეთვე ყაბარდოს მილიციის მისვლა მათ მიწა-წყალს და ოჯახებს აოხრებით ემუქრებოდა, გადაწყვიტეს ბრძოლაში დაღუპულიყვნენ, ვინემ ყოველი ამის გულგრილ მაყურებელი ყოფილიყვნენ. ამასთანავე, აჯანყებულები ირწმუნებოდნენ, რომ მათ არავითარი მტრული განზრახვა არ ჰქონიათ არც მთავრობისადმი საზოგადოდ და არც სვანეთში მყოფი ჯარისადმი და მთხოვდნენ შეწყალებას"[1].

ვიცე-გუბერნატორსა და აჯანყებულებს შორის მოლაპარაკებამ ორ დღეს გასტანა. ამ დროს ერთ-ერთი მთავარი შუამავალი იყო ჭკვიან და გავლენიან კაცად ცნობილი ფარნაოზ გელოვანი, რომელსაც მრავალი აჯანყებული იცნობდა და ენდობოდა.

აჯანყებულებს გუბერნატორმა შეუთვალა, რომ სვანეთში რაზმი მოვიდა არა სვანეთის ასაოხრებლად, არამედ წესრიგის აღსადგენად, რომ ხმები — მიწასა და პირუტყვზე გადასახადის დაწესებაზე, აგრეთვე სამხედრო ვალდებულების დაწესებაზე — ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია[2].

მოლაპარაკების ერთ-ერთი მონაწილის ბ. ნიჟარაძის გადმოცემით, გუბერნატორის განცხადებაზე, რომ მთავრობას სვანებისათვის სიკეთის მეტი არაფერი მოუტანია და ამისი მადლობელი უნდა იყვნენ, თავის მხრივ, სვანები უთვლიდნენ. რომ მათ არავისი შეწუხება არ სურთ, რომ სვანები, როგორც აქამდე ცხოვრობდნენ, სხვისი შემწეობის გარეშე, ახლაც ისე იცხოვრებენო და სხვ.[3].

ამგვარი მოლაპარაკების შედეგად ამბოხებულთა უმრავლესობა დარწმუნდა, რომ მთავრობა ვეღარ გაბედავდა გადა-

---

1 საისტორიო მოამბე, I, თბილისი, 1945, გვ. 143.

2 იქვე.

3 ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები. II, გვ. 188.

სახადების შემოღებას და, რომ ჯარის მოყვანის მიზანიც ჭხოლოდ წესრიგის აღდგენა იყო და სხვა არაფერი.

ორი დღის მოლაპარაკების შემდეგ მალაფეევმა შეძლო აჯანყებულთა უნდობლობა გაეტეხა და პირადად ესაუბრა კალაში თავმოყრილ გლეხთა წარმომადგენლებს, მაგრამ, რადგან ისინი ბეჩოსა და ლატალის საზღვარზე მდგომი თანამოძმეების აზრის მოლოდინში იყვნენ, ვიცე-გუბერნატორს საბოლოო პასუხი მაინც ვერ გასცეს. 22 ივლისს — დილას კალაში თავმოყრილმა აჯანყებულებმა ლატალიდან მიიღეს ცნობა, რომ თუკი გუბერნატორის სიტყვა სარწმუნო იყო, თვითონაც თანახმა იყვნენ წინააღმდეგობის გაუწევლად დაშლილიყვნენ.

ყოველივე ამის შემდეგ, აჯანყებულებმა მალაფეევისა და ციტოვიჩის სამხედრო ექსპედიციას უფლება მისცეს ბეჩოში წასულიყო, ხოლო თვითონ თავიანთ სახლებში დაბრუნდნენ.

რაკი მალაფეევმა კალის თემში თავის მიზანს მიაღწია და აჯანყებულები დაშალა, 23 ივლისს ბეჩოსკენ გასწია. იგი გზადაგზა აზუსტებდა მთავრობის მოწინააღმდეგე სვანთა ვინაობას. სამხედრო ექსპედიციისათვის გზაში წინააღმდეგობა არავის გაუწევია. ოღონდ, როდესაც მან ბეჩოსა და ლატალის საზღვარს — ბალის ქედს მიაღწია, აქ ექსპედიციის მზვერავებმა შენიშნეს აჯანყებულთა 150-მდეკაციანი შეიარაღებული რაზმი, რომელსაც დასავლეთიდან მოსული მტრის მოგერიება ევალებოდა, თუმცა ამჟამად იგი, ბეჩოს მხრიდან მოსალოდნელი საფრთხის გამო, ჩახერგილ და წალეკილ გზას აკეთებდა. მიუხედავად იმისა, რომ აჯანყებულები უკვე შეთანხმებულიყვნენ წინააღმდეგობის გარეშე დაშლილიყვნენ, ბალის ქედზე მდგომმა რაზმმა თავისი წარმომადგენლები აახლა მალაფეევს და, რადგან ყაბარდოს მილიცია კვლავ ბეჩოში იმყოფებოდა, გარანტია მოითხოვა, რომ არავის არაფერს დაუშავებდა.

„ამბოხებულთა ამ უკანასკნელი ჯგუფის მიმართაც ისეთივე პოზიცია დავიკავე, — წერდა მალაფეევი, — როგორიც დავბერში და იგივე შედეგს მივაღწიე. ადამიანს, რომელსაც არავითარი საქმე არ ჰქონია სვანებთან, ჩემი შემწყნარებლური მოქმედება შეიძლება სისუსტედ მოეჩვენოს, მაგრამ ვინც

იცის სვანების ხასიათის სიმკაცრე, შრომის მძიმე პირობები და საკუთარი სურვილის წინააღმდეგ წაყვანის სიძნელე.... უსამართლოდ და უმიზნოდ მიიჩნევს მათ მიმართ ძალადობის გამოყენებას ისე, თუ წინასწარ არ ამოწურე მათი დამშვიდების და შთაგონების ყოველგვარი შესაძლებლობა"[1].

შემრიგებლური და მოხერხებული ტაქტის წყალობით მალაფეევმა შეძლო ლატალშიც დაემშვიდებინა და დაეშალა აჯანყებულები, თვითონ კი ბეჩოში მშვიდობიანად შესულიყო.

ბეჩოში დაბინავებული მალაფეევი გამოძიებას შეუდგა მან ადგილობრივ ადმინისტრაციას მოსთხოვა დამნაშავეთა სია და დაწვრილებითი მონაცემები. ბოქაულმა და მისმა თანაშემწემ ვიცე-გუბერნატორს წარუდგინეს სია, რომელშიც აჯანყების დამწყებად და ხელმძღვანელად 36 კაცს მიიჩნევდნენ.

მალაფეევი შეეცადა ყველა აქტიური აჯანყებულის გამოაშკარავებას. რამდენიმე დღეში მან გრინევსკის, მეფის ნაცვლის ადიუტანტისა და გრაფ ტიზენგაუზენის სპეციალური მოხელის თანდასწრებით 36 ბრალდებული და 80-მდე სხვა პირი გამოიძახა.

დაკითხულთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ვიცე-გუბერნატორს ერთნაირი ჩვენება მისცა.

გამოძიებისა და სვანეთის ადმინისტრაციის მონაცემების საფუძველზე ვიცე-გუბერნატორმა საბოლოოდ დაადგინა, რომ ლატალის საზოგადოება, სადაც პირველად დაიწყო ჰიწების გაზომვა, უნდობლად მოეკიდა მთავრობის ღონისძიებას. მაგრამ მას აშკარა წინააღმდეგობა არ გაუწევია. მალაფეევის დასკვნით, როდესაც ბოქაულსა და მის თანაშემწეს მესტიისა და მულახის მემამულეებისათვის* მიწის გაზომვის ბლანკების გადაცემა უნდოდათ, მათ ამაზე სასტიკი უარი მიიღეს. „მართალია, — წერდა მალაფეევი, — აზნაურების მხრივ გლეხების წამქეზებლობაზე პირდაპირი მონაცემები არ მოიპოვება, მაგრამ; რადგან მიწაზე გადასახადი სრულიად უცხო და ახალი

[1] საისტორიო მოამბე, I, გვ. 144.

* აქ მალაფეევი შენიშნავს, რომ ეს მემამულეები აზნაურებად იწოდებოდნენ. მალაფეევის შენიშვნით, გლეხები ასეთ გადასახადს (ფეოდალურ ვალდებულებაზეა ლაპარაკი — გ. გ.) ადრეც იხდიდნენ.

მხოლოდ მემამულეებისათვის იყო, არ შეიძლება არ დარწმუნდე იმაში, რომ წინააღმდეგობის გაწევაში სწორედ მესტიისა და მულახის აზნაურები იყვნენ პირველი დამნაშავენი"[1].

გამოძიებამ მალაფეევი იმაშიც დაარწმუნა, რომ ხალხის ამბოხების მიზეზი იყო ხმები მიწასა და პირუტყვზე დიდი გადასახადის დაწესების, ასევე სამხედრო ვალდებულების შემოღების თაობაზე.

ცხადია, გუბერნატორმა ყველაზე უკეთესად იცოდა, რომ სვანეთში ახალი გადასახადები და სხვა ვალდებულება უნდა შემოღებულიყო და ეს ადგილობრივმა ადმინისტრაციამ გაავრცელა, მაგრამ ეს რომ ოფიციალურად გამოაშკარავებულიყო, ნათელი გახდებოდა ისიც, თუ განკარგულება ვინ გასცა. ასეთ შემთხვევაში კავკასიის ადმინისტრაცია იძულებული გახდებოდა ოფიციალურად გამოეცხადებინა თავისი გადაწყვეტილების გაუქმება. ცხადია, ეს თავისი პოლიტიკის აშკარა მარცხი იქნებოდა და რაკი ეს არ აწყობდა, გუბერნატორმა მრავალნაირი ვერსია გამოიგონა — ყოველივე ცრუ ხმებს, გულუბრყვილობას და სვანების ამბოხებისადმი მიდრეკილებას დააბრალა.

მიუხედავად იმისა, რომ აჯანყებისადმი ხელმძღვანელობა ოფიციალურად არავის დაუმტკიცდა, ადგილობრივი ადმინისტრაციის დასმენით და ტენდენციურ გამოძიებაზე დაყრდნობით ვიცე-გუბერნატორმა სამართალში გადასცა 16 კაცი, მათ შორის ყველაზე მძიმე ბრალდება ყასბულათ შერვაშიძეს წარედგინა.

ბეჩოში გამოძიებისას მალაფეევთან პირველი ყ. შერვაშიძე გამოცხადდა. უაღრესად ჭკვიანი, გამჭრიახი და მამაცი ყასბულათი თავს იმართლებდა და ყველაფერში მთავრობას და მის მოხელეებს ადანაშაულებდა. იგი მზად იყო თავის მოქმედებაზე პასუხი ეგო.

მძიმე ბრალდება წარედგინათ აგრეთვე გინადრუყვ ფარჯიანს, ყანსავ შერვაშიძეს (ყასბულათის შვილი), სვინჩი ჯაფარიძეს, შახუბათ ქურდიანს, ბითე იოსელიანს, მაბილა ფილფანს, ბექმურზა ცვირიბიანს, თაისავ კვანჭიანს, გურმაჩ გასვიანს,

---

[1] საისტორიო მოამბე, გვ. 145; საქ. ცსსა, ფ. 416, ან 3, ს. 174, ფურც. 4.

ჩარგაზ ჯოხაძეს, ბაჯუ გირგვლიანს, მურათბი ჩართოლანს, ბექა ფილფანს და ბაბი ნავერიანს.

დამნაშავედ ცნობილმა პირებმა, აგრეთვე ყველა დაკითხულმა განაცხადა, რომ მათ ხელმძღვანელები არ ჰყოლიათ, ყველა იმას აკეთებდა, რაც სურდა, რომ ხელისუფლების მიერ ეჭვმიტანილი პირები ხელმძღვანელები კი არა, არამედ ხალხის თხოვნით მოლაპარაკედ იყვნენ არჩეულები.

მიუხედავად ასეთი ჩვენებებისა, მალაფეევმა ბოქაულის მიერ წარდგენილ სიაში შეტანილ პირთა ნაწილი მაინც დამნაშავედ ჩათვალა, რადგან მისი განსჯით, სურვილის შემთხვევაში აღნიშნულ პირებს შეეძლოთ გავლენა მოეხდინათ ამბოხებულებზე და ხალხი იმთავითვე დაემშვიდებინათ. რაკი ეს პირები ასე არ მოიქცნენ, მალაფეევმა ისინი დაიდანაშაულა — მათ შორის 16 პირი ამბოხების მთავარ გამჩაღებლად სცნო. მით უფრო, რომ პოლიციის და ადგილობრივი ადმინისტრაციის დახასიათებით, ეს პირები ადრეც გამოირჩეოდნენ როგორც სვანების ყოველგვარი ურჩობის მუდმივი ინიციატორები.

ყოველივე ამის გამო, გამოძიებამ მიზანშეწონილად სცნო 16 პირის სვანეთიდან სხვადასხვა ვადით გადასახლება. სასჯელის ასეთი ზომა მალაფეევმა, ერთი მხრივ ლმობიერად მიიჩნია, მეორე მხრივ, სასარგებლო ღონისძიებად ჩათვალა, რადგან თითქოს ამით სვანეთი არაკეთილსაიმედო პირთა გავლენისაგან გათავისუფლდებოდა.

ბეჩოში გამოცხადებული 13 ბრალდებული გუბერნატორმა დააკავა. მათ განუცხადა, რომ ქუთაისში უნდა წაყოლოდნენ და იქ მეფისნაცვალთან უშუამდგომლებდა, რათა ისე მძიმედ არ დასჯილიყვნენ, როგორი დანაშაულიც ჩაიდინეს. ყასბულათი იხტიბარს არ იტეხდა და გუბერნატორს არწმუნებდა, რომ თანახმა იყვნენ ქუთაისში გაყოლოდნენ, რადგან არავითარი დანაშაული არ მიუძღვით. „მე იმედი მაქვს, — განაცხადა ყასბულათმა, — რომ რუსეთის კანონი სამართლიანია და მეფისნაცვალი მართალ ადამიანებს არ დაგვსჯისო“.

მიუხედავად მკაცრი ბრძანებისა, დამნაშავედ ცნობილ პირთაგან ოთხი: ედავ გირგვლიანი, შახუბათ ქურდიანი, გურმაჩ გასვიანი და ჩარგაზ ჯოხაძე ბეჩოში არ გამოცხადდნენ.

ბოეაული და მაზრის უფროსი დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ ეს ოთხი ბრალდებული ვიცე-გუბერნატორის ბეჩოდან წასვლამდე შეეპყროთ, მაგრამ რაკი უკან დაბრუნებისას ჯარს იმ თემებში უნდა გაევლო, სადაც აღნიშნული პირები ცხოვრობდნენ, გუბერნატორმა გაქცეულთა შესაპყრობად სამხედრო ნაწილის წინდაწინ გაგზავნაზე თავი შეიკავა.

ერთი კვირის შემდეგ სამხედრო ექსპედიცია და ყაბარდოს მილიცია ბეჩოდან დაბრუნდნენ. ლატალში გავლისას მალაფეევმა მოითხოვა ედავ გირგვლიანის გამოცხადება, მაგრამ რაკი ამას ვერ მიაღწია, ბრძანა გირგვლიანების სახლკარისათვის ჯარს ალყა შემოერტყა და ედავი ძალით დაეპატიმრებინა. სამხედრო ნაწილის გამოჩენისთანავე ე. გირგვლიანი და მისი მოძმეები ქაეზა და ბაჯუ შეიარაღდნენ და კოშკში შევიდნენ. რადგან გლეხები ნებაყოფლობით არ ჩაბარდნენ, გუბერნატორმა ძალას მიმართა და ციტოვიჩს უბრძანა გირგვლიანებისათვის ცეცხლი დაეშინა. კოშკში ჩაკეტილებმა ცეცხლს ცეცხლითვე უპასუხეს. გირგვლიანებმა ექვსი ჯარისკაცი დასჭრეს და მთელი დღე წინააღმდეგობას განაგრძნობდნენ. რაკი ჩვეულებრივ იარაღიდან სროლამ შედეგი არ გამოიღო, გენერალმა ციტოვიჩმა ბრძანა გირგვლიანების კოშკისა და სახლებისათვის ქვემეხების ჯგუფური ცეცხლი დაეშინათ. ქვემეხების ჭურვებმა დაღამებისას კოშკის ირგვლივ მდებარე ნაგებობებს ცეცხლი გაუჩინა, მალე ეს ალი კოშკსაც მისწვდა. ჭრილობისაგან შეწუხებული ედავი და საფრთხეში ჩავარდნილი მისი თანამებრძოლები იძულებული შეიქნენ კოშკიდან გამოსულიყვნენ და მტერს ჩაბარებოდნენ.

ვიცე-გუბერნატორი არ ელოდა, რომ ასე გაუჭირდებოდა ერთი დამნაშავის შეპყრობა. რაკი სამი დანარჩენი ბრალდებული არ გამოცხადდა და მათდამი დევნა საშიშროებასთან იყო დაკავშირებული, მალაფეევმა დამნაშავეთა შეპყრობა ადგილობრივ ადმინისტრაციას დაავალა, ხოლო თვითონ სვანეთი დატოვა.

ქუთაისში დაბრუნებულმა მალაფეევმა სვანეთის საქმეზე მეფისნაცვლის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელზე მოხსენებითი ბარათი შეადგინა.

ვიცე გუბერნატორის მოხსენებაში, პირველ რიგში, სვა-

ნეთის აჯანყების მიზეზები და მსვლელობა იყო დახასიათებული, შემდეგ კი სამხედრო ექსპედიციის შედეგები და აჯანყების („არეულობის“) მოთავე 16 კაცის ვინაობა იყო გადმოცემული.

მოხსენებაში მალაფეევი ფარისევლურად თხოულობდა, რომ იმ ბრალდებულებისადმი, რომლებიც მასთან ნებაყოფლობით გამოცხადდნენ, მეფისნაცვალს მეტისმეტი სიმკაცრე არ გამოეჩინა — მათთვის სვანეთიდან რამდენიმე წლით გადასახლება ეკმარა, ხოლო ისინი, ვინც გაიქცნენ და იმალებოდნენ, უმკაცრესად დასჯილიყვნენ.

მეფისნაცვალმა 1875 წ. 22 აგვისტოს ქუთაისის ვიცე-გუბერნატორის მოხსენებას — „სვანეთის არეულობაში მონაწილე დაპატიმრებულ სვანთა შესახებ“ — წააწერა: ქუთაისის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებლის „სტატსოვეტნიკ“ მალაფეევის წარდგინება მოხსენებისადმი დართულ სიაში ჩამოთვლილ პირთა სვანეთიდან ადმინისტრაციული წესით გადასახლების შესახებ — დამტკიცდეს. თუკი აღნიშნულთაგანს არეულობაში მონაწილეობის გარდა, დამატებითი ცნობებით, სხვა რამ დანაშაულიც დაუდასტურდა, მაშინ გადასახლება უფრო მძიმე სასჯელით — პატიმრობით შეეცვალოს[1].

ხოლო გირგვლიანების (რომელთაც შეიარაღებული წინააღმდეგობა გასწიეს) საქმე სამხედრო სასამართლოს უნდა გაერჩია. ამის თაობაზე კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბი 1875 წ. 2 სექტემბერს მეფისნაცვლის მთავარმმართველობას ატყობინებდა: 26 აგვისტოს სამხედრო მინისტრმა ტელეგრამით გვაცნობა, რომ ხელმწიფე იმპერატორმა ინება სვანეთის მღელვარების მთავარი დამნაშავეები სამხედრო სასამართლომ ომისდროინდელი კანონით გაასამართლოს. ამასთანავე სამხედრო შტაბის უფროსი მთავარმმართველობას თხოვდა, რომ ქუთაისის გუბერნატორს სპეციალური სია და დახასიათება წარედგინა იმ პირებისა, რომელთა საქმე სამხედრო სასამართლოს უნდა გაერჩია[2].

სვანეთის აჯანყების მონაწილეთა საქმის წინასწარ გარჩევაში ვიცე-გუბერნატორთან ერთად მონაწილეობდნენ გუბერ-

[1] საქ. ცსსა, ფ. 20, ს. 2468, ფურც. 20

[2] ი ბ ე ვ ე, ფურც. 23.

ნიის პროკურორი, პოლიციისა და მაზრის უფროსები, ბოქაული და სხვ.

გუბერნატორისა და პროკურორის მიერ წინასწარ მიღებული დამატებითი მონაცემების საფუძველზე აჯანყების მეთაურებად მიჩნეულ ზოგიერთ პირს თითქოს სხვა დანაშაულიც ჰქონდა ჩადენილი. ამიტომ გადაწყდა, რომ საქმის საბოლოო გამორკვევამდე, ყასბულათ და ყანსავ შერვაშიძეები, გურმაჩ გასვიანი, ჩარგაზ ჯოხაძე, შახუბათ ქურდიანი და თაისავ კვანქიანი ამოღებული ყოფილიყვნენ ადმინისტრაციული წესით გადასასახლებელთა სიიდან, რაც მალე შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრებსაც ეცნობათ.

იმ შემთხვევაში, თუ სვანეთიდან ადმინისტრაციული წესით გადასასახლებელთა სიიდან ამოღებულთაგან რომელიმეს სისხლის სამართლის დანაშაული არ დაუდასტურდებოდა ან ეს დანაშაული მსუბუქი აღმოჩნდებოდა, ვიცე-გუბერნატორის განცხადებით, ეს პირნიც იმავე წესით დაისჯებოდნენ, როგორც ეს თავიდან იყო გათვალისწინებული, ე. ი. ადმინისტრაციული წესით იქნებოდნენ სვანეთიდან რამდენიმე წლით გადასახლებული.

როგორც ჩანს, ბეჩოს გამოძიების შემდეგ ლატალის შეიარაღებულმა შეტაკებამ, აგრეთვე რამდენიმე ადამიანის დამალვამ, აჯანყების მონაწილე პატიმართა საქმეც საგრძნობლად გაართულა. მეფის მოხელეები ცდილობდნენ მათთან ანგარიშის გასასწორებლად უფრო მძიმე ბრალდება გამოენახათ.

ეტყობა, სვანეთის აჯანყების მონაწილე დაპატიმრებულ პირთა საქმეების დამამძიმებელი სხვა საბუთების გამოძებნა გაჭირდა, მიუხედავად დეტალური ძებნისა, საოლქო სასამართლო ორგანოების ხელში არავითარი მასალა არ აღმოჩნდა აჯანყების მოთავედ მიჩნეული რომელიმე პირის სისხლის ან სამოქალაქო სამართალში მისაცემად. ამიტომ გუბერნიის პროკურორი იძულებული გახდა 5 სექტემბერს ვიცე-გუბერნატორისათვის ეცნობებინა, რომ სვანეთიდან ადმინისტრაციული წესით გადასასახლებელ პირთაგან არც ერთი არ იყო პასუხისგებაში მიცემული და დევნილი. აღნიშნულის გამო, პროკურორმა სანქცია გასცა აჯანყების მონაწილე სვანთა გადასახლების სისრულეში მოყვანაზე, ოღონდ საქმის საბოლო-

ოდ გადასაწყვეტად მეფისნაცვლის თანხმობა უნდა ყოფილიყო. ამასთან, შინაგან საქმეთა მინისტრის სახელმძღვანელო განკარგულების თანახმად, გუბერნიის ხელმძღვანელობა ვალდებული იყო ადმინისტრაციული წესით გადასასახლებელ პირთა დანაშაულებრივი საქმეების ძებნა განაჩენის სისრულეში მოყვანის შემდეგაც განეგრძო.

მართალია, მეფის მოხელეები ამაოდ დაშვრნენ აჯანყების მონაწილეებზე დამატებითი ბრალდების დამტკიცებაზე, სამაგიეროდ, ქუთაისის ციხეში პოლიციამ პატიმრებს ისეთი მძიმე პირობები შეუქმნა, რომ ორი თვის შემდეგ ისინი სიკვდილის კარამდე მივიდნენ. უმძიმესი რეჟიმისა და არაადამიანური დაშოკიდებულების შემდეგ სექტემბრის შუა რიცხვებამდე აჯანყების მონაწილეთაგან ოთხი უკვე გარდაიცვალა, ხოლო დანარჩენებიც უკიდურესად დაძაბუნდნენ.

იმის რიდით, რომ განაჩენის სისრულეში მოყვანამდე აჯანყების ყველა მონაწილე არ დახოცილიყო, ქუთაისის გუბერნიის მმართველი მალაფეევი იძულებული გახდა 1875 წლის 24 სექტემბერს მეფისნაცვლის მთავარმმართველობის უფროსისადმი სპეციალური წერილით მიემართა, რათა აჯანყების მონაწილე სვანები სასწრაფოდ გადაესახლებინათ ან იმთავითვე თბილისის ციხეში გადაეყვანათ, რადგან თითქოს ქუთაისის ციხე პატიმართა ჯანმრთელობაზე მომაკვდინებლად მოქმედებდა. ვიცე-გუბერნატორი აცნობებდა, რომ პატიმართაგან ოთხი უკვე გარდაცვლილი იყო, ხოლო თითქოს სამხედრო სასამართლოს სისასტიკის მოლოდინით შეშინებულმა ერთ-ერთმა ბრალდებულმა თავის მოკვლაც კი სცადა. ყოველივე ამის გამო, მალაფეევი აჯანყების მონაწილეთა ნაწილის გადასახლებას, ხოლო მთავარი დამნაშავეების დაუყოვნებლივ გასამართლებას თხოულობდა სამხედრო სასამართლოს მეშვეობით[1].

საჭირო მასალების თავმოყრის შემდეგ, გუბერნიის პოლიციამ, პროკურატურამ და მმართველობამ სვანეთის აჯანყების მოთავეებად მიჩნეულ 16 კაცს ასეთი საბრალდებო საქმე შეუდგინეს[2]:

[1] საისტორიო მოამბე, I, გვ. 154.

[2] იქვე. გვ 151—152.

| ეკარი და სახელი | დანაშაულის ხასიათი და ბრალდება | განზრახული სასჯელი | შენიშვნა |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| ყასბულათ შერვაშიძე (მულახის საზოგადოება).<br><br>ვანადრუყვ ფარჯიანი (ლატალის საზოგადოება). | თავიანთი აღიარების და ყველა დაკითხული პირის ერთხმად დამოწმებით, მხილებული არიან მღელვარე ბრბოს ფიცის მიღების მოთავეობაში. ადგილობრივი პოლიციის მიერ დიდი ხანია ორივე ცნობილია, როგორც თავიანთ საზოგადოებაში დიდი გავლენის მქონე, რასაც უკეთესმართად იყენებენ მთავრობის განკარგულებათა წინააღმდეგ. | სვანეთიდან 5 წლით გადასახლება.<br><br>სვანეთიდან 3 წლით გადასახლება. | აღნიშნულის გარდა, ყასბულათ შერვაშიძეს ბრალი ედება სისხლის სამართლის დანაშაულში, რაც გამოძიების საქმის წარმოებაშია. |
| ეენსავ (ყასბულათის ძე) შერვაშიძე (მულახის საზოგადოება). | ადგილობრივი უფროსების და ჩემი პირადი დაკვირვებით, მშფოთვარე ხასიათისაა, არეულობის დროს განუშორებლად იმყოფებოდა მამამისთან. | სვანეთიდან 5 წლით გადასახლება. | ბრალი ედება სისხლის სამართლის რამდენიმე დანაშაულში, რაც გამომძიებლისა და პროკურორის საქმის წარმოებაშია გამოსარკვევად. |
| მესტიის საზოგადოების აზნაური სეინჩი ჯაფარიძე. | მრავალი მოწმის ჩვენებით ბრალი ედება იმაში, რომ მიწის აღწერის დროს მულახის საზოგადოებას მთავრობის წინააღმდეგ ამხედრებდა. მონაწილეობდა ყველა ყრილობასა და ფიცის მიღებაში. | პატიმრობა 1 წლით. | გამოცხადდა ჩემთან, გულწრფელ სინანულს გამოთქვამდა. |
| მულახელი აზნაური შახუბათ ქურდიანი.<br><br>მესტიელი აზნაური ბესო გოშთელიანი. | ბოქაულის და სხვა თანამდებობის პირთა ჩვენებით, მხილებულები არიან იმაში, რომ პირველებმა განაცხადეს უარი ბლანკების მიღებაზე და ადრიდან არიან ცნობილი, როგორც დაუდეგარი, დაუმორჩილებელი და თვითნება ადამიანები. | სვანეთიდან 3 წლით გადასახლება | სხვების დაპატიმრების დროს დაიმალა, დაპატიმრებისათვის ზომებია მიღებული. |

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| მულახელი აზნაური ბითე ოსელიანი. | წინა ორი დამნაშავის მსგავსად ბრალი ედება მულახის მოსახლეობის წაქეზებაში. | სვანეთიდან 2 წლით გადასახლება. | |
| მესტიელი გლეხი მაბილა ფილფანი<br>ლატალელი გლეხი ბექმურზა წვარიბიანი.<br>ლატალელი გლეხი თაისავ აკანჭიანი. | მრავალი მოწმის ჩვენებით მხილებული არიან, როგორც ყველა ყრილობის და დაფიცების მონაწილენი, აგრეთვე სხვების წამქეზებლები. | სვანეთიდან 3 წლით გადასახლება.<br>" | ქურდობის გამო სასამართლოშია გადაცემული. |
| ქალის თემის სოფ. ხალდეს გლეხი გურმაჩ ჯასვიანი.<br>იმავე საზოგადოებისა და სოფლის გლეხი ჩარკაზ ჯოხაძე. | მრავალი პირის ჩვენებით მხილებული არიან, როგორც ყველა მღელვარების და დაფიცების აქტიური მონაწილეები. ჩემს მიერ (იგულისხმება ვიცე-გუბერნატორი გ. გ.) აჯანყებულ ბრბოსთან მოსალაპარაკებლად მიგზავნისას ყველაზე მეტს ყვიროდნენ და ხალხს აფრთხილებდნენ არ დაშლილიყვნენ. ადგილობრივი პოლიციის მიერ დიდი ხანია ორივე ცნობილი არიან, როგორც მთავრობის ყველა განკარგულების უტიფარი მოწინააღმდეგენი. | სვანეთიდან 5 წლით გადასახლება.<br>სვანეთიდან 5 წლით გადასახლება. | სხვების დაპატიმრებისთანავე მიიმალა. დასაჭერად ზომებია მიღებული. იგიც მიიმალა, ბრალი ედება სხვადასხვა დანაშაულში. ძიებისას დაკავებული იყო, მაგრამ ორჯერ გაიქცა. საქმე ძიებაშია. |
| ლატალელი გლეხი ბაჯუ გირგელიანი.<br>მესტიელი გლეხი მურათბი ჩართოლანი. | მრავალი ჩვენებით მხილებული არიან როგორც ყველა თავყრილობის და დაფიცების აქტიური მონაწილენი. | პატიმრობა 1 წლით. | |
| ლენჯერელი გლეხები ბექა ფილფანი და ბაბა ნაკერიანი. | | პატიმრობა 1 წლით. | |

ამ საბრალდებო დასკვნას, რომელიც მეფისნაცვალ მიხეილს გაეგზავნა, ხელს აწერდა ვიცე-გუბერნატორი მალაფეევი.

რამდენჯერმე შეხსენების შემდეგ 1875 წლის 21 ოქტომბერს, როდესაც აჯანყების ოთხი მონაწილე (ედავ გირგვლიანი, ბითე იოსელიანი, თაისავ კვანჭიანი და ბაბი ნავერიანი) უკვე გარდაცვლილები იყვნენ ქუთაისის ციხეში, ხოლო სამი ბრალდებული (გურმაჩ გასვიანი, ჩარგაზ ჯოხაძე და შახუბათ ქურდიანი) იმალებოდა, მეფისნაცვალმა ვიცე-გუბერნატორისადმი განკარგულება გასცა: „თქვენი წარდგინების თანახმად ნებას ვიძლევი სვანეთის არეულობის მონაწილე პირები მხარიდან (ე. ი. სვანეთიდან — გ. გ.) იმპერიის ერთ-ერთ შიდა გუბერნიაში გაასახლოთ, მათ შორის გლეხები: ყასბულათ შერვაშიძე, ყანსავ შერვაშიძე, გურმაჩ გასვიანი, ჩარგაზ ჯოხაძე, გინადრუყვ ფარჯიანი, აზნაურები: შახუბათ ქურდიანი და ბესი გოშთელიანი, გლეხები: მაბილა ფილფანი და ბექმურზა წვირიბიანი, — პირველი ოთხი-ხუთი წლის ვადით, უკანასკნელი ხუთი კი — სამი წლით, ხოლო: აზნაური სვინჩი ჯაფარიძე, გლეხი ბაჯუ გირგვლიანი, მურათბი ჩართოლანი და ბექა ფილფანი დაისაჯონ თითო წლის პატიმრობით. გატყობინებთ რა ამას, გთხოვთ გასცეთ განკარგულება გადასახლებულ პირთა წესისამებრ გაგზავნაზე ქ. ხარკოვში (გუბერნატორის განკარგულებაში), ვიდრე მათ დანიშნულებისამებრ საბოლოოდ არ განაწესებს შინაგან საქმეთა მინისტრი, რომელსაც აგრეთვე საქმის ვითარება ეცნობა“[1].

როგორც ვხედავთ, სვანეთის აჯანყების მონაწილეებს მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედების გარდა, სხვა უფრო მძიმე ბრალდება ვერ დაუმტკიცდათ. ამიტომ გუბერნიის ხელმძღვანელობის მიერ გამოტანილ განაჩენში მეფისნაცვალმა მხოლოდ ოდნავი ცვლილებები შეიტანა. ამასთან, სვანეთის საქმეები კვლავ მოუგვარებელი რჩებოდა, ამიტომ მეფისნაცვალმა სვანეთის აჯანყების მონაწილეთა საქართველოს ფარგლებში გაჩერება მიზანშეუწონლად მიიჩნია.

ასე დამთავრდა გლეხთა აჯანყების პირველი ეტაპი.

---

1 საისტორიო მოამბე, I, გვ. 155.

უდავოა, რომ სვანეთის მღელვარებას ღრმა ეკონომიკური და პოლიტიკური მიზეზები განაპირობებდა, ამიტომ ხალხის უკმაყოფილებისა და მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლების ლიკვიდაცია მხოლოდ ზედაპირული ღონისძიებებით და ადმინისტრირების გზით ვერ მოხერხდა. ეს გარემოება არ შეიძლება ნაწილობრივ მაინც არ გაეთვალისწინებინა გუბერნიის ხელმძღვანელობას.

სხვათა შორის, ვიცე-გუბერნატორმა მალაფეევმა სცადა სვანეთის არეულობის მიზეზების დადგენა და მისი აღმოფხვრისათვის გარკვეული ღონისძიებებიც დასახა.

1875 წლის აგვისტოში მიხეილ ნიკოლოზის ძისადმი სვანეთის არეულობის თაობაზე მიწერილ მოხსენებაში ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი მალაფეევი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ 1869 წელს შემოღებულმა მმართველობამ სვანეთში უნაყოფოდ ჩაიარა. იგი წერდა: 1) ადგილობრივი სასოფლო თვითმმართველობა გამოიხატება მხოლოდ თანამდებობის პირთა არჩევნებით, მაგრამ ამ უკანასკნელთა განცხადებით და ჩემი დაკვირვებით, სვანები მმართველობას არ ემორჩილებიან; 2) სასოფლო სასამართლოს იშვიათად თუ ვინმე მიმართავს, ასეთ შემთხვევაშიც ორივე მხარე გადაწყვეტილების უკმაყოფილოა და მას არ ემორჩილება; 3) 1869 წლიდან აღძრული სისხლის სამართლის არც ერთი საქმე სასამართლოს მიერ არ არის გადაწყვეტილი. ყველა ბრალდებული თავისუფლად გრძნობს თავს და ზოგიერთმა მათგანმა კიდევაც მოასწრო ახალი დანაშაულის ჩადენა. აღნიშნულის გამო, დაზარალებულებმა დაკარგეს კანონიერი დაცვის იმედი, ხოლო დამნაშავეები დაიმედებული არიან დაუსჯელობით 4) ერთადერთი სკოლა, რომელიც მართლმადიდებელმა საზოგადოებამ დააარსა, მასწავლებლის უყოლობის გამო დაიკეტა[1].

ვიცე-გუბერნატორი ეხებოდა სვანეთში გადასახადების აკრეფის სიძნელეს და მათ შეტისმეტ სიმცირეზე მიუთითებდა. იგი წერდა: „მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად უმნიშვნელო რაოდენობის გადასახადები დაწესდა იმ ანგარიშით,

1 საისტორიო მოამბე, I, გვ. 148—149; საქ. ცსსა, ან. 3. ს. 174. ფურც. 5.

რომ ის თანდათანობით გაიზრდებოდა, გადასახადების აკრეფა დიდ სიძნელეს შეადგენს. უკანასკნელმა მღელვარებამ გვიჩვენა, თუ რა ხარჯებთან და რა სიძნელეებთანაა დაკავშირებული გადასახადების გადიდება. ამიტომ მე ვეჭვობ — თუნდაც შორეულ მომავალში სვანეთში გადასახადის გადამხდელებმა როდისმე აუნაზღაურონ მთავრობას თუნდაც იმ ხარჯების ნახევარი, რაც ამ მხარის მმართველობისთვის სჭირდება. ერთადერთი სარწმუნო საბუთი, რითაც შევძლებდით სვანებისათვის ნებაყოფლობით გადაგვეხდევინებინა გადასახადები, იქნება იმ დაპირების შესრულება, რომ მათ თვითმმართველობას მივანიჭებდით, თავდაცვის აუცილებლობისა და სისხლის აღებისაგან ვიხსნიდით, სახელმწიფო სასამართლოს დავუკავშირებდით და სკოლებს მოვუწყობდით. რადგან არც ერთი ამ სიკეთით სვანები ჯერ კიდევ ვერ სარგებლობენ, ამიტომ, ბუნებრივია, გადასახადების გადახდის საჭიროება და, მით-უფრო მათი გადიდება, სვანების ცნობიერებაში ყოველგვარი კანონიერების საფუძველს კარგავს"[1].

ამასთანავე ვიცე-გუბერნატორი თავის მოხსენებაში აღნიშნავდა: სამხედრო რაზმი, რომელიც ბეჩოშია დაბანაკებული და რომელსაც წესრიგის დაცვაში პოლიციისადმი დახმარება ევალება, უძლური აღმოჩნდა. მაგალითად, მიუხედავად სამხედრო რაზმის თანდასწრებისა 1872 წელს რამდენიმე დამნაშავის დასაჭერად მაზრის უფროსს 400 მილიციელის შეგროვება დასჭირდა. უკანასკნელ ამბებში იძულებული გავხდით საფრთხეში მყოფი სამხედრო რაზმის უშიშროების უზრუნველსაყოფად სვანეთში სამხედრო ნაწილი წაგვეყვანა. სამხედრო რაზმის ადგილსამყოფელიც უხეიროდ შერჩეული აღმოჩნდა, რადგან ის მეტისმეტად დაშორებულია სვანეთის იმ ნაწილისგან, რომელიც პოლიციის მუდმივ ზედამხედველობას და სამხედრო ძალის ჩარევას საჭიროებს.

დაბოლოს, ვიცე-გუბერნატორი იძულებული იყო შეენიშნა: „სვანეთში მთავრობის გავლენის გავრცელებისა და ავტორიტეტის დამკვიდრების მთავარ დაბრკოლებას მუდმივი მოხერხებული გზის არარსებობა წარმოადგენს. 1873 წელს სა-

---

1 საისტორიო მოამბე, გვ. 148—149; საქ. ცსსა, ან. 3. ს. 174, ფურც. 5.

ბოლოოდ დადგინდა, რომ ასეთი გზა უნდა გაყვანილიყო ენგურის ხეობით, რომლის ტრასირება სამხედრო უწყების ხარჯზე 1874 წელს გაკეთდა, ხოლო გეგმისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენას ინჟინერი ზუბოვი ამთავრებს, გზის სამუშაოს დასაწყებად კი ფული არ გაგვაჩნია"[1]. როგორც ვხედავთ, სვანეთის მიმართ ცარიზმის პოლიტიკის უსამართლობას თვით მისი მაღალი რანგის მოხელეც აღიარებდა.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ მეფის მოხელეები სვანებს სიტყვიერად ყველაფერს ჰპირდებოდნენ, სინამდვილეში იქაურ მოსახლეობას უმოწყალოდ ავიწროებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ გუბერნიის მმართველობამ სვანეთში ახალი გადასახადების შემოღების მცდელობა დამალა და ყველაფერი ცრუ ხმებს გადააბრალა, სინამდვილეში, როგორც ეს ვიცე-გუბერნატორ მალაფეევის მიერ მეფისნაცვლის მისამართით გაგზავნილ მოხსენებაშიც კარგად ჩანს, სვანეთში თავდაპირველად (ე. ი. 1869 წელს) შედარებით მცირე გადასახადი იმ ვარაუდით დაწესდა, რომ იგი თანდათანობით გაიზრდებოდა და საბოლოო ჯამში სვანეთის მმართველობისათვის ხაზინის მიერ გაღებულ თანხას გადააჭარბებდა, მაგრამ, როგორც ამას გუბერნატორი თავის მოხსენებაშიც შენიშნავდა — გადასახადების გაზრდა სვანეთში დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, რაც უკანასკნელი ამბებიდანაც კარგად გამოჩნდაო. ყოველივე ეს იმისი პირდაპირი აღიარება იყო, რომ გლეხთა მღელვარება და აჯანყება სვანეთში ახალი გადასახადების შემოღების ცდამ გამოიწვია.

სვანეთში იყო თუ არა განზრახული ახალი გადასახადების შემოღება? ამ თვალსაზრისით საინტერესოა გუბერნატორის 1875 და 1876 წლების ანგარიშები. ვიცე-გუბერნატორი თავის 1875 წლის ანგარიშში მეფისნაცვალს მოახსენებდა, რომ „1875 წ. ივნისში სვანეთის ზოგიერთ საზოგადოებაში შეიარაღებული აჯანყება გამოიწვია ხმებმა — გადასახადების უზომო გაზრდის შესახებო"[2]. ვიცე-გუბერნატორი აქ მხოლოდ გა-

---

1 საისტორიო მოამბე, I, გვ. 148-149; საქ. ცსსა, ფ. 416, ს. 174, ფურც. 6.

2 ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 21, д. 174, л. 74—75.

დასახადების უზომო გაზრდას უარყოფს და არა საერთოდ გადასახადების გადიდების ცდას. გუბერნატორი არც შემდგომი წლის ანგარიშში უარყოფს გადაჭრით სვანეთში საადგილმამულო გადასახადის შემოღების სურვილს[1].

ცხოვრების მძიმე პირობები, მეფის მოხელეთა თავაშვებული მოქმედება და გადასახადების დაწესება, ბუნებრივია, სვანეთის მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა. ადმინისტრაციამაც კარგად იცოდა, რომ გლეხთა გამოსვლების საბოლოო აღმოფხვრა მარტო რეპრესიებით არ შეიძლებოდა, რომ ხალხის დაშოშმინებისათვის აუცილებელი იყო ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება და, აგრეთვე მმართველობის გარდაქმნა.

მალაფეევის მოსაზრებით სვანეთში წესრიგისა და მტკიცე მმართველობის უზრუნველყოფისათვის საჭირო იყო: 1) ენგურის ხეობით გზის მშენებლობის დაუყოვნებლივ დაწყება ხაზინის ხარჯზე; 2) ბეჩოს სამხედრო ასეულის შეცვლა მოხალისე სვანთა მილიციის რაზმით, რომელიც უშუალოდ ბოქაულს დაემორჩილებოდა (მოხელის მტკიცებით, ასეთი მილიციის შენახვაც იაფი დაჯდებოდა და მისი მოსახლეობაზე მოქმედებაც ბევრად ეფექტური იქნებოდა, ამასთანავე, ადგილობრივი მილიცია სამხედრო ასეულივით არ იქნებოდა სხვადასხვა გარემოებაზე დამოკიდებული); 3) ბოქაულისა და პოლიციის უფლებამოსილებისა და ხელფასის გაზრდა; 4) ცენტრიდან დაშორებული თემებისადმი მეთვალყურეობის გაზრდა, ამ მიზნით ბოქაულის მეორე თანაშემწის თანამდებობის დაწესება; 5) სახსრების გამონახვა იმისათვის, რომ თბილისის სასამართლოს პალატის თავმჯდომარეს სვანეთში მუდმივი მართლმსაჯულება დაეწესებინა; 6) მართლმადიდებლური რწმენის გაძლიერება.

ვიცე-გუბერნატორის მიერ წამოწყებული გეგმა გაეგზავნა მეფისნაცვალს, რომელმაც თანხმობის ნიშნად წააწერა, რომ საქმეს მსვლელობა მისცემოდა. მაგრამ ეს მოსაზრებებიც ისევე, როგორც უწინ წამოწყებული ყველა სხვა ღონისძიება, მხოლოდ სურვილად დარჩა, რადგან, სვანეთის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის საჭირო იყო დასახული ღო-

[1] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 21, д. 174, л. 63.

ნისძიებების რეალიზაცია, ე. ი. სახსრები, რის გაღებასაც ხაზინა გაურბოდა.

## 2. შეიარაღებული აჯანყება და ხალდეს ტრაგედია

(სამხედრო ექსპედიციისა და კავკასიის ადმინისტრაციის მიერ განხორციელებულმა რეპრესიებმა და ღონისძიებებმა ვერ ჩაკლა სვანეთის გლეხთა წინააღმდეგობა. ცხადია, მთავრობის მიერ ახალი გადასახადების დაწესებაზე ხელისაღებამ გლეხობის საბრძოლო სულისკვეთება შეანელა, მაგრამ, სამაგიეროდ, გლეხთა ნაწილის დაპატიმრებამ და, მით უფრო, ზოგიერთი მათგანის ციხეში გარდაცვალებამ არა მარტო მათი ოჯახები და ნათესაობა, არამედ მთელი სვანეთის გლეხობა ააფორიაქა.)

უდანაშაულო ადამიანთა ფიზიკურმა მოსპობამ და სხვა რეპრესიებმა მთავრობისადმი მოსახლეობის ნდობა საბოლოოდ გააქარწყლა. ხალხში კვლავ გაისმოდა პოლიციური რეჟიმის წინააღმდეგ პროტესტის ხმა, მაგრამ მეფის მოხელეები ახლა უფრო ფხიზლობდნენ და სამხედრო რაზმის დახმარებით სვანეთში სიმშვიდის დამკვიდრებას ლამობდნენ.

მაზრისა და საბოქაულოს ადმინისტრაცია 1875 წლის შემოდგომაზეც განაგრძობდა მღელვარების მოთავე, დაუპატიმრებელ პირთა: შახუბათ ქურდიანის, გურმაჩ გასვიანისა და ჩარგაზ ჯოხაძის დევნას. მაგრამ მთელი სვანეთის მოსახლეობის სიმპათიებისა და განსაკუთრებით სოფ. ხალდეს მცხოვრებთა ერთსულოვანი მხარდაჭერის წყალობით ბოქაულმა და მისმა თანაშემწემ, რომელთა განკარგულებაში სამხედრო რაზმი და პოლიცია იყო. „დამნაშავეთა“ დაპატიმრება ვერ მოახერხეს. ამასობაში ზამთარი დადგა. და გაქცეულთა დევნა უგზოობის გამო დროებით შეწყდა.

1876 წლის გაზაფხულზე ადგილობრივი ადმინისტრაცია გაქცეულთა დევნას ახალი ენერგიით შეუდგა. ყველაზე მეტად ბოქაულის თანაშემწე თენგიზ დადიშქელიანი აქტიურობდა. მას მიაჩნდა, რომ მისი მომავალი კარიერა ამ საქმეში წარმატებაზე იყო დამოკიდებული, ამიტომ არაფერს ზოგავდა, თუმცა მის ენერგიულ მოქმედებას შედეგი არ მოჰყოლია.

ვიცე-გუბერნატორი მალაფეევი განკარგულებას განკარგულებაზე იძლეოდა, მაგრამ თანამოძმეების ბედის ტრაგიკული დასასრულით შეშფოთებული შახუბათ ქურდიანი, გურმაჩ გასვიანი და ჩარგაზ ჯოხაძე დამორჩილებას არ აპირებდნენ.

ციხეში დაღუპულთა და დანარჩენ პატიმართა ბედით აღშფოთებული სვანეთის მოსახლეობა ღელავდა. მაზრის უფროსი გრინევსკი მოთმინებას კარგავდა და გაქცეულ პირთა ხელშემწყობთ განადგურებით ემუქრებოდა.

თავის მხრივ ღელავდა თ. დადიშქელიანიც. მაზრის უფროსი, ბოქაული და მისი თანაშემწე რამდენჯერმე ეწვივნენ მულახის და კალის თემებს, რათა ბრალდებულთა დაპატიმრებაში დახმარებოდნენ, მაგრამ უშედეგოდ.

ახლად დანიშნულმა ბოქაულმა პოდპოლკოვნიკმა თავადმა მიქელაძემ და თ. დადიშქელიანმა. სამხედრო ნაწილის მეშვეობით ორჯერ სცადეს შ. ქურდიანის, გ. გასვიანისა და ჩ. ჯოხაძის დასაპატიმრებლად ხალდეში შესვლა, მაგრამ ხალხის პროტესტის გამო მათი ცდა ორივეჯერ ამაო გამოდგა.

რაკი სხვაგვარად არაფერი გამოვიდა, ხოლო ვიცე-გუბერნატორმა დაჟინებით მოითხოვა დამნაშავეთა დაპატიმრება, გრინევსკიმ ლეჩხუმში მილიცია შეკრიბა და 1876 წ. ივლისში ლასილის გადასასვლელით (სვანეთის ქედზე) შევიდა ბეჩოში, საიდანაც ბოქაულ მიქელაძესთან, თ. დადიშქელიანთან, სასამართლოს ბოქაულ ასათიანთან ერთად სამხედრო ასეულიც წაიყვანა. ეს ექსპედიცია მოულოდნელად მიადგა მულახის თემის სოფელ მურშკელს. რაკი აქ შ. ქურდიანი ვერ შეიპყრეს, მისი უდანაშაულო ორი შვილი დააპატიმრეს და ხელბორკილი დაადეს. დამსჯელები მულახიდან კალაში წავიდნენ.

ლეჩხუმის მაზრის უფროსმა გრინევსკიმ სოფელ ხალდეში შესვლა ვერ გაბედა და მის მცხოვრებლებს ბექირბი და ლევან დადიშქელიანების, აგრეთვე კალის მღვდლის ალექსი ბაქრაძისა და კალის საზოგადოების მამასახლისის მარგველანის მეშვეობით 1876 წ. 31 ივლისს მოლაპარაკება გაუმართა. მაზრის უფროსმა, ასეულის მეთაურმა და ბოქაულმა ხალდელებს ულტიმატუმი წაუყენეს — ან ორი გაქცეული ბრალდებული ჩაებარებინათ, ან სოფელს დაარბევდნენ. ხალდე-

ლებს პირი ჰქონდათ შეკრული თანასოფლელები არ გაეცათ და მოციქულების მეშვეობით ადმინისტრაციას შეუთვალეს, რომ ბრალდებულთაგან არც ერთი სოფელში არ იმყოფებოდა და მათზე არც არაფერი იციან.

კალის მამასახლისისა და ბოქაულის ცნობით აღნიშნულ დროს ხალდეში ცხოვრობდა შრომისა და ბრძოლისუნარიანი 40-მდე მამაკაცი, რომლებიც მთავრობას არ ემორჩილებოდნენ.

მოციქულობამ და მუქარამ რომ ვერ გაჭრა, მაზრის უფროსმა გრინევსკიმ მოითხოვა ხალდელები მასთან გამოცხადებულიყვნენ სოფელ ლალხორში, მაგრამ 19-კომლიანი ხალდე ერთ პირობაზე იდგა — არ გაეცათ ორი თანამოძმე და ერთად ებრძოლათ თანასოფლელების დასაცავად.

როგორც აღვნიშნეთ, გადასახადების შემოღების წინააღმდეგ ბალსზემო სვანეთის მოსახლეობამ, ჯერ კიდევ, 1875 წლის ივნისში დადო ფიცი ერთად ემოქმედათ, მაგრამ ეს ფიცი მთავრობამ ჯარის მეშვეობით გატეხა და რამდენიმე კაცი დააპატიმრა. ხალდელები კი ფიცის გატეხას არ აპირებდნენ.

რაკი გრინევსკიმ მოლაპარაკებით ვერაფერი გააწყო, განრისხდა და მთელ სოფელს აწიოკებით ემუქრებოდა.

მთელი სოფლის დასჯის მუქარამ ძლიერ შეაწუხა ექსპედიციის ზოგიერთი მხლებელი, მათ შორის იყო გიმნაზიის სტუდენტი, უშგულის მკვიდრი ბესარიონ ნიჟარაძე. სხვებთან ერთად ხალდეში წასვლა მან ითავა. ბ. ნიჟარაძე წერდა: „მე მკვიდრი ნათესავები მყავდა ხალდეში და ესეც რომ არ ყოფილიყო, რაკი ვხედავდი, საქმე ცუდად მიდიოდა, უარი არ მითქვამს. სოფელს ან ორი დამნაშავე უნდა მიეყვანა გრინევსკისთან, ან თვითონ გამოცხადებულიყო“[1].

31 ივლისს, სანამ ბ. ნიჟარაძე და მისი მხლებლები სოფელ ხალდემდე შეაღწევდნენ, ზოგიერთს თავისი ცოლ-შვილი უკვე მთაში გაეხიზნა, ხოლო თუ გრინევსკი სოფელს სამხედრო რაზმით შეუტევდა, ყველა ბრძოლისუნარიანი მამაკაცი მზადყოფნაში იყო.

ბ. ნიჟარაძემ სოფლის შუაგულში თავმოყრილ ხალხს

---

1. ბ. ნ ი ჟ ა რ ა ძ ე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, II გვ.194.

გრინევსკის დანაბარები გადასცა, თან ურჩია, რომ მთავრობისადმი ურჩობა არ ივარგებდა.

მიუხედავად მოციქულების რჩევისა და ადმინისტრაციის კატეგორიული ულტიმატუმისა, სოფელმა ორი მკვიდრის ჩაბარება არ ინება. ამასთანავე, კალაში წასვლის მოთხოვნაზე უპასუხეს: შახუბათ ქურდიანის მაგიერ გრინევსკიმ მისი ორი შვილი დააპატიმრა და ბორკილგაყრილი წაიყვანა, ჩვენ რა იმედი გვაქვს, რომ არ დაგვიჭერს და ქუთაისის ციხეში არ გამოგვამწყვდევს, იქ არ დაგვხოცავს. ამიტომ ჩვენ ცოცხალი თავით არავის ჩავბარდებით, იქ ციხეში დახოცვას, აქ სახელოვნად სიკვდილი გვირჩევნიაო — ასეთი იყო ხალდელების პასუხი.

ხალდეს მცხოვრებთათვის ცხადი იყო, რომ ამგვარი ურჩობა არ ივარგებდა, მაგრამ მათი გადაწყვეტილება — არ დაეშვათ თავისი ღვიძლი ორი კაცის მთავრობისადმი გადაცემა — საბოლოო და შეურყეველი იყო.

ბ. ნიჟარაძეს სწამდა, რომ სოფელ ხალდეს მოსახლეობას უბედურება დასტრიალებდა, ამიტომ თხოვდა გრინევსკისათვის ორი კაცი გადაეცათ.

ბოლოს ბ. ნიჟარაძემ თავისი ნათესავები და რამდენიმე კაცი დაიყოლია გრინევსკისთან წაყოლაზე, ოღონდ იმ პირობით, რომ სამხედრო ნაწილი მოშორებით ყოფილიყო და მათთან მხოლოდ გრინევსკი მისულიყო. ამგვარ პირობაზე შეთანხმებულნი კალისკენ გაუდგნენ გზას.

„მიხაროდა, — იგონებდა ბ. ნიჟარაძე, — რომ საქმე ამნაირად მოვახერხე, გაუძეხი წინ სოფელს და დანიშნულ ალაგას დავტოვე, მე — კი საჩქაროდ გავწიე გრინევსკისთან. გრინევსკი აღელვებული დამხვდა, ჩემს ლაპარაკს ნახევრადღა უგდებდა ყურს. ხალდეს ისე მოუვიდა, როგორც კოზაკს აქლემების წაკიდებით — ჩემი ხალდეში ყოფნისას გრინევსკის და კომანდირ ლეუსს სადილობისას უსიამოვნება მოსვლიათ. როგორც ექიმმა ბელსკიმ მიამბო, ლეუსი თურმე უკადრისობდა, რომ იგი რაზმით მაზრის უფროსის განკარგულებაში იყო. თუ საქმისათვის მოვსულვართ, ბარემ ხალდეში წავიდეთო, თორემ რას მიქვია ამდენხანს კალაში ყურყუტიო. ავდგები და რაზმს ბეჩოში წავიყვანო — უთხრა თურმე ლეუსმა გრი-

ნევსკის. ამაზე გრინევსკის მიუგია, რომ ნება მაქვს რაზმიცა და მისი უფროსიც ნებისამებრ გამოვიყენოვო. აი ეს გამხდარა ბიზეზი გრინევსკის და მაიორ ლეუსს შორის უსიამოვნების. ნასადილევს გრინევსკი და მაიორი ლეუსი ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ ცხენების შეკაზმვას, თუ რომელი მოასწრებდა. გრინევსკი რომ ასეთ ფაცა-ფუცში იყო, მე ისევ ჩემსას განვაგრძობდი — სოფლელების ნახვა გინდოდათ, მოვიყვანე, ასე ბუქარით კამანდის (იგულისხმება სამხედრო რაზმი — გ. გ.) წაყვანა არ ივარგებს მეთქი. დამნაშავეები არ მომიყვანა სოფელმა?! — დაიძახა გრინევსკიმ. მე თვითონ მივალ და სოფელს მტერად ვაქცევ. ამას მპასუხობს და თვალები ლეუსისკენ აქვს.

— თუ რაზმით წასვლას არ იშლით, მე უნდა გამოგიტყდეთ, რომ ხალდეში სისხლისღვრა მოხდება, — ეუთხარი გრინევსკის"[1].

გრინევსკი ცოფმორეულივით ილანძღებოდა და სოფელს სამაგალითო დასჯით ემუქრებოდა, რომ ამით მთელი სვანეთისათვის ჭკუა ესწავლებინა. როცა ბ. ნიჟარაძე დარწმუნდა, რომ ვერაფერს გახდებოდა, მიქელაძეს შეეხვეწა საქმეში ჩარეულიყო და გრინევსკი ხალდეში არ გაეშვა.

როგორც ჩანს, გრინევსკის შეჩერება ბოქაულმაც სცადა, მე ვკისრულობ ხალდელების დაჭერას ერთი კვირის განმავლობაში — აღუთქვა მან, მაგრამ გრინევსკის მისთვის მიუგია — თქვენ რომ მხდალი ხართ, ყველანი ხომ ასეთი არ ვიქნებით! შეგიძლიათ თქვენ დარჩეთ. ამ ლანძღვაზე მიქელაძეც გაცხარებულა და ესაულისათვის უბრძანებია ცხენი მიეგვარა. ამასობაში მაიორი ლეუსი ცხენზე შეჯდა და სამხედრო რაზმს უბრძანა ხალდეს გზას გასდგომოდა. მას გაჰყვნენ მაზრის უფროსი გრინევსკი, ბოქაული მიქელაძე, ექიმი ბელსკი, მაცალსახლისი მარგველანი, სასამართლო ბოქაული ასათიანი და სხვ.

კალაში გრინევსკისთან მისულმა ხალდელებმა მათი სოფლისკენ მიმავალი სამხედროები რომ შენიშნეს, სასწრაფოდ შინ დაბრუნდნენ.

სოფელში განგაში გამოცხადდა. ვისაც კი შეეძლო იარაღისათვის ხელი მოეკიდა, თადარიგში ჩადგა, მოხუცები, ქალები

---

1 ბ. ნ ი ჟ ა რ ა ძ ე. ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, II, გვ. 195.

და ბავშვები კოშკებში შეხიზნეს. სანამ სამხედრო რაზმი სოფლამდე მიაღწევდა, ხალდელებმა საბოლოოდ მოითათბირეს, რომ საქმის მშვიდობიანი მოგვარება ეცადათ, მაგრამ თუ არაფერი გამოვიდოდა,, დასაპატიმრებლად არავინ დაენებებინათ.- თუ მომხდური ძალადობას მიმართავდა, თვითონაც ძალადობით ეპასუხნათ, თუკი საქმე მაინ[ შეტაკებამდე მივიდოდა, თავი არავის დაეზოგა და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოლა.

ხანმოკლე ბაასის შემდეგ გადაწყდა, რომ მოძალადეთა მესვეურებს (იგულისხმება გრინევსკი, მიქელაძე, ლეუსი და სხვ.) და მათ ამალას სოფლის შესასვლელთან მოსალაპარაკებლად დახვედროდნენ მოხუცი ძმები: გეგი და გიორგი გასვიანები, რომლებიც სოფელში ცნობილი იყვნენ თავიანთი გამჭრიახობით.

როგორც კი ასეული 1 აგვისტოს სოფელს მიადგა, მაიორმა ლეუსმა ბრძანება გასცა სოფლისათვის ალყა შემოერტყათ, იქიდან არავინ გაეშვათ და საჭიროების შემთხვევაში იარაღით ემოქმედათ. ამ ბრძანებაზე ასეული მარჯვნივ და მარცხნივ გაიფანტა და სოფელს ალყა შემოარტყა. მოძალადეთა ხელმძღვანელები; გრინევსკი, ლეუსი, მიქელაძე, აგრეთვე ბელსკი, ასათიანი, თარჯიმანი ბაქრაძე და კალის მამასახლისი მარგველანი სოფლის შუაგულისაკენ გაემართნენ. სოფელში შესვლისთანავე მათ მიეგებენ ძმები გეგი და გიორგი გასვიანები. ლეუსის ბრძანებით მათ თოფმოღერებული რამდენიმე ჯარისკაცი შეეგება. შეშფოთებულმა ძმებმა უკან დაიხიეს და ჯარისკაცების ბრძანებაზე „ხელები აღემართათ და ნაბიჯი არ მოეცვალათ"!— მოწინააღმდეგისგან გაცლა და სახლში შესწრება მოიწადინეს. მაგრამ, როდესაც კარს მიადგნენ და ურდულის გახსნას შეუდგნენ, ჯარისკაცებმა ზურგიდან ხიშტები გაუყარეს. შედარებით მსუბუქად დაჭრილმა გეგიმ მყისვე ხანჯალი იშიშვლა, ერთი ჯარისკაცი იქვე მოკლა და მეორე დაჭრა. ერთი წამიც და კოშკებიდან თოფებმა იქუხა. ბადრი, შახან და ბუღა გასვიანებმა მაიორი ლეუსი მოკლეს, რამდენიმე ჯარისკაცი და ბოქაული მიქელაძე დაჭრეს.

გრინევსკისა და მის ჯგუფს სროლა აუტეხეს ჩეგიანების კოშკიდან. კალის მამასახლისი მარგველანი, იმ იმედით, რომ მას მეზობელი ხალდელები არ გაიმეტებდნენ, გრინევსკის ჩა-

მოეფარა, მაგრამ არც ის დაინდეს — მომი და გუა ჩეგიანებმა მამასახლისი მარგველანი და რამდენიმე ჯარისკაცი მოკლეს[1]. სამხედრო ასეულსა და ხალდელებს შორის სროლა მთელ დღეს და გვიან ღამემდე გრძელდებოდა.

უმეთაუროდ დარჩენილი ჯარისკაცები დაბნეულად მოქმედებდნენ, თითოეული მათგანი ცდილობდა თავისთვის ეშველა. იყო შემთხვევები, როცა გაქცეული ჯარისკაცები უკუნეთ სიბნელეში უფსკრულში იჩეხებოდნენ და იღუპებოდნენ.

სამხედრო ასეულის ნაშთებმა (მათ შორის დაჭრილებმა, რომელთაც სიარული შეეძლოთ) გვიან ღამე სოფლის ახლოს მოიყარეს თავი და გათენებამდე სოფელ ლალხორში დაბრუნდნენ.

პირველ შეტაკებაში გადარჩენილმა გრინევსკიმ, მძიმედ დაჭრილმა მიქელაძემ, ექიმმა ბელსკიმ, სასამართლოს ბოქაულმა ასათიანმა, დამტარებელმა დევლეთ პირველმა თავი სოფლის აღმოსავლეთ ნაპირას მცხოვრებ ესპანდ ჯოხაძის ქოხს შეაფარეს

ბრძოლის შეწყვეტის შემდეგ დაღლილ-დაქანცული ხალდელები სახლებს ჩხრეკდნენ. ესპანდ და ლემინ ჯოხაძეებმა შენიშნეს, რომ თავიანთ ბოსელში ვიღაც უცხო პირები აფარებდნენ თავს, მათ შორის გრინევსკი, მიქელაძე, ბელსკი, ასათიანი, აჩახმათ და ათმურზა გუჯეჯიანები. ჯოხაძეებმა თავიანთ ქოხში შეხიზნულებს ხელშეუხებლობა და სამშვიდობო გზით სოფლიდან გაყვანა აღუთქვეს, მაგრამ ამ დაპირების შესრულებამდე ეს ამბავი შეიტყვეს დანარჩენმა ხალდელებმაც, რომლებიც თავს დაესხნენ და ყველანი დახოცეს.

მეორე დღეს ხალდელები გათენებისას შეიკრიბნენ. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ ჩადენილ დანაშაულს არავინ აპატიებდა, გადაწყვიტეს სანამ ძალა და ღონე ექნებოდათ, სოფელში გამაგრებულიყვნენ და იქ ესისხლათ თავისი თავი და ცოლშვილი. ახალი თავდასხმის მოლოდინში ხალდელთა ნაწილი სოფლის მისადგომებთან ჩასაფრდა, ნაწილმა დახოცილები მოაგროვა, მათ შორის: გრინევსკი, მაიორი ლეუსი, პოდპოლ-

---

[1] საისტორიო მოამბე, I, გვ. 157; ა. ჩარკვიანი, სვანეთი, გვ. 208.

კოვნრკი თავადი მიქელაძე, სასამართლოს ბოქაული ასათიანი, ექიმი ბელსკი, უნტერ-ოფიცერი ტიშენკო და 17 ჯარისკაცი, ისინი ერთად დაასაფლავეს, ხოლო მამასახლისი მარგველანის, ასევე აჩახმათ გუჯეჯიანის ცხედარი ჭირისუფლებს გაატანეს. როგორც შემდეგ გამოირკვა, რამდენიმე ჯარისკაცი სოფლის ქვემოთ უფსკრულში გადაჩეხილა.

აჯანყებულთა ნაწილმა სოფელში დარჩენილი ცოლ-შვილი და მოხუცები 2 აგვისტოს ღამით სხვადასხვა სოფელში ნათესავებთან გახიზნა. სხვები ტყვიაწამლის მომარაგებას, გზების ჩახერგვასა და ხიდის ჩაგდებას შეუდგნენ. ამასთანავე, აჯანყებულებმა 3 აგვისტოს დილაადრიანად 6 კაცს — ბუღა გასვიანს, ლემინ, ზურაბ, გიორგი ჯოხაძეებს, გიორგი და ერმინე ჩოფლიანებს — დაავალეს, რომ ჩუმათ შემოევლოთ ბალსზემო სვანეთის თემები და ხალხისათვის დახმარება ეთხოვათ.

4 აგვისტოს სოფ. ხალდე მიუვალ ციხესიმაგრედ გადაიქცა, დასავლეთიდან კლდოვან ფერდობზე გადაჭიმული ვიწრო გზა ორ ადგილას ჩახერგეს და დარაჯები დააყენეს, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მისადგომ გზაზე ერთადერთი ხიდი, რომლის სიმაღლე ორასამდე მეტრს უდრიდა, ჩააგდეს, აღმოსავლეთიდან მისადგომი გზაც წაახდინეს, ჩრდილოეთის მხრიდან კი სოფელი ძნელად გასავლელი უგზო კლდეებით იყო დაცული.

7 აგვისტოს სხვა სოფლებში გაგზავნილი წარმომადგენლები უშედეგოდ დაბრუნდნენ (მხოლოდ ტყვია-წამალი მოიტანეს).

ასეულის ჯარისკაცებმა, რომლებიც აჯანყებულებს გადაურჩნენ, თავი მოიყარეს სოფელ ლალხორში, მათი მეთაურობა დროებით პორუჩიკმა კვინიხიძემ იკისრა, მაგრამ გადარჩენილი ჯარისკაცები უკვე იმდენად იყვნენ დემორალიზებული, რომ აჯანყებულთა წინააღმდეგ არავითარი ნაბიჯის გადადგმა არ შეეძლოთ.

სვანეთში მომხდარი სისხლისღვრის ამბავი სასწრაფოდ ეცნობა გუბერნიის და კავკასიის ადმინისტრაციას. მეფისნაცვალს ეგონა, რომ აჯანყებაში მთელი სვანეთი იყო ჩაბმული, ამიტომ ბრძანება გასცა აჯანყებული სვანების სამაგალითო დასასჯელად დიდი სამხედრო ექსპედიცია ჩამოყალიბებულიყო.

სანამ შერეული სამხედრო ექსპედიცია მომზადდებოდა, ვიცე-გუბერნატორის მალაფეევისა და ექსპედიციის სარდლის გენერალ-მაიორ ციტოვიჩის ბრძანებით, ბეჩოს სამხედრო ასეულის ნაშთების დასახმარებლად 4 აგვისტოს ქუთაისიდან სასწრაფოდ გაიგზავნა ალექსანდროპოლის 161-ე რეგულარული ლეგიონის ორი ფეხოსანი ასეული და მილიციის ასკაციანი რაზმი, რომელთა საერთო მეთაურობა პოლკოვნიკ თავად წულუკიძეს დაევალა[1].

დროის მოგების მიზნით ციტოვიჩმა თავისი ექსპედიცია ორ ეშელონად დაყო: 9 აგვისტოს, პირველ რიგში, ქართული მილიციის ორი ასეული გაგზავნა, ხოლო თავის უშუალო სარდლობით 12 აგვისტოს ქუთაისიდან მთავარი ძალებიც დაძრა. კერძოდ, ალექსანდროპოლის 161-ე პოლკის ოთხი ფეხოსანი ასეული, 39-ე საარტილერიო ბრიგადის სამთო ბატარეის ოცეული (სარაკეტო და მესანგრეთა რაზმებით), ექსპედიცია უზრუნველყოფილი იყო ერთი თვით სურსათ-სანოვაგის და საომარი მასალის მარაგით, აგრეთვე მოძრავი საექიმო დახმარებით და წამლებით.

ქუთაისიდან ექსპედიციის სწრაფი და ზუსტი საინფორმაციო კავშირურთიერთობის უზრუნველსაყოფად გზაზე მოწყობილ იქნა ხუთი საფოსტო საგუშაგო, რომელთაც ემსახურებოდა ეისკის ცხენოსანი პოლკის 35 კაცი — ერთი ოფიცერისა და ორი ურიადნიკის მეთაურობით[2].

აღნიშნულის გარდა, ყაბარდოსა და აფხაზეთის სახაზო სამხედრო მეთაურებს ებრძანათ საჭიროების შემთხვევაში სვანეთში შესაჭრელად ჩრდილოეთიის (კავკასიის ქედით) და სამხრეთის (ზუგდიდ-ჯვარი-ხაიშის) მხრიდან მზადყოფნაში ჰყოლოდათ სპეციალური სამხედრო, ასევე მილიციის ნაწილები. ციტოვიჩმა მალე მიიღო მეფის განკარგულებაც: მოესპო აჯანყებულთა ბუდე და მისი მონაწილეები დაესაჯა იმდაგვარად, რომ ეს ყველასათვის ჭკუის სასწავლებელი და მაგალითი ყოფილიყო.

წულუკიძის მეთაურობით ქუთაისიდან 4 აგვისტოს გაგზა-

---

1 საისტორიო მოამბე, I, გვ. 207.

2 იქვე.

ვნილმა სამხედრო მილიციის ნაწილებმა 10 აგვისტოს სოფელ ლალხორამდე მიაღწიეს. მეწინავე ნაწილებს ნაბრძანები ჰქონდათ ალყა შემოერტყათ სოფელ ხალდესათვის, იზოლაციაში მოექციათ მისი მცხოვრებლები. წულუკიძის მეწინავე ნაწილებს 17 აგვისტოს ქუთაისიდან გაგზავნილი ქართული მილიციის ორი ასეულიც შეუერთდა.

სანამ სვანეთში მთავარი ძალები მიაღწევდნენ, 16 აგვისტოს წულუკიძემ ხალდელებს წინადადება მისცა დანებებულიყვნენ, მაგრამ უარი მიიღო. იმავე დღეს, საღამოს სცადა სოფელში შესვლა, მაგრამ აჯანყებულთა გააფთრებული წინააღმდეგობის გამო, მან მხოლოდ სოფლის მისადგომებამდე მიაღწია.

15 აგვისტოს ციტოვიჩის ძალებმა ცაგერს მიაღწიეს და მურთან დაბანაკდნენ. 17 აგვისტოს ციტოვიჩმა შეიტყო, რომ აჯანყებულები შეუპოვარ წინააღმდეგობას განაგრძობდნენ. 18 აგვისტოს ციტოვიჩის კოლონა ჩოლურში შევიდა, ხოლო, 19-ში ლატფარის ქედი გადალახა და ლალხორის ბანაკამდე მიაღწია.

აჯანყებულებს არ გამოპარვიათ, რომ მათ წინააღმდეგ კალაში თავი მოიყარა რეგულარული არმიისა და საქართველოს მილიციის დიდმა ნაწილებმა. სხვათა შორის, 16 აგვისტოს სოფელ ლალხორში გამოცხადდა ბოქაულის თანაშემწე თენგიზ დადიშქელიანიც, რომელსაც ბალსქვემო სვანეთში შეგროვილი 50-მდე გლეხისგან შემდგარი რაზმიც ახლდა.

ხალდეს წინააღმდეგ იერიშის წარმატებით მისატანად ციტოვიჩმა თავისი ძალები სამ ნაწილად დაყო: 1) საარტილერიო ოცეული (6 ქვემეხით), ერთი სამხედრო ასეული და ერთიც მილიციის ასეული სამხრეთის მხრიდან წაიყვანა მიჯვრიშისა და ლამარიას მიმართულებით; 2) ერთი სამხედრო შენაერთი და მილიციის ორი ასეული დასავლეთის მხრიდან გაუშვა იფრალის, კრაბზაგარისა და ვანიაშის გზით; 3) ერთი სამხედრო ასეული და მილიციის 150-კაციანი რაზმი აღმოსავლეთიდან შესატევად გაგზავნა.

სოფლის სამხრეთით, ხეობის მეორე მხარეზე ლამარიას პატარა მინდორში (სოფლიდან 600—800 მეტრზე) ჯერ კიდევ 18 და 19 აგვისტოს მომზადდა ქვემეხების დასადგმელი მოედ-

ნები, 20 აგვისტოს საღამოს მიჯვრიშის მხრიდან 5 სამთო ქვემეხი მიზიდეს.

სამხედრო ნაწილების სარდალი ციტოვიჩი და მთავარი შტაბი დაბანაკდა მიჯვრიშის მინდორში, საიდანაც კარგად მოჩანდა ხალდე (ეს მინდორი მდებარეობდა ხეობის მეორე მხარეზე ხალდეს პირდაპირ სამხრეთ-დასავლეთით, სოფლიდან დაახლოებით ორი კილომეტრის მანძილზე).

ციტოვიჩის ბრძანებით, საერთო იერიშის დაწყებამდე, 21 აგვისტოს დილით ადრე სოფელს ცეცხლი დაუშინეს, მაგრამ აჯანყებულებმა ხანძარი სასწრაფოდ ჩააქრეს.

22 აგვისტოს ციტოვიჩმა ხალდელებს წინადადება მისცა წინააღმდეგობა შეეწყვიტათ და იარაღი დაეყარათ, მაგრამ ისინი განაგრძობდნენ ბრძოლას და სამთო ბატარეისადმი სროლას. რადგან ქვემეხები შორიდან უშენდნენ და აჯანყებულები მათ შაშხანებით და კაჟიანი თოფებით ვერავითარ ზიანს ვერ აყენებდნენ, ხალდელებმა დაბნელებისთანავე გამოყვეს ექვსკაციანი ჯგუფი, რომელსაც ქვემეხების მწყობრიდან გამოყვანა დაევალა, გვიან საღამოს გურმაჩ, კაციანე და ბადრი გასვიანები, ჩარგაზ და ჯოხან ჯოხაძეები და გიორგი ჩოფლიანი სოფლის პირდაპირ გადავიდნენ უგზოუკელო ხეობაზე და მოულოდნელად თავს დაესხნენ მოწინაღმდეგეებს, რომელთაგან სამი მოკლეს, ხოლო ოთხი მძიმედ დაჭრეს.

23 აგვისტოს დილით არტილერიამ სოფელს კვლავ ცეცხლი გაუხსნა. იმავე დღეს საღამოს სოფელი მიატოვა რამდენიმე მოხუცმა და ქალმა, რომლებიც მილიციას დანებდნენ და სამხედრო ბანაკში მიიყვანეს.

აჯანყების მსვლელობის დროს, აჯანყებულ ხალდელთა თაობაზე ერთ-ერთი სამხედრო კორესპონდენტი გაზეთ „დროებაში" წერდა: ხალდეს კოშკებში 70-მდე კაცი აფარებს თავს. ჩვენს მოთხოვნაზე იარაღი დაყარონ, უარით გვიპასუხეს, დამორჩილებას არ აპირებენ. ღამღამობით სოფელში მოძრაობაა, ისმის განუწყვეტელი ხმაური. აჯანყებულებმა მოკლული ჯარისკაცები სოფლის ნაპირას დამარხეს, მკვდრების მუნდირები თვითონ ჩაიცვეს.... დღეს (25 აგვისტოს) ველოდებით დამორჩილებას, თუ არა ხვალ შეტევა უნდა განვაახლოთ[1].

[1] გაზ. „დროება", № 93, 1876 წ.

მსგავსი კორესპონდენცია დაიბეჭდა გაზ. „კავკაზშიც“, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ აჯანყებულები ზუსტად ისროდნენ და კოშკიდან-კოშკში ერთიმეორეს რაღაც სიგნალებს გადასცემდნენ.

ციტოვიჩის მთავარმა ძალებმა 25 აგვისტოს შეძლეს მიახლოებოდნენ სოფელს და სამმხრივ ალყაში მოექციათ. 26 აგვისტოს დილიდან სოფელი ხალდე კვლავ ფეხოსანი ჯარისა და მილიციის ცეცხლში მოექცა. იმავე საღამოს, დათქმულ სიგნალზე წულუკიძის სამხედრო კოლონამ ძლიერი ცეცხლით, „ურას“ ძახილითა და დაფდაფის ცემით სწრაფად წაიწია წინ და სოფლის დასავლეთ მისადგომთან ბორცვს დაეუფლა. ხალდელებმა მთავარი ყურადღება წულუკიძის კოლონასა და მის მოგერიებას მიაპყრეს, ამან მილიციის რაზმებს და მესანგრეებს შესაძლებლობა მისცა მოპირდაპირე აღმოსავლეთის მხრიდან სოფლის განაპირა ქოხები ჩაეგდოთ ხელში.

ამ დღეს აჯანყებულთაგან არავინ დაშავებულა. მოწინააღმდეგეთა რამდენიმე ჯარისკაცი და მილიციელი დაიჭრა. 26 აგვისტოს დღის მეორე ნახევარსა და საღამოს სამხედრო ხელმძღვანელობის ბრძანებით მთავარი ყურადღება მიაქციეს დასავლეთის მხრიდან სოფლის წყაროს მარჯვენა მხარეზე მდებარე ყველაზე დიდ კოშკს, რომელშიც თითქოს მთავარი დამნაშავეები აფარებდნენ თავს. მაგრამ როგორც კავკასიის სამხედრო შტაბის პატაკშიცაა აღნიშნული, დიდი სიმტკიცის გამო, კოშკის აფეთქების ყოველგვარმა ცდამ ამაოდ ჩაიარა[1].

ტყვია-წამლის ნაკლებობის მიუხედავად, აჯანყებულებმა მესანგრეებს საშუალება არ მისცეს კოშკების ასაფეთქებელ სამუშაოს დღისით შესდგომოდნენ, სიბნელეში კი კოშკის ძირის გამოთხრა ვერ მოახერხეს.

27 აგვისტოს დღისით ციტოვიჩმა, წულუკიძემ და სხვა სამხედრო ხელმძღვანელებმა მოითათბირეს, რომ თანდათან შეევიწროებინათ სოფლის ალყა და კოშკების ასაფეთქებელი სამუშაოები გაეძლიერებინათ. აჯანყებულებმა დაჭრილებისათვის სახელდახელო საკაცეები გააკეთეს და გასაქცევად მოემზადნენ, საშინელ ამინდსა და უკუნეთ სიბნელეში 10-კაციანი

---

1 საისტორიო მოამბე, I, გვ. 208.

ჯგუფის წინამძღოლობით სცადეს აღმოსავლეთის გზით მთისკენ წასულიყვნენ. მართალია, მეწინავე რაზმი ყარაულებს გაუსხლტა, მაგრამ ჯარის ნაწილს შეეფეთა. მოალყე ჯარის განგაშმა აჯანყებულები იძულებული გახადა უკან დაეხიათ და აღმოსავლეთის გზით წასვლაზე ხელი აეღოთ.

ხალდელებს ტყვია-წამალი შემოელიათ. მათ დატყვევება ან გარდუვალი დაღუპვა ემუქრებოდა. ამიტომ იძულებული გახდნენ დაჭრილებისა და მოხუცების წაყვანაზე ხელი აეღოთ და ჩრდილოეთის მხრიდან უგზოუკვლო კლდეებით გაპარვა ეცადათ. ისინი რამდენიმე ნაწილად დაიყვნენ, როდესაც პირველი ჯგუფი სოფლის თავთან მდებარე მაცხოვრის ეკლესიასა და სასაფლაოს გასცდა, მათ კლდის ძირში ადამიანთა ლანდები შენიშნეს. ჩასაფრებულ დარაჯებს ხალდელებმა სთხოვეს მშვიდობიანად გაეშვათ. გამოირკვა, რომ ყარაულები იყვნენ თენგიზ დადიშქელიანის მიერ მობილიზებული ბალსქვემოხეველი გლეხები. მათ ხალდელებს გზა მშვიდობისა უსურვეს და გაატარეს. პირველ ჯგუფს მალე დანარჩენებიც მიჰყვნენ და ყველამ მშვიდობიანად გადალახა კილომეტრზე მეტი სიმაღლის ციცაბო კლდეები.

ხალდელების მცდელობა — ღამით კოკისპირული წვიმის დროს გაერღვიათ ჯარის ალყა გათენებამდე — ციტოვიჩმა და მისმა შტაბმაც შეიტყო. ისინი მიხვდნენ, რომ აჯანყებულებს საომარი საჭურველი არ ჰქონდათ და გაქცევას ლამობდნენ. ამიტომ ციტოვიჩი არ დაელოდა ცალკეული კოშკების აფეთქებას და ქართული მილიციის ასეულებს უბრძანა — რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, დილას მთელი სოფელი დაეკავებინათ.

საერთო „ურას“ ძახილზე დილაადრიანად მილიციის რაზმები სოფელში შეცვივდნენ, მალე მათ ჯარის ნაწილებიც მიჰყვნენ. მათ არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვდათ.

როცა მესანგრეები ცენტრალური კოშკების აფეთქებას შეუდგნენ, გასვიანების ერთ-ერთი კოშკიდან თოფებმა იქუსა, ერთი რაზმელი სასიკვდილოდ, სამი კი მსუბუქად დაიჭრა. მალე რამდენიმე კოშკის აფეთქების ხმა გაისმა. პირველი კოშკის ნანგრევებში დაჭრილი გეგი და გიორგი გასვიანები მოჰყვნენ, დანარჩენ ორში კი არავინ იმყოფებოდა. მესანგრეე-

ბი და ჯარი შემდეგ სხვა კოშკების დანგრევასაც შეუდგნენ, ამ დროს ერთ-ერთ კოშკში შეხიზნულმა დაჭრილებმა და მოხუცებულებმა, რომელთაც ცოცხლად დამარხვას დანებება არჩიეს, კოშკის კარები გახსნეს, ხის კიბე გადმოუშვეს და ჯარს დანებდნენ, მათ შორის იყვნენ: ჩაპი, გიორგი, ბექა, ბიტა, კაციანე, გუა გასვიანები, გეგი და ბექი ჩოფლიანები და ბადი ჯოხაძე (სულ ცხრა კაცი).

ჯარმა და მისმა ხელმძღვანელობამ აჯანყებულთა ნაწილის სოფლიდან გაქცევა მხოლოდ მას შემდეგ შეიტყვეს, როდესაც შეპყრობილები დაკითხეს და ყველა კოშკი და სახლი გაანადგურეს.

გაირკვა, რომ ხალდელები ჩრდილოეთის მხრიდან კლდეებით გაპარულან. მართალია, ვერ დადგინდა, თუ როგორ და ვინი მეშვეობით შეძლეს მათ შეუმჩნევლად გაპარვა, მაგრამ ჯარის ხელმძღვანელობამ ეჭვი მაინც ამ მხრიდან გუშაგად დაყენებულ ჩუბეხეველ სვან გლეხებზე აიღო. ისინი უღმერთოდ გაროზგეს.

მესანგრეთა ნაწილი და ჯარისკაცები მთელი სოფლის აოხრებას შეუდგნენ. იმპერატორის ბრძანების თანახმად ხალდელების დასჯა მაგალითი უნდა ყოფილიყო მთელი სვანეთისათვის.

დავალების შესრულების შედეგზე გენერალმა ციტოვიჩმა ქუთაისის მმართველობას და კავკასიის არმიის სარდლობას ასე უპატაკა: „სოფელი ხალდე აღებულია და მიწასთანაა გასწორებული, აჯანყებულთა ნაწილი დაპატიმრებულია, ნაწილი მთებში გაიქცა. აჯანყების ბუდე ლიკვიდირებულია“[1].

ხალდეს აღებასთან დაკავშირებით კავკასიის სამხედრო ოკრუგის პატაკში ვკითხულობთ: „აღებისთანავე დაუყოვნებლივ დაიწყო სოფელ ხალდეს სისტემატური მოსპობა ისე, რომ 1 სექტემბრისათვის ყველა 11 კოშკი და სხვა ნაგებობა გარდა სოფლის თავში მდებარე პატარა ეკლესიისა, საფუძვლიანად იქნა დანგრეული...“[2].

მეფის სამხედრო მოხელეები სოფლის ძირფესვიან დანგრევას როდი დასჯერდნენ, მათ ცეცხლს მისცეს არა მარტო

[1] ЦГИАЛ, ф. I, д. 648, л. 5.

[2] საისტორიო მოამბე, I, გვ. 208.

აფეთქებული შენობების ხის მასალა, არამედ ყანებიც, რომელთა მკა ის-ის იყო უნდა დაწყებულიყო. დაანგრიეს სოფლიდან კილომეტრნახევარზე მდებარე წისქვილებიც. დაიტაცეს და დახოცეს სოფლის შინაური პირუტყვი და სხვ.

დამსჯელი სამხედრო ექსპედიციის მეთაურები გაქცეულ აჯანყებულთა დევნას შეუდგნენ. მთებში გახიზნული ხალდეელების დევნა თენგიზ დადიშქელიანისა და გარდაფხაძის მიერ სვანეთში შედგენილ გლეხთა რაზმს და გურულთაგან შემდგარ მილიციის ასეულს დაევალა. მთებში ორდღიანმა დევნამ მთავრობისათვის სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, სამაგიეროდ მიაკვლიეს აჯანყებულთა ადგილსამყოფელს.

მართალია, აჯანყებულთა ძირითადი ბირთვის დაპატიმრება მალე ვერ მოხერხდა, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ აჯანყებულთა მთავარი ბუდე ლიკვიდირებულ იქნა, მისი ნაწილი — დაპატიმრებული.

ძირითადი მიზნის მიღწევის შემდეგ გენერალ-მაიორი ციტოვიჩი რეგულარული ჯარის ნაწილებით, არტილერიითა და ქართული მილიციის ძირითადი რაზმებით 2 სექტემბერს ზეშო სვანეთიდან უკან დაბრუნდა. ქვემო სვანეთში გადასვლისთანავე ექსპედიცია ორ ეშელონად გაიყო. 3 სექტემბერს ჩოლურიდან გავიდა პირველი ეშელონი, რომელშიც შედიოდა: ალექსანდრეპოლის 161-ე ფეხოსანი პოლკის ორი ასეული, საარტილერიო ნაწილი და ქართული მილიციის ასეული, რომელთაც თან ხაიყვანეს დაჭრილი ჯარისკაცები და მილიციელები. აგრეთვე დაპატიმრებული 9 აჯანყებული. სხვები გზას 4 სექტემბერს გაუდგნენ. ქუთაისში ჩასვლის მეორე დღეს — 10 სექტემბერს — ექსპედიცია დაიშალა.

*

* *

როგორც ცნობილია, XIX საუკუნის 70-იან წლებში ბატონყმური წყბილების გადმონაშთების და ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში გლეხობა მარტო არ იყო. რევოლუციონერი ხალხოსნები ცდილობდნენ საქართველოს გლეხთა ბრძოლისათვის ორგანიზებული და ერთდროული ხასიათი მიეცათ.

XIX საუკუნის 70-იან წლებში ხალხოსნური მოძრაობა საქართველოშიც გაიშალა. ამაზე, სხვათა შორის, მეტყველებს ქუთაისის ვიცე-გუბერნატორ მალაფეევის 1876 წლის პოლიტიკური ანგარიში მეფისნაცვლისადმი. თავის მოხსენებაში მალაფეევი გუბერნიაში შექმნილი პოლიტიკური ვითარების დახასიათებისას წერდა, რომ 1876 წელს ზუგდიდის მაზრაში და სვანეთში ადგილი ჰქონდა გლეხთა ორ შეიარაღებულ აჯანყებას, რაც მხოლოდ სამხედრო ძალის ჩარევით იქნა ლიკვიდირებულიო. ამასთანავე, იგი ხაზს უსვამდა, რომ სვანეთის გლეხთა აჯანყება მხოლოდ სოფლის განადგურების შედეგად იქნა შესაძლებელი და მძიმე შედეგებით დამთავრდაო.

ვიცე-გუბერნატორი, განაზოგადებდა რა აჯანყების გამომწვევ მიზეზებს, მეფისნაცვალს სწერდა: საქმის გაცნობამ მთლიანად დამარწმუნა, რომ გლეხობა მოქმედებს მიწის კერძო საკუთრების უფლების თეორიით, რომელიც მათთან უცხო მხრიდან ვრცელდება. ამ საკითხზე ბევრი გლეხი არა მარტო ერთნაირად მსჯელობს, არამედ გასულ წელს (ე. ი. 1875 წ.) აპრილსა და მაისში ქუთაისისა და თბილისის გუბერნიებში აღმოჩენილ სოციალისტ-რევოლუციონერთა მიერ გლეხობაში გავრცელებული იდეები ერთნაირი ფრაზებითაა ჩამოყალიბებული. ამ საქმის ძიებამ დაგვანახა, — დაასკვნიდა მალაფეევი, — რომ პროპაგანდისტები ცდილობენ დასავლეთ-ევროპული და რუსული სოციალისტურ-რევოლუციური პერიოდიკა თარგმნონ ქართულად[1].

ამასთანავე, ვიცე-გუბერნატორი აღნიშნავდა, რომ მთავრობის დროული ღონისძიებებით გლეხთა დანაშაულებრივი განზრახვა ჩაიფუშა, მაგრამ მათში ზოგიერთი სოციალისტური შეხედულება მაინც ვრცელდებაო. მოხელის აზრით, ასეთი იდეების მქადაგებელი და ლიტერატურის მთარგმნელები უთუოდ იყვნენ სოფლის მასწავლებლები, რომლებიც სოციალისტ-რევოლუციონერთა ფენას ეკუთვნიან და რომელთაც მჭიდრო ურთიერთობა აქვთ გლეხობასთან, ისინი გლეხობაში აკრძალულ ლიტერატურასაც ავრცელებენო.

მალაფეევი მეფისნაცვლისადმი მოხსენებაში შეშფოთებას

---

1 ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 23, л. 53, л. 63.

გამოთქვამდა სოციალისტური თეორიის გავრცელებაზე გლეხობაში და მის წინააღმდეგ ენერგიული ზომების მიღებას, აგრეთვე საეკლესიო სწავლების გაძლიერებას მოითხოვდა[1].

როგორც ირკვევა, შემთხვევითი არ იყო სვანეთის გლეხთა აჯანყების დაკავშირება ზუგდიდის მაზრის გლეხთა აჯანყებასთან და, რაც მთავარია, ე. წ. სოციალისტ-რევოლუციონერთა საქმიანობასთან. ჩანს, სვანეთის გლეხთა მღელვარებას და აჯანყებას საერთო ჰქონდა საქართველოს სხვა კუთხეების საქმიანობასთან. ამასთანავე, სვანეთის გლეხთა გამოსვლებს ყურადღება მიაპყრეს ჩრდილო კავკასიის ხალხოსნებმა, მათ შორის ოსმა რევოლუციონერებმაც. ასეთი დასკვნის შესაძლებლობას იძლევა ნ. არდასენოვის გამოკვლევა[2], რომელშიც ავტორი აშუქებს ხალხოსან ა. არდასენოვის მოღვაწეობას და აღნიშნავს, რომ იგი დიდ მუშაობას ეწეოდა რევოლუციურ-არალეგალური ლიტერატურის გასავრცელებლად და ქვეყნის სხვადასხვა ნაწილის რევოლუციონერებისა და გლეხობის დასაკავშირებლად[3]. ამისი ერთი უტყუარი საბუთია ა. არდასენოვის მცდელობა სვანეთის აჯანყებულებისადმი მატერიალური და ფიზიკური დახმარების აღმოსაჩენად.

სვანეთის აჯანყების კავშირზე საქართველოს სხვა კუთხეების გლეხთა მოძრაობასთან თავის დროზე მიუთითა სამხედრო-საველე სასამართლომაც, მაგრამ იმხანად ამის დადგენა, აჯანყებულთა მტკიცე ნებისყოფის გამო, მთავრობის საგამომძიებლო ორგანომ ვერ მოახერხა. საქართველოს პროგრესულ მოღვაწეთა წარმომადგენლების (ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე და სხვ.) ცხოველი გამოხმაურება და მზრუნველობა პატიმარ-აჯანყებულების ბედზე — იმის პირდაპირი მანიშნებელი შეიძლება იყოს, რომ სვანეთის გლეხთა მოძრაობას კავშირი ჰქონოდა საქართველოს ცენტრებში და საერთოდ მთელ იმპერიაში გაშლილ განმათავისუფლებელ მოძრაობასთან.

ამის მანიშნებელია ისიც, რომ, როდესაც სვანეთში მღელვარება დაიწყო, ეს უმალ გაიგეს თერგის ოლქის ხალხოსნებმა,

---

1 ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 23, д. 53, л. 64—65, 646—647.

2 Н. М. Ардасенов. Алихан Ардасенов (документальный очерк), Орджоникидзе, 1970.

3 Н. М. Ардасенов. Алихан Ардасенов, стр. 39—40.

რომელთა წარმომადგენელი ა. არდასენოვი ვლადიკავკავიდან გამოეშურა თბილისში, სადაც ქართველ ხალხოსნებს შეხვდა და სვანეთის აჯანყებულთა დასახმარებლად 399 მანეთი ფული შეაგროვა. თბილისიდან ა. არდასენოვი ვლადიკავკავში დაბრუნდა. იქ თავისი თანამებრძოლები შეკრიბა და სვანეთის გლეხთა აჯანყებისადმი მხარდაჭერის საკითხი განიხილა. ვლადიკავკავის ხალხოსნური წრის წევრებმა თავდაპირველად გადაწყვიტეს, რომ სვანეთში დ. სოხიევი გაეგზავნათ, მაგრამ ამ უკანასკნელის ავადმყოფობის გამო სვანეთში წასვლა ა. არდასენოვმა იკისრა[1].

ჩანს, ა. არდასენოვთან ერთად სვანეთში ხალხოსანთა მთელი ჯგუფი წავიდა, რაც დასტურდება სრულიად რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა ორგანიზაციის წევრის, ქართველი პუბლიცისტის გ. მაყაშვილის (ზდანოვიჩის) წერილითაც. ამ წერილში მაყაშვილი ხალხოსანთა ივანოვო-ვოზნესენსკის არალეგალურ ჯგუფს ატყობინებდა, რომ „სვანეთში აჯანყებულებმა ამოჟლიტეს ჯარისკაცთა გარნიზონი, დახოცეს მეთაურები, გააფუჭეს გზები... დაწვრილებითი ცნობები ჯერ არაა ცნობილი — წერდა იგი, — მაგრამ მეტად ცხელი დღეებია მოსალოდნელი. ქუთაისში დაიჭირეს ოსები, რომლებიც ცხენების ჯოგს მიერეკებოდნენ. დაპატიმრება იმითაა მოტივირებული, თითქოს ეს ჯგუფი ოსებმა ქართველებთან „მოსალაპარაკებლად“ გაგზავნეს. ღმერთმა ქნას ასე იყოს!“[2].

ჩანს, ა. არდასენოვი სვანეთში საქმის ვითარების დასადგენად და შესაძლო მხარდაჭერის აღმოსაჩენად მიდიოდა, ნაგრამ რაკი სვანეთის შეიარაღებული აჯანყება უკვე ლიკვიდირებული იყო, ხოლო ხალდე განადგურებული, ა. არდასენოვის ჯგუფმა სვანეთისაკენ გზა არ გააგრძელა და ქუთაისში შეჩერდა, სადაც დააპატიმრეს. თუმცა ოსებმა თავი იმით იმართლეს, რომ თითქოს მათი მიზანი ქუთაისში ცხენების გაყიდვა იყო და სხვა არაფერი.

ყოველივე აღნიშნული იმაზე მეტყველებს, რომ სვანეთის გლეხთა აჯანყება ცარიზმის წინააღმდეგ კავკასიის გლეხთა მოძრაობის შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი იყო და, ისევე, როგორც რუსი, კავკასიელი ხალხოსნებიც ცდილობდნენ

1 Н. М. Ардасенов. Алихан Ардасенов, стр. 40.

2 იქვე.

გლეხობა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საყოველთაო-სახალხო აჯანყებაში ჩაებათ.

*
* *

ხალდეს აოხრებისა და აჯანყებულთა ერთი ნაწილის დაპატიმრების შემდეგ მეფის ჯალათებმა მთებში გაქცეულთა დევნა განაგრძეს. ჯერ კიდევ 31 აგვისტოს კავკასიის ქედის ძირას დიდ მყინვართან აჯანყებულთა ბანაკს ალყა შემოარტყა ორასამდე კაცისაგან შემდგარმა მილიციის რაზმმა, რომელსაც რეგულარული არმიის ნაწილიც მიეშველა, მაგრამ მილიციის რაზმსა და სამხედრო ნაწილს მოუხერხებელი ადგილმდებარეობის გამო გაშლისა და იერიშის მიტანის საშუალება არ ჰქონდათ. სამდღიანი ალყის შემდეგ აჯანყებულები იძულებული გახდნენ კავკასიის ქედის მუდმივყინულიანი შვეული კლდეებით ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით გაქცეულიყვნენ. ამ ალყის დროს აჯანყებულთაგან მხოლოდ ერთი კაცი დაიჭრა, ხოლო ორი მილიციელი მოკლულ იქნა და შვიდი — დაჭრილი.

როგორც ხალდეში, აგრეთვე მთის მყინვართან აჯანყებულთა მიერ მეფის შეიარაღებული ნაწილების ალყისაგან თავის დაღწევა ურთულეს პირობებში და აჯანყებულთა უდიდესი სიმამაცის წყალობით გახდა შესაძლებელი. ამ შერკინების ეპიზოდები თავისუფლებისა და სიმართლისათვის მებრძოლ ქართველ გლეხთა გმირობისა და თავდადების ბრწყინვალე ფურცელს შეადგენს.

აჯანყებულების დევნაში განსაკუთრებით აქტიურობდნენ თ. დადიშქელიანი და ო. გარდაფხაძე, რომელთაც სექტემბრის შუა რიცხვებში თავისი რაზმების რიცხვი უფრო გაზარდეს და ყველგან, სადაც აჯანყებულთა გამოჩენა იყო მოსალოდნელი, დარაჯები დააყენეს. ამასთანავე მათ დააზუსტეს, თუ აჯანყებულთა ცოლ-შვილი და ღრმად მოხუცებული მშობლები რომელ სოფლებში და ნათესავებთან იმალებოდნენ.

გაქცეული აჯანყებულები მეტწილად ჰადიშის, ხალდესა და უშგულის მთებში იყვნენ გახიზნული და თავს ძირითადად ნანადირევით ირჩენდნენ.

რადგან აჯანყებულთა დაპატიმრება ვერ ხერხდებოდა, თ. დადიშქელიანმა და ო. გარდაფხაძემ ახალ ხერხს მიმართეს. ისინი ნათესავებში დამალულ ხალდელი ქალების, ბავშვებისა და მოხუცებულების დაპატიმრებას შეუდგნენ. ის ოჯახები, რომლებიც მათთან შეხიზნულ ხალდელებს არ გასცემდნენ ან მათ დაპატიმრებას წინ აღუდგებოდნენ, სასტიკ რეპრესიებს განიცდიდნენ. მიუხედავად ამისა, თენგიზმა და ოთარმა ხალდელთა ცოლ-შვილის მხოლოდ ნაწილის დაპატიმრება შეძლეს, რადგან მათ არა მარტო ნათესავები მალავდნენ, არამედ დანარჩენი მოსახლეობაც დიდი თანაგრძნობით ეკიდებოდა.

ოცი დღის უშედეგო დევნის შემდეგ, გურიის მილიციის ასეული სვანეთიდან დაბრუნდა, ხოლო თ. დადიშქელიანს და ო. გარდაფხაძეს ებრძანათ ყველაფერი ეღონათ იმისათვის, რომ გაქცეულები შეეპყროთ.

ქუთაისში დაბრუნებისთანავე გენერალ-მაიორმა ციტოვიჩმა დამსჯელი ექსპედიციის მიერ განხორციელებული ოპერაციის შესახებ ვიცე-გუბერნატორ მალაფეევისა და კავკასიის სამხედრო ხელმძღვანელობის სახელზე შედგენილ მოხსენებით ბარათში გვერდი აუარა სამხედრო ექსპედიციის მძიმე მარცხს, იმის აღიარებას, რომ ექსპედიციამ საგრძნობი მსხვერპლი გაიღო და ხოტბა-დიდებას ასხამდა თავის მისიას, რომელიც ხალდეს საბოლოო განადგურებით დამთავრდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, მეფის მთავრობა არ დაელოდა ყველა აჯანყებულის დაპატიმრებას და უკვე შეპყრობილი ცხრა კაცის გასამართლებას შეუდგა. სასწრაფო და ზერელე გამოძიების შემდეგ საქმე სამხედრო-საველე სასამართლოს გადაეცა. ამ უკანასკნელმა საიდუმლო ვითარებაში (დახურულ პროცესზე) სახელმწიფოებრივი დანაშაულის ბრალდებით (რაც მაზრის უფროსის, ბოქაულის, სამხედრო ოფიცრის, ზემდეგების, აგრეთვე, რიგით სამხედრო და სამოქალაქო პირთა დახოცვაში გამოიხატა) აჯანყების ცხრა მონაწილეს უმძიმესი განაჩენი გამოუტანა, კერძოდ: 42 წლის ჩაპი ბექას ძე გასვიანს და 40 წლის გრიგოლ ბიტოს ძე ჩოფლიანს — ჩამოხრჩობა (რაც მაღაროებში სამუდამო საკატორღო მუშაობით შეეცვალათ); 40 წლის ბექა ბესოს ძე ჩოფლიანს და 50 წლის გიორგი გუვას ძე გასვიანს — მუდმივი საკატორღო მუ-

შაობა ციმბირის მხარეში. 20 წლის ბიტა ჩაპის ძეს და 65 წლის კაციანე ბადრის ძე გასვიანებს — ათ-ათი წლის საკატორღო მუშაობა; 70 წლის ბადი აბრამის ძე ჯოხაძეს და 32 წლის გუვა გეგის ძე გასვიანს — ციმბირში სამუდამოდ გადასახლება, ხოლო ბექა ბიტას ძე გასვიანს (რომელიც ღრმად მოხუცებული და მომაკვდავი ავადმყოფი იყო) სასჯელი არ მისცეს[1].

სამხედრო-საველე სასამართლო პროცესი ისე მალულად და სწრაფად ჩატარდა, რომ საქართველოს საზოგადოებრიობამ განსასჯელებს ვერავითარი მხარდაჭერა და დახმარება ვერ აღმოუჩინა.

მთავრობა კვლავ ენერგიულად განაგრძობდა დაუპატიმრებელ ხალდელთა დევნას. მეფის მოხელეებმა, რომ ძალით ვერაფერი გააწყვეს, მათ ყალბი ხმები გაავრცელეს — თითქოს მოწყალე ხელმწიფემ აჯანყებულებს რვა კაცის დასჯა და სოფლის აოხრება აკმარა, ხოლო ყველა დანარჩენს დანაშაული აპატია. ცხადია, ამ ხმებმა მთებში დამალულ ხალდელებამდეც მიაღწია და მათ ერთგვარი იმედიც შთაუნერგა, მაგრამ, ჩანს, მთავრობის მოხელეებს ხალდელები ასე იოლად არ ენდვნენ და არ სურდათ ნებაყოფლობით ჩაბარებოდნენ.

ამასობაში ზამთარი ახლოვდებოდა, მთებში ნადირობით თავის გამოკვებაც შეუძლებელი ხდებოდა, განუწყვეტელი ეგზეკუციების გამო მოსახლეობასთან დაკავშირებაც თანდათან ძნელდებოდა, ამასთან, ნათესავებში შეხიზნულ ქალთა, ბავშვთა და მოხუცთა ძებნა და რეპრესიები გრძელდებოდა. ყოველივე ამან ხალდელთა ნებისყოფა საბოლოოდ გატეხა და მათ ხელისუფლების წარმომადგენლებთან მოლაპარაკება გადაწყვიტეს.

რაკი დადიშქელიანს აჯანყების გაჩაღებასა და აჯანყებულთა წინაშე დიდი ბრალი მიუძღოდა, ხალდელებმა ირჩიეს მოლაპარაკება ო. გარდაფხაძესთან ეწარმოებინათ. სვანეთის მშრომელთა ეს დაუძინებელი მტრები და მეფის დაქირავებული ლაქიები ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ რომელი მეტ წარმატებას მიაღწევდა.

---

[1] საქ. ცსს, ფ. 114, ს. 1, ფურც. 30—32.

ნათესავების მეშვეობით ოთარ გარდაფხაძემ შეძლო უშუალოდ ენახა ზოგიერთი გაქცეული და მასთან ესაუბრა. იგი აჯანყებულებს არწმუნებდა, რომ თუკი ნებაყოფლობით ჩაბარდებოდნენ, მეფე მათ დანაშაულს შეუმსუბუქებდა ან აპატიებდა. გარდაფხაძე ნათქვამის დასადასტურებლად ხალდელებს უჩვენებდა რაღაც ქაღალდებს, რომლებშიც თითქოს მათდამი მეფისნაცვლის შემწყნარებლობაზე იყო ლაპარაკი. ო. გარდაფხაძე ირწმუნებოდა, რომ, თუ ხალდელები ნებაყოფლობით ჩაბარდებოდნენ, მაშინ იგი მეფისნაცვალთან წაყვებოდა და მათ გასათავისუფლებლად ყველაფერს იღონებდა.

როგორც ჩანს, ო. გარდაფხაძის შთაგონებამ ხალდელებზე გარკვეული ზემოქმედება მოახდინა, მაგრამ, რაკი მისი გულწრფელობა ნაკლებად სწამდათ, ამიტომ ო. გარდაფხაძეს თხოვეს — ყველაფერი, რასაც ჰპირდებოდა, კვირიკეს ეკლესიაში ფიცის მიღებით დაედასტურებინა.

დათქმულ დროს — 30 სექტემბერს, საღამოს 22 ხალდელი, ო. გარდაფხაძე, მღვდელი და რამდენიმე კალელი ერთიმეორეს შეხვდნენ კვირიკეს ეკლესიის ეზოში, სადაც ო. გარდაფხაძემ ხატქვეშ დაიფიცა, რომ ბრალდებულთა საქმის ერთგული იქნებოდა და მათი ხსნისათვის ყველაფერს იღონებდა.

გულუბრყვილობა იქნებოდა იმისი ვარაუდი, რომ აჯანყებულებმა ო. გარდაფხაძის დაპირება ირწმუნეს და განთავისუფლების იმედი ჰქონდათ. ცხადია, მათ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე კარგად ესმოდათ (მით უფრო, რომ თავის თანამოძმეთა ნაწილი უკვე გასამართლებული და სასტიკად დასჯილი იყო), მაგრამ მათ იცოდნენ, რომ ზამთრის დადგომის, სურსათ-სანოვაგისა და თავშესაფრის უქონლობის გამო უეჭველი სიკვდილი ან შეპყრობა ელოდებოდათ, ამასთანავე, ცოლ-შვილისა და მოხუცი მშობლებისადმი გამუდმებულმა დევნამ და რეპრესიებმა აიძულა ისინი იარაღი დაეყარათ და ხელისუფლებს ჩაბარებოდნენ. თუმცა ო. გარდაფხაძის დაპირებამ და მეტადრე ფიცმა მათ უმძიმესი სასჯელისაგან ხსნის ერთგვარი იმედიც შთაუნერგა.

ო. გარდაფხაძემ სვანეთის ბოქაულის თანაშემწე თ. დადიშქელიანს იმთავითვე შეატყობინა, რომ ბრალდებულები მან უკვე შეირიგა და თბილისისაკენ მიჰყავდა. ამასთანავე ო. გარ-

დაფხაძემ და თ. დადიშქელიანმა საქმის ვითარება შეატყობინეს ქუთაისის ადმინისტრაციას, რომელმაც პოლიციელების მეშვეობით ბრალდებულები გზაშივე დააპატიმრეს და ციხეში შეჰყარეს.

ახლა, როდესაც აჯანყებულები ციხეში იყვნენ გამომწყვდეული, ო. გარდაფხაძემ და თ. დადიშქელიანმა ჩინ-მედლებისა და ფულის მიღების წადილით მთავრობას ყველაფერი, რაც მოხდა, შებრუნებულად მოახსენეს — თითქოს აჯანყებულები მათ ძალით შეიპყრეს. რა თქმა უნდა, ო. გარდაფხაძემ არამც თუ დაპატიმრებულებზე არ იზრუნა, არამედ კრინტიც კი არ დაძრა იმაზე, რასაც ხალდელებს ადრე ესოდენ დაბეჯითებით ეფიცებოდა.

მთავრობამ განიზრახა ამ აჯანყებულთა ბედიც ისე სწრაფად და საიდუმლოდ გადაეჭრა, როგორც თავდაპირველად დაპატიმრებული 9 პირის საქმე, მაგრამ, მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობის აქტიური ჩარევით, ხელისუფლებამ ეს ვერ მოახერხა.

სვანეთის აჯანყებულმა გლეხობამ, რომელიც ცარიზმის ანტიხალხური პოლიტიკის წინააღმდეგ იარაღით ხელში იბრძოდა, საქართველოს მშრომელი გლეხობისა და პროგრესული ინტელიგენციის დიდი სიმპათია და მხარდაჭერა დაიმსახურა. სვანეთის აჯანყების მონაწილეების დასაცავად აღსდგნენ საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლები: ხალხოსნები, გამოჩენილი ქართველი მწერლები და მოღვაწეები, ადვოკატები, პედაგოგები და სხვ.

სვანეთის აჯანყებას ქართველ მოღვაწეთაგან ერთ-ერთი პირველთაგანი გამოეხმაურა ნიკო ნიკოლაძე. გამოჩენილი სამოციანელი აჯანყების დღეებშივე გამოექომაგა სვანეთის ამბოხებულ მოსახლეობას[1]. საამისოდ მან, დემოკრატიული ქართული პრესის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან ერთად, დაიმოწმა ოფიციალურ „კავკაზში" გამოქვეყნებული კორესპონდენცია, რომელიც სვანეთის აჯანყების გამომწვევ მიზეზად ლეჩხუმის მაზრის ხელისუფალთა უგუნურ ბოროტმოქმედებას

---

[1] Н. Николадзе, По поводу сванетской «вспышки», газ. «Тифлисский Вестник», 14 августа 1876.

ასახელებდა, უკანასკნელთ ადანაშაულებდა „ადგილობრივი მოსახლეობის გრძნობებისა და ტრადიციული ადათ-წესებისადმი“ უპატივცემულო და არაფრთხილ დამოკიდებულებაში. ჩვენ, — განაგრძობდა ნ. ნიკოლაძე, — სავსებით ვიზიარებთ იმ საღ თვალსაზრისს, რომელიც ამიერკავკასიის ხალხთა სულისკვეთებისა და თავისებურებების ცოდნას ემყარება. „როცა ხალხისადმი, რომელიც მრავალი საუკუნის მანძილზე თავისებურ პირობებში, თავისებური ისტორიული ცხოვრებით სულდგმულობდა, ცდილობენ გამოიყენონ პოლიტიკური მოწყობის ახალი პირობები, ამგვარი გამოყენებისას შუამავლებლად უნდა შერჩეულ იქნენ განვითარებული, გამოცდილი, „ტაქტის“ მქონე და ფრთხილი ადამიანები“.

სვანეთის აჯანყების გასამართლებლად ნ. ნიკოლაძემ დაპირისპირებით დაახასიათა, ერთი მხრივ, სვანეთი, ხოლო, მეორე მხრივ, იქ დაწესებული ახალი ადმინისტრაცია. „სვანეთი, — წერს იგი, — საუკუნეთა მანძილზე ცხოვრობდა თავისებურად“, „იქ ხალხი საუკუნეებში გამოირჩევა ზნეობის რაინდული სიწმინდით“, „იქ ღირსება და უანგარობა ხალხის სანუკვარ კუთვნილებას შეადგენენ,“ ასეთი ხალხი ბავშვს ემსგავსება, რომლის შთაბეჭდილებაზე ყველაზე ძლიერ ორი ფაქტორი ზემოქმედებს: „დამოკიდებულების დელიკატურობა და უანგარობა, ზნეობისა და ქმედობის იდეალური სიწმინდე: ვიდრე ასეთი ხალხი „პატივისცემით განიმსჭვალება თქვენი აზრისა და თქვენი მიზნისადმი“, მას „უყალიბდება სიმპატია ან ანტიპატია თქვენი პიროვნებისადმი, და სიმპატიები და ანტიპატიების ამ პრიზმაში უყურებს ყველა თქვენს სიტყვას, აზრს, განზრახვასა და მიზნებს“. „ამასთანავე, — განაგრძობს ნ. ნიკოლაძე, — არაჩვეულებრივი მნიშვნელობა აქვს არა მარტო დიდ ქმედობებს, არამედ იმ პიროვნებათა ყველაზე უწვრილმანეს თავისებურებებს, რომლებიც ახალი, „მაცივილიზირებელი“ ცხოვრების წარმომადგენლებია“.

სვანეთის ასეთი დახასიათების კვალდაკვალ ნ. ნიკოლაძემ ცენზურაგავლილ წერილშიც შეძლო გამოეაშკარავებინა ახალი ადმინისტრაციის სრული უვარგისობა და ბოროტმოქმედება სვანეთში.

მან აღნიშნა, რომ როცა საუკუნეების მანძილზე თავისებურ ისტორიულ ცხოვრებას შეჩვეული ხალხი პოლიტიკური ცხოვრების ახალ პირობებში უნდა მოაქციონ, როცა სურთ, რომ ამ ახალმა რეჟიმმა ხალხის თანაგრძნობა და მხარდაჭერა მოიპოვოს, ხალხს ახალი ვითარების საუკეთესო მხარეები და თვისებები უნდა უჩვენონ; ახალი ადმინისტრაციის წარმომადგენლები განათლებული, გამოცდილი, ტაქტიანი და უანგარონი უნდა იყვნენ. „თუკი ცივილიზირებული და განვითარებული ქვეყნის სახით ხალხი ხედავს, რომ ადმინისტრაციული და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები ბოროტებას მფარველობენ, — ეს იქ არავის მიერ არ მიიღება როგორც ცივილიზაციის კუთვნილება...“ „აქ ყველასათვის გასაგებია, რომ ეს მხოლოდ ადმინისტრაციისა და სასამართლოს უღირსი წარმომადგენლების კერძო ბოროტმოქმედებაა.

ყოველგვარი ცუდი რამაა მოსალოდნელი ქვეყანაში, — განაგრძობს ნ. ნიკოლაძე, — სადაც ადმინისტრაციის წარმომადგენელია რომელიღაც სრული უმეცარი, რომელიც მხოლოდ იმაზე ზრუნავს, რომ ვინმე გაჭყლიტოს და თავისი ძალაუფლება აჩვენოს. „აქ, ხალხის თვალში, ცივილიზაცია საერთო ცხოვრების უმაღლესი ფორმა კი არაა, არამედ ძალადობა და სიცრუე“[1].

დაბოლოს, ნ. ნიკოლაძე გარკვევით მიუთითებს, რომ სვანეთის აჯანყება ახალი ადმინისტრაციის ბოროტმოქმედებამ გამოიწვია.

რაკი შეიარაღებული აჯანყების ცხრა მონაწილე უკვე გასამართლებული იყო და მეფის მოხელეებს საქმე წინასწარ ჰქონდათ გამოძიებულ-გაფორმებული, სწრაფად შედგა ახლადდაპატიმრებულთა საბრალდებულო დასკვნებიც. ცხადია, როგორც გასამართლებულებს, აღნიშნულ 22 კაცსაც სახელმწიფო დანაშაულის ბრალდება წაუყენეს. ამიტომ მათი ომიანობისდროინდელი კანონების შესაბამისად გასამართლებაც სამხედრო-საველე სასამართლოს დაევალა.

---

[1] Н. Николадзе, «Тифлисский Вестник», 14 августа 1876 г.

## 8. აჯანყებულთა გასამართლება

1876 წ. 27 ნოემბერს ქალაქ ქუთაისში დაიწყო შეიარაღებული აჯანყების მონაწილე 22 ბრალდებულის გასამართლება, მაგრამ საქართველოს ფართო საზოგადოებრიობის მოთხოვნით მთავრობა იძულებული გახდა სამხედრო-საველე სასამართლოს საქმე ახლა საჯარო სხდომაზე გაერჩია.

სამხედრო-საველე სასამართლოს თავმჯდომარეობდა კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე გენერალ მაიორი ლეიხტი, სასამართლოს წევრები იყვნენ ალექსანდროპოლის 161-ე ლეგიონის ოფიცრები: თავადი წულუკიძე და ბიკოვი, შტაბსკაპიტნები: ლუპულოვი, პავლიცკი, გენვიჩი და არტილერიის კაპიტანი გაიკაზოვი. ბრალმდებელი იყო სამხედრო პროკურორის თანაშემწე კაპიტანი შლეტინსკი, მდივანი— ფილჩაკოვი.

ბრალდებულებს იცავდნენ იურისტები: დავით ლორთქიფანიძე, ლუარსაბ ლოლუა და დრობიშევი. საქართველოს საზოგადოებრიობის სახელით დაცვაში გამოვიდა სახელმოხვეჭილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე აკაკი წერეთელი, თარჯიმანი იყო ყარამან გარდაფხაძე.

პროცესის დასაწყისში სამხედრო პროკურორმა შლეტინსკიმ საბრალდებო აქტი წაიკითხა, რომელშიც მომხდარი სისხლისღვრისათვის მთელი პასუხისმგებლობა ხალდეს მცხოვრებლებს დაეკისრათ.

აქტის დასაწყისში ჩამოთვლილია ხალდეს მცხოვრები 22 კაცის ანკეტური მონაცემები, მოცემულია 1875 წ. სვანეთის აჯანყების („უწესრიგობის") მონაწილე ორი დამნაშავის გურმაჩ გასვიანისა და ჩარგაზ ჯოხაძის დევნასთან დაკავშირებით ადმინისტრაციის მიერ გატარებული ღონისძიებები.

აქტში საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს ადმინისტრაციამ ყველა ზომა იხმარა დამნაშავედ ცნობილ პირთა მშვიდობიანი დაპატიმრებისათვის, მაგრამ ამას მთელმა სოფელმა შეუშალა ხელი და შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია.

მიუხედავად იმისა, რომ აქტი მეფის მოხელეების მიერაა შედგენილი, მასში მაინც შეინიშნება, რომ სვანეთის ადმინისტრაცია ყოველ წუთს მზად იყო ძალადობისათვის მიემართა

და უდანაშაულო მოსახლეობას დარეოდა. ამის მაგალითია, თუნდაც ის, რომ ადმინისტრაციამ ხალდეს მცხოვრებლები დააკალდებულა ორი უდანაშაულო სოფელი დაეკარა და პოლიციისათვის ჩაებარებინა. რადგან სოფელმა ბრალდებულთა ჩაბარება არ იკისრა, ეს საკმარისი გახდა იმისათვის, რომ ხალდეს მთელი მცხოვრებლები მთავრობის მოწინააღმდეგედ მოენათლა და მის წინააღმდეგ სამხედრო ძალა გამოეყენებინა.

საბრალდებო აქტში ხალდეს მოსახლეობა დახასიათებულია, როგორც მშფოთვარე და ურჩი ხალხი, რომელიც თითქოს მთავრობის არც ერთ განკარგულებას არ ასრულებდა. აქტში ნათქვამია ისიც, რომ სვანები მაგარ კოშკებსა და სახლებში ცხოვრობენ და მემკვიდრეობით ფლობენ როგორც იარაღს, აგრეთვე ტყვია-წამლის დამზადებას.

აქტში კარგად ჩანს, რომ, რადგან ხალდელებმა დამნაშავედ ცნობილი ორი კაცი არ ჩააბარეს, ადმინისტრაციას და სამხედრო ასეულს ხელმძღვანელობას განზრახული ჰქონდა მათი დასჯა (ამისი მაჩვენებელია ისიც, რომ ბოქაულ მიქელაძეს არ უნდოდა ხალდეში სამხედრო ასეულის შეყვანა და პირობას იძლეოდა თვითონ დაეჭირა დამნაშავეები), მაგრამ ამის მიუხედავად, შეიარაღებული შეტაკების მიზეზად მხოლოდ ხალდელებია დასახელებული.

აქტში არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ ხალდელებმა ადმინისტრაციასა და სამხედრო ასეულს ხანშესული წარმომადგენლები შეაგებეს და საქმის მშვიდობიანი მოგვარება სცადეს. ამასთანავე, საქმე ისეა დახატული, თითქოს გეგი და გიორგი გასვიანებმა პირველებმა გამოიყენეს იარაღი და უმიზეზოდ დაჭრეს ჯარისკაცები, თითქოს ჯარისკაცებმა ისინი ამის საპასუხოდ დაჭრეს.

აქტში აღწერილია ხალდეს სისხლიანი შეტაკება — ხალდელთა მიერ ადმინისტრაციის წარმომადგენელთა და სამხედრო პირთა დახოცვა (ამასთან დაკავშირებით, აქტში არასრული ცნობებია მოცემული, ჩანს, მძიმე სამხედრო მარცხის ჩვენება კავკასიის ადმინისტრაციამ მიზანშეუწონლად მიიჩნია), ხალდეს მებრძოლთა დაპატიმრება, მათი ნაწილის ბრძოლაში დალუპვა, ნაწილის მთებში გაქცევა და სხვ.

აქტში მოცემულია მთებში ხალდელელების დევნა და იქ მომ-ხდარი შეტაკება. საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს მთებში გაქცეული ხალდელები თენგიზ დადიშქელიანმა ძალით შეიპყრო. აქვე აღწერილია აფეთქებულ ხალდედან სოფელ მუჟალის მკვიდრთა მიერ წისქვილის ქვების წაღებისას მურსა ჭეხანის მკვლელობა* და სხვ. აქტით ხალდეს მცხოვრებ 22 პირს (ამას გარდა 9 კაცი უკვე გასამართლებული იყო, ხუთიც ბრძოლაში დაიღუპა) საბოლოოდ რამდენიმე ბრალდება წაუყენეს, მათ შორის: მთავრობის განკარგულებისადმი შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა, ხელისუფლების წარმომადგენლების, აგრეთვე სამხედრო და სამოქალაქო პირების სიცოცხლის უმიზეზო ხელყოფა და სხვ. ყოველივე ეს ომიანობის კანონების საფუძველზე სასჯელის უმაღლეს ზომას — ჩამოხრჩობას ითვალისწინებდა.

სასამართლო პროცესის დაწყებამდე დადგინდა, რომ არც ერთ ბრალდებულს წლოვანების დამადასტურებელი საბუთი არ გააჩნდა. სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით ბრალდებულთაგან: შახან, გიორგი და ბესი გასვიანები, აგრეთვე გიორგი ჯოხაძე, თავდაპირველად არასრულწლოვანებად იქნენ ცნობილი, ხოლო გიორგი ჩოფლიანი 70 წელს გადაცილებულად.

22 ბრალდებულიდან ავადმყოფობის გამო სასამართლო პროცესს არ ესწრებოდნენ გიორგი ჩოფლიანი და ზურაბ გასვიანი (65 წლის). 23 მოწმიდან სასამართლოზე მხოლოდ 12 გამოცხადდა.

სამხედრო-საველე სასამართლოზე საბრალდებო სიტყვით გამოვიდა კაპიტანი შლეტინსკი, რომელმაც აღნიშნა, რომ მათ წინაშე იყვნენ ის პირები, რომელთაც რამდენიმე თვის წინ სახელმწიფო დანაშაული ჩაიდინეს თავისუფალ სვანეთში და რომლის თანამონაწილე ცხრა კაცი უკვე გასამართლებული იყო. შლეტინსკიმ სასამართლოს წევრებს შეახსენა ის საბრალ-

---

* აფეთქებულ ხალდედან მუჟალელ გლეხებს ხარებით მიჰქონდათ წისქვილის ქვები, როდესაც ეს მთაში გახიზნულმა ხალდელებმა შენიშნეს, ჩხუტნიერის ქედზე მიმავალ მუჟალელებს მოსთხოვეს ქვები თავის ადგილზე დაებრუნებინათ, რაზეც უარი მიიღეს. ამაზე მომხდარ შეტაკებაში ერთი მუჟალელი დაიღუპა.

დებო დასკვნა, რომელიც სასამართლოს ამავე შემადგენლობას, ჯერ კიდევ, წინა პროცესზე (ოქტომბერში) მოახსენა იმავე აჯანყების 9 მონაწილის გასამართლების დროს. ამის შემდეგ პროკურორი შეუდგა საქმის ფაქტიური მხარის გარჩევას.

პროკურორმა გვერდი აუარა სამხედრო ასეულსა და ხალდეს მოსახლეობას შორის შეტაკების გამომწვევი მიზეზისა და გარემოების რეალური სურათის წარმოდგენას, რაც მეფის მოხელეთა კოლონიზატორულ რეჟიმში, და აგრეთვე ხალდეს მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ძალადობრივ მოქმედებაში მდგომარეობდა და აღნიშნა, რომ, თითქოს ორი დამნაშავის დაპატიმრების ცდის დროს ხალდეს მოსახლეობამ ხელისუფლების წარმომადგენლებს და სამხედრო ასეულს უმიზეზოდ აუტეხა კოშკებიდან სროლა, რის შედეგად ადმინისტრაციის ხელმძღვანელები და, აგრეთვე სამხედრო პირები დახოცა. ბრალმდებელმა ყურადღება გაამახვილა აგრეთვე ჯოხაძეების სახლში თავშეფარებულ სახელმწიფო მოხელეების დახოცვაზე, აგრეთვე ხალდეს მოსახლეობის მიერ სამხედრო ნაწილებისადმი თავდაცვისას გაწეულ შეიარაღებულ წინააღმდეგობაზე და ყველაფერი ეს, მხოლოდ ხალდელებს დააბრალა და მათი ბოროტმოქმედებით ახსნა. ამასთანავე, პროკურორმა არა მარტო სოფლის ბარბაროსულ აოხრებასა და მიწასთან გასწორებაზე არაფერი თქვა, არამედ უმწეო მოხუცების, ბავშვებისა და ქალების შემდგომ ბედზეც არ დაძრა კრინტი.

საქმის ცალმხრივი განსჯით სახელმწიფო ბრალმდებელმა აჯანყებულების მოქმედებას შეუფარდა 1875 წელს დამტკიცებული სამხედრო წესდების 75-ე, მეორე ნაწილის 110-ე, აგრეთვე დებულების მე-12, 279-ე მუხლები, რომლებიც ჩამოხრჩობას, მუდმივ კატორღას, სამუდამოდ გადასახლებასა და სხვა სასტიკ სასჯელს ითვალისწინებდნენ.

შლეტინსკიმ დასძინა: ხუთდღიანი სხდომის დროს სასამართლო საქმისადმი დაძაბულ ყურადღებას იჩენდა, რაც თითქოს იმის გარანტიას იძლეოდა, რომ სასამართლო ყველა მსჯავრდებულს სამართლიან განაჩენს გამოუტანდა. ამასთანავე, პროკურორმა თქვა: თავს ნებას ვაძლევ მოვითხოვო, რომ ყველა იმ პირს, რომელმაც ადგილობრივი ადმინისტრაციის

წარმომადგენლები მოღალატური გზით დახოცა — ჩადენილი დანაშაულის შესაბამისი — მკაცრი განაჩენი გამოეტანოს[1].

ცალკეულ ბრალდებულთა დანაშაულის განსაზღვრისა და მათი მოქმედების აჯანყების კატეგორიისადმი მიკუთვნებასთან ერთად, მოსამართლეს და სასამართლოს წევრებს დაევალათ, რომ აჯანყების მთავარი მონაწილეების დანაშაულებრივი საქმე მთელი სიმკაცრითა და სერიოზულობით განეხილათ.

ბოლოს პროკურორი შეეხო თ. დადიშქელიანის მოქმედებასა და როლს სვანეთის აჯანყების საქმეში: მე, არ შემიძლია დუმილით ავუარო გვერდი იმას, რასაც საქმისათვის საგანგებო მნიშვნელობა აქვს. საქმე ისაა, რომ არც თუ დიდი ხანია, რაც სვანეთში გავრცელდა ხმები, რომ ადგილობრივი ბოქაულის თანაშემწე თავადი თენგიზ დადიშქელიანი ყველა ხელსაყრელ მომენტში მთავრობის საზიანოდ მოქმედებდა — სვანეთის მოსახლეობის ნაწილს ადმინისტრაციის წინააღმდეგ აქეზებდა. ეჰვს გარეშეა ბატონო მოსამართლენო, რომ ამ ხმებმა თქვენამდეც მოაღწია. მე, განაგრძო სახელმწიფო ბრალმდებელმა, როგორც თავისუფალ სვანეთში მომხდარი ამბების წინასწარი გამოძიების მუდმივ მეთვალყურეს, მიმაჩნია, რომ თუ ამ ხმების სინამდვილე დადასტურდებოდა, მაშინ თავადი თენგიზი, როგორც მოცემული საქმის ინტელექტუალური დამნაშავე, თავის საქმიანობისთვის წახალისებას კი არ დაიმსახურებდა, როგორც ეს დღემდე იყო, არამედ მას გურჩიჩ გასვიანის გვერდით დამნაშავის სკამზე ჯდომა განეკუთვნებოდა, ხოლო დანარჩენი განსასჯელები, როგორც დამნაშავის (ე. ი. თ. დადიშქელიანის — გ. გ.) ბრმა იარაღი, სრულ შემწყნარებლობას დაიმსახურებდნენ[2].

მიუხედავად იმისა, რომ თ. დადიშქელიანის დანაშაული აშკარა იყო, პროკურორმა მთავრობის მოხელის ინტერესები დაიცვა და დასძინა: თქვენ რომ შესაძლებლობა გქონოდათ ამ ხმების სიმართლის განსჯის, მე ვცდილობდი გამერკვია თავად თენგიზის როლი. როგორც გასამართლებული სვანების (რომლებისთვისაც ის უკვე საშიში არ არის), აგრეთვე მოწმეთა ჩვე-

---

[1] საისტორიო მოამბე, I, გვ. 171.

[2] იქვე.

ნებებით — საბედნიეროდ, სრულიად უსაფუძვლო აღმოჩნდა. ბატონო მოსამართლენო! თქვენ აქ მოისმინეთ მოწმე ა. ბაქრაძის (ყალის მღვდელზეა ლაპარაკი — გ. გ.), ჩვენება — თავის და აწ განსვენებული მაზრის უფროსის გრინევსკის მოსაზრებაზე, რომ თავადი თენგიზი კარგი შემსრულებელი პოლიციელი და მოხელეა[1].

აქვე პროკურორმა აღნიშნა, რომ ამ საქმეში მეტად ძვირფასია უკვე გასამართლებულ სვანთა განმარტებები. ყველა მათგანმა ერთხმად განაცხადა, რომ თავადი თენგიზი სვანეთში არსად და არასდროს მოსახლეობას უფროსების წინააღმდეგ არ აქეზებდა. პირიქით, იგი სვანებისაგან ხელმძღვანელობისაღში უსიტყვო მორჩილებას მოითხოვდა. ამასთანავე, სვანები თენგიზს სინდისიერ და მთავრობისადმი ერთგულ პირად მიიჩნევენ*. ბატონო მოსამართლენო! გასამართლებულ პირთა ეს ნიუკერძოებელი და კეთილსინდისიერი დახასიათება, ჩემი აზრით, თქვა შლეტინსკიმ, ეჭვმიუტანლად მეტყველებს თავად თენგიზ დადიშქელიანის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის პატიოსან შესრულებაზე[2].

პროკურორმა შლეტინსკიმ სცადა გაექარწყლებინა აგრეთვე ზოგიერთი ბრალდებულისა და დამცველის გამოსვლა თენგიზ დადიშქელიანის წინააღმდეგ. მისი აზრით, ადმინისტრაციის წარმომადგენლების, მათ შორის, თენგიზის პატიოსაცემად ხალდელების მიერ გაწეული წვეულება თითქოს ჩვეულებით იყო ნაკარნახევი და არა მოხელეთა მოთხოვნით და სურვილით. თითქოს თენგიზის ამგვარ მოქმედებაში — თანამდებობის ბოროტად გამოყენების — მსგავსი არაფერი იყო. ამ საქმეში თენგიზის გასამართლებლად შლეტინსკიმ დაიმოწმა მთავრობის ერთგული მსახურის ო. გარდაფხაძის განცხადებაც, რომ სვანეთში საერთოდ არსებობდა თავადებისადმი უფასო გამასპინძლების ჩვეულება და თენგიზისადმი სამსახუ-

---

[1] საისტორიო მოამბე, I, გვ. 171.

* როგორც ქვემოთაც ვნახავთ, პროკურორმა თავის დროზე აკანყებულთა ჩვენებებს არავითარი ანგარიში არ გაუწია, ეხლა როდესაც საქმე თ. დადიშქელიანს შეეხო, მათი ნათქვამი მიუკერძოებელ, ძვირფას და პირველხარისხოვან წყაროდ ჩათვალა.

[2] საისტორიო მოამბე, I, გვ. 171-172.

რიც ამით აიხსნებოდა. პროკურორმა თენგიზ დადიშქელიანი არამც თუ რაიმეში დაადანაშაულა, არამედ იგი სვანეთის ღარიბი მოსახლეობის ქომაგად და შემწედ დახატა, რასაც პროკურორი იმითაც ასაბუთებდა, რომ თითქოს „თენგიზმა გასამართლებულ ხალდელთა მრავალ ოჯახს სარჩო და თავშესაფარიც სრულიად უანგაროდ მისცა“[1].

საბრალდებო სიტყვის დასასრულს პროკურორმა ყურადღება გაამახვილა ეკლესიის მუშაობაზე და სოფელ ხალდეს მოსახლეობის რელიგიურ მრწამსზე. პროკურორის აზრით, ეკლესიას მეტი უნდა ემოქმედა მთავრობისადმი ხალხის მორჩილების ჩასანერგად, მან ისიც თქვა, რომ ხალდეს ზოგიერთ მცხოვრებს, რომელიც ესოდენ საჭიროებს სახარების ჭეშმარიტებას, მიუხედავად ასაკობრივი მომწიფებისა, არც ერთხელ არ მიუმართავს თავისი სულიერი მამისთვის, არ ულოცია და აღსარება არ ჩაუბარებია, რაც პროკურორმა, ერთი მხრივ, აღმაშფოთებელ და მოუთმენელ ფაქტად მიიჩნია (თუმცა ხალდეს ეკლესიის აფეთქებისა და გაძარცვის დროს მეფის მოხელეებს ამაზე არ უფიქრიათ — გ. გ.), ხოლო, მეორე მხრივ, მღვდელ ა. ბაქრაძის დაუდევრობად და საქმისადმი ბოროტმიდგომად ჩათვალა. ამასთანავე, პროკურორმა მითითება გასცა ამ საქმეზე სასამართლოს ცალკე განჩინება გამოეტანა და შედეგი საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრისათვის ეცნობებინა.

როგორც ვხედავთ, მეფის მთავრობის მითითებით კავკასიის ადმინისტრაციასა და სამხედრო სარდლობას გადაწყვეტილი ჰქონდათ საბოლოოდ გასწორებოდნენ აჯანყებულებს და ფიზიკურად მოესპოთ ისინი.

სვანეთის ერთ-ერთი სოფლის მოსპობას და მისი მოსახლეობის ხელყოფას დიდი პროტესტით შეხვდა საქართველოს პროგრესული საზოგადოებრიობა, მისმა მოწინავე წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, აჯანყებულები ეხსნათ ფიზიკური განადგურებისაგან. ამ საქმეში გარკვეული წარმატების საწინდარი იყო ის, რომ სამხედროსაველე სასამართლო იძულებული შეიქნა ღია სასამართლო

---

1 საისტორიო მოამბე, I, გვ. 171-172,

პროცესი ეწარმოებინა, სადაც მონაწილეობის მისაღებად უნდა დაეშვა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. ასე მოხერხდა ქართველი ხალხის სასიქადულო შვილის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის აკაკი წერეთლის საჯარო გამოსვლა, აგრეთვე რამდენიმე ცნობილი ადვოკატის აყვანა და სასამართლო პროცესზე მონაწილეობა.

სამხედრო-საველე სასამართლოზე საქართველოს საზოგადოებრიობის სახელით პირველი გამოვიდა ცნობილი იურისტი და საზოგადო მოღვაწე ლ უ ა რ ს ა ბ ლ ო ლ უ ა. მან აღნიშნა, რომ განსახილველი საქმე ეხებოდა არა მარტო ბრალდებულთა ვიწრო წრეს, არამედ მთელ ქვეყანას, სახელმწიფოსა და მთელი ხალხის ინტერესებს. დამცველი შეეცადა დაესაბუთებინა, რომ მეფის მოხელეთა ბიერ გარედან ძალდატანებით ჩარევის გამო სვანებს უჭირდათ ახალი წესებისადმი შეგუება: „...ხალხთა განვითარების ისტორიამ გამოიმუშავა ურღვევი წესი, რომლის მიხედვით მხოლოდ და მხოლოდ ხალხთა მიერ ახალი იდეების და წესების შეგნებულად შეთვისება უზრუნველყოფს ცხოვრებაში მათ წარმატებით გატარებას"[1]. დამცველის აზრით, მოცემულ უბედურებათა მიზეზია სვანებისადმი ახალი და უცხო კანონების ძალით თავსმოხვევა: „თუ ნამდვილად გამოვლინდება, რომ ასეთი წესების გატარებისას დაიშვა შეცდომები, ეს გაკვეთილი იქნება იმისათვის, რომ შემდგომში მსგავსი უბედურებანი აღკვეთილ იქნეს, ეს აგრეთვე ჭკუის სასწავლი მაგალითი გახდება ჩვენი ქვეყნისა და მთელი სახელმწიფოსათვის"[2]. დამცველის აზრით, ამის გარკვევას უდიდესი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა არა მარტო ბრალდებულთა ბედ-იღბლის გადასაწყვეტად, არამედ თვით სასამართლო პრაქტიკისათვისაც.

მართალია, — აღნიშნა, ლ. ლოლუამ, —ბრალდებულები ან უარყოფენ იმას, რომ ისინი ნამდვილად ისროდნენ და ხელისუფლების წარმომადგენლებს წინააღმდეგობას უწევდნენ,

---

[1] საისტორიო მოამბე, I, გვ. 173, აგრეთვე კრებული — ქართული სასამართლო მშვერმეტყველება, თბილისი, 1974 (ვ. სიდამონიძის შედგენილი), გვ. 32.

[2] საისტორიო მოამბე, I, გვ. 173-174; ქართული სასამართლო მშვერმეტყველება, გვ. 33—34.

მათ კარგად იციან, რომ მკვლელობა ბოროტებაა და მისი ჩამდენი ისჯება, მაგრამ ამასთანავე ამტკიცებენ, რომ ისინი ამ მოქმედებაში დამნაშავენი არ არიან — ერთი სიტყვით თავს დამნაშავედ არ ცნობენ, ამიტომ გადაწყვიტეს თავი შესწირონ ქონებით, თავისუფლებით და სიცოცხლით, რაც ასე ძვირფასია ადამიანისათვის. გადაწყვიტეს დაღუპულიყვნენ და ცოცხლად დამარხულიყვნენ თავისივე სახლ-კარის ნანგრევებში. მათ წინააღმდეგობა გაუწიეს მთელ რაზმს და მხოლოდ მაშინ დანებდნენ, როცა ყველა შესაძლებლობა ამოწურეს.

ლ. ლოლუამ სცადა მეფის სამხედრო სასამართლოსათვის დაემტკიცებინა, რომ ყველაფერი სვანეთისათვის უცხო კანონებისა და წეს-ჩვეულებების თავსმოხვევის, ადგილობრივი ადმინისტრაციის უკანონო მოქმედების და სამხედრო ასეულის ახირება-ძალადობის შედეგი იყო.

იმის გამო, რომ ბრალდებულები ეხსნა ფიზიკური მოსპობისაგან, დამცველი ლ. ლოლუა ცდილობდა ხალდეს გლეხთა შეიარაღებული აჯანყებისათვის პოლიტიკური საფუძველი გამოეცალა და სულ სხვა სარჩული დაედო. იგი სასამართლოს წევრებს არწმუნებდა, რომ „აგვისტოს ამბებს პოლიტიკურ მიზეზებთან, აგრეთვე წინაზრახულ შურისძიებასთან და სისხლის აღებასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. მისი მტკიცებით, ხალდეს სისხლიანი შეტაკების მთავარი მიზეზი იყო სვანეთის მოუმზადებლობა რუსული მართვა-გამგეობის მიღებისათვის. სვანები ცხოვრობენ მიუვალ მთებში, მათ უჭირავთ მაღალი, ქედებით გარშემორტყმული დაბლობები.... თუ რამდენად იყვნენ იზოლირებული სვანები გარეშე ქვეყნებიდან, ეს სჩანს იქიდანაც, რომ ოდესღაც ეს ხალხი ქართულ ენაზე ლაპარაკობდა, ახლა კი მათ თავისი საკუთარი ენა შექმნეს“[1].

შემდეგ ლ. ლოლუა შეეხო სვანეთში რუსული მართვა-გამგეობის შემოღებას და რუსეთის ხელისუფალთა ძალაუფლებას. .მან აღნიშნა, რომ რუსეთის შემადგენლობაში შესვლის მიუხედავად, სვანეთში ძველებური წესები და კანონები მოქმედებდნენ: „სასამართლო მართლმსაჯულების ნაწილი ვახტანგ

[1] საისტორიო მოამბე, I, გვ. 176, 177; ქართული სასამართლო მეცნიერება, გვ. 38—39.

მეფის კანონების მიხედვით წარმოებდა, ე. ი. დაღვრილი სისხლის ფულადი საზღაურის გადახდევინებით, ნაწილი კი სისხლისაღებით — სისხლი სისხლისთვის — წესით[1]. ასეთ ვითარებაში, განაგრძო დამცველმა, ადმინისტრაციამ განიზრახა ერთბაშად გარდაექმნა ყველაფერი. „...ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოინდომა ერთბაშად მოესპო ძველი და დაემყარებინა ახალი წესი... სამწუხაროდ, ჩვენმა ადგილობრივმა ხელისუფლებამ სვანეთში, როგორც ეს სამსჯავრო გამოძიებიდან ჩანს... მთავრობის ნდობა ვერ გაამართლა"[2].

ლ. ლოლუა ეხება ეკლესიის მღვდელმსახურთა საქმიანობასაც და დასძენს: „რელიგიის წარმომადგენელნი ხალხში სახარების მოძღვრების გავრცელების ნაცვლად მხოლოდ თავის პირად გამდიდრებაზე ზრუნავდნენ. ძნელია იმისი წარმოდგენაც კი, რომ შესაძლებელი იქნებოდა ამ ღარიბი ხალხისაგან რაიმეს მიღება, მაგრამ მაინც გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ამათგანაც კი იღებდნენ საეკლესიო გადასახადს და ეს ადამიანები ქრისტიანული სარწმუნოების წარმომადგენლები იყვნენ. ყველა ამის შემდეგ რა უნდა მოვთხოვოთ სვანებს?"[3].

ლოლუამ აღნიშნა, რომ სვანეთში თვითნებურად ინერგებოდა შეუსაბამო კანონები, მან სასამართლოს მოახსენა სვანეთში კანონების იურიდიული ნორმების უხეში დარღვევის მრავალი მაგალითი, მათ შორის შეეხო 1875 წლის მღელვარების მონაწილე გ. გასვიანისა და ჩ. ჯოხაძის დასაპატიმრებლად მაზრის უფროსის გრინევსკის მიერ გაწეული ღონისძიებების უკანონობას, რამაც მთელი სოფელი საბრალდებო სკამზე დასვა.

„ჩვენ უნდა ჩავწვდეთ ამ საქმეს,—აღნიშნა ლ. ლოლუამ,— ადგილობრივ ხელისუფლებას ნამდვილად გურმაჩისა და ჩარგაზის დაპატიმრება ჰქონდა მხედველობაში, თუ ეს მხოლოდ საბაბი გახდა ენერგიული ზომების მიღებისათვის, სხვა მიზნების მისაღწევად"[4].

დამცველმა სცადა სასამართლოსთვის დაემტკიცებინა, რომ

---

1 საისტორიო მოამბე, I, გვ. 177.

2 იქვე, გვ. 177—178.

3 ქართული სასამართლო მეცნიერებაეველება, გვ. 40—41.

4 საისტორიო მოამბე, I, გვ. 180.

ყველაფერი ადგილობრივ ხელისუფალთა ძალადობის შედეგი იყო, რომ გრინევსკიმ ასეულის უფროსი შეგნებულად წააქეზა ხალდეს წინააღმდეგ.

ამასთანავე, ლ. ლოლუა დასძენდა: „სასამართლო უწყების მიერ არც ერთი აქტი არ არის შედგენილი სასამართლოს დადგენილების სისრულეში მოსაყვანად ხალდელების დაუმორჩილებლობისა და მათი წინააღმდეგობის გაწევის გამო. სხვაგან საკმარისია სულ ცოტა ურჩობის გაწევა, რომ მათ პასუხისგებაში მისაცემად დაუყოვნებლივ იქნას აღძრული საქმე. ასევე უნდა მომხდარიყო სვანეთშიც. სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ ვითომც ადგილობრივი ხელისუფლება სვანეთში ბოროტმოქმედ პირებს თავზე ხელს უსვამდა. მან ხომ თავი დადვა მათ წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიტომ, სწორი რომ ვთქვათ, საქმე ხალდელების დანაშაულში როდი იყო. მათთვის ეს ბრალდება არავის წაუყენებია, სამაგიეროდ, იგრძნობოდა საერთო კანონების არადამაკმაყოფილებელი მოქმედება, ან უკეთ რომ ვთქვათ, ამ კანონების უმოქმედობა სვანეთში. აქ ხელისუფლება ვერ ხედავდა კანონების შესრულებას ისე, როგორც სხვა ადგილებში იყო, და ისე როგორც ამას კანონი მოითხოვდა... მან მიზნად დაისახა ამ საერთო უბედურების აღკვეთის ამოცანა და თუმცა განზრახვა კეთილი იყო, მაგრამ მისმა შესრულების მცდარმა მეთოდმა დიდი უბედურება გამოიწვია"[1].

დამცველმა სცადა სასამართლოსათვის დაესაბუთებინა, რომ აგვისტოს სისხლიანი ტრაგედია გამოიწვია არა ხალდეს მოსახლეობამ, არამედ ადგილობრივ ხელისუფალთა წინდაუხედავმა აქციებმა. იგი შეეცადა გამოეაშკარავებინა ამ საქმეზე შექმნილი ყალბი „დოკუმენტები", რომლებიც მაზრის ხელმძღვანელობის მოქმედებას ამართლებდნენ. ლ. ლოლუამ სასამართლოს ყურადღების ცენტრში მოაქცია ის ფაქტი, რომ გრინევსკიმ ხალდედან პასუხის მიღებამდე ლეუსს უბრძანა სალაშქროდ მომზადებულიყო. ამასთანავე, დამცველი შეეხო გრინევსკის მიერ 1876 წ. ივლისში ბეჩოდან კალაში მიქელაძისა და ასათიანის გაგზავნას და აღნიშნა, რომ გრინევსკი მათი

[1] საისტორიო მოამბე, I, გვ. 180; ქართული სასამართლო მკვლევრეტყველება, გვ. 44.

პასუხის მიღებამდე ბეჩოდან სამხედრო რაზმით დაიძრა. „იბადება ეჭვი, ხელისუფალი ხომ არ ეძებდა რაიმე საბაბს იმისათვის, რომ ენერგიული ზომების მიღება გაემართლებინა? ბეჩოდან ხალდემდე, სულ მცირე 40 ვერსია, თავად მიქელაძეს 28 რიცხვში მიეცა მიწერილობა ბეჩოში, ხოლო იმის თაობაზე, რომ ხალდელები ჯიუტობენ ბოროტმოქმედთა ჩაბარებაზე უკვე 29 რიცხვში მაზრის უფროსის სახელზე მოხსენებაა შედგენილი. თუ მხედველობაში მივიღებთ დროის სიმცირეს, რაც საჭირო იყო მიქელაძისათვის მიღებული დავალების შესასრულებლად, ამ შემთხვევაში მე არ შემიძლია ვიფიქრო, რომ ხელისუფლის მიერ მართლაც იყო მიღებული ზომები საქმის მშვიდობიანი გზით მოწესრიგებისათვის. მიქელაძის 29 ივლისის მოხსენება ბეჩოდან დაძრული რაზმის მოქმედების გამამართლებელ საქმეში გამოსაყენებელ საბუთს ხომ არ წარმოადგენს?“[1].

აქვე ლ. ლოლუა შეეხო მიქელაძის მისიას და დასძინა, რომ არც მან მოიმოქმედა რაიმე საქმის ნორმალური მოგვარებისათვის, ნაცვლად იმისა, რომ ხალდელებს თვითონ მოლაპარაკებოდა, მათთან მღვდელი ალექსი ბაქრაძე გაგზავნა: „ადამიანს ოდნავი წარმოდგენაც არ უნდა ჰქონდეს სვანეთზე, რომ ამ მიზნით ასეთი პირი აირჩიოს“. ამასთან დაკავშირებით დამცველმა სასამართლოს მოახსენა: „ბატონო მოსამართლენო, თქვენ თვითონ დაინახეთ, თუ როგორ დამოკიდებულებაში იყო ეს მღვდელი ხალდელებთან და აქედან შეგიძლიათ განსაჯოთ, თუ რა შედეგი მოყვებოდა მის შუამავლობას. მისი არჩევა და გაგზავნა არ მარწმუნებს იმაში, რომ უფროსებს საქმის მშვიდობიანი მოგვარება სურდათ. ა. ბაქრაძის უხეირო ჩარევამ უფროსებს ბიძგი მისცა ძალადობისათვის მიემართათ[2]. დამცველი ლ. ლოლუა შეეხო მაზრის ადმინისტრაციის მიერ, ჯერ კიდევ, წინა წელს ჩადენილ ძალადობას და აღნიშნა: „როგორც აქ თარჯიმანმა ი. ბაქრაძემ აგვიხსნა, ზოგიერთ სოფელში ხელისუფლებამ ხალდეში მისვლამდე დააპატიმრა რამდენიმე კაცი, მაგრამ მათ შორის არ იყო არც ერთი,

---

[1] ქართული სასამართლო მეევრმეტყველება, გვ. 46.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 47.

რომლის დაპატიმრებას სასამართლო ხელისუფლება მოითხოვდა. ჩვენ აქ ყურადღება უნდა მივაქციოთ თვით დაპატიმრების წესს და ამასთან ადმინისტრაციის მიერ მიღებულ ზომებსაც, რომლებიც მკვეთრად ეწინააღმდეგებიან კანონის მოთხოვნას. .რაზმი გარს ერტყმის სოფელს, ან ცალკეულ სახლს, ჯარისკაცები შედიან შიგ, ჩხრეკენ და აწარმოებენ ჩამორთმევას, ერთ სოფელში მამის მაგიერ აპატიმრებენ ორ შვილს (საქმე ეხება 1875 წლის მღელვარების მონაწილე შახუბათ ქურდიანის შვილებს — გ. გ.), რომლებსაც არავითარი დანაშაული არ მიუძღოდათ, და შებოჭილი მიჰყავთ ლეჩხუმში. შეიძლებოდა თუ არა ყველა ამის გაკეთება კანონის საფუძველზე? შეიძლებოდა თუ არა ასეთი ღონისძიების წამოწყება სასამართლოს დებულების ფარგლებში? ადმინისტრაციის და სამხედრო რაზმის ასეთი მოქმედება ეწინააღმდეგება ყველა კანონმდებლობას, რომლის ძალა სვანეთზედაც უნდა გავრცელდეს"...[1].

ი. ბაქრაძის ჩვენებაზე დაყრდნობით, ლ. ლოლუამ სცადა დაესაბუთებინა, რომ გრინევსკი და ლეუსი წინასწარ შეთანხმდნენ ხალდეს ალყაში მოქცევაზე, ყველა ოჯახის გაჩხრეკაზე, აგრეთვე იმაზე, რომ თუკი გურმაჩი და ჩარგაზი შინ არ აღმოჩნდებოდნენ, სოფელი იძულებული გაეხადათ მოეძებნა ისინი. ხელისუფალთა ამგვარი ძალმომრეობის წინააღმდეგ სოფელი იძულებული გახდა დარაზმულიყო, „ხალდელებმა იგრძნეს, რომ დიდი საფრთხე მოელოდათ. მათთვის უკვე ცნობილი იყო, რომ სხვაგან სოფლები და სახლები გარშემორტყმულია, რომ ყოვლად უდანაშაულო პირებს აპატიმრებდნენ და რაზმს თან მიჰყავდა. ჯარს თან ჰქონდა წერაქვები, ძალაყინები და თოფისწამალი სახლებისა და კოშკების ასაფეთქებლად. ისინი ჩაფიქრდნენ, უხუცეს პირებს აგზავნიან უფროსებთან, თხოვენ ჯარის გაყვანას და ახალი მძევლების მიცემას პირდებიან, მაგრამ უფროსები ახლოს არ იკარებენ. ხალდელები თხოულობენ, რომ რაზმის გარეშე მისულიყვნენ უფროსები მათთან. უფროსები კი ხალდეში მარტო არ მივიდნენ. ამდა-

---

[1] საისტორიო მოამბე, I, გვ. 183; ქართული სასამართლო მპევრმეტყველება, გვ. 47.

გვარად ორივე მხრივ უნდობლობა შეიქმნა, ადმინისტრაციამ უკან არ დაიხია და, თხოვნის მიუხედავად, იგი პირველ აგვისტოს ჯარის თანხლებით ხალდეში შევიდა"[1].

სასამართლო გამოძიებაზე და პროცესზე დიდი დრო დაეთმო იმის დადგენას, თუ ვინ დაიწყო პირველად შეიარაღებული შეტაკება: ხალდელებმა თუ ჯარისკაცებმა. სამხედრო-საველე სასამართლოზე ისე, როგორც წინასწარი ძიების დროს, მეფის მოხელეები ცდილობდნენ შეიარაღებული კონფლიქტის დაწყება ხალდეს მოსახლეობისათვის გადაებრალებინათ. სამხედრო პროკურორის განცხადებით და, საერთოდ საბრალდებო დასკვნის მიხედვით, სისხლიანი შეტაკების წამომწყებები თითქოს გეგი და გიორგი გასვიანები იყვნენ, ვითომდა მათ პირველებმა მიმართეს იარაღს ჯარისკაცების წინააღმდეგ. გამოძიება და პროკურორი დაეყრდნენ სამხედრო ასეულის ჯარისკაცთა ჩვენებებს, რომლის მიხედვით იარაღი თითქოს პირველად ხალდელებმა იშიშვლეს და თითქოს ჯარისკაცებმა მხოლოდ ამის შემდეგ მიმართეს ძალას. ძიებამ მხედველობაში არ მიიღო არა მარტო ხალდელების ჩვენებები, რომ ჯარისკაცებმა პირველებმა გაუყარეს ხიშტები მათ შესახვედრად მისულ ორ უდანაშაულო ადამიანს, არამედ პირველი ბრძოლის მონაწილე ზემდეგის ჩვენებაც, რომ მან თვითონ უბრძანა პევნევს განეგმირა სვანი და მხოლოდ შემდეგ დაინახა დახოცილი ჯარისკაცები.

აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით ლ. ლოლუა შენიშნავდა: „ბრალდებულთა და მოწმეების ჩვენებები იმაზე, თუ პირველად რომელმა მათგანმა მიაყენა ჭრილობა — ჯარისკაცებმა სვანებს, თუ პირიქით სვანებმა ჯარისკაცებს — ერთმანეთის საწინააღმდეგოა... არსებობს საფუძველი დავუშვათ, რომ ორი სვანი ვერ გაბედავდა იარაღი აეღოთ საუკეთესოდ შეიარაღებული რაზმის წინააღმდეგ, უკეთუ ისინი არ იფიქრებდნენ, რომ მათ სიცოცხლეს საშიშროება მოელოდა, მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლოთ ხელი მოეკიდათ ისეთი უბადრუკი ხანჯლებისათვის, რომელსაც თქვენ აქ მაგიდაზე ხედავთ, როგორც ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთს. თუ ჯარისკაცებმა

---

1 საისტორიო მოამბე, I, გვ. 184-185; ქართული სასამართლო მჭევრმეტყველება, გვ. 50.

პირველებმა ააგეს სვანები ხიშტებზე, ცხადია, ხალდელები ნაკლები დამნაშავენი არიან, ვინემ ჯარისკაცები"[1].

რაკი დამცველი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ სასამართლო თავის მხარის ყალბ ჩვენებებს დაეყრდნობოდა, მან სასამართლოზე საკითხის მეორე მხარეზეც გაამახვილა ყურადღება: „...საკითხი იმაზე, თუ რომელმა მათგანმა მიაყენა პირველად ჭრილობა, ჩემთვის სულ ერთია... ასე საკითხის დასმა საჭირო არ არის; აქ საქმის დედაარსი მდგომარეობს მაიორ ლეუსის არასწორ განკარგულებაში — დაეპატიმრებინათ ორი სვანი, რომლებმაც ვერ მოასწრეს კოშკში დამალვა ისე. როგორც სხვებმა. ეს უდანაშაულო ორი სვანი იყო გიერგი და გეგი გასვიანები*, რომელთაც არავითარი ბრალი არ ედებოდათ. ისმის კითხვა: რა საფუძველზე გასცა მაიორმა ლეუსმა განკარგულება, ჯარისკაცებს დაეპატიმრებინათ ისინი. ასეთ დაპატიმრებას არამც თუ არ ითვალისწინებს კანონი. არამედ ფორმალურადაც კრძალავს და თავისუფლების კანონსაწინააღმდეგო ხელყოფაა. პიროვნებას სვანეთში უფრო მეტად სცემენ პატივს, ვიდრე ჩვენს სხვა რომელიმე მხარეში. ამ ქვეყანაში პიროვნება უზრუნველყოფილია სისხლის სამართლის დებულებით...

რა აძლევდა მაიორ ლეუსს უფლებას, რომ განკარგულება გაეცა გიერგი და გეგი გასვიანების დაპატიმრებაზე? ამ პირებს ბრალედებოდათ თუ არა რაიმე ბოროტმოქმედება? მოითხოვდა თუ არა ვინმე მათ დაპატიმრებას? არა, მსგავსი, რამ არ ყოფილა. ხელისუფლების ეს მოქმედება, რაც ხალდეში მოხდა, არ ექვემდებარებოდა კანონის მოთხოვნას და ეს დაპატიმრება ბოროტმოქმედებას წარმოადგენდა. უდანაშაულო ადამიანების პირადი თავისუფლების ასეთმა უკანონო ხელყოფამ ყველაფერი გამოიწვია"[2].

მაიორ ლეუსის უკანონო საქციელის დაგმობის შემდეგ

---

1 საისტორიო მოამბე, I, გვ. 185; ქართული სასამართლო მეკერძეტყველება, გვ. 51.

* სასამართლოს მასალებში გასვიანის ნაცვლად ხშირად კასტლიანია შეცდომით ფიქსირებული.

2 საისტორიო მოამბე, I, გვ. 186; ქართული სასამართლო მეკერძეტყველება, გვ. 52.

დამცველმა ლ. ლოლუამ დასძინა: „რა უნდა ეფიქრათ ხალ-
ხელებს მათ სოფელში სამხედრო რაზმის პირველივე ვამო-
ჩენისთანავე? მათ წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ ჩვენს ახალ
წესებზე. ‘ათთან აღწევდა ცნობები დამნაშავეთა მაგიერ უდა-
ნაშაულო ადამიანების დაპატიმრებისა და ჯარისკაცების მიერ
ჩხრეკის წარმოების შესახებ. ისინი ხედავდნენ ალყაშემორ-
ტყმულ სოფლებს, ხედავდნენ — წერაქვებსა და ძალაყინებს
და გაიგეს ლეუსის პირველი განკარგულება... რაზმის პირვე-
ლი ძალმომრეობით მოქმედება მიმართულ იქნა გიერგი და
გეგი გასვიანებისადმი... არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ
ხალდელებს არ შეეძლოთ არ ეგრძნოთ, რომ მათ სიცოცხლეს,
თავისუფლებას და ქონებას გარდაუვალი საფრთხე ემუქრე-
ბოდა. აი, ჩემი აზრით, ესაა მთავარი მიზეზი, რითაც უნდა
აიხსნას პირველი აგვისტოს ამბები და მასთან ერთად შემდეგი
ამბებიც... აი ბატონო მოსამართლენო! ეს არის ამ საქმის
ერთადერთი სწორი ახსნა“[1].

შეიარაღებული შეტაკების ნამდვილი მიზეზების გამოაშკა-
რავების გამო ხელისუფლების მეტისმეტი გულისწყრომა რომ
არ გამოეწვია, დამცველმა ლ. ლოლუამ ნაწილობრივ დაადა-
ნაშაულა ხალდელებიც. ამასთანავე ლ. ლოლუა შეეხო ხალდეს
აჯანყების შემდგომ მსვლელობას და განაცხადა:—„ყველა შემ-
დგომი ამბები მხოლოდ ამ პირველი მიზეზების ბუნებრივი
გაგრძელება იყო. ...პირველი აგვისტოს მომხდარი ამბების
შემდეგ მათ იმედი ჰქონდათ შეწყალების, მაგრამ მომხდარ შე-
ტაკებას, რასაც ისინი თავის ბრალად არ თვლიდნენ, მათთვის
გაუგებრად კიდევ ახალი დანაშაული — უფროსების მკვლე-
ლობა დაემატა. ახლა ისინი შეუდრეკელ წინააღმდეგობას
უწევენ მთელ რაზმს, გადაწყვიტეს ცოცხლად დამარხული-
ყვნენ თავიანთ კოშკებში და მხოლოდ მაშინ დანებებული-
ყვნენ, როდესაც ბრძოლის გაგრძელება შეუძლებელი გახდე-
ბოდა“[2].

სისხლისმღვრელი შეტაკების მიზეზების გარკვევის შემდეგ
დამცველი სვამს კითხვას — თუ რა ბედი უნდა სწეოდათ
ბრალდებულებს? იგი მართლმსაჯულებას მიმართავს: „თქვენ,

---

[1] საისტორიო მოამბე, I, გვ. 186—187.

[2] ი ბ ი ვ ე, გვ. 187.

ბატონო მოსამართლენო, დღეს აქ უმაღლეს მართლმსაჯულების ორგანოს წარმოადგენთ, თქვენს წინაშეა ფაქტები, რომელსაც კანონი უნდა მიუყენოთ, ცხადია, შეგიძლიათ დაინახოთ დანაშაულთან დასჯის შეუსაბამობა. თქვენ უმაღლესი ხელისუფლების მიერ მოცემული გაქვთ უფლება დაწვრილებით გაიგოთ საქმის მდგომარეობა და უმაღლეს ხელისუფლებას წარუდგინოთ განსახილველად, ამ შემთხვევაში კავკასიის არმიის სარდლობას შეატყობინოთ გარემოებანი, რაც ესოდენ გასათვალისწინებელია დამნაშავეთა შეწყნარებისათვის. როგორც თვით დანაშაულთა უბედურება, ასევე დამნაშავეთა სასტიკად დასჯა უდიდესი უბედურება იქნებოდა. შეუგნებლად და განზრახვის გარეშე ჩადენილი დანაშაული ბოროტმოქმედებად არ ჩაითვლება. ამ შემთხვევაში სვანებს ოდნავი განზრახვაც კი არ ჰქონდათ ხელისუფლებისათვის წინააღმდეგობის გაწევისა, სვანების გაგებით ეს იყო მხოლოდ თავდაცვის განზრახვა, ყოველივე იმის დაცვა, რასაც ადამიანი დიდად უნდა აფასებდეს"[1].

დავის შემდეგ დამცველმა სასამართლოს მოახსენა სვანეთის ამბებთან დაკავშირებით საქართველოს საზოგადოებრივი აზრი და განაცხადა, რომ აგვისტოს ამბებმა მთელ საქართველოს თავზარი დასცა. ყველა ფიქრობდა, რომ სვანები დამნაშავენი იყვნენ და ამიტომ უარს არავინ იტყოდა ხელი მოეწერა ბოროტმოქმედ დამნაშავეთა სიკვდილით დასჯის განაჩენზე, მაგრამ გარემოებათა გარკვევის შემდეგ ამ საქმეზე ხალხის შეხედულება შეიცვალა: „მაშინ არ არსებობდა ის მონაცემები, რომელთა გარკვევამ შემდეგში შეცვალა საყოველთაო აზრი. ამ ამბებზე პირველი ცნობების მიღებისთანავე უმაღლესმა ხელისუფლებამ განკარგულება გასცა სამაგალითოდ დაესაჯათ დამნაშავენი, მაგრამ ახლა ამ განკარგულების სრულად და ზუსტად გატარება უაზრო იქნებოდა, ვინაიდან დამტკიცებულია, რომ ბრალდებულებს არ ჰქონდათ ბოროტმოქმედების ჩადენის შეგნებული ნებასურვილი... უკანასკნელ ჟამსაც კი, როდესაც დამნაშავენი დანებდნენ, ისინი ივედრებოდნენ და თხოულობდნენ, რომ საქმე მეფისნაცვლისათვის წარედგინათ.

---

1 საისტორიო მოამბე, I, გვ. 187.

...უმაღლეს ხელისუფლებაზე ასეთ შეხედულების გამო საჭირო არ არის მათ მთლიანად მივუყენოთ სამხედრო სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მკაცრი სასჯელი. აუცილებლად საჭიროა შუამდგომლობა აღიძრას დამნაშავეთა მწარე ხვედრის შესამსუბუქებლად, მათ შეწყალებაზე. სამართალში მიცემულთა მკაცრი დასჯის მოთხოვნა არავითარ თვალსაზრისით არ იქნებოდა გამართლებული"[1].

დამცველმა ლ. ლოლუამ სასამართლოს შეახსენა, რომ სისხლის სამართლის წესით დასჯის მიზანია საშიშ და გამოუსწორებელ დამნაშავეთა იზოლირება და განდევნა იმ საზოგადოებიდან, რომელთანაც მათი ყოფნა შეუთავსებელია. მაგრამ დამცველის რწმუნებით, სვანები არ ეკუთვნოდნენ საზოგადოებისათვის საშიშ წესრიგის დამრღვევ ადამიანთა კატეგორიას. როდესაც დამცველი შეეხო უმაღლეს ხელისუფალთა განკარგულებას და შეუდგა მტკიცებას, რომ ბრალდებულთა სამაგალითო დასჯა არც საზოგადოებრივი თვალსაზრისით იყო საჭიროებელი და არც მთავრობის პოლიტიკისათვის, ამის საპასუხოდ სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარემ დამცველს სიტყვა შეაწყვეტინა და ზომიერებისაკენ მოუწოდა. მაგრამ დამცველი განსასჯელებს მიუბრუნდა და განაგრძო: „ამ ადამიანთა ხვედრი, უდაოდ, მეტად საშინელია. მათი სოფელი, რომელიც ხალდეს სახელს ატარებდა, მიწასთანაა გასწორებული და საბრალდებო აქტშიც ნაჩვენებია — როგორც ყოფილი სოფელი ხალდე, მაშინ, როდესაც თავისი სოფელი ასეთი ხალხისათვის სამშობლოსა და ყველაფერს წარმოადგენს. მათი კუთხე სავსებით განადგურებულია, ისინი ოჯახებით დახეტიალობენ კლდეებზე, რომელიც მხოლოდ გარეული მხეცებისათვისაა მისაწვდომი. ითმენენ შიმშილს, სიცივესა და მათი ახლობელი ადამიანების ტანჯვას. მხოლოდ ეს არის საკმარისი მათი დასჯისათვის. დავტირით რა მომხდარ უბედურებას, ჩვენ მათი სიცოცხლე უნდა შევიწყალოთ"[2].

სასამართლოზე აჯანყებულთა მეორე დამცველად წარსდგა

---

[1] საისტორიო მოამბე, I, გვ. 188; ქართული სასამართლო მჭევრმეტყველება, გვ. 54—55.

[2] საისტორიო მოამბე, I, გვ. 188—189; ქართული სასამართლო მჭევრმეტყველება, გვ. 55-56.

ა კ ა კ ი  წ ე რ ე თ ე ლ ი, რომელმაც თავისი გამოსვლის შესავალი ნაწილი პროკურორისა და დამცველ ლ. ლოლუას გამოსვლების შეფასებას მიუძღვნა.

საბრალდებო სკამზე მსხდომთა საქმის გარჩევა ა. წერეთელმა იმის მტკიცებით დაიწყო, რომ საქართველოს ბედუკუღმართობის დროს სვანებმა ცხოვრების ზოგიერთი თავისებური წესი გამოიმუშავეს, რომ მათ მიერ ჩადენილი დანაშაული შეფარდებითია. იმას, რასაც ერთნი დანაშაულად თვლიან და დევნიან, — აღნიშნა ა. წერეთელმა, — სხვები საამაყო გმირობად მიიჩნევენ: „კაცობრიობის წინ წამყვან რეფორმატორებს დამნაშავედ თვლიდნენ და კოცონზე წვავდნენ. ეჭვს გარეშეა, ბატონებო, რომ ასეთი მკაცრი განაჩენის გამომტანი მოსამართლენი დარწმუნებული იყვნენ თავიანთ შეუცდომლობაში. მაგრამ განვლო საუკუნეებმა, შეხედულებანი შეიცვალენ და მომდევნო დრომ მსჯავრი თვით ინკვიზიტორებს გამოუტანა. ასეთია დანაშაულთა უდიდესი ნაწილი“[1].

რაც შეეხება მკვლელობას, იგი, ყოველთვის დანაშაულად იყო მიჩნეული, მას ყველა ხალხი გმობდა და ზიზღით უყურებდა. ჩვენს წინაშე, მიუთითებს ხალდელებზე, მკვლელები სხედან, მაგრამ, დახეთ საკვირველებას, — შენიშნავს ა. წერეთელი, — არავითარ ამის მსგავსს ჩვენ მათდამი არ განვიცდით. „ამ სამი დღის განმავლობაში, — განაგრძო ა. წერეთელმა, — ჩვენ საკმაო დრო გვქონდა დავრწმუნებულიყავით იმაში, რომ მთელი დამსწრე საზოგადოება, განათლებულიდან დაწყებული უკანასკნელ უვიცამდე, მათი ბედიღბლისადმი ერთნაირი თანაგრძნობით იყო განწყობილი. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი თქვენთაგანი, ბატონო მოსამართლენო, ამ რამდენიმე ხნის წინ მათი ტყვიების სეტყვის ქვეშ იმყოფებოდა, თქვენს სახეზედაც კი ვხედავ მათდამი სიბრალულს“[2].

ა. წერეთელმა სასამართლოს შემადგენლობის ყურადღება გაამახვილა ხალდეს შეიარაღებული შეტაკების გამომწვევ მი-

---

1 საისტორიო მოამბე, I, გვ. 189; ქართული სასამართლო მჭევრმეტყველება, გვ. 59—60.

2 საისტორიო მოამბე, 1, გვ. 190; ქართული სასამართლო მჭევრმეტყველება, გვ. 60.

ზეზებზე და დასძინა, რომ ეს საბედისწერო სისხლისღვრა მოულოდნელი და გარდაუვალი იყო, რომ ამ დანაშაულის მიზეზი გახდა ადმინისტრაციის შეჯახება ადგილობრივ მოსახლეობასთან.

იმისათვის, რომ მომხდარ ხოცვა-ჟლეტაში ხალდელების დანაშაული გაემართლებინა, ა. წერეთელმა მართლმსაჯულების ყურადღება შეაჩერა სვანეთის ადმინისტრაციისა და სამხედრო ასეულის უკანონო მოქმედების განხილვაზე. მან აღნიშნა, რომ თავის ზნეობრივი და გონებრივი გაგებით ადმინისტრაცია მაღლა უნდა დამდგარიყო შედარებით ჩამორჩენილ, კლდეებში გამომწყვდეულ ადგილობრივ მოსახლეობაზე. მას შემდეგ, — დასძინა ა. წერეთელმა, — რაც საქართველო დაკნინდა, სვანეთში ცივილიზაცია ჩაქრა. სვანებმა გონებრივი განვითარება და ქონება დაკარგეს და მხოლოდ ის კოშკები შერჩათ, რომელთა ნაწილი ასე იქნა გაცამტვერებული სამხედრო ძალით*. ჩვენ არც გრძნობამ და არც გონებამ არ უნდა მოგვცეს უფლება სვანებს ბრალი დავდოთ ამ ჩამორჩენილობაში. შემდეგ ა. წერეთელმა ხაზი გაუსვა ხელისუფლების მიერ სვანეთში უცხო და ახალი კანონების დანერგვის შეუსაბამობას, ამ კანონების ზემოდან თავსმოხვევის ფაქტებს: „კანონს თავის საფუძვლად უნდა ედოს იმ ხალხის ზნე-ჩვეულება და ადათწესი, ვისთვისაც ეს კანონია გამიზნული. სვანების მიმართ კი არაფერი ამის მსგავსი არ ყოფილა მხედველობაში მიღებული.... ადმინისტრაცია ვალდებული იყო მოსახლეობისათვის განემარტა მოქმედი კანონის არსი და მნიშვნელობა, მათთვის კანონისადმი დამორჩილების მაგალითი მიეცა“[1].

სინამდვილეში, განაცხადა ა. წერეთელმა, პირიქით ხდებოდა: ადგილობრივი ხელისუფლება კანონებს სრულებით არ ასრულებდა, სვანები კი მათ წინაშე მოწიწებით იხრიდნენ თავს: „გუშინდელ სხდომაზე ჩოფლიანმა მოგვითხრო, — თქვა

---

* ასეთი მკვეთრი გამოსვლის გამო ა. წერეთელმა სასამართლოს თავმჯდომარის (კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის) გენერალ-მაიორ ლეიხტის შენიშვნა — „გთხოვთ გამოთქმებში სიფრთხილე გამოიჩინოთ“ — დაიმსახურა.

[1] საისტორიო მოამბე, I, გვ. 192; ქართული სასამართლო მკვლევრმეტყველება, გვ. 63.

ა. წერეთელმა, — თუ როგორ გადაუხადა სასამართლოს ბოქაულს ფული, რაც მას ამ უკანასკნელმა მოთხოვა. ჩოფლიანმა თავის ავადმყოფ მამას მოუწვია ექიმი, რომელიც ღამის გასათევად სოფელში დარჩა და თავის ცხენი საძოვარზე გაუშვა. ღამით ცხენი მგლებმა დაგლიჯეს, მიუხედავად იმისა, რომ ამისათვის მასპინძელს არ ევალებოდა პასუხისმგებლობა სვანური ადათის მიხედვით, შემდეგ ექიმმა ისარგებლა ჩოფლიანის სახლში არ ყოფნით და მის მიმართ აღძრა სარჩელი, რაც მომრიგებელმა მოსამართლემ მიიღო.... დიდი ხნის შემდეგ სახლში დაბრუნებული ჩოფლიანი სასამართლოში იქნა დაბარებული... მას იქ წარედგინა სააღსრულებლო ფურცელი და მანაც შეუსიტყვებლად, ყოველგვარი დავის გარეშე, დაკისრებული 60 მანეთის ანგარიშში ბოქაულს გადასცა თოფი, აგრეთვე ძროხა და ხბო. ნუთუ ეს კანონისადმი სვანების უდავო შორჩილებაზე არ მეტყველებს"[1].

ამასთანავე, ა. წერეთელმა ამხილა ხელისუფლების წარმომადგენელთა უკანონო მოქმედების სხვა შემთხვევები, კერძოდ აღნიშნა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები თ. დადიშქელიანი და სხვები აგრძელებდნენ სამარისპირამდე მისული ბრალდებულების დევნას, რის უტყუარ მაგალითად დაასახელა ქუთაისში ბრალდებულთა დაცვის მოწმეების გამოცხადებისათვის ხელისშეშლა, მაშინ, როდესაც მოწმეებს შეეძლოთ ისეთი გარემოებანი გაეხსნათ, რაც საქმეს სულ სხვაგვარ მსვლელობას მისცემდა.

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ ბრალდებულთა მოწმეებს სასამართლოზე გამოცხადება აუკრძალა, ცალკეულ მონაცემებზე და გამოსვლებზე დაყრდნობით დამცველებმა მაინც შეძლეს არა მარტო მეფის ხელისუფალთა უკანონო პოლიტიკის ზოგადი, არამედ ხალდეს სისხლიან ტრაგედიაში სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფალთა ძალმომრეობის მხილებაც.

დაცვით სიტყვაში ა. წერეთელმა ხაზი გაუსვა სამხედრო რაზმისადმი მაიორ ლეუსის მიერ გაცემული განკარგულების უკანონობას, ამხილა სამხედრო რაზმის ლაშქრობა, მის მიერ

---

1 საისტორიო მოამბე, I, გვ. 192.

ერთი სოფლიდან მეორეში გადასვლა, ძარცვა-ჩხრეკა, უდანაშაულო ადამიანების დაპატიმრება და სხვ.

როდესაც ა. წერეთელი სამხედრო რაზმის მიერ შახუბათ ქურდიანის უდანაშაულო შვილების დაპატიმრებასა და პატიმართა ხელშებორკილი ტარების ფაქტს შეეხო, სასამართლოს თავმჯდომარემ გენერალ მაიორმა ლეიხტმა ა. წერეთელს კვლავ მოუწოდა, რომ „გამოთქმაში სიფრთხილე გამოეჩინა", მაგრამ მან მაინც უშიშრად განაგრძო: „უკაცრავად, მაგრამ ფაქტია, რომ ისინი ხელშეკრულნი და თოკჩაბმულნი ხუთი დღის განმავლობაში დაყავდათ სოფლიდან სოფელში და ასე მიაღწიეს სოფელ კალას, სადაც ცნობას ასეთ დაპატიმრებაზე შეუძლებელია არ ჩაესწრო ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის. კალაში ისინი გაჩერდნენ და სოფელ ხალდეში მოციქულებად გაგზავნეს მღვდელი და თარჯიმანი და ხალხს მოთხოვეს გურმაჩის და ჩარგაზის მიგვრა, მაგრამ, როგორც შემდეგ გაირკვა, ისინი სოფელში ნამდვილად არ იმყოფებოდნენ, რის გამო ხალდელებმა მათ მაგივრად ექვსი მძევალი შესთავაზეს და თავს იდვეს ხელისუფალთა წინაშე გურმაჩისა და ჩარგაზის გამოცხადება სექტემბრის თვისათვის... მაზრის უფროსმა მძევლები არ მიიღო და მოითხოვა მთელი სოფელი მასთან გამოცხადებულიყო კალაში. ეს მოთხოვნა ხალდელებმა დაუყოვნებლივ შეასრულეს, მაგრამ, როდესაც ისინი ხელისუფლების წარმომადგენლებს მიუახლოვდნენ და ნახეს, რომ შახუბათის ნაცვლად მისი ბავშვები იყვნენ დაპატიმრებული, შეშინდნენ და უკან დაბრუნდნენ. მათ კვალდაკვალ გაჰყვა რაზმი, რომელმაც ხალდეში შესვლისთანავე სოფელს ალყა შემოარტყა. ამან მთელ სოფელს უდიდესი შიშის ზარი დასცა, მით უმეტეს, რომ მაიორის ბრძანებით ხიშტზე იქნა წამოგებული ორი უდანაშაულო კაცი"[1].

მეფის მოხელეები ცდილობდნენ სამხედრო-საველე სასამართლოზე საქმის ნამდვილი არსი მიეჩქმალათ და ყველაფერი ყალბ ჩვენებებზე აეგოთ. სასამართლო პროცესზე საზოგადოებრიობის თვალის ასახვევად მეფის მოხელეები ცდილო-

---

1 საისტორიო მოამბე, I, გვ. 194; ქართული სასამართლო მკვლევრეტყველება, გვ. 66—67.

ბდნენ დაემტკიცებინათ, რომ შეტაკება ორი ხალდელის მიერ ჯარისკაცების ხანჯლებით დაჭრას მოჰყვა. რაკი ბრალდებულთა ბედის გადაწყვეტაში ამ საქმეს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა და სამხედრო-საველე სასამართლოს ამ ფაქტის პირუკუ წარმოდგენით ბრალდებულთა ფიზიკური მოსპობა სურდა, ადვოკატებმა, კერძოდ, ა. წერეთელმა სცადა საქმის ნამდვილი არსი საა'მკარაოზე გამოეტანა: „მე საჭიროდ მიმაჩნია, განვმარტო საკითხი — უწინ ჯარისკაცებმა ააგეს სვანები ხიშტებზე, თუ სვანებმა დაჭრეს ჯარისკაცები. ერთი მხრივ, — განაცხადა ა. წერეთელმა, — ჩვენ გვაქვს ბრალდებულთა ჩვენებები, რომლებიც მიუხედავად მოსალოდნელი საშიშროებისა, აღიარებენ ყველაფერს, რაც ჩაიდინეს და აი სწორედ ისინი აღნიშნავენ, რომ სვანები ჯარისკაცებისაგან პირველად იქნენ აგებული ხიშტებზე. ამასვე ადასტურებს, თარჯიმანი ბაქრაძეც. მეორე მხრივ სახეზეა ბრალდების მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც უფრო იმას ცდილობენ, რომ თავიანთი დამსახურება გვიჩვენონ. მაგალითად, პევნევის სიტყვით, მაიორმა ლეუსმა ბრძანა დაეკავებინათ ორი სვანი, რომლებმაც კოშკში ვერ შეასწრეს, რადგან კარები დაკეტილი დახვდათ. მისივე ჩვენებით ერთ-ერთი მათგანი თითქოს გარე კედელზე ჩამოკიდებულ თოფს მისწვდა, თითქოს იგი მხარზე გადაიგდო და კოტლიაროვს მივარდა, თითქოს ამ უკანასკნელმა მას ხელი შემოხვია, ხელები დაუკავა და მანამდე არ გაუშვა, ვიდრე მოწინააღმდეგემ იგი ხანჯლით არ დაჭრა. ეს ჩვენება, — განაგრძო ა. წერეთელმა — მე ყალბად მიმაჩნია. თოფს არავინ, და მით უმეტეს სვანი, გარეთ კედელზე არ ჰკიდებს. თუ სვანი მართლაც მისწვდა თოფს კოტლიაროვზე თავდასხმისათვის, მაშინ მას რათ დასჭირდებოდა თოფის მხარზე გადადება? უკეთუ სვანი შებოჭილი იყო კოტლიაროვისაგან, რომელსაც მისი ორივე ხელი ეჭირა, რომელი ხელით მოახერხა მან ხანჯლის ამოღება და ხმარება? რაც შეეხება ჯარისკაც პევნევის მიერ სასამართლოში წარმოთქმულ ჩვენებას, იგი ეწინააღმდეგება მის მიერ წინასწარ გამოძიების დროს მიცემულ ჩვენებას. წინასწარი გამოძიებისას მან უჩვენა, — დასძინა ა. წერეთელმა, — რომ კოშკებიდან სვანებმა სროლა მხოლოდ მას შემდეგ დაიწყეს, როცა ორივე სვანი

შკვდარი დაეცა, ახლა კი საწინააღმდეგოს დამტკიცებას ცდილობს. მე კი ვფიქრობ უფრო დამაჯერებელი პირველი ჩვენებაა, რადგან მოწმეს უფრო ემახსოვრებოდა მაშინ, როდესაც შემთხვევა ახალი მომხდარი იყო... ერთი კი ცხადია, — დაასკვნა ა. წერეთელმა, — სვანებმა სროლა დაიწყეს არა შურისძიების ნიადაგზე, არამედ იმის შიშით, რომ დანარჩენებს მთელი ოჯახებით იგივე უბედურება მოელოდათ"[1].

სასამართლო პროცესზე ა. წერეთელი შეეხო საქმის ე. წ. ფორმალურ მხარესაც, რომ ბრალდებულებს პასუხისმგებლობისაგან ვერ იხსნის კანონების უცოდინარობა და რომ ისინი ვალდებული იყვნენ დამორჩილებოდნენ ხელისუფლების ყოველგვარ ბრძანებას, თუნდაც კანონის საწინააღმდეგოს. ამასთანავე ირონიულად დასძინა, რომ ხელისუფლების წინააღმდეგ აუცილებელი მოგერიება დაუშვებელია: „ამ თვალსაზრისით სვანებს, რომლებსაც ხიშტებზე აგებდნენ, — განაცხადა ა. წერეთელმა, — არავითარი წინაღმდეგობა არ უნდა გაეწიათ და მათ უფლება ჰქონდათ მაიორ ლეუსის ბრძანება გაესაჩივრებინათ... სვანებს არ უნდა აეტეხათ სროლა მილიციისათვის, რომელიც ორი დღის განმავლობაში სდევნიდა მათ მთებში და ტყვიას უშენდა"[2].

ამრიგად, თავის შესანიშნავ დაცვით სიტყვაში ა. წერეთელმა ცხადყო სვანეთში თვითმპყრობელობის სამოქალაქო და სამხედრო მოხელეთა თვითნებობასა და ძალადობასთან დაკავშირებული მრავალი ფაქტი. აჩვენა, რომ ხალდეს სისხლიანი ტრაგედია სხვა არაფერი იყო, თუ არა მთავრობის მოხელეთა უკანონო მოქმედების ლოგიკური შედეგი.

დასასრულს ა. წერეთელმა სამხედრო-საველე სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა, რომ ბრალდებულ ხალდელებისთვის სამხედრო დადგენილებათა კრებულის XXIV წიგნის 1234-მუხლი შეეფარდებინა და სამართალში მიცემულთა სასჯელის შემსუბუქებაზე ან სრულ პატიებაზე მთავარსარდლის (იგივე მეფისნაცვლის) წინაშე ეშუამდგომლა: „ამით თქვენ შეძლებთ კანონის სიმტკიცე შეუთავსოთ სამართლიანობისა

---

1 საისტორიო მოამბე, I, გვ. 194-195; ქართული სასამართლო მჭევრმეტყველება, გვ. 67—68.

2 იქვე, გვ. 68—69.

და ჰუმანურობის გრძნობას, მით უმეტეს, რომ ამ მუხლის გამოყენებას ფართო სარბიელი აქვს მოცემული უმაღლესი გამოთქმით — სიმართლე და შეწყალება სუფევდეს სასამართლოში"[1].

სამხედრო-საველე სასამართლო პროცესზე მესამე დამცველად წარდგა ადვოკატი დ ა ვ ი თ ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. ძან საფუძვლიანად გააანალიზა ა. წერეთლისა და ლ. ლოლუას დაცვითი გამოსვლები, რომლებიც ცხადყოფენ სასამართლო პროცესის პოლიტიკურ მნიშვნელობას, ბრალდებულთა ბედზე მთელი საქართველოს მოწინავე საზოგადოებრიობის ზრუნვას, ააშკარავებდნენ მეფის მოხელეთა დანაშაულებრივ ძალმომრეობას სვანეთში და, კერძოდ, ხალდეში.

დ. ლორთქიფანიძემ ყურადღება გაამახვილა სასამართლო პროცესზე წარმოდგენილ ყალბ საბუთებზე, მათ შორის ლეჩხუმის მაზრის მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწე ორბელის, ასევე მაზრის უფროსის, განსვენებული გრინევსკის ადრინდელ მოხსენებებზე.

დამცველ დ. ლორთქიფანიძის განცხადებით, სასამართლოზე წარდგენილი საბუთების არსის გარკვევას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შეიარაღებული შეტაკების მიზეზების დასადგენად და ამდენად ბრალდებულთა ბედის გადასაჭრელად: „უკეთუ ხელისუფლების პირთა მიერ შესრულებული იყო ყველაფერი, რასაც კი კანონი მოითხოვდა, და ყველა მოთხოვნა წაყენებული იყო სათანადო წესით, მაშინ ეჭვს გარეშეა, რომ ბრალდებულებს შეეძლოთ მიხვედრილიყვნენ, რომ სოფელ ხალდეში რაზმის მისვლის ერთადერთი მიზანი — ორი დამნაშავის დაპატიმრება იყო. მაგრამ თუ ამის მსგავსი არაფერი გაკეთებულა, მაშინ ეჭვგარეშეა, რომ ხალდელებს არ შეიძლება არ ეგრძნოთ საშინელი საფრთხის მოახლოება"[2].

სასამართლო პროცესზე დ. ლორთქიფანიძემ ცხადყო, აგრეთვე იმ ბრალდების უსაფუძვლობა, რომ თითქოს პოლიციას მიეღოს მომრიგებელი მოსამართლის ბარათი, რომ ხალ-

---

1 ქართული სასამართლო მეცნიერება, გვ. 69—70.

2 საისტორიო მოამბე, გვ. 196; ქართული სასამართლო მეცნიერება, გვ. 70.

დეში გაყოლოდა სასამართლო აღმასრულებელს ორი დამნაშავის დასაპატიმრებლად. როგორც ჩანს, ასეთი საბუთი (რომელიც საბრალმდებლო საქმეებში იყო და სასამართლოზე ფიგურირებდა) გამოძიებამ მხოლოდ ხალდეს ამბების შემდეგ შექმნა. პოლიციას საერთოდ არ უცდია ბოქაულს წაყოლოდა ხალდეში (სამხედრო რაზმის მონაწილეობის გარეშე იქ წასვლაზე მტკიცე უარი განაცხადა). ეს იმას ნიშნავს, დასძინა დამცველმა, რომ მათ შეგნებულად ააარიდეს თავი საქმის მშვიდობიან მოწესრიგებას და წინასწარ მოამზადეს ყოველივე: „საჭირო იყო, — განაცხადა დ. ლორთქიფანიძემ, — რომ ჯერ ცდილიყვნენ, ხოლო შემდეგ, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, აქტი შეედგინათ და საქმისათვის კანონიერი მსვლელობა მიეცათ, მაგრამ განა სამსჯავრო გამოძიებისას თვითონ თავადმა თენგიზ დადიშქელიანმა არ თქვა თქვენს წინაშე, რომ ხელისუფლების მხრივ არ იყო გაკეთებული არც ერთი ცდა მშვიდობიანი გზით მიეღწიათ დადებითი შედეგისათვის და, რომ ეგრეთწოდებული ენერგიული ღონისძიებები ერთბაშად მიიღეს"[1].

ბოლოს დამცველმა დაასკვნა, რომ სვანეთში ხელისუფლებამ თავისებურ ხერხს მიმართა. მან ყოველგვარი კანონისათვის გვერდის ავლით ხალდეს წინააღმდეგ სამხედრო ძალა წაიყვანა, რამაც სოფლის მოსახლეობის კანონიერი აღშფოთება გამოიწვია. ნაცვლად იმისა, აღნიშნა დ. ლორთქიფანიძემ, რომ ადმინისტრაციას თავის დროზე ოფიციალურად და წერილობით ეცნობებინა ხელისუფლების მოთხოვნის შესრულება, ხალდელებს მხოლოდ სამხედრო რაზმის მოახლოებისას უცხადებენ გურმაჩი და ჩარგაზი წარედგინათ. ისინი პასუხობენ, რომ ეს პირები სოფელში არ იმყოფებოდნენ. „რა საფუძველი ჰქონდა ხელისუფლებას ამ განცხადებისათვის არ დაეჯერებინა? განა ასეთი მოთხოვნით უწინ უფროსებმა ერთხელ მაინც მიმართეს ხალდელებს? მაშ ხელისუფალთ საიდან შეეძლო ხალდელთა ცრუობის დასკვნა გამოეტანა? ახლა, ამ სასამართლოზე ხომ დადგენილ იქნა, რომ ხალდელები სიმართლეს ამბობდნენ, რომ არც ჩარგაზი და არც გურმაჩი პირ-

[1] საისტორიო მოამბე, I, გვ. 197; ქართული სასამართლო მკვლევრმეტყველება, გვ. 72.

ველ აგვისტოს, როცა რაზმი მივიდა, სოფელში არ იმყოფებოდნენ. ამ განცხადების მიუხედავად მაზრის უფროსმა მაინც უბრძანა მცხოვრებლებს — აუცილებლად წარედგინათ გურმაჩი და ჩარგაზი, თორემ იგი მათ მკაცრად მოექცეოდა. განა მაზრის უფროსს ასეთი მოთხოვნისა და მუქარის უფლება ჰქონდა? მე თავს ვიკავებ ამგვარი მოქმედების შეფასებისაგან, მაგრამ სასამართლომ ეს თვითონ უნდა განსაჯოს"[1].

შემდეგ განაგრძო: „ლეუსის რაზმით გამოცხადებამ გააკვირვა, განაცვიფრა და შეაძრწუნა სვანები. მათ წინააღმდეგობის გაწევის არავითარი სურვილი არ ჰქონდათ, თუ რაზმთან მიახლოებაზე უარი თქვეს, ეს მხოლოდ და მხოლოდ დაპატიმრების შიშით. მათ თვალწინ იყო ხელისუფალთა უკანონო მოქმედების — აშკარა უსამართლობის მაგალითი — შახუბათ ქურდიანის მაგიერ შვილების დაპატიმრების ფაქტი. მე არ მაქვს არც უფლება და არც სურვილი ხელისუფლების პირებს შევეხო, — დასძინა დამცველმა, — მაგრამ უფლება მაქვს და მოვალეც ვარ მათ მოქმედებას და განკარგულებებს შევეხო. მამის დაპატიმრების სურვილით მაზრის უფროსი იქერს და თოკით ბოჭავს შვილებს, თუმცა კარგად იცის, რომ ისინი უდანაშაულონი არიან. ასეთი აღმაშფოთებელი მოქმედების გამო განა ხალდელებს არ ჰქონდათ საფუძველი ეფიქრათ, რომ მათაც ასევე მოექცეოდნენ. აქ გამორკვეული ხელისუფალთა ყველა განკარგულება და მოქმედება ამტკიცებს, რომ ხალდელთა შიში საფუძვლიანი იყო. სოფელ ხალდეს მცხოვრებლებს არ შეიძლება არ დაბადებოდათ ასეთი შიში, როცა მათთან ლეუსის რაზმი მივიდა"[2].

„მუქარა იმას ნიშნავდა, განაგრძობს დ. ლორთქიფანიძე, რომ გურმაჩ გასვიანისა და ჩარგაზ ჯოხაძის წარუდგენლობის შემთხვევაში ჯარი იარაღს აიღებდა და მცხოვრებლებს დაერეოდა. ის აზრი, რომ ჯარისკაცები ყველა მათგანს ამოწყვეტდა, არ შეიძლება ხალდელებს არ დაბადებოდათ, ეს დასტურდებოდა ლეუსის პირველივე განკარგულებით; ამიტომ, რო-

---

1 საისტორიო მოამბე, I, გვ. 198.

2 იქვე.

გორც ითქვა, ყოველივე, რაც მოხდა, მხოლოდ შიშით აიხსნება"[1].

სამოქალაქო მმართველებისა და სამხედრო ხელმძღვანელების ძალმომრეობის გამოაშკარავების შემდეგ დამცველმა დ. ლორთქიფანიძემ სასამართლოს განუცხადა, რომ ხალდეს მცხოვრებლები იძულებული იყვნენ იარაღისათვის მოეკიდათ ხელი და თავი დაეცვათ: „დაინახეს რა ხალდელებმა, რომ პირველი მსხვერპლი გეგი და გიორგი გასვიანები დაეცნენ, დარწმუნდნენ, რომ მათ მთლიანი ამოწყვეტის საფრთხე ემუქრებოდათ, ამიტომ იარაღი აიღეს და თავდაცვა დაიწყეს"[2].

ბრალდებულთა მოქმედების ამდაგვარი გამართლების შემდეგ დ. ლორთქიფანიძემ ყველა დამცველის სახელით განაცხადა: „...ჩვენ გთხოვთ, რომ სასამართლომ ყველა თავისი უფლებამოსილება ამოწუროს, სამართალში მიცემულთა ბედი შეამსუბუქოს იმ ფარგლებში, რაც სასამართლოს აქვს მინიჭებული და შემდეგ დიდი მთავრის — კავკასიის არმიის მთავარსარდლის წინაშე იშუამდგომლოს სამართალში მიცემულთა შებრალება და შეწყალება"[3].

ბრალდებულთა მეოთხე დამცველმა დროებიშვილმა ყურადღება გაამახვილა სვანთა ცხოვრების მძიმე პირობებზე, აგრეთვე მათი ადათ-წესის ზოგიერთ თავისებურებაზე და ხაზი გაუსვა შეიარაღებული შეტაკების გამომწვევ მიზეზებს. ერთ-ერთ ასეთად მან მიიჩნია მთელი სოფლის გაიგივება ჯურმაჩთან და ჩარგაზთან, ამ ორი უკანასკნელის გაქცევის გამო მთელი სოფლის მასთან გამოცხადება. „რატომ მოითხოვა მან ეს, რისთვის დასჭირდა მას ყველა ხალდელი თავის ოჯახით, ვერაფერი გამიგია და არც ახსნა შემიძლია. მას ყველა შესაძლებლობა ჰქონდა სოფელ ხალდეში წასულიყო და იქ მოეთხოვა გურმაჩის და ჩარგაზის ჩაბარება. ხალდელებმა იგი თავაზიანად და მორჩილად მიიღეს, სამასპინძლოდ მოემზადნენ, მაგრამ იხვეწებოდნენ, სამხედრო ნაწილი, რომელსაც

---

1 საისტორიო მოამბე 1, გვ. 198—199; ქართული სასამართლო მჭევრმეტყველება, გვ. 74.

2 იქვე.

3 იქვე, გვ. 198—199; გვ. 74.

თოკები, წერაქვები, ძალაყინები და დენთი მიჰქონდა, სოფელში არ შესულიყო. ხალდელები დაპირდნენ გურმაჩისა და ჩარგაზის ჩაბარებას, ოღონდ სექტემბრამდე ვადის გაგრძელებას ითხოვდნენ. ამ თხოვნაზე გრინევსკიმ არაფერი უპასუხა და მისი დაკმაყოფილება არ ისურვა. გრინევსკი რომ ამაზე დათანხმებულიყო, ადვილი შესაძლებელია ყველაფერი მშვიდობიანად, სისხლისღვრის გარეშე დამთავრებულიყო. მაგრამ ამას მაიორმა ლეუსმა ენერგიული ზომების მიღებით შეუშალა ხელი. რაზმის პირველი მსხვერპლი გახდა გეგი და გიერგი გასვიანები — ორი უდანაშაულო სვანი. ყოველივე ამის გამო და, აგრეთვე თქმულიდან გამომდინარე, დაცვის მხარისთვის ნათელია, რომ ამ გარემოებებს არ შეიძლება ხალდელები აეძულებინა დანაშაული ჩაედინათ. შექმნილ ვითარებაში მათ არ შეეძლოთ უკეთესი გამოსავალი ეპოვნათ. სწორედ ამიტომ თვლიან თავს სრულიად უდანაშაულოდ და მართლად"[1].

ადმინისტრაციისა და სამხედრო ასეულის დანაშაულებრივი მოქმედების მხილების შემდეგ, დრობიშევმა დასძინა: იმისათვის, რათა შეიცნო, რაც ბრალდებულებმა გადაიტანეს და ჯეროვნად შეაფასო მომხდარი აბბები, საკმარისი არ არის ყოველივეს მარტო ოფიციალური თვალით უმზირო[2].

დამცველი შეეხო მცირეწლოვან ბრალდებულებსაც. მისი სიტყვით, ისინი შეტაკების დროს, მართალია, მშობლებთან იყვნენ, თუმცა დანაშაული არ ჩაუდენიათ. ამიტომ მოითხოვს მათ განთავისუფლებას.

დაბოლოს, დამცველმა მხარი დაუჭირა კოლეგებს და ბრალდებულთა შეწყალება და სასჯელის შემსუბუქება მოითხოვა.

დამცველთა ბრწყინვალე გამოსვლებით თავზარდაცემული სამხედრო პროკურორი ხელმეორედ გამოვიდა. მან სცადა აჯანყებულთა წინააღმდეგ მოქმედ მოხელეთა გამართლება, მაგრამ პროკურორმა ვერ მოახერხა ხელისუფლების წარმომადგენელთა და სამხედრო ასეულის მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედების გაქარწყლება. იგი იძულებული გახდა გვერდი

[1] საისტორიო მოამბე, I, გვ. 199.

[2] იქვე, გვ. 200—201.

აექცია იმ ფაქტებისათვის, რომლებიც დამცველთა დასაბუთებული მტკიცებით ადმინისტრაციისა და ასეულის უკანონო მოქმედებაზე ღაღადებდნენ.

დამცველებმა დ. ლორთქიფანიძემ და ლ. ლოლუამ საბოლოო გამოსვლებში კვლავ წინა პლანზე წამოსწიეს საკითხები, რომელთაც, მათი აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდათ ბრალდებულთა ხვედრის შესამსუბუქებლად.

დ. ლორთქიფანიძემ განაცხადა, რომ ადმინისტრაციისა და სამხედრო ასეულის ხალდეში შესვლის მომენტში გურმაჩი და ჩარგაზი შინ არ იმყოფებოდნენ და არავის არ ჰქონდა უფლება მათი დაპატიმრება სოფლისათვის დაეკისრებინა. ამასთან დაკავშირებით პროკურორის უკმაყოფილო რეპლიკაზე — რომ ყველაფერი ხალდელების მოქმედებამ გამოიწვიაო, დ. ლორთქიფანიძემ უპასუხა: „ჩვენ არ ვამტკიცებთ იმას, რომ ხელმძღვანელობამ მთელი ეს ისტორია განგებ გამოიწვია... ჩვენ მხოლოდ იმას ვამტკიცებთ, რომ საქმის მთელი ვითარებიდან და ყველა განკარგულებიდან გამომდინარე ხალდელებს მართლა შეეძლოთ ეფიქრათ, რომ ხელმძღვანელობას მათი ამოწყვეტა სურდა“[1].

ლ. ლოლუამ კი კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხელისუფლებამ საქმის მშვიდობიანად მოსაწესრიგებლად არაფერი მოიმოქმედა, რომ მაზრის უფროსმა მეტისმეტი ახირება და წინდაუხედაობა გამოიჩინა. დამცველმა თქვა: „ჩემთვის საკმარისია ის, რომ ხელისუფლების არაკანონიერმა მოთხოვნამ მთელი სოფელი შეაკავშირა და მისი მცხოვრებლები გურმაჩისა და ჩარგაზის სოლიდარული გახადა, ჩემთვის საკმარისია ისიც, რომ გიერგი და გეგი გასვიანები ხიშტებზე ააგეს. ჩემში ცოტაოდენ ეჭვსაც კი არ იწვევს ის, რომ ყველაფერი ეს ძალადობრივი მოქმედებაა. რა უნდა ეფიქრა დანარჩენ მოსახლეობას, როდესაც მათ დაინახეს ხიშტებზე აგებული გვამები — მათ სროლა დაიწყეს“[2].

აღსანიშნავია ნ. ნიკოლაძის უდიდესი ღვაწლი — ხანგრძლივი და ენერგიული ზრუნვა სვანეთის აჯანყების შეპყრობილ

---

[1] საისტორიო მოამბე, I, გვ. 203.

[2] იქვე.

მონაწილეთა დასაცავად სასამართლო პროცესზე, ასევე სასამართლო პროცესის ჩანაწერები, აგრეთვე მსჯავრდადებულთა „ფიზიონომების“ ნიკოლაძისეული წერილობითი აღწერილობანი და გრაფიკული ჩანახატები*.



**გურმაჩ გასვიანი** **ჩარგაზ ჯოხაძე**

სამხედრო პროკურორმა საბოლოო გამოსვლაში სრულებით ხელყო სასამართლო პროცესზე დადგენილი ფაქტები და სამართლიანობა. მისი კვალიფიკაციით, აჯანყებულებმა უდიდესი სახელმწიფოებრივი დანაშაული ჩაიდინეს. ასეთი ცალმხრივი განსჯით, ბრალმდებელმა ხალდელების უმკაცრესი დასჯა მოითხოვა.

* იხ. კ. მარქსის სახ. რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში დაცული ნ. ნიკოლაძის პირადი არქივი, საქმე — „Судебная хроника“, რომელშიაც აჯანყებულთა სასამართლო პროცესის სხვა მასალებთან ერთად ინახება ნ. ნიკოლაძის ხელით დაწერილი ზოგიერთი ბრალდებულის „ფიზიკური დახასიათება“ („Физиономии“).

პატიმრობის უმკაცრესმა რეჟიმმა, წინასწარი ძიებისას და სასამართლო პროცესზე წაყენებულმა უმძიმესმა ბრალდებებმა ვერ გატეხა ხალდელთა მტკიცე ნებისყოფა. მათ თავი ვაუკაცურად ეჭირათ, არა თუ ერთმანეთს ადანაშაულებდნენ, არამედ ერთმანეთს ექომაგებოდნენ.

ხუთი დღის სასამართლო პროცესის შემდეგ — 1 დეკემბერს სამხედრო-საველე სასამართლომ 22 კაცს სხვადასხვა, მძიმე სასჯელი გამოუტანა და მისი საბოლოო დამტკიცება იშუამდგომლა. ქუთაისის სამხედრო-საველე სასამართლოს განაჩენი კავკასიის „ოლქის" მთავარსარდალმა 1877 წლის 8 იანვარს განიხილა და დაამტკიცა. საბოლოო განაჩენით ხალდეს აჯანყების მონაწილე 22 პირს შემდეგი სასჯელები მიეცათ: 35 წლის გურმაჩ ბექას ძე გასვიანს, 55 წლის ბუგა ივანეს ძე გასვიანს, 40 წლის საპო ბექაის ძე გასვიანს, 37 წლის ჯოხან გიორგის ძე ჯოხაძეს — ქონებაზე ყოველგვარი უფლების აღკვეთა, გადასახლება და მაღაროებში მუდმივი საკატორღო მუშაობა.

50 წლის ბეღა გეგის ძე გასვიანს — ქონებაზე ყოველგვარი უფლების აღკვეთა, გადასახლება და მაღაროებში 20 წლით საკატორღო მუშაობა.

28 წლის ბადრი ბექას ძე გასვიანს, 18 წლის შახან კაციანეს ძე გასვიანს, 28 წლის კაციანე ბექას ძე გასვიანს, 40 წლის გეგი ბიტის ძე ჩოფლიანს, 35 წლის ჩარგაზ გიერგის ძე ჯოხაძეს, 25 წლის ჩოფა გუას ძე ჩოფლიანს, 34 წლის მომი დათის ძე ჩეგიანს, 25 წლის ხეჩდუ ბეღას ძე ჩეგიანს, 32 წლის გუა გიორგის ძე ჩეგიანს, 28 წლის ლემინ ბადის ძე ჯოხაძეს, 20 წლის ბესი კაციანეს ძე გასვიანს, 35 წლის გიორგი გიორგის ძე ჩოფლიანს — ქონებაზე ყოველგვარი უფლების აღკვეთა, ციმბირის შედარებით ახლო ადგილზე სამუდამო გადასახლება.

62 წლის თაზი აბრამის ძე ჯოხაძეს, 40 წლის ზურაბ ბადის ძე ჯოხაძეს, 41 წლის ერმინე გუვას ძე ჩოფლიანს, გიორგი თაზის ძე ჩოფლიანს (რომელიც 70 წლის მოხუცი იყო და ავადმყოფობის გამო სასამართლო პროცესზე არ ესწრებოდა) — გადასახლება იმპერიის რომელიმე სამხრეთ გუბერნიაში.

ზურაბ გეგის ძე გასვიანს (რომელიც, აგრეთვე მოხუცე-

ბულობისა და ავადმყოფობის გამო სასამართლო პროცესს ვერ ესწრებოდა) — გადასახლება ციმბირის რომელიმე ახლო მხარეში.

დამტკიცდა სასამართლოს გადაწყვეტილება — აჯანყებულებისადმი ჩამორთმეული იარაღის, როგორც კონფისკაციაქმნილის, არტილერიის უწყებისათვის ჩაბარება.

დამტკიცდა აგრეთვე სამხედრო-საველე სასამართლოს დადგენილება — სოფელ ხალდეში ცხოვრების აკრძალვაზე და ხალდეს სახელის ახალი — იფრალის სახელწოდებით შეცვლის თაობაზე.

ამრიგად, საქართველოს ფართო საზოგადოებრიობის მხარდაჭერით, მისი მოწინავე წარმომადგენლების თავგამოდების წყალობით მეფის სამხედრო-საველე სასამართლომ და კავკასიის არმიის სარდლობამ ვერ გაბედა სვანეთის შეიარაღებული აჯანყების მონაწილეთა სიკვდილით დასჯა, გენერალ ციტოვიჩის სამხედრო ექსპედიციის მიერ მიწასთან გასწორებულ სოფ. ხალდეს მცხოვრებ ყველა მამაკაცს სამხედრო-საველე სასამართლომ სამუდამო კატორღა ან გადასახლება მიუსაჯა.

ნათესავებში გახიზნულ ხალდელ ქალებს, მოხუცებულებსა და მცირეწლოვან ბავშვებს, რომლებიც მარჩენალის, სახლ-კარისა და ლუკმაპურის გარეშე დარჩნენ, სოფელში დაბრუნება და დასახლება აეკრძალათ. საარსებო საშუალების გარეშე დარჩენილი უმწეო ხალდელები იძულებული გახდნენ გარდაფხაძეებს ან ნათესავებს შეხიზნებოდნენ.

ასე ტრაგიკულად დამთავრდა სვანეთის ულამაზესი სოფლის ხალდეს ისტორია. მიუხედავად იმისა, რომ კატორღიდან და გადასახლებიდან მხოლოდ ორი ადამიანი — ჩოფა ჩოფლიანი და მომი ჩეგიანი — დაბრუნდა, ხალდემ საბოლოოდ მაინც არ შეწყვიტა არსებობა. ტრაგედიიდან ხუთი წლისთავზე ყოფილ სოფელში ერთადერთი ქოხი დაიდგა, შემდეგ კი თანდათან განაშენიანდა.

ხალდეს სისხლიანი ტრაგედია ფართოდ აისახა სვანურ ზეპირსიტყვიერებაშიც. შეითხზა მრავალი მოთხრობა და ლეგენდა. შეიქმნა სიმღერები, რომლებიც დიდების შარავანდედით მოსავენ ლეგენდარულ ხალდელ ვაჟკაცებს.

დიდებულად და შთამბეჭდავად ეღერს ხალდელოა გმირობის სადიდებელი ჰიმნი — სიმღერა გაულ-გავხე[1]:

ჰიჯვრიშ ზაგარ რუსიშ ლაშგარ
ჩუ ლუზორლიხ, მიჯვრიშ ზაგარ
ჩუ ლუზორლიხ ლეჩხვმაშ ვარგალ,
იეზირალდახ ჯალდეშ ჯაცას.
ეი ლაგსაქმეხ ჯალდეშ ჯაცა.
ძღვდს იშგალდახ ჯალდეშ ღვაეარ,
ჩიდ ხოჩად გურმაჩ ი ჯოხან:
ესვაგ ხაფშვდეხ, თხუმს ხატყეცდახ,
თხუმს ხაკკვრიდახ,
ლგცას შგდახ...
ფაყვარს ბოფშარ კალაშ იტხგრდახ.

გაულ-გავხე (გაღმა გავიხედე)
მიჯვრიშის მთაზე რუსის ლაშქარი
შეკრებილა, მიჯვრიშის მთაზე
შეკრებილა ლეჩხუმის აზნაურობაც,
თათბირობდნენ ხალდეს დაქცევაზე.
მოისაქმეს ხალდეს დაქცევა.
ძლიერ იბრძოდნენ ხალდეს ვაქკაცები,
ყველაზე მარჯვედ გურმაჩი და ჯოხანი:
ვისაც ესვროდნენ, თავში ურტყამდნენ
თავსა სკრიდნენ,
წყალში ყრიდნენ...
ქუდები კალის ბავშვებს მდინარიდან
გამოჰქონდათ.

---

[1] იხ. სვანური პოეზია, I, თბილისი, 1939, გვ. 62—63.

## „ვარგისა“ და „გლეხის“ საკითხისათვის

სვანეთის შუა საუკუნეების საზოგადოების სოციალური დაყოფის გამომხატველი ტერმინების — „ვარგი“, „ფუსდი“ (გაბატონებული წოდება), „ფამლი“, „ქორსმერდე“, „ლეგდიანე“, „ლაჟიირ“, „ხასა“ და „ჯალჩი“ (გლეხთა კატეგორიები), — შინაარსი ისტორიულ ლიტერატურაში ცნობილია*.

ცნობილია, რომ ესა თუ ის საზოგადოებრივი წყობა და ურთიერთობა ერთიმეორისაგან წარმოების წესის ბუნებით განსხვავდება. ფეოდალური წყობილებისა და ურთიერთობის ხასიათი, პირველ რიგში წარმოების მთავარი საშუალების — მიწის საკუთრებისა და მფლობელობის შინაარსისა და ფორ-

---

* უკანასკნელი ორი ტერმინის ჩვენებურ განმარტებას ა. რობაქიძე არ იზიარებს, თუმცა არც მის საწინააღმდეგო მოსაზრებას აყენებს. თავის დროზე „ხასა“ ჩვენ მონა მხეელს დავუკავშირეთ და ფეოდალურ საზოგადოებასთან მიმართებაში იგი განვმარტეთ როგორც შინაყმა (მოახლე, მსახური) ქალი. „ჯალჩი“ კი დავუკავშირეთ დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ გლეხთა კატეგორიას — „მოჯალაბეს“ (იხ. კ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1973, გვ. 28).

სხვათა შორის, „ჯალჩი“ ჩრდ. კავკასიის სინამდვილეშიც გვხვდება. იქ ამ ტერმინის ცნებაში პრივილეგირებული წოდების — პირველხარისხოვანი „უორკის“ ტვირთის მზიდავი (დამტარებელი) გლეხთა კატეგორია იგულისხმება.

ცნობილია, რომ ადრე სვანეთის „ვარგს“ ადიღეურ „უორკს უკავშირებდნენ და იქაურის მიბაძვად მიიჩნევდნენ, რაც მცდარი აღმოჩნდა. ვარგი, როგორც პრივილეგირებული ფენა, ძველ ქართულ წყაროებში ჯერ კიდევ XI საუკუნეშია ფიქსირებული, ხოლო შუა საუკუნეების სვანეთში „ვარგის“, როგორც პრივილეგირებული წოდების წარმომადგენლის არსებობას წერილობითი საბუთები ადასტურებენ.

მის მიხედვით დგინდება. ამდენად, იმისათვის, რომ სვანეთის შუა საუკუნეების საზოგადოებრივი წყობილებისა და ურთიერთობის შინაარსი დავადგინოთ, აუცილებელია მისი მიწისმფლობელობის ფორმასა და ხასიათში გავერკვეთ. მართალია, საამისოდ უხვი და მრავალფეროვანი მასალა არ არსებობს, მაგრამ XI საუკუნიდან მოყოლებული (განსაკუთრებით XIV—XV საუკუნეების) სვანეთზე მოგვეპოვება წერილობითი დოკუმენტური წყაროები, რომლებიც საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის დადგენის საშუალებას იძლევა.

სვანეთის შუა საუკუნეების სოციალურ-ეკონომიკურ წყობილებაზე ადრეც ვიმსჯელეთ და იმ დასკვნამდე მივედით, რომ აქ ფეოდალური ურთიერთობა ბატონობდა, რომ იქ მიწისმფლობელობის სხვადასხვა ფორმა არსებობდა, სახელდობრ, — ფეოდალური (საერო და საეკლესიო), გლეხური და სოფლურ-კოლექტიური (თემური)[1].

ფეოდალური ეპოქის სვანეთიც კავკასიის მთიანეთში შედის და მისი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის საკითხი სადავოა. ზოგიერთი მკვლევარი კავკასიის მთელ მთიანეთს ერთი საზომით უდგება და ირწმუნება, რომ შუა საუკუნეებში კავკასიის მთელ მთიანეთში მიწის კოლექტიურ-განუყოფელი (თემურ-გვაროვნული) მფლობელობა ბატონობდა და რომ სვანეთიც ამ რეგიონში შედიოდა. აღნიშნუ-

---

სახელწოდება „ვარგი“ მომდინარეობს ვარგისიდან, კარგიდან და სვანურში აზნაურის წოდებას შეესაბამება. მას საერთო არაფერი აქვს თუნდაც სომხურ „ვარკ“-თან და „ბარ“-თან (როგორც ამას ზოგიერთი ავტორი მიიჩნევდა).

ამასთანავე, როდესაც „ხასას“ თუ „ჯალჩის“ მნიშვნელობას შევეხეთ, ჩვენ ამ ტერმინების სადაურობა და ენათმეცნიერული ანალიზი კი არ გვაინტერესებდა, არამედ მათი სოციალური შინაარსი და სვანური გაგება (ისე როგორც აზნაურის წოდების ძიებისას მთავარია მისი სოციალური შინაარსის გაგება და არა ამ ტერმინის სადაურობა).

ვინც სვანეთის სინამდვილეს იცნობს, ის ვერ იდავებს იმაზე, რომ ტერმინი „ჯალჩი“ და „ხასა“ სვანეთში ცოცხლობენ და გლეხთა მდაბიო კატეგორიას გამოხატავენ.

[1] იხ. გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, გვ. 76—111.

ლი გარემოების გათვალისწინებით მოცემული საკითხი კვლავაც საგანგებო ყურადღებას იმსახურებს.

ჩვენ არ გამოვუდგებით მიწის მფლობელობაზე ზოგად, თეორიულ მსჯელობას, რადგან ამით საკითხი ვერ გადაიჭრება. შევეხებით კონკრეტულ წყაროებს, რომლებიც სვანეთის მიწისმფლობელობის სტრუქტურის ხასიათსა და შინაარსს ასახავენ.

ერთი „დაწერილი", რომელიც XIV საუკუნის მეორე ნახევრით არის დათარიღებული, გვაუწყებს ქურდიანსა და ივანე სეტიელს შორის მიწით ვაჭრობის ფაქტს: „ესე დაწერილი ნიშანი ვ ა ჭ რ ო ბ ი ს ა  დ ა  მ კ ვ ი დ რ ა დ  ნ ა ს ყ ი დ ო ბ ი ს ა, მტკიცე და უქცეველი, ყოვლისა მიზეზისა უმიზეზო, დაგიწერეთ და მოგეცით შენ სეტიელსა ივანეს და შენსა შვილთა და მომავალთა ჩვენ ქურდიანმან... ჩვენთა შვილთა და მომავალთა, მას ჟამსა, ოდეს ჩვენგან ყანაი გქონდა ჯანგარაშს. მერმე ავიღე თქვენგან ფასი სრული, რომელსაც შეუჯერდი"[1]. აქვე ნათქვამია, რომ ქურდიანმა სეტიელს მიწა მიჰყიდა „სამამულოდ — ყოვლისა კაცისაგან უცილობლად".

აქ ჩანს არა მარტო მიწით ვაჭრობა, არამედ ისიც, რომ მიწას ყიდის და ყიდულობს არა თემი თუ გვარი, არამედ კერძო ოჯახები.

მეორე „დაწერილში", რომელიც იმავე ხანას განეკუთვნება, ნათქვამია: „ქ. ესე დაწერილი სყიდულობისა დაგიწერე და ზოგაჯსენე მე, ჯაფარისძემან კახაბერმან და ჩემმან ძმამან ქურსიკ... შენ სეტიელსა და შენთა შვილთა... მას ჟამსა, ოდეს ლ ე მ ო შ ხ ა ში  მ ო გ ყ ი დ ე. ავიღე შენგან ფასი სრული, რომლითა დავჯერდი. ღმერთმან გიბედნიეროს მ კ უ ი დ რ ა დ  დ ა  ს ა მ ა მ უ ლ ო დ,  ყ ო ვ ლ ი ს ა  კ ა ც ი ს ა გ ა ნ  უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ, გინდა გაჰყიდე, გაამზითვე, გინდა გასცვალე, რაი გინდა უყავი, ჩემი სასარჩლოი იმა ყანასა შიგან არა დამრჩომია"...[2].

ნასყიდობის ამ დოკუმენტიდანაც ჩანს, რომ მიწას ჯაფარიძის ოჯახი განაგებდა, რომ მიწა მის მ კ ვ ი დ რ,  ს ა მ ა მ უ-

[1] პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა ს პუბლიკაცია, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკ. II, 1941, გვ. 84.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 78 (ხაზგასმა ჩვენია — გ. გ.).

ლო დ: უცილობელ ქონებას შეადგენდა. ირკვევა, რომ მიწა ყიდვა-გაყიდვის, გამზითვებისა და გაცვლის საგანს წარმოადგენდა.

როგორც ვხედავთ, არც ამ შემთხვევაში გვაქვს საქმე მიწის თემურ-კოლექტიურ-განუყოფელ მფლობელობასთან.

მესამე „დაწერილში", რომელიც იმავე ხანას განეკუთვნება და ქარდანისა და სეტიელის სახელებს შორის გარიგებას ეხება, ნათქვამია: „ქ. ესე დაწერილი სყიდულობისა, დაგიწერე და მოგეცი მე ქარდანმან სარგის და ფარცმან და ჩუენთა მომავალთა შენ სეტიელსა და შენთა შვილთა ივანეს და მიქელს, მას ჟამსა, ოდეს ლაკაილას ყანაი მოგყიდე, ავიღე შენგან ფასი სრული, რომლითა შევჯერდი. ღმერთმან გიბედნიეროს მკუიდრად, სამამულოდ ჩემგან და ყოლა კაცისაგან უცილებლად"[1].

აქაც პირდაპირ დასტურდება, რომ მიწას ყიდის და ყიდულობს კერძო მფლობელი, რომ მიწის ყიდვა-გაყიდვა თემსე და გვარზე არ იყო დამოკიდებული, მიწას, როგორც საკუთარ ქონებას, კერძო ოჯახი ყიდდა და ყიდულობდა.

მეოთხე საბუთში, რომელიც ჯაფარიძისა და სეტიელის ოჯახებს შორის მიწის მკვიდრად ნასყიდობას ასახავს, ვკითხულობთ: „დაგიწერეთ და მოგაკსენეთ დაწერილი ესე ვაჭრობისა და მკვიდრად ნასყიდობისა, თქვენ სეტიელსა ივანეს, შენსა შვილსა დემეტრეს, თქვენთა შვილთა და მომავალთა, ჩვენ ჯაფარიძეთა ჩარგას, ვეშაგ, არღუნ და ჩვენთა შვილთა და მომავალთა... მას ჟამსა, ოდეს შენსა სასახლეს ზემოთ მუშკიდიანსა ყანაი ჰქონდა ჩვენგან... მათგან ჩვენ დავიკსენით, დამოწმებითა თქვენ მოგყიდეთ, ავიღეთ თქვენგან ფასი სრული, რასაცა შევჯერდით. გინდა გაჰყიდე, გინდა გასცვალე, გინდა დაესახლე... რაი გინდა უყავ, გიბედნიეროს ღმერთმან მკვიდრად და სამამულოდ, ყოულისა კაცისაგან უცილობლად და უვალალოდ"[2]. აქაც დასტურდება, რომ

[1] ჰ. ინგოროყვას პუბლიკაცია, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკ. II, გვ. 79.

[2] იქვე, გვ. 83.

დასახელებული ჯაფარიძის ოჯახი მიწის უშუალო განმკარგულებელია.

სახნავი მიწის ყიდვა-გაყიდვაზე, ე. ი. მიწის კერძო საკუთრების არსებობაზე, სხვა მსგავსი საბუთებიც მოგვეპოვება, თუმცა ჩამოთვლილიდანაც აშკარად ჩანს, რომ სახნავი მიწა კერძო საკუთრებას შეადგენდა.

როგორც ვხედავთ, სეტის მკვიდრი ჯაფარიძეები მიწის მესაკუთრეები და მისი უშუალო განმკარგულებლები იყვნენ. ცხადი ხდება, რომ მიწის ასეთივე მესაკუთრე იყო სეტიელი (სეტიელი ცაიშელის, ცაგერელის მსგავსი სამღვდელო პირი იყო, სეტიელები ფალიანებიდან მომდინარეობენ და სეტის საქორეპისკოპოსოს განაგებდნენ), რომელიც მიუხედავად არაანზნაურული ჩამომავლობისა, მემამულე იყო.

ანალოგიური წერილობითი საბუთები მოგვეპოვება სათიბის ნასყიდობაზე. ერთ „გადაწყვეტილებაში", რომელიც გუარამიანისა და სეტიელს შორის გარიგებას ასახავს, აღნიშნულია, რომ „ქუბისა მუქაფად ათას ხუთასად ქორულდაშის სათიბი დაგიდევი"[1].

XIV საუკუნის მეორე ნახევრის მეორე საბუთი ქოჩორიანსა და სეტიელს შორის სათიბის ნასყიდობას ეხება: „ქ. ესე დაწერილი და ნიშანი ვ ა ჭ რ ო ბ ი ს ა ი დ ა მ კ ვ ი დ რ ა დ ნ ა ს ყ ი დ ი ს ა დაგიწერეთ და მოგაკსენეთ შენ სეტიელსა ივანეს და შენსა შვილსა დემეტრეს, მისთა შვილთა და მომავალთა ჩვენ მოძმე ქოჩორიანთა სირმონ და გიორგი და მისთა შვილთა მტკიცე და უქცეველი... მას ჟამსა ოდეს ქ ვ ა ჩ ხ ა ნ ს ა ს ა თ ი ბ ი მ ო გ ყ ი დ ე თ... ა ვ ი ღ ე თ შ ე ნ გ ა ნ ფ ა ს ი ს რ უ ლ ი, რ ო მ ლ ი თ ა შ ე უ ჯ ე რ დ ი თ. გ ი ბ ე დ ნ ი ე რ ო ს ღ მ ე რ თ მ ა ნ, ვ ი თ ა მ კ ვ ი დ რ ა დ ნ ა ს ყ ი დ ს ა ჰ მ ა რ თ ე ბ ს ჰ ა გ რე, ყოულისა კაცისაგან უცილობლად და უვალალოდ"[2].

აქაც დგინდება, რომ (სახნავი მიწის მსგავსად) სათიბი მიწაც ყიდვა-გაყიდვის, გაჩუქებისა და გამზითვების საგანს შეადგენდა*.

---

1 ვ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, პუბლიკაცია, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკ. II გვ., 82.

2 ი ქ ვ ე, გვ. 84.

* მიუხედავად სხვადასხვა გვარეულობისა და სოფლის ინდივიდუალურ

მიწის საკუთრების უტყუარი მაჩვენებელია კერძო ოჯახებიდ მიერ ეკლესიისადმი მიწის შეწირვა. ერთ საბუთში ასახულია ბენდე და მარიამ ვახთანგიანების მიერ სეტის (მესტიის) მთავარმოწამის ეკლესიისადმი მამულისა და სხვა ქონების შეწირვის ფაქტი: „...მას ჟამსა, ოდეს ჩემითა ნებითა მთავარმოწამე სეტისა და ერთობილი ჯევი გვიშვილე — დ ა გ ა თ უ ა ლ ე ჩ ე მ ი ს ა ხ ლ ი, მ ა მ უ ლ-ე კ ლ ე ს ი ა ნ ი, ტ ყ ე დ ა ვ ე ლ ი, მ თ ა დ ა ბ ა რ ი, უ ძ რ ა ვ ი დ ა მ ო ძ რ ა ვ ი, უ ძ ე ბ ა რ ი და საძებარი, ყოულისა კაცისაგან უცილობლად...“[1].

როგორც ვხედავთ, ეს საბუთი არა მარტო ფორმით, არამედ შინაარსითაც შეესატყვისება ბარის სათანადო საბუთებს. მასში კარგადაა ასახული სვანეთის საზოგადოების ეკონომიკური წყობა. მიუხედავად მწირი და მთიანი მდებარეობისა, სვანეთში ცხოვრობდნენ ისეთი გვარეულობები თუ კერძო ოჯახები, რომლებიც პირადი საკუთრების უფლებით არა მარტო სახნავ-სათიბ მიწას და ტყეს, არამედ ეკლესიასაც განაგებდნენ. ესეც იმის უდავო მაჩვენებელია, რომ სვანეთში კერძო საკუთრება ბატონობდა.

XV საუკუნის სხვა საბუთში ასახულია ივანე და სერგო გელოვანთა მიერ ლაჰილის (ლატილის თემი) მთავარანგელოზის ეკლესიისადმი თავის თავის და ორი ადგილ-მამულის შეწირვა.

მიწაზე კერძო საკუთრებისა და მფლობელობის ფაქტს ასახავს ლაჰილის სოფლის „საერთპირო“ რომელშიც ნათქვამია: „ვისაც გარეგანისა კაცისა მოჯმარება გამოვაჩინოთ, ანუ იდუმალ და ანუ ცხადად, ანუ მთასა და ანუ ბარსა, რ ა ი ც უ კ ე თ ე ს ი ყ ა ნ ა ი ე დ ვ ა ს ი მ ა კ ა ც ს ა, პ ა ტ ი ჯ ა დ დ ა გ უ-

---

ოჯახთა უპირატესად აზნაურთა და საეკლესიო პირთა მიერ მიწით ვაჭრობაზე ასეთი უტყუარი წერილობითი საბუთების არსებობისა, ეთნოგრაფი მ. ჩართოლანი მაინც ირწმუნება: „...მიწის გასხვისება — გაყიდვა მას (ოჯახს-გ. გ.) თემის ფარგლებს გარეთ არ შეეძლო. ამ მხრივ თემი შეუვალი იყო“, თითქოს „ოჯახი შეზღუდული იყო აგრეთვე მოგვარეებისაგანაც. ამ უკანასკნელის დაუკითხავად ოჯახს მიწის გაყიდვის უფლება არ ჰქონდა“ (იხ. კრებული — სვანეთი, თბილისი, 1879, გვ. 104). ასეთი მოსაზრების დასამტკიცებლად მარტო სურვილი და სხვა ეთნოგრაფის დამოწმება არ კმარა, მით უფრო, ზემოგანხილული და სხვა წერილობითი წყაროები ამას არაფრით ადასტურებენ.

[1] ი ქ ვ ე, გვ. 67.

იც, მთაქარანგელოზისათვის შემოგუიწირავს"[1].

აქაც და სხვა ანალოგიურ საბუთებშიც ჩანს, რომ მიწის უშუალო განმკარგულებელი ეკლესიაც იყო, რომ ოჯახისათვის მიწის ჩამორთმევა უდიდეს სასჯელს წარმოადგენდა. მოცემული საბუთიც იმაზე მიგვანიშნებს, რომ თემი განუყოფელ და საერთო სახნავ-სათიბ მიწას არ ფლობდა. ამას ადასტურებს დადგენილების მუქარა:დამნაშავე ოჯახს რომ მიწა ჩამოერთმევა, ეკლესიას გადაეცემა.

ჩამოთვლილთან ერთად სვანეთში მიწის კერძო და სამამულო მიწისმფლობელობაზე შემოგვენახა სხვა საბუთებიც, რომლებშიც ასახულია აგრეთვე მიწის ყიდვა-გაყიდვის ფაქტები და მისი ფულადი გამოსახულებაც.

მიწის კერძო მესაკუთრეებად სვანეთში პირველ რიგში გვევლინებიან ჩარკვიანები, დადიშქელიანები, რიჩგვიანები, ყიფიანები, გელოვანები, ქურდიანები, იოსელიანები, ვახთანგიანები, ჯაფარიძეები, ჟორჟოლიანები და სხვ., რომლებიც პრივილეგირებულ გვარეულობებს შეადგენდნენ. ნიშანდობლივია ისიც, რომ ჩვენამდე მოღწეული მიწის ნასყიდობის საბუთები სწორედ პრივილეგირებული გვარის ოჯახებს ეკუთვნოდა და არა გლეხებს, რაც, ბუნებრივია, იმის დადასტურებაა, რომ მიწის უშუალო მესაკუთრე და განმკარგულებელი აზნაურები („ვარგები") და აგრეთვე, ეკლესიები იყვნენ, ხოლო მიწის მფლობელი (სარგებლობის და იშვიათად საკუთრების უფლებით) — გლეხები.

შესაძლებელია მაღალმთიან სვანეთში მიწის კერძო საკუთრებასა და ვაჭრობაზე. ისევე როგორც მის ფულად ღირებულებაზე, მსჯელობა ვინმეს გაზვიადებულად მოეჩვენოს, ან ის იქ კაპიტალისტური ურთიერთობის არსებობის დამტკიცების მცდელობად მიიჩნიოს (ისე როგორც გლეხთა გამოსვლებზე და აზნაურთა უფლებების შეზღუდვაზე მსჯელობა ბურჟუაზიული რევოლუციის მსგავსი მოვლენის მტკიცებად), მაგრამ ეს ყოველად უსაფუძვლო ასოციაცია იქნებოდა, რადგან, ჯერ ერთი, მიწის კერძო საკუთრებასა და მიწის ყიდვა-გაყიდვას ფეოდა-

[1] პ. ინგოროყვას პუბლიკაცია, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვ. II, 1941, გვ. 6—7.

ლიზმის დროსაც ჰქონდა ადგილი და ამ კონკრეტულ შემთხვევაში კაპიტალისტური ურთიერთობა არაფერ შუაშია. ამ უკანასკნელი ფორმაციის გამარჯვების საფუძველზე ხდება ფეოდალური წყობილებისა და ურთიერთობის ძირეული მსხვრევა და შეცვლა (ისე როგორც ამბოხების მეშვეობით გლეხთა მიერ გარკვეული თავისუფლების მოპოვება და აზნაურთა უფლებების ერთგვარი შეზღუდვა მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში არაფერ შუაშია ბურჟუაზიულ რევოლუციასთან).

მაშასადამე, ჩამოთვლილი საბუთები უდავოს ხდის ჩვენთვის საინტერესო ხანის სვანეთში მიწის კერძო საკუთრების პატრონობის ფაქტს და არაფრით არ ადასტურებენ, თუნდაც მაღალმთიანობის პირობებში, სახნავ-სათიბი მიწისა და ტყის კოლექტიური — განუყოფელი მიწათმფლობელობის არსებობას.

მიწის საკუთრების მხრივ სვანეთი ბარის საქართველოს ტიპისა (დასავლეთევროპულის მსგავსი) იყო. ამ მხრივ სვანეთი (რაჭა-ლეჩხუმთან ერთად) კავკასიის მთიანეთში წარმოადგენდა ერთ-ერთ ისეთ რეგიონს, რომელიც აღმოსავლური (კოლექტიურ-განუყოფელი და მომთაბარული) მიწისმფლობელობისა და მეურნეობის სისტემისაგან მკვეთრად განსხვავდებოდა.

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ახლა, როდესაც სათანადო წერილობითი საბუთები მოგვეპოვება შუა საუკუნეების სვანეთის ეკონომიკურ სტრუქტურაზე, ადრინდელი მსჯელობა უნიადაგოა. როგორი ლოგიკური ხასიათიც არ უნდა მივცეთ თეორიულ მსჯელობას, შეუძლებელია სვანეთის სოციალურ-ეკონომიკური წყობა თემურ-გვაროვნული საზოგადოების ჩარჩოში მოვაქციოთ, წყაროები მხოლოდ ამის საწინააღმდეგოდ მეტყველებენ.

არსებობდა თუ არა სვანეთში შუა საუკუნეებში კოლექტიური მფლობელობა?

უდავოა, რომ მფლობელობის ასეთი ფორმაც არსებობდა. საბუთებიდან ჩანს, რომ სვანეთში საბალახო-საძოვარი მიწები კოლექტიურ (განუყოფელ) — სოფლურ მფლობელობაში იყო. ე. წ. „ქვეყნისა სამაგრობელიდან“ ჩანს, რომ ჩვენთვის საინტერესო სეტის (მესტიის) თემი საერთო საძოვარ-საბალახოსაც ფლობდა: „რაიცა სასოფლო მიწაა, წყალსა იქით და წყალ-

სა აქეთ, ყველასა ქვე დავადებინეთ, ვინცა ფასითა არ დაიკსნის...“[1].

ამ საბუთში პირდაპირ არაა მითითებული, თუ სოფლის მიწა, რომელიც წყლის ორივე მხარეს მდებარეობდა, რა მიწა იყო; ძნელია იმის გაგებაც, თუ რას ნიშნავს: „ვინცა ფასითა არ დაიკსნის“. სამაგიეროდ, საბუთიდან ნათლად ჩანს, რომ სეტის ოთხი გვარეულობიდან ჯაფარიძეები ერთ მხარეზე დგანან, ხოლო დანარჩენი სამი (ხერგიანები, საგულვეზელია აგრეთვე ჩართოლანები და ფალიანები) — მეორეზე.

სამაგიეროდ, იმავე დროის მეორე „დაწერილში“, რომელიც „პატრონი ჯაფარიძის“ სახელითაა გაფორმებული და იმავე საკითხს ეხება, კარგად ჩანს, რომ სოფელი საერთო საბალახო ადგილს ფლობდა: „დაგიწერეთ და მოგაკსენეთ დაწერილი ესე, მტკიცე და უქცეველი, მე ჯაფარიძემან პირნათელ*, ჩემთა შვილთა დოდიილ და ივანე, ჩემთა შვილთა და მომავალთა, ყველათა. თქვენ სეტისა სოფელსა, მას ჟამსა, ოდეს ბალყაჩერას** დავიცილენით. მერმე მოუყარეთ მართალნი ფიცებული მოურავნი და ბალყაჩერისა ჭალაი თქვენ დაგრჩათ ყე, და ნაჭირვალისა ბუქაფა მე გამიჩინეთ და მომეცით“[2].

ირკვევა, რომ ჯაფარიძეებს სურდათ თემის საბალახო ადგილის დასაკუთრება. როგორც ჩანს, მათ უვარგისი სასოფლო მიწა დაამუშავეს, მაგრამ მათ ცდას — მთელი საბალახო მიწა ჰიეთვისებინათ — მთელი თემი აღუდგა, მაგრამ მიწის ვარგისად გადაქცევის გამო თემი იძულებული გამხდარა ნაჭირვალის (შრომის) სამაგიეროდ ჯაფარიძეებისათვის გარკვეული ნაწილი მაინც დაეთმო (აღსანიშნავია, რომ სადავო მიწის უდიდესი ნაწილი ჯაფარიძეებმა საბოლოოდ მაინც დაისაკუთრეს).

საისტორიო წყაროებიდან ჩანს, რომ სვანეთში საერთო საძოვარ-საბალახოს განუყოფელი სასოფლო მფლობელობა ჯერ კიდევ ადრე განიცდიდა კრიზისს, მაგრამ მფლობელობის

1 ბ. ინგოროყვა პუბლიკაცია, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვ. II, გვ. 25.

* პირნათელ ჯაფარიძე სეტის ხევისთავი (ხევისარი) იყო.

** ბალყაჩერ ადგილმდებარეობის სახელწოდებაა (ტოპონიმი). ბალყაჩ— თხმელას ნიშნავს. ბალყაჩერის ჭალა რიყიან-ბუჩქნარი საბალახოა და მესტიის მდინარეს ეკვრის.

2 ი ქ ვ ე, გვ. 25.

ეს ფორმა, როგორც ახალი ვითარების გაელენის მატარებელი გადმონაშთი, გვიან დრომდე შემორჩა.

უნდა ითქვას, რომ საძოვარ-საბალახო მიწის კოლექტიური მფლობელობა დამახასიათებელია არა მარტო მთისთვის, არამედ ხშირად ბარისთვისაც. მაგალითად, როგორც განვითარებულ, აგრეთვე ნაგვიანევი ფეოდალიზმის ხანაში ბარის საქართველოში არც თუ იშვიათად საძოვარ-საბალახო ადგილები საერთო-სასოფლო მფლობელობაში იყო. მფლობელობის აღნიშნული ფორმა არსებობდა რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში, სადაც კლასიკური ფეოდალიზმი არსებობდა.

კიდევ მეტი, კ. მარქსმა მთელი მიწის კოლექტიურ-თემური მფლობელობის პირობებშიც კი შესაძლებლად მიიჩნია ფეოდალიზმის ბატონობა (აღმოსავლური-მომთაბარული ფეოდალიზმი). მაგალითად, ცხვარზე კერძო საკუთრება კ. მარქსს აღმოსავლეთში მიწის (საძოვრის) კერძო საკუთრების ატრიბუტად მიაჩნდა[1].

ფ. ენგელსი გერმანიისა და მეზობელი ქვეყნების საადგილმამულო ურთიერთობაზე დაკვირვებისას შენიშნავდა, რომ იქ გვიან შუასაუკუნეებშიც კი ერთიმეორის გვერდით საკუთრებისა და მფლობელობის სხვადასხვა ფორმა არსებობდა, რომ გერმანიაში, კერძოდ, ბავარიის რეინში ფეოდალიზმის ბატონობისას მიწათმოწყობის უძველესმა წესმა — მარკის ფორმით (სახნავ-სათიბი მიწის კოლექტიური მფლობელობისა და პერიოდული გადანაწილების სახით) XIX საუკუნის დასაწყისამდე გაძლო, ხოლო ტყე და საძოვარ-საბალახო კვლავ საერთო მფლობელობაში დარჩა[2].

მთასა თუ ბარში მიწისმფლობელობის ფორმისა და საკუთრების გარკვევაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ფ. ენგელსის მითითებას იმის თაობაზე, რომ, მაგალითად, გერმანიაში მიწის კერძო დაპატრონება მთიან და ვიწრობიან ხეობებში უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე გაშლილ ბარ ადგილებში[3].

[1] К. Маркс, Формы, предшествующие капиталистическому производству, Журн. «Пролетарская революция», № 3, Госполитиздат, 1939, стр. 165.

[2] ფ. ენგელსი, გლეხთა ომი გერმანიაში, თბილისი, 1932, გვ. 164—166.

[3] იქვე, გვ. 165.

ამა თუ იმ საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობილების არსებითი ნიშნების დახასიათებისას კ. მარქსმა ხაზგასმით აღნიშნა: ესა თუ ის ფორმაცია სუფთა სახის — ერთფეროვანი არ არის, რომ თითოეული ქვეყნის ამა თუ იმ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ წყობას თავისებურება ახასიათებდა: „ერთსა და იმავე ეკონომიურ ბაზისს — ერთსა და იმავე მთავარი პირობების მიხედვით — უთვალავ სხვადასხვა ემპირიულ გარემოებათა, ბუნებრივ პირობათა,... გარედან მოქმედ ისტორიულ გავლენათა და სხვათა მეოხებით შეუძლია თავის გამოვლენისას ისეთი დაუსრულებელი ვარიაციები და გრადაციები გვიჩვენოს, რომელთა გაგებაც მხოლოდ ემპირიულად მოცემულ გარემოებათა ანალიზის საშუალებით შეიძლება“[1].

ვ. ი. ლენინი შენიშნავდა, რომ „...ეპოქა სხვადასხვაგვარ მოვლენათა ჯამია, რომელშიც ტიპიურის გარდა მუდამ არის სხვაგვარი“[2].

ამრიგად, ამა თუ იმ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას ძირითადის და განმსაზღვრელის გარდა, სხვა — არადამახასიათებელი და მეორეხარისხოვანი ნიშნებიც ახასიათებს. ასე იყო სვანეთშიც, სადაც, სახნავ-სათიბი მიწისა და ტყის კერძო საკუთრებასთან ერთად, საძოვარ-საბალახო მიწის სოფლურ-კოლექტიური მფლობელობაც არსებობდა.

ჩვენამდე მოღწეულ საისტორიო წყაროებში, ისევე როგორც მიწის საკუთრებისა და მფლობელობის ფორმა და შინაარსი, არეკლილია სვანეთის საზოგადოების სოციალური სტრუქტურა, მისი ტიპიური სახე და თავისებურებაც.

ერთ „დაწერილში“, რომელიც ჩვენთვის საინტერესო მესტიის ხიდის ეკლესიას (საყდარს) შეეხება, ნათქვამია: „ქ. მთავარ მოწამისა სეტისა თაუსდებობითა და შუვამდგომლობითა, ყოველთა სეტისა საყდართა და ეკლესიათა თაუსდებობითა და შუვამდგომლობითა, დავწერეთ და დავდევით დაწერილი ესე, მტკიცე და უქცეველი... ჩუენ კევმან ერთობილმან მესტიისამან, ერთობითა დიდთა და მცირეთა, ვარგთა და გლეხთა, ყოველთა, ერთმანერთისა ნდომითა და დამოწ-

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 3, ნაწ. II, 1959, გვ. 411—412.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 35, გვ. 232.

შებითა, მას ჟამსა, ოდეს ჯიდსა ზედა ეკლესია ავაშენეთ. იგი ეკ-
ლესიისა და ჯიდისადა მთასა ვინცა რაცა შესცოდოს, ანუ სე-
ტის შესავალსა შიგა ვინცა რაცა ვინ შესცოდოს, ერთისა
ჯაფარიძისა და ანუ იოსელიანისა სისხ-
ლი მისითა სანაჯშიროთა ედვას მათა და სისხ-
ლად ვერჩოდეთ"[1].

ამ საბუთზე დაკვირვებაც კმარა იმისათვის, რომ სეტის საზოგადოების ორ ნაწილად — ვარგებად და გლეხებად დაყოფა დავინახოთ.

განსახილველ პერიოდში ასეთი საბუთის წერილობითი გაფორმება (ხელს აწერს 72 პირი) იმის დადასტურებაა, რომ სეტის თემის მთელი საზოგადოება აღიარებდა „ვარგთა" და „გლეხთა" ცალ-ცალკე არსებობას. „ვარგი" და „გლეხი" ერთიმეორისაგან რომ არ ყოფილიყო დიფერენცირებული, მათ რომ სეტის საზოგადოებაში თავიანთი ადგილი არ სჭეროდათ, მაშინ თემს არ მოუხდებოდა ვარგისა და გლეხის ცალ-ცალკე ფიქსირება. ვარგისა და გლეხის ცალ-ცალკე დასახელება იმის უდავო აღიარებაა, რომ საზოგადოების ეს ფენები თავისი ადგილით, უფლებებითა და ინტერესებით ერთიმეორისაგან განსხვავდებოდნენ.

ასეთი მტკიცების უდავო დამადასტურებელია დასახელებული საბუთის დასკვნაც, რომელიც ეკლესიის მკრეხელის ან სეტის მკვიდრთა ცხოვრების შეურაცხმყოფელის სასჯელს შეეხება. აქ ნათქვამია, რომ დამნაშავე დაისჯებოდა „ერთისა ჯაფარიძისა ანუ იოსელიანისა სისხლით — მისითა სანახშიროთი".

როგორც ცნობილია, ფეოდალური სამართალი მხოლოდ გაბატონებული კლასის (თუ წოდების) ინტერესებს ცნობდა და იცავდა. ფეოდალური სამართლით და ტრადიციით სეტის საზოგადოებაც სასჯელის საერთო საზომად გლეხის სისხლს კი არ ასახელებს, არამედ ვარგის, თანაც ფეოდალური წესის შესაბამისად „თავისი სანახშიროთი". ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ სეტის საზოგადოება ოფიციალურად (ხელმოწერით) აღიარებდა ვარგების (ჯაფარიძისა და იოსელიანის) უზენაესობას, მათი სისხლის უპირატესობას.

[1] სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნ. II, გვ. 53—54.

სხვა საბუთში, რომელიც აგრეთვე „ერთობილი სეტის სოფელს“ ეხება და „ქუეყნის სამაგრობელს“ წარმოადგენს, ნათქვამია: „ქ. სამება სკარეშისა და მთავარ მოწამისა სეტისა თავსდებობითა და შუამდგომლობითა დაუწერეთ და დაუდევით დაწერილი ესე მტკიცე და უქცეველი ჩვენ სეტისა სოფელმან ყოველმან, ზ ე მ ო მ ა ნ დ ა ქ ვ ე მ ო მ ა ნ, ქვეყნისა სამაგრომელი: თუ ვინ მოგვიმაჯნოს, ანუ მთაი, ან ჭალაი გაგვიტეხოს, ე რ თ ი ს ა ჯ ა ფ ა რ ი ძ ი ს ა ს ი ს ხ ლ ა დ ვ ე რ ჩ ო დ ე თ ჩ ვ ე ნ ი თ ა შ ე ძ ლ ე ბ ი თ ა“[1].

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც თემი დამნაშავეს ვარგი ჯაფარიძის სისხლის საფასურის გადახდევინებით ემუქრება. ესეც იმის მოწმობაა, რომ ვარგის სისხლი საერთო საზომად იყო აღიარებული.

მოცემულ უკანასკნელ ორ საბუთში ყურადღებას იპყრობს აგრეთვე სიტყვები: „დ ი დ თ ა დ ა მ ც ი რ ე თ ა“, „ზ ე მ ო მ ა ნ დ ა ქ ვ ე მ ო მ ა ნ“. ჩვენი დაკვირვებით, ეს სიტყვებიც საზოგადოების სოციალური დაყოფის და გათიშვის მაჩვენებელია, ასე ვთქვათ, საზოგადოების ორ სოციალურ წოდებად დაყოფის გამომხატველია. ამაში გვარწმუნებს არა მარტო ვარგისა და გლეხის მოხსენიება, არამედ ვარგის სისხლის საერთო აღიარება და, აგრეთვე, ამ საბუთების იგივე ხანის საქართველოს ბარის შესაბამის საბუთებთან შესატყვისობაც.

დავუშვათ და სიტყვები „დიდთა და მცირეთა“ სეტის მცხოვრებთა ასაკს გამოხატავენ, როგორც ეს ზოგიერთს ეჩვენება. მაშინ რას ნიშნავს იგივე საბუთებში მოხსენიებული „ზემომან და ქვემომან“? ამ შემთხვევაშიც ზოგიერთს ჰგონია, რომ ისინი გეოგრაფიული მდებარეობის ამსახველია. მაგრამ ამ ტერმინების შინაარსის ამდაგვარ გაგებას ეწინააღმდეგება ჩვენთვის ცნობილი ვარგისა და გლეხის, აგრეთვე ვარგის სისხლის ცალკე მოხსენიება და საერთოდ ამგვარი საბუთების გაფორმების ტრადიცია.

ამასთანავე, სეტის საზოგადოების დაყოფას ასახავს სხვა დაწერილიც („საერთპირო“), რომელშიც კვლავ წინა პლანზე არიან ჯაფარიძე, იოსელიანი და საყდრის შვილები. საბუთში,

---

[1] სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნ. II, გვ. 43.

რომელსაც თანხმობისა და დამტკიცების ნიშნად 32 პირი აწერს ხელს, ვკითხულობთ: „ქ. მთავარ მოწმისა სეტისა თავსდებობითა და შუამდგომლობითა, დაუწერეთ და დაუდევით დაწერილი ესე საერთო საერთპირო, ჩვენ ოთხმან თემმან, თ ა ვ ა დ ჭ ე უ ი ს ა რ მ ა ნ ჯ ა ფ ა რ ი ძ ე მ ა ნ დ ა მ ი ს თ ა, ი ო ს ე ლ ი ა ნ მ ა ნ დ ა მ ი ს მ ა ნ კ ა ც მ ა ნ, მ თ ა ვ ა რ მ ო წ ა მ ი ს ა ს ა ყ დ რ ი ს ა შ ვ ი ლ მ ა ნ, ე რ თ ო ბ ყ ვ ე ლ ა მ ა ნ...“[1].

ჯაფარიძისა და იოსელიანის სახელდებით მოხსენიებასთან ერთად ამ საბუთიდან ჩანს, რომ სეტის ხელისუფალი ყოფილა ჯაფარიძე, რომელსაც ვარგობასთან ერთად ძალაუფლებაც ეკუთვნოდა. აღსანიშნავია, რომ ჯაფარიძეები და სხვა ვარგები მრავალ შემთხვევაში მელომედაც მოიხსენებიან. ხელისუფლების პყრობა კი ერთ-ერთი საშუალება იყო საზოგადოების საათავეში მოქცევისა. ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ სეტის საზოგადოებაში ვარგები „დიდნი“ და „ზემონი“ ყოფილან, ხოლო გლეხები „მცირენი“ და „ქვემონი“.

აღსანიშნავია, რომ „ვარგისა“ და „გლეხისაგან“ არა მარტო სეტის საზოგადოება შედგებოდა, არამედ მთელი სვანეთი, საბუთების ენით რომ ვთქვათ, — „სრულიად სვანეთის ჭევის“ ანუ „ერთობილი სვანეთის“ საზოგადოება ამგვარადვე იყოფოდა.

ერთ „დაწერილში“, რომელიც საკანონმდებლო ხასიათის დადგენილებას წარმოადგენს და „ქვეყნის სამაგრობელად“ იწოდება, ნათქვამია: „ქ. მთავარ მოწამისა სეტისა თავსდებობითა და შვამდგომლობითა დავწერეთ და დავდევით დაწერილი ესე სრულიად სვანეთისა ჭევისა ვუშქულსა და ლალვერსა შვა სამაგრობელი ჩვენ ერთობილმან ჭევმან, ვარგმან და გ ლ ე ხ მ ა ნ, უ ფ რ ო ს მ ა ნ დ ა უ მ ც რ ო ს მ ა ნ, უ ზ ე დ ა ე ს მ ა ნ, უ ქ ვ ე მ დ ა ე ს მ ა ნ, ყ ვ ე ლ ა მ ა ნ...“[2].

საბუთიდან ჩანს, რომ სრულიად სვანეთის მოსახლეობა — უშგულსა და ლალვერს შორის „ვარგებისა“ და „გლეხებისაგან“ შედგებოდა და ამ დაყოფას სრულიად სვანეთის საკანონმდებლო დადგენილება ოფიციალურად აღიარებდა.

---

1 სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნ. II, გვ. 43—44.

2 ი ქ ვ ე, გვ. 5.

მთელი სვანეთის საზოგადოების „ვარგად“ და „გლეხად“, „დიდად და მცირედ“, „უფროსად და უმცროსად“, „უზედაესად და უქვედაესად“, დაყოფას სხვა მრავალი საბუთიც ადასტურებს.

საზოგადოების სხვადასხვა ნაწილებად გათიშვაზე მეტყველებს აგრეთვე სისხლის სხვადასხვა („ვარგის“, „საპატიო სვანის“, „საუკეთესო სვანის“ და სხვ.) კატეგორიად დაყოფა.

სეტის საზოგადოების სხვადასხვა ნაწილად დაყოფის თვალსაზრისით საინტერესოა „ლეურგესა“ და „ლეგლეხეს“ ცნებები და მათი ლოკალიზაცია. ზეპირსიტყვიერებაში დღემდე შემორჩა მესტიის ორ ნაწილად — „ლეურგედ“ („ლევარგე“ — სავარგე) და „ლეგლეხად“ დაყოფა.

სეტის იმ ნაწილს, სადაც ჯაფარიძეები სახლობდნენ და წმ. გიორგის ეკლესია (იგი თავდაპირველად იყო მონასტერი, რომელიც ორ კოშკთან და სხვა ნაგებობებთან ერთად დიდი გალავნით იყო შემოზღუდული) იდგა, „ლეურგე“ ეწოდებოდა. „ლეურგე“ მოიცავდა მესტიის ვაკობს (სადაც დღევანდელი მესტიის ცენტრია გაშენებული და ჯაფარიძეები ცხოვრობენ), ხოლო დღევანდელ ლეხთაგს და ლანჩვალის უდიდეს ნაწილს, სადაც ხერგიანები, ჩართოლანები, მუტვილიანები, მუშკუდიანები და სხვები სახლობდნენ — „ლეგლეხე“ ეწოდებოდა.

ყველაფერი ეს იმაზე მეტყველებს, რომ სვანეთის მოსახლეობა ორ ერთმანეთისაგან განსხვავებულ მთავარ ფენად იყო გათიშული და თითოეულ მათგანს თავისი ადგილი ეკავა.

წარმოადგენდა თუ არა „ვარგი“ პრივილეგირებულ და ექსპლოატატორულ სოციალურ წოდებას?

როგორც აღვნიშნეთ, წერილობით წყაროებში, მათ შორის იურიდიული ხასიათის საკანონმდებლო ძეგლებში, „გლეხთა“ და „ვარგთა“ მოხსენიება იმის დამადასტურებელია, რომ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ.

საისტორიო წყაროებში პირდაპირ წერია, რომ „ვარგი“ საზოგადოების „უფროსი“, „უზედაესი“ და „საპატიო“ ნაწილი იყო, ხოლო „გლეხი“ „უმცროსი“ და „უქვედაესი“. სხვა მითითება რომ არ გაგვაჩნდეს შუა საუკუნეების სვანეთის საზოგადოების სოციალურ-წოდებრივი ურთიერთობის გაგებისათვის, ესეც საკმარისი იქნებოდა. მაგრამ, გარდა ამისა, ვარგ-

თა პრივილეგიებზე და მათ მიერ საზოგადოების სათავეში დგომაზე სხვა მრავალი ჩვენებაც მოგვეპოვება.

აქ ვერ გავარჩევთ ვარგის პრივილეგიების მაჩვენებელ ყველა საბუთს, მხოლოდ იმ საბუთების ნაწილს შევეხებით, რომლებიც უშუალოდ მესტიელ ვარგებს შეეხება.

XV საუკუნის პირველი ნახევრის ერთ „დაწერილში", რომელიც ვარგი ჯაფარიძეებსა და გლეხი ხერგიანების ურთიერთობას ასახავს, აღნიშნულია: „...თ უ ხ ე რ გ ი ა ნ ი ა ს ი მ ო ს ა ხ ლ ე ი ყ ო ს, ა მ ო რ ი ს ა კ ლ ა ვ ი ს მ ე ტ ი ა რ ა ჰ მ ა რ თ ე ბ დ ე ს; რ ა ც ი ო ს ე ლ ი ა ნ ს ა დ ა მ ა თ ყ მ ა თ ა ს ი გ ე ლ ი უ დ ე ვ ს"[1].

ამ დოკუმენტში პირდაპირ არის მითითებული, რომ ხერგიანებს წელიწადში ორი მსხვილფეხა საკლავის გადახდის საუკუნო ვალდებულება ეკისრათ და ეს ვალდებულება იოსელიანების ყმათა სიგელის კვალობაზე ყოფილა განსაზღვრული. როგორი სურვილიც არ უნდა გვქონდეს, როგორც არ უნდა დავხუჭოთ თვალები, შეუძლებელია წინადადების — „ი ო ს ე ლ ი ა ნ ს ა დ ა მ ა თ ყ მ ა თ ა ს ი გ ე ლ ი უ დ ე ვ ს" — შინაარსი ვერ გავიგოთ და ეს არაფეოდალური ხასიათის ექსპლუატაციის დამადასტურებლად წარმოვადგინოთ. იგივე ჯაფარიძეები ხერგიანებს ჰპირდებოდნენ: თუ „ნებაყოფლობით" არ იკისრებდნენ სხვა ვალდებულებას, საკლავების მეტს არაფერს მოსთხოვდნენ. თავის მხრივ, ჯაფარიძეები ხერგიანებს ჰპირდებოდნენ: „სადაცა გუახლდეთ, თქვენ არა ვისი ვარჩიოთ, რომე ჯ ა ფ ა რ ი ძ ე ყ მ ი ა ნ ა დ დ ა ი ჯ ო ც ო ს მ ა შ ი ნ ც ა..."[2].

რომ არაფერი ვთქვათ ხერგიანების საუკუნო ვალდებულებაზე (რაც წერილობით იყო რეგლამენტირებული), განა აქ პირდაპირ არაა ნათქვამი, რომ ვარგ ჯაფარიძეებს (ისევე როგორც იოსელიანებს) სხვა ყმებიც ჰყოლიათ?!

მიუხედავად იმისა, რომ ჩამოთვლილი და სხვა წერილობითი წყაროები პირდაპირ მიუთითებენ სვანეთში და, კერძოდ, მესტიაში ვარგებსა და გლეხებს შორის ტრადიციულ (წერილობით გაფორმებულ) დამოკიდებულებით ურთიერთობაზე,

---

[1] სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნ. II, გვ. 15.

[1] ი ქ ვ ე, გვ. 16.

ზოგიერთი მკვლევარი მაინც ირწმუნება, რომ „ჩამოთვლილი გადასახადები — ფეოდალური გადასახადები არაა“, „ხსენებული სიგელი — ფეოდალური ურთიერთობის გამომხატველი სიგელი არაა“, „ხსენებული ყმა — ფეოდალურ ყმას არ ნიშნავს“ და ა. შ.

ასეთი მტკიცების გასაბათილებლად საკმარისია თუნდაც იგივე სეტის ჯაფარიძისადმი კუთვნილი ერთი „წიგნი“ წავიკითხოთ: „ღმრთისა დედისა თავსდებობითა და შუამდგომლობითა დაგიწერეთ ეს წიგნი ჩუენ მჯაფრიანმან ქელდიშ მუტვილიანსა და მის შვილებსა, ამა პირსა ზედა, რომე ერთი ცხუარი ბეგარა, ერთი მგზავრობა საჯამაგიროს იყოს, ერთი ხამი. სამი ნადობა — უკუნისამდე“[1]. ეს „წიგნი“ თავის დროზე პ. ინგოროყვამ „საყმო გამოსაღების“ საბუთად მიიჩნია. მას შემდეგ ამ საბუთს მრავალი მკვლევარი შეეხო, რამდენმა ეჭვის თვალით შეხედა, რაკი საქმე სვანეთის მთამაღალს ეხება, ზოგიერთმაც საკუთარი სურვილით თუ მოძველებული კონცეფციის გავლენით ამ საბუთში ჩამოთვლილი ვალდებულებები ანგარიშში არ ჩააგდო. ფაქტი კი ის არის, რომ ამ საბუთში ასახულია ტიპიური ფეოდალური ურთიერთობა: ქელდიშ მუტვილიანის ოჯახს ვარგი ჯაფარიძეებისადმი საუკუნო ვალდებულება ეკისრა: წელიწადში ერთი ცხვარი და ერთი ხამი (ნატურით გადასახადი) ეძლიათ, აგრეთვე ერთი მგზავრობა და სამი ნადობა (შრომითი ბეგარა) ეკისრათ.

მოცემული და სხვა მრავალი საბუთის არსებობის შემდეგ (ფეოდალური ვალდებულება საქართველოში უმეტეს შემთხვევაში წერილობით არც კი ფორმდებოდა, ან ვინ იცის თავის დროზე რამდენი ასეთი საბუთი გაფორმდა და ჩვენამდე რამდენმა ვერ მოაღწია) რანაირად და რა ლოგიკით შეიძლება იმის განცხადება, რომ თითქოსდა ბალსზემო სვანეთში ფეოდალური ურთიერთობა არ არსებობდა, ანდა გადასახადები რეგლამენტირებული და მტკიცედ განსაზღვრული არ იყო?!

ყურადღება რომ არ მივაქციოთ ჯაფარიძეებისადმი გლეხთა ვალდებულებით-ფეოდალურ ურთიერთობას, განა იგივე სეტის ვარგი იოსელიანებისადმი გლეხთა დაქვემდებარებისა

---

1 სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნ. II, გვ. 16.

და ვალდებულებითი ურთიერთობის მაჩვენებელი არ არის „დაწერილი“, რომელშიც ვკითხულობთ: „ქ. მთავარ მოწამისა სეტისა თავსდებობ?ითა და შუვამდგომლობითა, დაგიწერეთ და გიბოძეთ დაწერილი ესე სამოკეთოი, ჩვენ იოსელიანთა უზბეგ და არღონ, თქუენ სეტელის... დემეტრეს, მტკიცე და უქცეველი, ყოვლისა მიზეზისაგან უმიზეზოი. უთუოი და უთუმცოი, აქაით და უკუნისამდე შეუცვალებელი, მას ჟამსა, ოდეს მოგინდა ჩუენთა ჯელთა გლეხად ყოფაი და ჩუენ წყალობაი გიმეტეთ... არაი დაგაკლოთ, ვითა ჩუენსა გლეხსა ეგრე დაგადგეთ, თქვენი თავი საუსამართლოდ და სამაჯნოდ არავის მივანებოთ...[1].

მართალია, აქ არ არის ჩამოთვლილი, თუ დემეტრეს ოჯახს რა ვალდებულება ეკისრა იოსელიანის მიმართ, მაგრამ, სამაგიეროდ, წერია, რომ დემეტრე ეყმო იოსელიანს, რომ დემეტრეს გლეხად გახდომა იყო მტკიცე და უცვლელი — „აქაით და უკუნისამდე“, რომ იოსელიანმა ყმად გახდომის სამაგიეროდ, როგორც ეს წესი იყო, დემეტრეს წყალობა და მფარველობა აღუთქვა.

როგორც ვხედავთ, სეტის ვარგების მიერ გლეხების დაქვემდებარებაში ახალი არაფერია. ისევე როგორც ყველგან, საქართველოს ბარში, რუსეთში და დასავლეთ ევროპაში, სვანეთის ვარგები გლეხებსა და მათ მიწას ეპოტინებოდნენ მოხერხებით იქნებოდა ეს, დაპირებით, მუქარით თუ ძალდატანებით. ასეთ ვითარებაში მატერიალური დოვლათის მწარმოებელი მასა — თავისუფალი მიწათმფლობელიდან მებეგრედ ან ყმად იქცეოდა.

ზემოაღნიშნული ვალდებულებითი სიგელის საფუძველზე უნდა დავძინოთ, რომ დემეტრეს ოჯახი იოსელიანების „ნებიერი გლეხი“ იყო და მათი დამოკიდებულება მიწის კერძო საკუთრებით და პოლიტიკური მფარველობის აუცილებლობით იყო ნაკარნახევი.

ვფიქრობთ, სეტის (მესტიის) სინამდვილის ამსახველი ამ საბუთების არსებობის შემდეგ უხერხულიცაა იმის სერიოზუ-

---

[1] სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნ. II, გვ. 14.

ლად მტკიცება, რომ ბალსზემო სვანეთში მხოლოდ თავისუფალი მეთემეები არსებობდნენ, ხოლო ბალსქვემოთ — „ვარგი“ და „გლეხი“. თითქოს ბალსზემო სვანეთის „ვარგები“ ე. წ. „ძლიერი გვარები“ რიგითი გვარებისაგან მხოლოდ გამიჯვნის პროცესში იყვნენ... თითქოს ტერმინები „ვარგი“ და „გლეხი“ „უფროსი“ და „უმცროსი“, „უზედაესი“ და „უქვედაესი“ ბალსზემო სვანეთში ბალსქვემოური დოკუმენტების კვალობაზე და მათი გავლენით იქმნებოდა[1].

აქვე ხაზგასმით უნდა დავძინოთ, რომ როგორც ჩამოთვლილი, აგრეთვე დღემდე ცნობილი საბუთების აბსოლუტური უმრავლესობა, რომელშიც ფეოდალური დიფერენციაცია და კლასობრივ-წოდებრივი ურთიერთობაა ასახული (ე. ი. „ვარგი და გლეხი“, „უზედაესი და უქვედაესი“, „უმცროსი და უფროსი“, „დიდი და ჭაირე“, „სიგელი“, „ყმა“, „ბეგარა“ და სხვა ცნებებია გამოხატული) ბალსზემო სვანეთს, ანუ ე. წ. თავისუფალ სვანეთს შეეხება, მის სინამდვილეს ასახავს და არა სვანეთის სხვა რომელიმე ნაწილისა.

ვარგებსა და გლეხებს შორის ურთიერთობა რომ ვალდებულებით ხასიათს ატარებდა, გლეხთა გადასახადები რომ წერილობით იყო რეგლამენტირებული, ვარგები რომ რიგითი გვარებისაგან მტკიცედ იყვნენ გამიჯნული, ეს სხვა წერილობითი საბუთებიდანაც ჩანს, მათ შორის ერთ ფრაგმენტში, რომელიც სეტს ანუ მესტიას ეხება, ნათქვამია: „ღმრთისა თავსდებობითა, ჯიდს იქით არა გთხოვო ერთი საკლავისაგან მეტი“[2].

მართალია, აქ არც პრივილეგირებული და არც დამოკიდებული პირი არ ჩანს, მაგრამ ცხადია, რომ საქმე ეხება გლეხის ვალდებულებას — წელიწადში ერთი მსხვილფეხა საკლავი ეხადა.

---

1 რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, გვ. 96, 103, 104, 105 და სხვ.

2 სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნ. II, გვ. 16.

ვარგებისადმი გლეხთა დამოკიდებულებას მოწმობს სვანეთის საისტორიო ძეგლებში არაერთგან ფიქსირებული ცნებები: „პატრონი ჩემი არღონ იოსელიანი“, „ოდის პატრონმან (ბატრონმან) გვიღალატეს ხერგიანთა“, „მებეგრე და ბეგარა“, „ერთად გლეხად დაგუითვლია“, „პატრონი ჩვენნი პირნათელ და ჩარგას“ და სხვ.[1]. ყოველივე ეს რომ ფეოდალურ ნომენკლატურას, საზოგადოების წოდებრივ დაყოფას და ურთიერთდამოკიდებულებას ასახავს, ამაში უკვე მესტიის მაგალითზე დაკვირვებამაც დაგვარწმუნა.

ვარგებსა და გლეხებს შორის საუკუნო საბეგარო და საღალო ვალდებულებითი ურთიერთობის ამსახველ სხვა საბუთებზე მსჯელობა რომ არ გავაგრძელოთ, ვფიქრობთ, მოტანილი წერილობითი საბუთებიც საკმარისია იმისათვის, რომ ვარგი პრივილეგირებულ სოციალურ წოდებად — აზნაურებად მივიჩნიოთ, სხვანაირად, ვარგი სხვა არაფერია, თუ არა აზნაურის. სვანეთში დამკვიდრებული სახელწოდება.

როგორც ცნობილია, „ვარგი“ ჯერ კიდევ ადრინდელ ქართულ წყაროებში მოიხსენიება, კერძოდ, თამარ მეფის ისტორიაში. აქ ერთ ადგილას მოხსენებულ ვარგზე ივ. ჯავახიშვილმა შენიშნა, რომ იგი ჯერ კიდევ სოციალურ წოდებას არ უნდა გამოხატავდეს, მაგრამ, მისივე დასკვნით, „ვარგი“ უბრალო ყმა კი არა, არამედ ვარგი და საცნაური ყოფილა[2].

ვარგი გვხვდება იმავე თხზულების მეორე ადგილასაც. აქ ბასიანის ომში ქართველების გამარჯვებასთან დაკავშირებით „ვარგი“ წარმოდგენილია, როგორც „მეფისაგან შესწავლილი კაცი“[3]. საგულისხმოა ისიც, რომ აღნიშნულ ადგილას ვარგის გარდა უმაღლესი წოდების სხვა წარმომადგენელი არაა დასახელებული. იქიდან გამომდინარე, რომ ვარგი საცნაური და მეფისაგან შესწავლილი კაცი ყოფილა, ჩვენ იგი აზნაურთა წრიდან გამოსულ სამხედრო პირად მიგვაჩნია.

ვთქვათ, მოცემული თხზულების ამგვარი გაგება სადაოა. ყოველ შემთხვევაში, სვანეთის „ვარგი“ მრავალმა გამოჩენილ-

---

1 სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნ. II, გვ. 15, 19, 96, 105.

2 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაწ. I, თბილისი, 1928, გვ. 40.

3 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, კ. კეკელიძის გამოცემა, გვ. 128.

შა მკვლევარმა აზნაურად მიიჩნია. ასეთთა შორის იყვნენ: დიმიტრი ბაქრაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, სიმონ ჯანაშია, ივანე ჯავახიშვილი და სხვ.

ვარგს აზნაურად მიიჩნევდა რუს მკვლევართა უმრავლესობაც, რომლებიც ესოდენ აზვიადებდნენ გვაროვნული წყობილების არსებობას, ასევე მის გადმონაშთებს კავკასიის მთიანეთში. ეს მაშინ, როდესაც სათანადო საისტორიო წყაროები ჯერ გამოვლენილი ან ცნობილი არ იყო და სვანეთზე მსჯელობა უპირატესად პირადი დაკვირვების (თვალით ნანახის) საფუძველზე წარმოებდა.

იმის მიუხედავად, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ ცნობილი და ნათელი არ იყო, ივ. ჯავახიშვილმა შენიშნა, რომ სვანეთის ვარგები აზნაურებად იწოდებოდნენ. ამაზეც რომ არაფერი ვთქვათ, ჯავახიშვილი წერდა: „ა ზ ნ ა უ რ ო ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო წ ო დ ე ბ რ ი ვ ი წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ი ს ა ე რ თ ო მ ო ვ ლ ე ნ ა ი ყ ო და ა ზ ნ ა უ რ ნ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ყ ო ვ ე ლ თ ე მ ს ა დ ა კ უ თ ხ ე შ ი ი ყ ვ ნ ე ნ“[1].

მიუხედავად იმისა, რომ სათანადო საბუთები გამოვლენილ-შესწავლილი არ იყო, სვანური ფოლკლორის სპორადული მონაცემების გაცნობამ სიმონ ჯანაშიასათვის ცხადი გახადა, რომ მას ვარგზე ფრიად მნიშვნელოვანი დასკვნა გამოეტანა: „სვანური ვარგი უდრის ქართულ აზნაურს XII საუკუნის მნიშვნელობით“[2]. ე. ი. ეს ის დრო იყო, როდესაც აზნაურთაგან თავადის წოდება არ იყო გამოყოფილი. მას შემდეგ, რაც თავადის წოდება შეიქმნა და ჩამოყალიბდა (ისე როგორც თავის დროზე აზნაურის), სვანურში მისი აღმნიშვნელი „ფუსდ“ ტერმინიც შეიქმნა.

ერთი სიტყვით, სვანეთში აზნაურის წოდების არსებობაზე და ვარგისა და აზნაურის ადექვატურობაზე მრავალი საბუთი მოგვეპოვება.

წერილობით წყაროებში, მათ შორის XI-XII საუკუნეების საეკლესიო წარწერებში, აზნაურის როგორც სვანეთის მკვიდრის მოხსენიება ა. რობაქიძემ უკანასკნელ გამოკვლევაში საეჭ-

---

1 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. I, 33-34.

2 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, III, 1959, გვ. 135.

ვოდ მიიჩნია. მისი განცხადებით, იფარისა და კალის თემების სამი ეკლესიიდან თითქოს მხოლოდ ერთი ეკლესიის წარწერაში გვხვდება ქართული აზნაური და, თითქოს, ისიც „აზნარტას“ („азнарта“) სახით. მოცემულ კონტექსტში მკვლევარი დასძენს: «Наличие двух различных и ярко выраженных социальных терминов в одном и том же историческом регионе в одно и то же время ставит под сомнение возможность их полного отождествления, как это делается в некоторых современных работах»[1].

საქმე იმაშია, რომ „ვარგისა“ და „აზნაურის“ იგივეობის უარყოფით ა. რობაქიძე საერთოდ ცდილობს უარყოს სვანეთის ბალსზემო ნაწილში აზნაურის წოდების არსებობაც.*

ისტორიული წერილობითი წყაროებიც რომ არ გაგვაჩნდეს, საკმარისია თუნდაც სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული სვანური ხალხური ფოლკლორის ნიმუშებს გავეცნოთ, რათა „ვარგისა“ და „აზნაურის“ ცნობების ზუსტი შესაბამისობა დავინახოთ[2].

სხვათა შორის, დასახელებული ეკლესიის წარწერებში „აზნარტა“ („азнарта“) კი არ წერია, არამედ „აზნაურთა“ (ერთ ეკლესიაში აღნიშნული ტერმინი სრულადაა წარმოდგენილი, მეორეში „ა...ურთა“, ხოლო მესამეში გამქრალია და პირველი ორის და აგრეთვე მოცემული ტექსტის შინაარსითაა ზუსტად აღდგენილი). საკვირველია, ჩვენს ავტორს რატომ გამორჩა

---

[1] აკად. ნ. ბერძენიშვილის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული — ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბილისი, 1976, გვ. 386.

* ასეთი არგუმენტით ვარგისა და აზნაურის იგივეობის უარყოფა მაინც შეუძლებელია, რადგან, ჯერ ერთი, ისინი ერთი და იმავე საბუთში ერთდროულად არ გვხვდებიან; მეორეც, არამც თუ სხვადასხვა, არამედ ერთი და იმავე ენაშიც არაერთი შემთხვევაა, როდესაც ერთი და იმავე წოდება სხვადასხვა ტერმინით გამოიხატება, მაგალითად, რუსულში „დვარიანინი“ და „პამეშჩიკი“, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ერთი ან მეორე აზნაურის წოდებას არ გამოხატავს; მესამეც, აზნაურთა წოდების მინიჭებას „მთური“ თუ „ბარული“ მდებარეობა კი არ განსაზღვრავდა, არამედ მეფისა და ქვეყნის წინაშე დამსახურება.

[2] სვანური პოეზია, I, 1939, გვ. 44, 62, 72, 100, 118, 164, 174, 200, 222, 230, 260, 262, 266.

მხედველობიდან ის ფაქტი, რომ აღნიშნული წარწერები სხვადასხვა დროს მრავალმა მკვლევარმა და სპეციალურმა ექსპედიციამ შეისწავლა, მათში აზნაურის მოხსენიება არც ერთს საეჭვოდ და სადავოდ არ გაუხდია. მთავარი მაინც ის კი არ არის, თუ როგორაა ტერმინი აზნაური დაქარაგმებული (შემოკლება თითქმის ყველა ადრინდელი წარწერის დამახასიათებელია), არამედ ის, რომ ეს აზნაურები სვანეთის იმ ხევების (სოფლებისა და თემების) მცხოვრებლებად მოიხსენიებიან, სადაც ეს ეკლესიები მდებარეობდნენ.

აი ერთი მათგანი: „ქ. სახელითა ღმრთისაჲთა მოიხატა და შეიმკო წმიდა ესე ეკლესიაჲ სადიდებლად ა ზ ნ ა ურ თ ა ა მ ი ს ჯ ე ვ ი ს ა, ყ ო ვ ე ლ თ ა დ ი დ თ ა დ ა მ ც ი რ ე თ ა, შვილთა და მომავალთა მათთა და სულისა მიცვალებულთა მათისა“[1].

როგორც ვხედავთ, ამ წარწერებში აზნაურთა (და არა „აზნარტთა“) მოხსენიება, მათი სვანეთის ყველაზე მთამაღალ ხეობებში ცხოვრება და სხვადასხვა ფენად დაყოფა საეჭვო არ უნდა იყოს. მაგრამ ასეთი ეჭვიც რომ დაიბადოს, აზნაურები, როგორც სვანეთის ხევებში მცხოვრებლები, სხვა წარწერებშიც გვხვდება. მაგალითად, სოფ. ჩუკულის ეკლესიის ხატზე ვკითხულობთ: „წმიდაო ღმრთის მშობელო, შეიწყალე ესე სოფელი, აზნაურნი დიდნი და მცირენი“[2]. მსგავსი წარწერა არაერთი შემოგვენახა.

ამრიგად, აზნაურთა ცხოვრება სვანეთის ამა თუ იმ თემში ეჭვს არ იწვევს. სამაგიეროდ, რაკი საქმე სვანეთს (მთას) ეხება, ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ აზნაურების გვერდით მოხსენიებული „დიდი და მცირე“ — ასაკის გამომხატველია. მოცემული ტერმინების ამდაგვარი გაგება, პირდაპირ რომ ვთქვათ, გაუგებრობაა,რადგან ერთი და იმავე ტექსტში „დიდსა და მცირეს“ მოსდევს სიტყვები „შვილთა და მომავალთა“ — აქ კი, რასაკვირველია, ასაკსა და შთამომავლობაზეა ლაპარაკი, ხოლო „დიდი და მცირე“ აზნაურთა სოციალური, ქონებრივი,

---

1 Н. Аладашвили, Г. Алибегашвили, Л. Вольская, Росписи художника Тевдоре в Верхней Сванетии. Тб., 1966, стр. 4—6.

2 ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში..., გვ. 145.

თანამდებობრივ-უფლებრივი ხარისხის გამოხატულებაა. ასეთ გაგებას ადასტურებს მოცემული წარწერების ბარის შესაბამის წყაროებთან შედარებაც.

ყველაფრიდან ჩანს, რომ ჩვენთვის საინტერესო სვანეთის ბალსზემო თემებშიც ცხოვრობდნენ აზნაურები, რომლებიც გვარჩამომავლობის, ქონებრივი შეძლებისა და სამსახურის მიხედვით ერთიმეორისაგან განსხვავდებოდნენ.

დავუშვათ, სვანეთში აზნაურთა წოდების არსებობაზე ადგილობრივი წერილობითი წყაროები არ მოგვეპოვება, ამ შემთხვევაშიც, შეგვიძლია საერთო ქართული საისტორიო წყაროების მეშვეობით სვანეთში აზნაურთა წოდების არსებობა დავადგინოთ.

თამარ მეფის ისტორიაში ვკითხულობთ: „ვინცა გარდამოვიდეს სუანნი დიდებულნი და მეკევენი"[1]. აქედანაც ჩანს, რომ სვანეთში ცხოვრობდნენ აზნაურები, რომელთა შორის არაერთი დიდებული ყოფილა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ბევრის მთქმელია ისიც, რომ სვანეთის ერისთავთა ყველაზე ძლიერი გვარეულობა ვარდანიძე (ფარჯანიან-მარუშიანი), რომელთაგანაც დადიანთა ძველი დინასტია და გურიელი მომდინარეობს, ე. წ. ბალსზემო სვანეთიდან იყო[2].

სვანეთში და, კერძოდ, მესტიაში აზნაურის წოდების არსებობას უდავოდ ამტკიცებს ჩვენამდე მოღწეული კონსტანტინე მეფის მიერ (XIII ს. ბოლო) განახლებული გოშთელიანის სიგელი: „ქ. ჩუენ მეფეთ მეფესა კონსტანტინეს გუიბოძებია თქუენთუის გოშქოთელიანისათუის თქუენივე ნაქონები ხორხომელისძე. ჰაგრევე ნასისხლად გქონდეს, ვითა პირველ გქონდაყე"[3].

ამ საბუთიდან ჩანს, რომ სვანეთის ზოგიერთი მკვიდრი

---

1 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 33.

2 Дм. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Адчаре С—П., 1878, გვ. 109, 111, 112, 335; ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს. გვ. 24,, 25, 144; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბილისი, 1975, გვ. 428).

3 სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნ. II, გვ. 113.

დამსახურების სამაგიერო წყალობად მეფისაგან აზნაურის წოდებას იღებდა, რომ აზნაურები ყმებს ფლობდნენ. აქვე დასტურდება ისიც, რომ წინამორბედ მეფეთა მიერ ნაბოძები აზნაურის წოდების შემდგომ განახლება სვანეთშიც ტრადიცია ყოფილა.

აღნიშნული არა მარტო იმაზე მიგვითითებს, რომ სვანეთის საზოგადოება ფეოდალურ-დიფერენცირებული იყო და გლეხთა კატეგორიებთან ერთად სხვადასხვა ფენის აზნაურები არსებობდა, არამედ იმაზეც, რომ სვანეთი საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის ორგანული ნაწილი (კუთხე, „ქვეყანა") და მისი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-კულტურული ცხოვრების მოზიარეც იყო.

ყველაფერ ამას არ შეიძლება ანგარიშგარეშე გაეწიოს და სვანეთზე კვლავ ხავსმოკიდებულ თვალსაზრისს ვამაგრებდეთ და ხელოვნურად ვალამაზებდეთ.

თუკი წერილობით წყაროებს დავუჯერებთ, სადავო არ არის, რომ განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში სვანეთში და, კერძოდ, მის ბალსზემო ნაწილში აზნაურთა წოდება არსებობდა.

წერილობითი წყაროებიდან ჩანს, რომ სეტის საზოგადოება XIV საუკუნეშიც აზნაურებისა და გლეხებისაგან შედგებოდა. ამას რამდენიმე საბუთი ადასტურებს, მათ შორის ორი „დაწერილი". პირველ მათგანში საქმე ეხება აზნაურთა მიერ გლეხებისადმი ღალატს, ხოლო მეორე — ანალოგიურ „წიგნში" მესტიის აზნაურებსა და გლეხებს შორის მკვლელობაზე და სისხლის დაურვებაზეა ლაპარაკი*. ტექსტებიდან კარგად ჩანს, რომ სეტის აზნაურები ერთ მხარეზე იდგნენ, ხოლო გლეხები მეორეზე. დოკუმენტები აგრეთვე მეტყველებენ, რომ სეტის მოსახლეობას ღრმად ჰქონდა შეგნებული თავისი მდგომარეობა: მათი ერთი ნაწილი გლეხები იყვნენ, ხოლო მეორე აზნაურები, ანუ ვარგები. ახლა როდესაც საქმე სვანეთის წარსულსა და მისი საზოგადოების დიფერენციაციას ეხება, ზოგიერთ მკვლევარს რატომღაც პრობლემად გაუხდა იმის გარ-

* მართალია, მოცემული ტექსტები ბუნდოვანია, მაგრამ აზნაური და გლეხი მკაფიოდაა გამოხატული (იხ. სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, გვ. 110).

კვევა, რისა დადგენაც ფაქტიურად არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს.

ამრიგად, აზნაურის წოდება სვანეთში ხან საერთო ქართული ტერმინით — აზნაურითაა გამოხატული, ხან სპეციფიკური ტერმინით — ვარგი (სხვა რამ გამორიცხულია).

როცა საქმე სვანეთის საზოგადოების სოციალურ სტრუქტურას ეხება, ხშირად ძალაუნებურად ერთ სიბრტყეზეა წარმოდგენილი კავკასიის მთელი მთიანეთი და აქცენტი კეთდება ხოლმე სვანეთის ე. წ. ეკონომიკურ სივიწროვეზე, იქ ფეოდალური ექსპლოატაციის შეუძლებლობაზე (თითქოს ზედმეტი პროდუქტის წარმოების სიძნელე იქ შეუძლებელს ხდიდა მის ფეოდალურ მითვისებას და სხვ.).

თუ რამდენად სწორია კავკასიის მთელი მთიანეთის ერთ ყალიბში მოქცევა, მასზე ერთნაირი მსჯელობა, ეს კარგად ჩანს სვანეთის სინამდვილეში (კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდება თუნდაც ტაო-კლარჯეთის, სამცხე-საათაბაგოსა და სხვათა მაგალითზე, რომლებიც განსხვავდებიან თავისი მთიანმწვრი პირობებით, ამავე დროს მაღალი ფეოდალური იერარქიულობით და განვითარებული კულტურით).

უეჭველია, რომ მთა თავისი ეკონომიკით ბარს ჩამორჩებოდა, რომ მთაში ზედმეტი პროდუქტის წარმოება და მისი მითვისება ბართან შედარებით მცირე მასშტაბით ხასიათდებოდა. როდესაც სვანეთში ფეოდალური ურთიერთობის ფორმებს ვეხებოდით, ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ „გეოგრაფიულ-კლიმატური პირობების გამო სვანეთის მეურნეობა შეზღუდული იყო". მთური მეურნეობის სპეციფიკა მართლაც „აბრკოლებდა და ამუხრუჭებდა სვანეთში ფეოდალური ურთიერთობის განვითარებას", რომ „მთური მდებარეობის გამო სვანეთის მეურნეობა შებოჭილი იყო, რაც ფეოდალურ ურთიერთდამოკიდებულებას ზღუდავდა და დამოკიდებული წოდების მარტივ და მსუბუქ ვალდებულებას განსაზღვრავდა"[1].

ამასთანავე, მიუხედავად ამისა, „მთურ მდებარეობას" არ შეეძლო საზოგადოების განვითარების ისტორიული პრო-

---

[1] გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან. გვ. 59, 60, 82.

ცესის შეჩერება, მის ერთ წერტილზე გაყინვა, მით უფრო, რომ სვანეთი წარმოადგენდა სოციალურად და კულტურულად მაღალგანვითარებული საქართველოს ორგანულ და განუყოფელ ნაწილს, რომლის ტერიტორია არც თუ ისე ვრცელი იყო, რომ საქართველოს მთისა და ბარის ცხოვრება ერთიმეორესთან იყო გადაკვანძული. აქვე ანგარიშგასაწევია მარქსიზმის ცნობილი დებულება გეოგრაფიული გარემოს როლზე— რომ გეოგრაფიული გარემო ანელებს (ამუხრუჭებს) ან აჩქარებს (ხელს უწყობს) საზოგადოების განვითარებას. საზოგადოების განვითარებაში გეოგრაფიული გარემოსადმი გადამწყვეტი როლის მინიჭება გაუმართლებელია.

თუ ზოგიერთ მკვლევარს დავუჯერებთ, მთაში, რომლის გარემო რამდენიმე საუკუნეში თითქმის არ შეიცვალა, საზოგადოებაც უცვლელი — პირველყოფილურ დონეზე უნდა გაქვავებულიყო (სწორედ ასეთი შეხედულების ნაყოფია მთაში გვაროვნულ-პირველყოფილური წყობილების ესოდენ გამძლეობისა და ხანგრძლივობის ოდიოზური თეორია), ხოლო ბარის განვითარება ინტენსიურად ზეაღმავალი ხაზით უნდა წარმართულიყო. მაგრამ ყველაფერი ასე როდია. სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას რომ მხოლოდ გეოგრაფიული ფაქტორი, ანუ მთური ან ბარული მდებარეობა განსაზღვრავდეს, მაშინ ყველაზე წინ აზია და აფრიკა აღმოჩნდებოდა, ხოლო მთიანი და უფრო მწირი ქვეყნები მუდამ ჩამორჩენილი იქნებოდნენ. არაერთი მაგალითის დასახელება შეიძლება იმის საილუსტრაციოდ, რომ გარკვეულ დროსა და სიტუაციაში ზოგიერთი მთიანი, გნებავთ, მწირი ქვეყანა თავისი განვითარებით გაცილებით მაღლა იდგა და დგას, ვიდრე ხელსაყრელი გეოგრაფიულ-კლიმატური პირობებით განებივრებული ზოგიერთი ქვეყანა.

აღსანიშნავია, რომ მთიან-მწირი მდებარეობა სვანეთში ფეოდალიზმის განვითარების მასშტაბს ზღუდავდა. ამასთანავე, შეუძლებელია ისეთ პატარა რეგიონში, როგორიც სვანეთია, ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი ყველა ინსტიტუტი, ასე ვთქვათ, კლასიკური სისრულით ყოფილიყო წარმოდგენილი, მით უფრო, რომ ის დამოუკიდებელ ცალკე ქვეყანას

	i არა, არამედ ფოდალური საქართველოს ერთ-ერთ პროვინციას წარმოადგენდა.

ძნელია იმის ზუსტად განსაზღვრა, თუ სხვადასხვა დროს სვანეთის პრივილეგირებული წოდება რა დოვლათს ფლობდა, მაგრამ ჩვენი დაკვირვების სფეროში მოქცეული მესტიელი აზნაურების, ანუ ვარგების ჯაფარიძეებისა და გოშთელიანების მაგალითზე ჩანს, რომ ამ მხრივ ისინი გაცილებით ძლიერნი იყვნენ, ვიდრე მდაბიო წოდების გვარები. მიუხედავად მცირერიცხოვნობისა, ჯაფარიძეები და გოშთელიანები (ეს უკანასკნელნი რამდენიმე ოჯახს თუ შეადგენდნენ) თავის დროზე საკუთრივ მესტიის მიწა-წყლის მნიშვნელოვან ნაწილს ფლობდნენ და გლეხთა მფლობელობაში არსებულ მიწასაც იჩემებდნენ.

ამასთანავე, აზნაურებს გააჩნდათ საკუთარი — საგვარო ეკლესიები (მაგალითად, სოფ. ლანჩვალში ჯაფარიძეებს ეკუთვნოდათ ეკლესია, რომელიც გადმოცემით ჩართოლანებს აუშენებიათ. ამ ეკლესიის ფრესკებზე ჯაფარიძეები დიდკაცური და მდიდრული სამოსით გამოირჩევიან).

ყველაფრიდან ჩანს, რომ საქართველოს ერთიანობის დროს სვანეთის აზნაურები, ანუ ვარგები თავიანთ უფლებრივ-ქონებრივი და სოციალური მდგომარეობით განირჩეოდნენ და საზოგადოების სათავეში იდგნენ.

საქართველოს ერთიანი ცენტრალიზებული სამეფოს ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ განკერძოებულობის გზაზე დამდგარ სვანეთში მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებები მოხდა. ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერის გარეშე სვანეთის პრივილეგირებული წოდების პოლიტიკური და ეკონომიკური ძალა და გავლენა თანდათან მისუსტდა. შესაბამისად თავისუფლდება გლეხობა, აღორძინებას იწყებს მათი საზოგადოებრივი კავშირები. ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებისა და გაქრობის პარალელურად გლეხთა გაერთიანება (სასოფლო თემი) მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალად იქცევა. თუ საქართველოს ერთიანობის პირობებში აზნაურობას მეფის ხელისუფლება ზურგს უმაგრებდა და ძალაუფლებას აძლევდა, XVI საუკუნიდან მოყოლებული მარტოდმარტო (თავის ანაბარა) დარჩენილ სვანეთის აზნაუ-

რობას გლეხთა მასები განუდგნენ. კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის პირობებში აზნაურთა რიგი გვარეულობა (რიჩგვიანი, ბაბიანი და სხვ.) სრულიად გადაშენდა, ხოლო სხვების ძალაუფლება და გავლენა შესუსტდა (ჩარკვიანები, ყიფიანები, ჯაფარიძეები, იოსელიანები, დევდარიანები, ქორეოლიანები, გოშთელიანები, ქურდიანები და სხვ.).

ასეთი ვითარება ფეოდალური ხანის მესტიის მცხოვრებ ვარგად წოდებულ აზნაურ ჯაფარიძეებსა და გლეხებსაც შეეხება: „თუ აზნაური ვინი გასცილდეს, თუ გლეხს უღალატოს სახლი დააწუს*, კაცი დაჯუცუს**, საქონელი შეჭამოს ყველამან სეტიელმან ერთობილმან“[1]. ანალოგიურ სხვა საბუთში ნათქვამია, რომ თუ ხერგიანის გვარის კაცს აზნაური კაცი შემოაკვდეს, სისხლი ყველა ხერგიანმა გადაიხადოს ერთად, თუკი რომელიმე ხერგიანი აზნაურს შემოაკვდეს და სისხლის ფასი გაიღოს — ძირითადი ნაწილი მკვდრის ჭირისუფლის იყოს და დანარჩენი ყველა ხერგიანისო[2].

აქ ჩანს, რომ ხერგიანები უპირისპირდებიან აზნაურ (ვარგ) ჯაფარიძეებს და ცდილობენ მათი უფლებების შეზღუდვას, ასე ვთქვათ, აზნაურთა ექსპლუატაციისაგან თავდახსნას.

მესტიის აზნაურ ჯაფარიძეებისადმი თავიანთი გლეხების დაპირისპირებისა და აჯანყების ფაქტის ამსახველი გადმოცემა აღწერილი აქვთ ცნობილ მკვლევარებს მ. კოვალევსკისა და ი. ივანიუკოვს, რომელთაც სარწმუნოდ მიაჩნდათ ამ ორ წოდებას შორის ბრძოლის მძიმე შედეგებით დამთავრება[3].

ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ სვანეთში ამა თუ იმ გვარეულობას სხვები თითქოს იმიტომ უპირისპირდებოდნენ, რომ „ამ გვარებს თემის შიგნით პრეროგატივის გაჩენა სურდათ“, თითქოს „ძლიერი გვარები თემის პირის გატეხას, თემსე აღზევებას და გაბატონებას ლამობდნენ“, თითქოს „თემური

---

* დააწუს — დაწვას.

** დაჯუცუს — დახოცოს.

[1] სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნ. II, გვ. 110.

[2] იქვე.

[3] Журнал «Вестник Европы», кн. 8, 1860, стр. 603.

უფლებებით და პრინციპებით განმტკიცებული თავისუფალი სვანეთი ასეთებს არბევდა და ხოცავდა"[1].

ზოგიერთ მკვლევარს სვანეთის ჯაფარიძეების, ჩარკვიანების, გელოვანების, ყიფიანების, ასევე კავკასიის მთიანეთის სხვა რეგიონის ზოგიერთი გვარეულობებისადმი დანარჩენების დაპირისპირება (გლეხთა ამბოხებები) კლასობრივი ექსპლუატაციისა და ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის მაგალითად არ მიიჩნია[2].

სპეციალური გამოკვლევებიდან, თვით საშუალო სკოლის სახელმძღვანელოებიდანაც კი ჩანს, რომ გლეხთა ბრძოლა „ძლიერ გვარებთან" (სინამდვილეში პრივილეგირებულ წოდებასთან, სხვაგვარად ძლიერი გვარი გაუგებარია) ყველგან და ყოველთვის ექსპლუატაციას და მის გაზრდას უკავშირდებოდა (ამისი მაგალითებია რუსეთში XI—XII, XVII—XVIII საუკუნეების გლეხთა აჯანყებები და ომები, აგრეთვე გლეხთა ომები გერმანიაში და სხვ. აღნიშნულ აჯანყებებთან შედარებით კავკასიის მთიანეთში გლეხთა გამოსვლები ზღვაში წვეთი იყო). გლეხთა წინააღმდეგობა და კლასობრივი ბრძოლა ყველაზე მეტ გაქანებას იქ იღებდა, სადაც ფეოდალური ურთიერთობა მეტად იყო განვითარებული, მაგრამ ძლიერი ხელისუფლების პირობებში ეს გამოსვლები მარცხით მთავრდებოდა, ხოლო კავკასიის მთიანეთის ზოგიერთ რაიონში გლეხთა გამოსვლები აქ ექსპლუატაციის სიმძიმესთან იყო დაკავშირებული, დროებითი გამარჯვება კი ხელისუფლების სისუსტესთან.

ამდენად, გლეხთა გამოსვლები (ამბოხებები) სვანეთში თემისაგან ზოგიერთი გვარის გამოყოფისა და აღზევების პროცესთან კი არ იყო დაკავშირებული (ეს გვარები რომ დანარჩენებს როდისმე ექსპლუატაციას გაუწევდნენ, ამის შიშით წინასწარი აჯანყებები საერთოდ წარმოუდგენელია), არამედ წოდებრივ უპირატესობასა და ჩაგვრის არსებობასთან. ამის

---

[1] რ. ხარაძე, აღ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, გვ. 109-113.

[2] გ. მელიქიშვილი, კავკასიის მთიელთა ადრეკლასობრივი საზოგადოების ბუნების საკითხი, იე. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი საუბილეო კრებული, თბილისი, 1976, გვ. 168.

მაგალითია არა მარტო ჩვენთვის ცნობილი გამოსვლები ზემო სვანეთში, არამედ ქვემო სვანეთის გლეხთა რამდენიმე აჯანყება გარდაფხაძეების წინააღმდეგ, როდესაც მათი აბსოლუტური უმრავლესობა ამოხოცეს. ესეც იმის უდავო დადასტურებაა, რომ გლეხობა მათგან გამოყოფის მოსურნე გვარებს კი არ უჯანყდებოდა წინასწარ, არამედ იმათ, ვინც დიდი ხნის წინ იყვნენ აღზევებული და ვინც მათ სოციალურ ჩაგვრას ეწეოდა.

ცხადია, გლეხთა გამოსვლებს მხოლოდ იმისი წყალობით ეწერა წარმატება, რომ საქართველოს პოლიტიკური დაშლის შემდეგ სვანეთის პრივილეგირებულ წოდებას ზურგის გამმაგრებელი ხელისუფლება არ ჰყავდა, ხოლო მარტოდმარტოს უჭირდა მთელ გლეხობას გამკლავებოდა.

რაც შეეხებოდა ექსპლუატაციის ხარისხს, ამ მხრივ სვანეთი ვერ შეედრებოდა ბარის საქართველოს, სადაც მრავალგვარი ბეგარა-ვალდებულება არსებობდა. გლეხთა უფლებები სვანეთში ისე არასოდეს დაცემულა და გათელილა, როგორც ბარის საქართველოში.

მიუხედავად ამისა, მატერიალური დოვლათის მწარმოებელი მასა სვანეთშიც, როგორც ხელისუფალთა, აგრეთვე საერო პრივილეგირებული წოდების და ეკლესიის მხრივ ექსპლუატაციას განიცდიდა*. ამის უშუალო მაჩვენებელია არა მარტო ჩვენამდე მოღწეული წერილობითი წყაროების ჩვენება საღალო-საბეგარო ვალდებულებით ურთიერთობაზე, არამედ ეკლესია-მონასტერთა სიმრავლე (XIX ს. ბოლოს მარტო ზემო სვანეთში 100-მდე ეკლესია და ნაეკლესიარი აღირიცხა) და მათი სიმდიდრე**.

---

* რა თქმა უნდა, ფეოდალიზმის დროს, კავკასიის მთიანეთში მწარმოებლის პიროვნებაზე კერძო საკუთრება არ არსებობდა, როგორც ამას გ. მელიქიშვილი აღნიშნავს დასახელებულ გამოკვლევაში (იხ. გვ. 165, 169), მაგრამ ეს მოვლენა ფეოდალიზმის საერთო დამახასიათებელ თვისებად არ შეიძლება მივიჩნიოთ თვით ბარშიც. მწარმოებლის პიროვნებაზე კერძო საკუთრება მონათმფლობელობას ახასიათებდა, და ფეოდალიზმის პირობებში მხოლოდ გამონაკლისს შეადგენდა.

** აკადემიკოს გ. ჩუბინაშვილის მოწმობით, მარტო ზემო სვანეთის ეკლესიებში მთელი საქართველოს ოქრომჭედლობის მეხუთედი შემორჩა (იხ. ძეგლის მეგობარი, № 31—32, თბ., 1973, გვ. 33). ეკლესია-მო-

ნიშანდობლივია ისიც, რომ სვანეთის ეკლესია-მონასტრებს სპეციალური მწიგნობრები ჰყავდა როგორც ადგილზე და საქართველოს საეკლესიო ცენტრებში, აგრეთვე უცხოეთის ქართულ ეკლესია-მონასტრებშიც. აღსანიშნავია ისიც, რომ სვანეთის საერისთავოს ხელისუფლები და აზნაურები დიდძალ სიმდიდრეს სწირავდნენ უცხოეთის ქართულ ეკლესიებს, აგრეთვე ისიც, რომ XIV—XV საუკუნეებში მთელ სვანეთში მწიგნობრული მუშაობა იყო გაშლილი (ამ დროის 50-მდე მწიგნობრის ვინაობამ მოაღწია ჩვენამდე).

ხშირად, როდესაც სვანეთის შუა საუკუნეების საზოგადოების ბუნებაზეა მსჯელობა, საქმეს საგლეხო რეფორმის საკითხსაც უკავშირებენ. რაკი რეფორმისას მეფის მთავრობამ სვანეთის აზნაურთა უფლებები უგულებელყო, ზოგიერთს ეს იმის საბუთად მიაჩნია, რომ იქაურ აზნაურებს გლეხობისადმი სამამულო უფლებები არასოდეს ეკუთვნოდათ და საერთოდ პრივილეგირებულ წოდებასაც არ განეკუთვნებოდნენ. სვანეთში თუ საერთოდ კავკასიის მთიანეთში ფეოდალური ურთი-

---

ნასტრები ქონების ნაწილს შეწირულობის სახით იღებდნენ უპირატესად აზნაურებისაგან, ნაწილს კი მწარმოებელი მასის ექსპლუატაციით, მაგალითად, უშგულის მკვიდრმა ჯანყვათ ჩარკვიანმა XVII საუკუნეში სვანეთის ეკლესიას 30 ათასი თეთრი შესწირა, იმდენი, რამდენიც ციოყ დაღიშქელიანმა (იხ. ჟურნ. „ცაცნე", ისტორიის... სერია, 1972, № 2, გვ. 113-119).

მ. ჩართოლანის განცხადებით, ზემო სვანეთში თითქოს „ეკლესიები და სასაფლაოები გვარის ხელში იყო და არის, ზოგან კი იგი რამდენიმე გვარის გაერთიანებას ეკუთვნოდა..." (იხ. კრებული — სვანეთი, 1979, გვ. 104). როგორც ადრინდელი წერილობითი წყაროები (იხ. სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნ. II, გვ. 6, 8, 14, 16, 17, 18, 19, 20 და ა. შ.) და გვიანდელი სინამდვილე მეტყველებს, ასეთი მტკიცება ყოვლად უსაფუძვლოა. როგორც წესი, ეკლესია-მონასტრები სვანეთში სხვადასხვა გვარეულობისაგან შემდგარი სოფლის ან მთელი თემის (რამდენიმე სოფლის) კუთვნილებას შეადგენდა, ხოლო რიგითი გვარისადმი ეკლესიის კუთვნილება იშვიათი გამონაკლისი იყო. მაგრამ, თუნდაც ამ გამონაკლისს (რიგითი გვარის მიერ XVII საუკუნეში ეკლესიის აშენებას და ფლობას) არავითარი საფუძური არ შეიძლება ჰქონდეს გვაროვნულ წყობილებასთან და მის გადმონაშთთან, პირიქით, უამრავი ეკლესია-მონასტრის არსებობა (თუნდაც რიგითი გვარის მიერ ეკლესიის აშენება და ფლობა) სვანეთში ფეოდალური იდეოლოგიის — ქრისტიანობის ბატონობაზე მიუთითებს.

ერთობის არსებობის უარყოფა ამ არგუმენტით შეუძლებელია.

ცნობილია, რომ მეფის მთავრობა თავდაპირველად წინააღმდეგი იყო ეცნო ამიერკავკასიის სხვადასხვა ხალხის პრივილეგირებული წოდების ის წარმომადგენლებიც, რომლებიც რუსეთთან შეერთების მომხრე იყვნენ.

მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ბარში ბატონყმობის არსებობა ეჭვს არ იწვევდა, მეფის მთავრობა მას არ ცნობდა. აქაურ თავადაზნაურობას ნახევარი საუკუნის მედგარი ბრძოლა დასჭირდა თავისი უფლებების ოფიციალური აღიარების მისაღწევად*. ამდენად გასაკვირი არ უნდა იყოს მეფის მთავრობის მიერ კავკასიის მთიელთა პრივილეგირებული წოდების უფლებების იგნორირება, რადგან თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მან აშკარა თუ ფარული ომი გააჩაღა (მაგ., კავკასიის ომი), ამასთანავე მათი პრივილეგიების უგულებელყოფა მთავრობის ფისკალურ ინტერესებსაც შეესაბამებოდა.

სხვათა შორის, რუსეთთან შეერთების საქმეში არც სვანეთის წვრილ აზნაურობას ეკუთვნის რაიმე მნიშვნელოვანი დამსახურება. თანაც სვანეთი რუსეთს საქართველოს კუთხეებს შორის ყველაზე გვიან შეუერთდა. ამიტომ თვითმპყრობელობა სვანეთის აზნაურებს მაინცდამაინც დიდი სიმპატიით

* ქართველმა თავადაზნაურობამ რუსეთთან შეერთებისთანავე მოითხოვა თავისი პრივილეგიების აღიარება იმპერიის თავადაზნაურთა უფლებებში. საქმის გადასაწყვეტად მთავრობამ ოფიციალური სიგელები მოითხოვა, მაგრამ იგი იშვიათად თუ ვინმეს აღმოაჩნდა. ამ საბაბით მეფის მთავრობა მათი უფლებების აღიარებაზე უარს აცხადებდა. საქმის გასარკვევად არაერთი კომისია გამოიყო, მათ შორის XIX ს. 40-იან წლებში მომუშავე კომისიის წევრთა ნაწილი — სენატორ განის მეთაურობით — საერთოდ უარყოფდა საქართველოში ბატონყმობის არსებობას და ამდენად თავადაზნაურთა მებატონურ უფლებებს. ხანგრძლივი დავისა და ენერგიული პროტესტის შემდეგ თავადაზნაურობამ მთავრობას პირვანდელი გადაწყვეტილება შეაცვლევინა, თავისუფლების მაძიებელ გლეხს მოეთხოვა საბუთი, რომ არც თვითონ და არც მისი წინაპარი მოდავე პირის ყმა არ ყოფილა. ცხადია, ასეთი საბუთი გლეხს არ გააჩნდა. ბოლოსდაბოლოს საკითხი მხოლოდ რეფორმის დროს გადაწყდა. ათეული წლების შემდეგ, როგორც იქნა, მთავრობამ ქართველი თავადაზნაურობის აბსოლუტური უმრავლესობის უფლებები აღიარა, ნაწილის კვლავაც გადაუჭრელი დარჩა.

როდი ეკიდებოდა. ცხადია, მეფის მთავრობა რეფორმის პერიოდში ამით ხელმძღვანელობდა სვანეთის პრივილეგირებული წოდებისადმი დამოკიდებულების საქმეში.

მაინც რა დამოკიდებულება არსებობდა რეფორმის დროს სვანეთში?

ე. წ. სადადიშქელიანოსა და ქვემო სვანეთში ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობა სახეზე იყო (თუმცა ქვემო სვანეთის ლაშხეთის თემში ეს ურთიერთობა ნაწილობრივ გაქრობის გზაზე იდგა და უფრო სიმბოლურ ხასიათს ატარებდა), ამიტომ მეფის მთავრობამ ეს ბოლოსდაბოლოს ცნო. მართალია, თავისებური ფორმით, მაგრამ დადიშქელიანებმა, გელოვანებმა და გარდაფხაძეებმა რეფორმის შედეგად გლეხთა განთავისუფლებაში და მიწაში სათანადო საზღაური მიიღეს.

რაც შეეხება ე. წ. თავისუფალ სვანეთს, აქ რეფორმის პერიოდში ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობა ფაქტიურად სიმბოლურ ხასიათს ატარებდა. მოცემულ პერიოდში აქ ყმურ მდგომარეობაში მხოლოდ შინაყმები იყვნენ, ხოლო გლეხთა უდიდესი ნაწილი უკვე პირადად თავისუფალი იყო და აზნაურობას 20 კაპიკიდან 5 მანეთამდე ღირებულების გადასახადს უხდიდა, წელიწადში ერთხელ უმასპინძლდებოდა და სხვ.

სვანეთში შექმნილ ვითარებაზე თავის დროზე არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ დროთა ვითარებაში ბალსზემო სვანეთის აზნაურთა პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენა თანდათან შესუსტდა, გლეხობამ ნაწილობრივ თავი დაიხსნა ფეოდალური დამოკიდებულებისაგან და სხვ.

ზოგიერთ მკვლევარს საეჭვოდ მიაჩნია სვანეთის აზნაურთა სამამულო უფლებების დაცემა და აცხადებს, რომ იქ, სადაც ამგვარი უფლებები ნამდვილად არსებობდა, თითქოს ამგვარი რამ არ შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ ასეთ გამონაკლის შემთხვევას ადგილი არსად არ ჰქონია. არა მარტო სვანეთსა და აგრეთვე ჩრდ. კავკასიის მთიანეთის ზოგიერთ კუთხეში, სადაც საზოგადოებრივ ურთიერთობაში კლასობრივი ბრძოლის შედეგად მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, სადაც პრივილეგირებული წოდების მრავალი გვარეულობა გაქრა და ჩამოქვეითდა (ზოგიერთი ცვლილება შეინიშნება აღმოსავლეთ საქართველოშიც — ქიზიყში, ახმეტასა თუ სხვ.),

არამედ მსგავს მოვლენებს ჰქონდა ადგილი რუსეთსა თუ დასავლეთ ევროპაშიც.

ფ. ენგელსი მიუთითებდა, რომ გერმანიაში წინანდელთან შედარებით XIII საუკუნის შუახანებიდან მოყოლებული (ჯვაროსნულ ლაშქრობათა შედეგად) გლეხთა მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა: „მრავალი ომში მიმავალი მემამულე პირდაპირ ანთავისუფლებდა თავის გლეხს; სხვები ომში დაიხოცნენ, დაიღუპნენ, თავადაზნაურობის გვარები ასობით გაქრა, მათი გლეხებიც ხშირად თავისუფლდებოდნენ". უფრო გვიან, XV საუკუნეში, — აღნიშნავდა ფ. ენგელსი, — გლეხთა მდგომარეობა კვლავ გაუარესდა, უზომოდ გაიზარდა ღალა და ბეგარა, განახლდა ცდა, რომ თავისუფალი გლეხები მებეგრეებად ექციათ, მებეგრეები — უმებად, ხოლო საერთო მარკა — საბატონო მამულად"[1].

ამის გამო, XV საუკუნის დასასრულიდან შვაბიაში, ბავარიაში, ფრანკონიაში, ელზასში და სხვაგან გლეხთა მრავალი აჯანყება მოხდა, ხოლო XVI საუკუნის 20-იან წლებში გერმანიაში გლეხთა ომმა იფეთქა, რომელშიაც თავადაზნაურობამ გაიმარჯვა. ამიერიდან გერმანელ გლეხებს შორის საყოველთაოდ ვრცელდება განახლებული ბატონყმური ურთიერთობა[2].

მსგავს მოვლენებს ჰქონდა ადგილი რუსეთშიც, სადაც კლასობრივ თუ შინაკლასობრივ ბრძოლაში მრავალი თავადაზნაურული გვარეულობა დასუსტდა ან საერთოდ გაქრა. ცალკეულ აჯანყებასა და გლეხთა ომში მრავალი გლეხი იღუპებოდა, ყმევდებოდა და ზოგიერთიც დროებით თავისუფლდებოდა (ყაზაკობა, „სლობოდები" და სხვ.).

რა თქმა უნდა, მსგავს მოვლენებს, მეტ-ნაკლები მასშტაბით, ადგილი ჰქონდა კავკასიაშიც, სადაც პოლიტიკური ვითარების მნიშვნელოვანი შეცვლა შესაბამის ძვრებს იწვევდა პრივილეგირებულ და მდაბიო წოდებათა ურთიერთობასა და ძალთა თანაფარდობაში.

---

[1] ფ. ენგელსი, გლეხთა ომი გერმანიაში, გვ. 146—147.

[2] იქვე, გვ. 146 (ხაზგასმა ჩვენია — გ. გ.).

პოლიტიკური ვითარების ცვლილების შედეგად რეფორმის დროისათვის ლენტეხის თემისა და ჩუბეხევის ადგილობრივი აზნაურების გვარეულობები სრულიად გაქრნენ, ლაშხეთის თემის აზნაურთა ნაწილი და ბალსზემო სვანეთის აზნაურობა დაკნინდა.

მიუხედავად ამისა, საარქივო დოკუმენტები და ოფიციალური სტატისტიკური მასალები მოწმობენ, რომ ე. წ. თავისუფალ სვანეთში რეფორმის დროს დაახლოებით 800 კომლიდან 61 აზნაურთა გვარეულობებს ეკუთვნოდა (როცა მოსახლეობის აღრიცხვა ხდებოდა თავადი და აზნაური ოფიციალურად მოიხსენიება)[1].

მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-ეკონომიკური ცვლილებების მიუხედავად რეფორმის დროისათვის აზნაურთა ოჯახები პირადად ფლობდნენ 15—20 ქცევა სახნავ-სათიბ მიწას, ტყეს, აგრეთვე სხვა უძრავ-მოძრავ ქონებას.

ამასთან აზნაურის სისხლი ((დაახლოებით 200 ძროხად ფასობდა) და ნაჭვლაში (საცოლისა და მისი მშობლებისათვის წინდაწინ მისართმეველი ქონება) გლეხთან შედარებით ორმაგი ღირდა. საერთო საქმის გადაწყვეტის დროს აზნაურის ხმას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ან ორი გლეხის ხმას უდრიდა.

ამასთან ერთად, ოფიციალური სტატისტიკით თითოეული აზნაურის კომლზე საშუალოდ 5 შინაყმა მოდიოდა, ხოლო გლეხთა ნაწილს მათთვის წელიწადში 20 კაპიკიდან 5 მანეთამდე ღირებულების გადასახადი უნდა ეძლია*, ამას გარდა წელიწადში ერთი სადილი უნდა გაემართა და ნადობაში გამოცხადებულიყო.

აზნაურები განსხვავდებოდნენ ყოფა-ცხოვრების წესით, მაღალი წოდებრივი ღირსების გამო ისინი გლეხობასთან ქორწინებასა თუ სხვა ნათესაურ ურთიერთობასაც გაურბოდნენ.

საინტერესოა სვანეთის აზნაურების შედარება ბარის აზნაურებთან. რასაკვირველია, თავისი ქონებრივი შეძლებითა და გაელენით სვანეთის აზნაურები ბარის მდიდარ აზნაურებს

---

1 საქ. სსრ ცსა ქუთაისში, ფ. 1, ან. 2, ს. 27.

* 5 მანეთი ძროხის ფასი იყო.

ვერ შეედრებოდნენ, სამაგიეროდ, ისინი დასავლეთ საქართველოს ბარის წვრილ აზნაურობას არაფრით არ ჩამოუვარდებოდნენ.

რეფორმის დროს სამეგრელოს აზნაურების: დგებუაძეების, ბუაძეების, ხვიტიების, იაშვილების, გაბუნიებისა და გუგუშვილების 28 ოჯახი არც ერთ ყმა გლეხს არ ფლობდა, ამასთანავე სიღარიბითაც განირჩეოდნენ. მსგავს მდგომარეობაში იყვნენ ისინიც, ვინც აზნაურობას იჩემებდა, მაგრამ მეფის შთავრობის კომისიამ აზნაურთა წოდებაში არ დაამტკიცა და საეკლესიო უწყებას გადასცა. თუკი სამეგრელოს უდავო აზნაურების ყმათა რაოდენობას დავიანგარიშებთ, ვნახავთ, რომ აზნაურის ერთ ოჯახზე საშუალოდ ყმა გლეხთა 3—4 კომლი მოდიოდა. მაგალითად, მარიამ დადიანისადმი დაქვემდებარებულ აზნაურთა 68 ოჯახზე სულ გლეხის 244 ოჯახი მოდიოდა, სოფიო დადიანის აზნაურთა 32 ოჯახზე — გლეხის 160-მდე ოჯახი და ა. შ.[1].

სამეგრელოს მსგავსი სურათი იყო გურიაში, სადაც აზნაურთა მნიშვნელოვან ნაწილს ორი ყმა გლეხი ეკუთვნოდა, ხოლო ნაწილი სრულიად უყმო და უმიწაწყლო იყო[2].

ასეთივე სურათი იყო იმერეთშიც, სადაც აგრეთვე აზნაურთა უმრავლესობა ღარიბი იყო. როგორც წოდებაში დამტკიცების სპეციალური კომისიის მასალებიდან ჩანს, XIX საუკუნის 30—40-იან წლებში იმერეთში ბევრი იყო არა მარტო უყმო, არამედ უმიწაწყლო აზნაურიც, რომელიც მხოლოდ გვარჩამომავლობით (წოდებრიობით) განსხვავდებოდა გლეხებისაგან. იმერეთის აზნაურებზე გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს გამოჩენილი კლასიკოსი მწერალი დავით კლდიაშვილი, რომელიც ეკონომიკური მდგომარეობის სივიწროვისა და თავისებური ცხოვრების გამო იმერეთის აზნაურთა ნაწილს „შემოდგომის“ აზნაურებს უწოდებდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ XIX საუკუნეში საქართველოს აზნაურობა, როგორც დამოუკიდებელი მეურნე, უკვე გაქრა. მათი უმრავლესობა თავადობამ დაიქვემდებარა.

---

[1] საქ. სსრ ცსა (ქუთაისში), ფ. 1, ან. 2, ს. 27.

[2] მ. დ უ მ ბ ა ძ ე, დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, გვ. 83.

ყოველივე ეს მეტყველებს იმაზე, რომ სვანეთის პირველყოფილურობის თუ გვაროვნულობის (აგრეთვე სამხედრო დემოკრატიის საფეხურზე დგომის, გვაროვნული წყობილების მრავალრიცხოვანი და მნიშვნელოვანი გადმონაშთებისა და სხვ.) კონცეფცია, სვანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საუკუნეებით ჩამორჩენილობის „თეორია" უდღეური აღმოჩნდა, რომ ესა თუ ის კონცეფცია და ისტორიულ მოვლენათა ინტერპრეტაცია სათანადო წყაროების მონაცემების დეტალურ ანალიზს და ობიექტურ შეფასებას უნდა ემყარებოდეს. ყოფითი ეთნოგრაფიული რეალიების ტენდენციური შერჩევა და ასეთივე ინტერპრეტაცია პირუთვნელ კრიტიკას ვერ უძლებს, მეცნიერებას ახალი ფაქტებითა და აზრებით ვერ ამდიდრებს. შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიის კვლევის პროცესში ჰეშმარიტებიდან აშკარად გადახვევის ამგვარი რეციდივები თავის დროზე, როგორც ცნობილია, სამართლიანად დაგმო აკად. ნ. ბერძენიშვილმა, რომელმაც სვანეთის ისტორიული პროცესის შემდგომი შესწავლის პერსპექტივაც მკაფიოდ დასახა[1].

ფეოდალური ხანის სვანეთის გვაროვნულობის თეორიის ზოგიერთი თანამედროვე მიმდევარი ვერ უარყოფს ბალსზემო სვანეთის საზოგადოების სოციალურ დიფერენციაციას, ანუ გლეხისა და ვარგის (აზნაურის) წოდებათა წარმოქმნას; მაგრამ დაბეჯითებით ირწმუნება, თითქოს „გლეხი და ვარგი თანასწორი უფლებით ფლობდა მიწას", რომ „კერძო პირთა აღზევებას თემი აჩერებდა", თითქოს, „მმართველობაში გლეხი და ვარგი თანასწორი უფლებით გამოდიოდნენ". საკითხავია, ამგვარ საზოგადოებას, როგორადაც მ. ჩართოლანის მიერ ბალსზემო სვანეთია წარმოდგენილი, რა საერთო აქვს, თუნდაც ადრეფეოდალურ საზოგადოებასთან? ნუთუ, ადრეფეოდალურ ურთიერთობაში ფეოდალური არაფერია! ნუთუ, ადრეფეოდალურში ისეთი აზნაური იგულისხმება, რომელსაც არც ეკონომიკურ-პოლიტიკურ-უფლებრივი უპირატესობა აქვს მოპოვებული და არც ექსპლოატაციის უფლება; აგრეთვე ისე-

---

1 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, V, 1971, გვ. 66-68.

თი გლეხი, რომელიც სხვას არაფრით ჩამორჩება!? რა თქმა უნდა, ადრეფეოდალურ საზოგადოებაში უკვე ასეთი თანასწორობა და თანასწორუფლებიანობა არ შეიძლება სუფევდეს. ამ თვალსაზრისის ავტორი, მ. ჩართოლანი, აცხადებს: „ფეოდალის ბატონობაზე დაბალი დონე როდია სახალხო მმართველობა"[1]. ამგვარ არჩევანთან და განსჯასთან ერთად, ისტორიის კვლევაში რამდენადმე დამაფიქრებელია ჩვენი ავტორის ის მეთოდიც, რომლის თანახმად ფეოდალური ხანის სვანეთის ისტორიის კვლევისას „ეთნოგრაფიული მასალა პირველხარისხოვანი წყაროა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხალხური არქიტექტურული ძეგლები"[2]. ხოლო, იმავე ხანის წერილობითი წყაროები, ასევე X—XV საუკუნეთა უამრავი ქრისტიანული ეკლესია-მონასტერი არა თუ გათვალისწინებას, არამედ მოხსენიებასაც არ იმსახურებენ.

ეთნოგრაფ-მკვლევარ მ. ჩართოლანის შეფასებით, ფეოდალური ხანის სვანეთის „არქიტექტურულ ნაგებობათა მფლობელობისა და საკუთრების ფორმა ადრეფეოდალური ხასიათისაა..."[3], „ფეოდალმა ეკლესია ვერც ქვემო სვანეთში და ვერც ბალს ქვემო სვანეთში ვერ წაართვა გლეხობას..."[4]. „ამ რიგის მასალებში (მონაცემებში — გ. გ.), — დაასკვნის მ. ჩართოლანი, — არ შეიძლება არ დავინახოთ გვაროვნული წყობილების გადმონაშთებიც და საზოგადოებრივი ურთიერთობის მანიშნებელი ძველი ინსტიტუტებიც, როგორიცაა სასოფლო თემი, საოჯახო თემი (დიდი ოჯახი), პატრონიმული გაერთიანებანი და სხვ."[5].

მცდარია ავტორის ასეთი განცხადებაც: „იქ, სადაც ფეოდალიზაცია მოხდა, სვანეთმა თავისი ტერიტორიის გარკვეული ნაწილი დაკარგა და იმ ტერიტორიაზე ნასვანარი ადგილები-

---

[1] მ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, ისტორიისა და კულტურის ძეგლები სვანეთში (იხ. კრებული „სვანეთი", თბილისი, 1979, გვ. 105.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 105.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 103.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 104.

[5] ი ქ ვ ე.

ღა დარჩა. ასე მოხდა ჩრდილო კავკასიაში: ბაქსანის, თერგის და ყუბანის სათავეებში...“[1].

ვფიქრობთ, ყველაფერი ეს ვრცელ კომენტარს არ საჭიროებს. მ. ჩართოლანის ინტერპრეტაციით, შუა საუკუნეებში სვანეთი, სახელდობრ ბალსზემო სვანეთი „სამხედრო დემოკრატიის“, „სახალხო მმართველობის“, „თავისუფალ მეთემეთა“, „თანასწორუფლებიანი საზოგადოების“, „სასოფლო და საოჯახო თემების“, „პატრონიმული გაერთიანების“ ფარგლებს (ე. წ. „ადრეფეოდალურ ურთიერთობას“) ვერ გასცდა, ხოლო სვანეთის საზღვრებში — „ჩრდილო კავკასიაში: ბაქსანის, თერგისა და ყუბანის სათავეებში ფეოდალიზაცია მოხდა...“. აი სადამდე მიდის ზოგიერთი ავტორი. სვანეთის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის ამგვარ შეფასებასა და გაგებას სინამდვილესთან საერთო არაფერი აქვს.



[1] მ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, ისტორიისა და კულტურის ძეგლები სვანეთში, (იხ. კრებული „სვანეთი“), თბილისი, 1979, გვ. 105.

## შინაარსი


შესავალი 3

### თავი პირველი

სვანეთის მოსახლეობა და მეურნეობა XIX ს. 30—70-იან წლებში 16

### თავი მეორე

სვანეთის რუსეთთან შეერთება და სასოფლო-სათემო მმართველობის შემოღება 36

1. რუსეთთან შეერთება 36
2. სასოფლო-სათემო მმართველობის დაარსება . 61

### თავი მესამე

გლეხთა აჯანყება 84

1. მღელვარების დასაწყისი 84
2. შეიარაღებული აჯანყება და ხალდეს ტრაგედია 127
3. აჯანყებელთა გასამართლება 152

დამატება 186

ვარგისა და გლეხის საკითხისათვის 186

რედაქტორი ნ. გონაშვილი
მხატვარი ე. ონიანი
მხატვრული რედაქტორი აკ. ტუხაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ნ. აფხაზავა
კორექტორი ლ. არეშიძე
გამომშვები დ. იამანიძე

ს. ბ. № 16642

გადაეცა წარმოებას 19.IV.79 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 16./VII.79 წ. საბეჭდი ქაღალდი № 1. 84×108 1/32. გარნიტური ვენა. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 11.97. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 10,69.
უე 12429. ტირაჟი 1000. შეკვ. № 564.
ფასი 1 მან. 50 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამსახლობა. თბილისი, № 4 სტამბა
380060, მედქალაქის II კორპ.
Грузинской ССР. Тбилиси 380060. Медгородок II корп.
Тбилисская типография № 4 Госкомиздата